


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

17 აგვისტო 2007

№ 17 (43)



ორი იასეს გამოცანა

ზაზა ბიბილაშვილის პოემა

ზუგდიდელი თაღლითის პატიოსნება

ლია სტურუას ზნეობრივი გმირი

ექსტაზი და პერფორმანსი

ბეკერის სულების მთა

## შირვანისი

რეზაქტორის გვერდი	2	„მე ვუხედი გზაცი ფად აღმავალი“
ჩვენი ყოფა, წეთისოფელი	5	ლია სტურუა ზეოპბრივი გმირი
პროზა	8	სულხან ნამჩევაძე როიალი
პოეზია	22	ზაზა ბიბილაშვილი ნირილი გოთლიდან
გამოხატვა	27	ნინო ვახანია ორი იასეს გამოცანა
ესეისტიკა	29	რალფ უოლდო ემერსონი რელიგია
ფერგატივი	34	ჰენრი სლეზარი ძურდგაცაცა
მოგორებათა სკივრი	37	სერგეი მაქსიმოვი პეჩორის თავადი
ფილოზი	45	„30საც ანდერძს ანდოგდენ“ (ნუცა თოფჩიშვილს ესაუბრება მაკა ბოცვაძე)
რეპრეტაჟი	48	ეკა ბუჯიაშვილი ზუგდიდელი თაღლითის პატიოსევა
	52	ნინო ყულოშვილი ლაზური უესვები ანუ „იპირი, მოთ გამარინეთ!“
გამოსათხოვარი	55	ნინო ციმაკურიძე თიბათვის მზაში, არაგვის ლამაზი (იაკობ ბობოხიძის ხსოვნას)
კრიტიკა	56	ქეთევან ელაშვილი უჩვეულო თამაში (ემოციური დაფიქრება ზაზა აბზიანიძის ზღაპრებზე)
	58	საბა სულხანიშვილი ეძსტაზი და... პერვორმანი
უსოფარი წოველა	60	გუსტავო ადოლფო ბეკერი სულეაბის მთა
მოზაიკა	63	პოლონელი რჩება პოლონელად

დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია – (995 32) 96-20-62  
რეკლამა – (995 77) 48-12-24  
გავრცელება – (995 99) 93-18-52  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობუანიძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
დიზაინერი – მალხაზ იავალი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია  
კორექტორი – ნინო დეკანონიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე  
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ადოლფ მენცელი, „ტყისპირი“  
რალფ უოლდო ემერსონი

## „მა ვუცი გზანი ცად აღმავალი“

ნუ იქნებით ეზრა პაუნდიო, – რჩევას სათაურშივე მიზარებს ერეკლე ხატისკაცი (“ჩვენი მწერლობა”, 2007, № 15) და გულისხმობს ამერიკელი პოეტის გატაცებას ფაშისტური იდეებით... კიდევ კუნტ ჰამსუნის... კიდევ ალბათ მარტინ ჰაიდეგერის... პაუნდის სახელი განაზოგადებს ამ მსოფლებლის მიმდევარ ყველა მწერალს და რატომლაც მეც ამ რკალში მოვქცეულვარ, რაკიდა რჩევის ავტორს ფაშიზმის ნიშნები ამოუცვნია ჩემს პუბლიცისტურ სტატიაში „აკლდამა, ხანჯალი, ჩემა“ („ჩვენი მწერლობა“, 2007, № 13). ნიშნების ამოცნობა კი გამოუწვევია ჩემს უწყინარ სურვილს – დარქმეოდა თავისი სახელი ალექსანდრ გრიბოედოვის პოლიტიკურ მიზნებსაც, მის საფლავსაც და ძეგლსაც.

ამ შემთხვევაში ის აღარ იყო მწერალი (თუმც როგორც მწერალი დიდად ვერ დაიკვეხნის და შესაძლოა მხოლოდ რაღაც მნიშვნელობა ჰქონდეს რუსული ლიტერატურისათვის!), არამედ რუსული შოვინისტური პოლიტიკის ერთ-ერთი ადეპტი. ამიტომაც ყოვლად წარმოუდგენელია, ქართველობამ – რომელთა მოდგმის გადაჯიშვებაც ჩაეთქვა „ვაი ჭუისაგან“ ავტორსაც – გაადევალოს მისი პიროვნება, შეეგულს მის სამარეს მთაწმინდაზე, მის ძეგლს მტკვრის სანაციონზე.

და საერთოდაც, როდესაც დამპყრობელი თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად გიყალბებს და გიკვეცავს ისტორიას, გიკინდებს მოღვაწებსა და ხელოვანთ და საკუთარ მწერლებს გახვევს თავს, ის მწერლებიც შოვინისტური პოლიტიკის ნაწილი ხდებიან და მათი ძეგლების აღმართვაც იდეოლოგიურ დივერსიას უტოლდება.

რა გასაკირია, რომ ლენინის, მაქსიმ გორკის, ალექსანდრ პუშკინის, ალექსანდრ გრიბოედოვის, მიხაილ ლერმონტოვისა თუ სხვათა ქანდაკებანი ერთ დანიშნულებას ასრულებდნენ საბჭოთა ეპოქაში, თორებ რუსი მწერლების გვერდით და თანაბრად სხვა ქვეყნის საუკეთესო შეილთა მონუმენტებიც გამოჩნდებოდა.

განა ასე არ არის?

ისე პუშკინზე (გრიბოედოვზე აღარაფერს ვამბობ!) გაცილებით მეტად ლორდ ბაირონის ძეგლის აღმართვა სჭირდება ქართველობას – ვისაც პუშკინიც დამონაფებოდა და მართლა ტალღასავით მოსდებოდა მისი გავლენა მთელ განათლებულ ევროპას. ეს ის ბაირონია, ვინც იმპერიის საზღვრების გადაჭიმვასა და სხვა ერების ასიმილირებას კი არ ესწრაფოდა გრიბოედოვით, ირლანდიულებს მოუწოდებდა: არ შეეგულთ ბრიტანეთის უდელს და თქვენი სახელმწიფოებრიობის ალსადგენად იბრძოლეთო. ინგლისში რომ აღარ დააყრინებდნენ, იქიდან გამორიცდებული ჯერ იტალიელთა აჯანყებაში გაერეოდა ავსტრიელთა ბატონობის დასამხობად, შემდეგ კი ბერძენთა გამათავისუფლებელ ბრძოლაში თურქთაგან დასახსნელად და იქ აღსრულებოდა კიდეც.

რაღაც ბაირონი ჩვენთვის და რაღაც ქართველი ეროვნული გმირები!..

ამ ამაღლებული სახებით რჩება იგი ჰუმანისტური კაცობრიობის ხსოვნაში, ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის მოძმედ და ქომაგად და თავისი ინგლისის პატრიოტად. ყველა პუშკინ-გრიბოედოვ-ლერმონტოვებისა-გან განსხვავებით მისთვის სამშობლოს სიყვარული ნიშნავს არა ბრიტანეთის იმპერიის საზღვრების უკიდურეს გადაჭიმვასა და მეოთხე რომობას, არამედ იმპერიალისტური მისწრაფების დაოკების აუცილებლობას, რადგანაც სხვა ერების შთამნთქმელი ქვეყანა ადრე თუ გვიან თვითონაც ამოიჭამს თავს და ყველაზე დიდ საშიშროებად მოევლინება საკუთარ მოქალაქეებს.

ამიტომაც უნდა დაიბრუნოს ირლანდიამ დამოუკიდებლობა.

ამიტომაც უნდა შეეღისა ბრიტანეთი კოლონიებს.

და ჩვენთვისაც ორიენტირი ამ ზნეობისა და მსოფლედვის პიროვნება უნდა იყოს და არა მის საპირისპირო პოლუსზე მდგარი მწერლები, რომელთა მოღვაწეობის გეზისაც უმთავრესად პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავს.

ამიტომაც უნდა დაიდგას ჩვენშიც ლორდ ბაირონის მონუმენტი და არა დაპყრობათა წამქეზებლებისა.

ოღონდ ესეცაა:

საქართველო ბრიტანეთის იმპერიის კაბალაში ან გავლენის ფარგალში რომ იყოს მოქცეული, მაშინ ბაირონის ქანდაკებას – მისდა უნებურად – პოლიტიკური დანიშნულება დაეკისრებოდა, მის გვერდით კი, ვთქვათ, უილიამ შექსპირისა თუ ჩარლზ დიკენსის ძეგლები უკვე საპოლონდ ცხადყოფდა კულტურულ-ლიტერატურული საფარველის ქვეშ ბრიტანეთის უპირატესობის ჩაბეჭდვის მცდელობას ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ამგვარ ვითარებას გულისხმობდა კონსტანტინე გამსახურდია, ვინც ირწმუნებოდა: შექსპირი ბრიტანული იმპერიალიზმის ხელში ჯავშნოსან კრეისერს უტოლდებაო.

ბრიტანეთის ამბობდა და რუსეთს გულისხმობდა, შექსპირს ამბობდა და პუშკინ-გრიბოედოვ-ლერმონტოვებს გულისხმობდა, მაგრამ თუნდ არ განვაზოგადოთ მისი ეს თვალსაზრისი, ისედაც აშკარაა – პოლიტიზებული შექსპირი, ცხადია, აღარ იქნება ის შექსპირი, ვისი ტრაგედიებიც ასე აღვაფრთოვანებს და მისი ქართული ვერსია სულაც ქართული ლიტერატურის საგანძურში გვეგულება. ასეთ დროს ის მართლაც ჯავშნოსან კრეისერად მოგვევლინება.

აღარც ბაირონის შერჩება ზნეობრივი მაღლი და შთამბეჭდაობა და ისიც პოლიტიკური კონიუნქტურის იარაღად გადაიქცევა.

დიახ, თვითი ლორდ ბაირონიც!

და რაღაც ითქმის ალექსანდრ გრიბოედოვზე, ვის სახელსა და ცხოვრების წესსაც სულაც არა სჭირდება ხელოვნური გაპოლიტიზება.

ამ თვალთახედვით განვსჯიდი მისი სამარის არსებობას და ამიტომაც გაკუთანაბრე რუსულ ჩემასა თუ ჩვენს გულში გაყრილ ხანჯალს.

საქართველოს მიწა-წყალზე მტკიცედ რომ არ იდგნენ სამშეიდობო ბატალიონებად თვითმონათლული რუსი ჯარისკაცები და რუსეთს მიტაცებული არა ჰქონდეს ჩვენი ტერიტორიები, მაშინ, რასაცირკელია, ასეთი მძაფრი არ იქნებოდა მთანდინდაზე გრიბოედოვის აკლდამის არსებობა და მეტ-ნაკლებ შემწყნარებლობასაც გამოვიჩენ-დით, მაგრამ იმ სინამდვილეში, რომელშიც გვიჩნევს ცხოვრება, ეს საფლავი ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის შემლახავია.

რუსული კულტურის საწინააღმდეგო ვის რა შეიძლება ჰქონდეს.

რუსულ სამხედრო ექსპანსიასთან შეური-გებლობა კი ყველა ჩვენანის მოვალეობა.

და გრიბოედოვის საფლავი ჩვენი დედა-ქალაქის შუაგულში სწორედ რუსული სამ-ხედრო ექსპანსიის ნა-ნილია.

მაგრამ მოულოდნე-ლად ერეკლე ხატისკა-ცისაგან ამ ბარათს ვდებულობ: ნუ იქნე-ბით ეზრა პაუნდიო.

მარტო იგი არ დაუ-ეჭვებია ჩემი სტატიის სულისკეთებას, აგრ ნინო გ-ც (მეითხველი, ვინც ვინაობის გამშელა არ ისურვა) თავის კრიტიკულ გა-მოხმაურებაში „საფლავთან დაწერილი წერილი“ („ჩვენი მწერლობა“, 2007, №16) „მიხაკისფერ ჭირს“ ახსენებს და ასევე გულნატენია, სიყვარულის დიდ სიმბოლოს, რო-გორც ესახება გრიბოედოვის აკლდამა, ცოტა არ იყოს უხეშად რომ შევეხე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტატიის შინაარსი და მი-ზანდასახულება ასეთ გულისტკივილს არ უნდა იწვევ-დეს, მანიც მოვალედ მივიჩნიეთ თავი, ორივე გამოხმაურე-ბა გამომექვეყნინა, და არამარტო იმიტომ, რომ გან-სხვავებული მოსაზრებისათვისაც მიმეცა გამულავნების საშუალება.

ეს თავისთავად.

ბოლოსდაბოლოს, ლიტერატურული გამოცემის ხელ-მძღვანელის მოვალეობაა, იყოს ყველას რედაქტორი და არა ამა თუ იმ სამოს, წრის, ჯგუფისა თუ ფენის. მათიც, ვინც პირნმინდად იზიარებს მის ლიტერატურულ-ესთე-ტიკურსა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულე-ბებს, და მათიც, ვინც ნაწილობრივ ან სრულიადაც არ იზიარებს.

ეს შეგნება მავალდებულებდა, კრიტიკული გამოხმაუ-რებებისთვისაც ისევე დამეთმო გზა, როგორც მომხრეთა სტატიებს დავუთმობდი.

მნიშვნელოვანი აქ ისიცაა, რომ ორივე გამოხმაურება დაწერილია საზოგადოებრივი და ლიტერატურული ინტე-

რესებით, გულწრფელად და უანგაროდ, რაც ყველა ჩვენ-განის მოვალეობაა, და მათ მძაფრ კრიტიკულ პათოსს, უკომისობის პოზიციას ამიტომაც არ შერევია ჩვენში დამკვიდრებული „პოლემიკური“ სტილის ის ათასგვარი სიმახია, რაც მხოლოდ ჩეკისტური სულისა და აზროვ-ნებისათვის არის ნიშნეული.

განსაკუთრებით ახალთაობისათვის იქნება ეს ორივე სტატია საგულისხმო და გასათვალისწინებელი – როგორ არ უნდა გადაიზარდოს უშედავათო კამათი პიროვნულ კინკლაობაში, თანაც ამაზრზენი გამოვლინებებით.

მათ პათოს რომ დაუკირდება მეითხველი, ადვილად

მიუხვდება ავტორებს მღელვარების მიზეზს. მათი შემფოთება გა-მონვეულია არა იმდე-ნად ერთი სტატიით, რამდენადაც ამ თვალ-საზრისის მოსალოდნე-ლი დატრიალებით პრესასა თუ რადიო-ტელევიზიაში, ფსევ-დოურნალისტურ ენა-ზე გაპიარება რასაც დარქმევია, დატრია-ლებითა და... შესაძლო ისტერიით.

ცხადია, ისტერია წაახდენს ყოველგვარ კეთილმობილურსა თუ სასიკეთო ჩანაფიქრს, მაგრამ მისი შიშით გა-

ნა შოვინიზმის თავისი სახელი ვერ უნდა ვუწოდოთ და ვერც ლიტერატურულ-კულტურულ საბურველში გახვე-ული უკეთესი მიზნები გამოიგიტანოთ სააშკარაოზე?


ისე შიშს დიდი თვალები აქვს და ამიტომაც მოხდა ამ ორი ათეული წლის წინათ თარგმანისა და ლიტერატუ-რულურთიერთობათა მთავარ სარედაქტო კოლეგიაში ის ეპიზოდი, ლადო ასათიანის ლექსების გერმანული პნკარედი რომ წარუდგინეს გერმანელ მთარგმნელებსა და გამომცემლებს და... იმათ შემფოთებით გაატატანეს ხელი: ამ ფაშისტური პოეზიის გამოცემა ჩვენში არაფ-რისდიდებით არ შეიძლება.

გაოგნდები ამ ფრაზის მოსმენისას და არც ჩვენს ლი-ტერატორებს დაუფარავთ გაოცება: ლადო ასათიანის პოეზიას საერთო არაფერი გააჩნია ფაშიზმთან, თავისი მრნამსით იგი სულაც ანტიფაშისტი იყოო. მაგრამ ვერაფ-რით გადაარნმუნეს გერმანელი კოლეგები: ჩვენში ფაშიზ-მის პროპაგანდად ჩამოგვართმევეონ.

ვერ უმტკიცებ, რომ პატრიოტიზმი არ არის ფაშიზმი და მხოლოდ გადამეტებულმა შიშმა შეიძლება გააიგივოს ისინი ერთმანეთთან.

რაც უნდა იყოს, ლადო ასათიანი არა ყოფილა ეზრა პაუნდი... მაგრამ აგერ, გერმანელ ლიტერატორთა თვალ-ში სწირედაც პაუნდობა დაბრალდებოდა.

მეც ასე გაუგებრიბით დავკავშირებივარ პაუნდის სა-ხელს, მაინცდამაინც იმ კუთხით, რაც არასოდეს არა



ეზრა პაუნდი

ამიტომაც მოევლინა მშველეულად ჯეიმზ ჯოს, „ულისეს“ ხელნაწერით რომ დაბორიალობდა.

ამიტომაც მფარველობდა ერნესტ ჰემინგუეის.

ტომას სტერნზ ელიოტი ხომ დამის თავის მეორე მე-დ  
ინამა და „ბერნი მინის“ სრულყოფას – გულმოდგინე რე-  
დაქციული ჩარევით – საკმაო ამაგი დასძო. სხვათა შო-  
რის, ტოლა არც ის დაუდებდა კეთილშობლებით და მო-  
დერნიზმის სახარებად მონათლულ ამ პოემას ასე წააწერ-  
და: ეზრა პაუნდს – ჩემზე დიდ ოსტატსო.

ასეთი ეზრა პაული, კაცმა რომ თქვას, მისაბაძად და ორიენტირად რატომ არ უნდა გესახებოდეს?..

ნუ იქნებით ეზრა პაუნდიო...

თურმე ლადო ასათიანის სახელსაც უნდა გაურბოდე!..  
ნინო გ-ს გამოშმაურება სიყვარულის თავისებურ სა-

გალობრძადაც უნდა აღიყევათ, სიყვარულისა, რომლის-  
თვისაც არ არსებობს არავითარი მიჯნა და, არამცუუ ეთ-  
ნიკურ საზღვრებს არა სცნობს, ყველასა და ყველაფერს  
დაუნარებლად იმეტებს, რათა თავის ბრიალა ხანძარში  
შთანთქას.

შემთხვევითი არ არის, რომ სტატიაში აღტაცებითაა მოხსენიებული მედეას სიყვარული, რომელმაც შეიწირა ამ ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟის მამაც, ძმაც, სამშობლოც...

ამ ფონზე ჩნდება ნინო ჭავჭავაძის სახეცაც, ქალისა, ვინც უცხოორმელს სიცოცხლე გადააგო... საქართველოს მიმართ იმას რა ფარული ზრასვენი უტრიიალებდა, ეს, აბა, საიდან ეცოდინებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს.

ის, რომ სიყვარული ყოვლადსაღმატებული გრძნობაა, რომლის წინაშეც ფერმკრთალდება და სულაც იმსხვრევა ყველა სხვა განცდა თუ სწრაფვა, ვასილ ბარნოვის მხატვრულ-იდეური მრნამსია და უკიდურესი სიმძაფროთაც წარმოსახული რომანებში „არმაზის მსხვრევა“ თუ „ტროფობა წამებული“ – რჯულზე უმტკიცესადაც დასახული.

თვით ისეთი ეროვნული მნერალი, როგორც ვასილ ბარნოვია, ფიქრობს ასე და სიყვარულს სიცოცხლის აზ-რად და დანიშნულებად აღამაღლებს, ასე რომ, გავიზია-რებთ თუ არ გავიზიარებთ თუნდ მედეას მოქმედების საწ-ყისს, დაძრახვით იქნებ ვერ დაგრახოთ ამ შეხედულების მიმდევარნი; მაგრამ გამოხმაურების ავტორს – თუკი მეც მაქვს რჩევის გამოთქმის უფლება – ვთხოვ, ერთხელ კი-დევ გადაავლოს თვალი სტენდალის ნოველას „განინა ვა-ნინი“, რომლის სიუჟეტური ქარგაც პატრიოტიზმისა და ქალ-ეაზური სიყარულის კონტაქტზეა ამოზროვით.

სტენდალი ქართველი არა ყოფილა. ალბათ არც ფაშისტობას დასწამებს ვინმე... თუმც იმ გერმანელებს რომ წაკითხათ ეს ნოველა, იქნებ თავი შეკავშინათ მისი

თარგმანისაგან: ვაითუ ცუდად გაგვიგონ ჩეენს სამშობლოში და ფაშიზმის პროპაგანდად ჩამოგვართვანო.

თუკი ვინმებს ესმოდა მსოფლიო მწერლობაში სიყვარულის ყველა სახეობა ყოველი მათი დანაშრევითა თუ ფარული ელფერით, ერთ პირველთაგანს სტენდალსაც – ასე აღიარებულა და მისი რომანებისა და ნოველების გულდასმით წაკითხვა დაგვარწმუნებს, რომ ეს თვალსაზრისის არც არასოდეს გახდება გადასასინვერ.

და იქნებ „ვანინა ვანინის“ კონცეფციიდან და გან-  
წყობილებიდან გავხედოთ მედეასაც და... ნინო ჭავჭა-  
ვაძესაც.

ნუთუ სტენდალთან სულიერი ნათესაობაც დასაძრა-  
ხად უნდა გამოცხადდეს?!

აქ შეიძლება კიდევ მოთავებულიყო ეს ჩანაწერი, მაგრამ მედეას ხსენება ძალაუნებურად გაახსენებდა მკითხველს მის მონუმენტსაც და ცოტა ხნის წინათ ბათუმში მედეას ქანდაკების დადგმის ირგვლივ ატეხილ დავა-კამათსაც.

თქვენი მონა-მორჩილი ამის თაობაზე რაღას იტყვის?

როდესაც თამარ მეფისა თუ ქეთევან დედოფლის ქან-  
დაკებანი არ გიღგას ქვეყანაში და მედეას ძეგლის აღმარ-  
თვას მოინდომება – როგორც საბჭოთა ხელისუფლების  
უამის გადაწყვდა ბიჭებინთაში – ადვილი მისახვედრია, რა  
მიზანიც განაპირობებდა ამ წამოწყებას.

ମାଘରାତ ରାଜ୍ୟରେ ମେରାରୀ ଦେଖିବେଳେ ନାହାଲାବାତି କ୍ଷେପ-  
ମାରିଥିବି ବେଳୋବେଳୀରେ ନିମ୍ନମୁଶ୍ଚାଦ ନାରମଦୀଙ୍ଗା ଏବଂ ମେଧେଆପ ଶ୍ରେ-  
ଶାସନରେ ଗାଗଵେବାଠିରେବିନା ଏରା ବସିଥିଲୁଗୁ କିମରାଦ, ଏରାମେଧ  
ଯେବରାତିଲୁଗୁ ବସାଯାଇପରିବ ତ୍ରୀରାଗ୍ରେଫ୍ରିଲୁଗୁ ଶ୍ରେଣୀରାଜ୍ୟାଦ, ଏସେ ତୁ  
ବସି ଶ୍ରେବାନ୍ଦନାର୍ଥେବେଳୀ ଗାତ୍ରଲଭାବରେ ମିଳିବା ଅର୍ଥବେଳବା. ତୁମତି ଏସ  
ଏରା ନିଶ୍ଚାର୍ବେଳୀ, ରାମ ମିଳିବା କେବଳଭାବରେ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟନିନିର୍ମାଣ  
ମିଳିବାର୍ଥାଲୀ, ଏବଂ ଆତ୍ମା ଦାତୁମତି ନାମମାରିବା ମେଧେବାଶ  
ମନ୍ତ୍ରବ୍ୟନିର୍ମାଣ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ଏହି ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ  
ମନ୍ତ୍ରବ୍ୟନିର୍ମାଣ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ଏହି ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ.

\* \* \*

ეზრა პაუნდი კი, იქ, სივრცეებში რომ დაბინადრებულიყო, სხვათაც ეპატიუჯებოდა და გზასაც მიასწავლიდა, თვითონ როგორც ტოვებდა ხოლმე დროდადრო მიწიერ გარსს: მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვუწყი გზანი ცად აღმავალნი, ქარისა სხეული ჩემით.

გამდებოდა შენი სხეულიც ქარი და... ხან იქნებ ერთა-  
დაც შეჰყოლოდით ზეცად აღმავალ ბილიკებს.

ვერ შეიძლებდი ქართან დამსგავსებას და... რჩევას არ მოგაკლებდა ეზრა პაუნდი: მე ვარ მზის გულში გზნებული ცეცხლი, მე ვარ, ეს მე ვარ, მე დავფრენ მერცხლებთან ერთად.

...ჩემზე დიდ ოსტატსო, – სიხარულით გამოჰყავდა ტომას ელიოტს ეს წარწერა „ბერნი მინის“ თავფურცელზე.

\* \* \*

ნუ იქნები ეზრა პაუნდიო, - ჩემთვის მაინცდამაინც ეს რჩევა უნდა გაეზიარებინათ.

ღირდა კი ნეტა მეხუთეხარისხოვანი მწერლის გულ-  
სათვის საუკეთესო მწერლის აჩრდილის შეწუხება?!

# ଶ୍ରୀ ପାତ୍ରମଣ୍ଡଳ

ჩამოყალიბდა ფონდი „საქართველო – ეროვნული გმირები“, რაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის. ამ ფონდის უმრავლესობა, მართლაც, ახალგაზრდებია.

გმირი, პირველ რიგში ზნეობრივი ადამიანია. რიგითი მეტრძოლი ომში თუ პოლიტიკაში ხმალს იქნებს, ენას აფრიკალებს, მაგრამ თუ მას არ წარმართავს ზნეობა, გონება, თუ გნებავთ, ესთეტიკა, ომი წინასწარ წაგებულია.

ნარსულის გმირებისკენ გახედვა აუცილებელია, აწყობში, ამ გმირის ჩამოსაყალბობებლად, რაც თანამედროვე დეპრონოზაციის პირობებში, შეიძლება „ზნეობრივი ადამიანის“ ცნებითაც შეიცვალოს, თუმცა, ის საზეიმო ელფერი, რომელიც სიტყვა „გმირს“ ახლავს, დროშისა და პიმინის გაგრძელებაა და, ზოგჯერ, პატრიოტული ლექსის პათეტიკასავით აუცილებელი.

ამის გამო დაიწერა ეს ნერილი.

ადამიანისთვის ზნეობის პირველი მასწავლებელი ლმერთია, განსაკუთრებით, ისეთი, რომელსაც შეუძლია, ჩეცულებრივი ადამიანივით, აიტანოს ტკივილი, სიკვდილი და, მხოლოდ, ამის მერქ მოვიდეს მისი ზეობა: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“. მახსოვე ჩემი სიხარული, როცა დავინახე, რომ ასე, ჩემსავით ფიქრობს მუსლიმანური ქვეყნის მწერალი, ძალიან კარგი მწერალი, ჩინგიზ აიტმატოვი, მისი რომანის „საჯალათო კუნძის“ გმირი ქრისტიანია და უყვარს თავისი მტკიცნეული ლმერთი.

ლმერთის მერე, საქართველოში, ზნეობრივ გმირად მეომარი ადამიანი მიაჩნდათ, ჯერ, წმინდა გიორგის კულტიდან გამომდინარე და მერე, გაუთავებელი ომების გამო. მაგრამ წმინდა გიორგი ზოგად ბოროტებას ანაღ- გურებს, ამ ბრძოლას ადამიანები არ ეწირებიან. ჩვეუ- ლებრივ ომში ხალხის ხოცვას ვერ ასცდები, გმირობა გვამებზე დადის სისხლიანი ტერფებით, ქუსლის სისუს- ტის შემთხვევაში, მასზეც გაივლის სხვა, უფრო ქუდბე- დიანი გმირი. ქვეყნის გადარჩენისთვის, შეიძლება, ბო- ლოს, კიბეც მიუდგან ცაზე, რომ ერთ ვარსკვლავად იქ- ცეს, ისტორიაში – სახელად, მაგრამ მოვა რომელიმე ცოტნე დადიან და თავისი უმაგალითო საქციელით ყო- ველგვარ გმირობას გადაფარავს. აქ ყველაზე მნიშვნე- ლოვანია არჩევანის უფლება, რაც ომში არ არის: ან შენ მოკლავ, ან შენ მოვაკნ.

ପ୍ରକଟିକ୍ ଡାଇନାନ୍ ମିଡିଆ, ତାଙ୍କୁ ସବୁ ବ୍ୟାପାରିକ କାହାରେ ଦେଖିଲୁ ନାହିଁ ।

ბი ესევიან. ტანსაცმელს იხდის და მათ გვერდით ჯდება, თუმცა არავინ არ დაძრახავდა, გზა რომ გაეგრძელებინა. რამდენად უფრო ძნელია, ასეთი ნებაყოფლობითი წამებისთვის გაიმეტო თავი, ვიდრე ომში იბრძოლო. იქ აზარტი ანელებს შიშს და ტკივილს, აქ – არ არის არავითარი იმედი, მით უფრო ალოგიკურია და მოულოდნელი ფინალი:

კაცი, გმირი, თუ გნებავთ, ხმლით კი არ კლავს მტერს,  
ზნეობრივი მაგალითით ამარცხებს.

მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები,  
რომ მოვა ჩემთან მონანიებით  
(გალაკტიონი)

(გალაკტიონი)

ცოტნები დადიანის ბუნებაში აღმართ, განუხორციელებელი პოეტი და მეომართ თანაარსებობდნენ, ისე, რომ გახლებილი მე-ს შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა. საქართველოს ისტორია სავსეა გმირებით. მეხსიერება სინდისივითაა, დავინწყების შემთხვევაში, ნემსებით გჩხვლეტს, ოლონდ ნემსები ოქროსია. შეიძლება, დაიკინწყო დავით აღმაშენებელი, საქართველოს გამაერთიანებელი?

ცოტნება და დილინისგან განსხვავებით, ის, მართლა, პოეტია, იბრძვის და წერს და იმ ცოდვებს, რომლებიც გმირობის ჩრდილში იმაღლებიან, ლექსით ინანიებს („გალობანი სინაულისანი“), თამარ მეფე – XII საუკუნეში ქართველი კაცის ელვარე ფანტაზიამ მეფე-ქალი მოიგონა. ისიც იბრძვის, მერე ეკლესიაში მიდის ფეხშეველა, ქვალორლიან გზაზე, სალოცავად და შოთა რუსთაველი? რომელიც ჩვენი ლიტერატურული სამშობლოა და როგორც ყველა ადამიანი მოდის თავისი სამშობლოდან, ასევე ყველა ქართველი პოეტი მოდის რუსთაველიდან, პიერბოლასავით ჟლერს ცხრა ძმა ხერხეულიძე და სამასი არაგველი, უფრო აქტე ქაჯუცა ჩოლოყაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი განა ლავრენტი ბერიას პირისპირ დგომა და ყოველ წუთს სიკვდილის ლოდინი გმირობა არ იყო?

ბოლოს, მაინც, მკერდზე დამაგრებულ წითელ მიხაკ-ში, შეგ აძსოლუტურ სმინაში – ტყვევია.

კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ხალხურ პოეზიაშია: „ამბავი ვეფხვისა და მოყმისა“. ვეფხვი და ახალგაზრდა კაცი თანასწორ ბრძოლაში კლავენ ერთმანეთს და შვილმკვდარი დედა ვეფხვის დედასთან მიღის სამძიმარზე: „იქნება, ვეფხვის დედა ჩემზე მწარედა ტირისა“. თანაგრძნობის უმაღლესი ფორმა – თანალმობა, თანატკიივილი.

შუბანიკი, აბო, ქეთევან წამებული. ისინი გვასწავლიან მარტვილობის ხელოვნებას. მაშინ რწმენა გაიგივებული იყო სამობლოსთან. თუმცა, შუბანიკის და აბოს შემთხვევში, ქრისტეს სიყვარული სძლევს სხვა აღმსარებლობას, ყველაზე ადამიანური ღმერთის, რომელმაც ხორცის ტკივილიც კი გამოსცადა ამაღლების გზაზე. ბავშვობიდან მიყვარდა აბო თბილელი, პატარა, წამებული ბიჭი. სკოლაში ტექსტს მასწავლიდებულ და არა ემოციურ დამოკიდებულებას მასთან.

**რადგან მათ მეხუთე საუკუნისგან**  
 უხორცო და უპიროვნო სივრცე აშორებდათ,  
 მე კი ვგრძნობდი,  
 რომ სივრცესაც აქვს სისხლი:  
 ყაყაჩობანი მინდორი რომ წარმოიდგინო თოვლზე,  
 ოლონდ, მინდორი გამოაცალო  
 და ყაყაჩობი დატოვო –  
 მარწუხებით დაგლეჯილი ფრჩხილები თოვლზე  
 პატარა ბიჭის აპოსი,  
 რომელიც მე შვილად მეკუთვნის,  
 თუ მე ვეკუთვნის მას  
 უმნიფარ შეგირდად, რადგან  
 ლერწამივთ ვირხევი ორ სიტყვას შორის,  
 ის კი მასწავლის მარტვილობის ხელოვნებას.

ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობა ლმობი-  
 ერი იყო: არავითარი ინკვიზიცია, აუტიდაფეს კოცონები.  
 „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“ – დავით გურა-  
 მიშვილი, რუსთაველის მერე გაშეშებულ პათეტიკურ პოე-  
 ზიას რომ გადაუარა რვამარცვლიანი სიჯანსალით, ახალი  
 ლექსით, რომელსაც სისხლიც ჰქონდა და ნერვებიც.

ლიტერატურა და ზნეობა. არა დიდაქტიკა, მხოლოდ  
 სიყვარული. გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები ბიბლი-  
 ას თარგმნიდნენ და ვრცელ კომენტარს ურთავდნენ.  
 „ქართველი ხალხი ჯერ ჩივილია, მას რძითა და მხლით კვე-  
 ბა ჭირდებაო“.

აქეთ, ჩვენი დროისკენ რომ გადმოვინაცვლოთ, გმი-  
 რის ცნება მაღალფარდოვანი ხდება, რასაც მოყვება დე-  
 პერონიზაცია ლიტერატურაში. ზნეობრივი საქციელი,  
 ზნეობრივი ადამიანი – უფრო შესატყვისად ისმის.

როცა ადამიანს უჭირს, ცოლ-შვილი თუ არ გაყარა სახ-  
 ლიდან, ისე ლექსს ვერ დაწერს, ის ცოლ-შვილიც ნახევრად  
 მშეირი ჰყავს და ქალი, სულ უფრო, ემსაგასება მცენარეს,  
 სიკედილის მერე, კი, საერთოდ, იად იქცევა, ასე უყვარს ის  
 ვაჟას, მაგრამ მისი გულისთვისაც ვერ უდალატებს სინ-  
 დისს, პოვზიას, „თუნდაც პირში ბალახი ამოუვიდეს“.

როცა კლდეს, მონუმენტურს, მკაცრს, მოსწონს იის  
 პატარა წევთი და ტირილამდე ეცოდება ჩიტი, რომელსაც  
 თვალწინ უკალავნ, ამაზე უკეთესი ზნეობრივი მაგალითი  
 რა უნდა იყოს?

კაცი არ ჭრის ხეს და არ კლავს ცხოველს, აშიმშილებს  
 ოჯახს (იქნებ, პარალელს თვითონ მწერალთან?).

მინდია რომ მისი გენის ნაური არ იყოს, შეძლებდა ვაჟა-  
 ფშაველა ასეთი რამ ეთქვა: „სალ კლდეზე მოსულ პირიმზეს  
 გულმკერდში ვენაცვალები (როგორი ეროტიკა?), ან „ნის-  
 ლი ფირია მთებისა, მათი კაცობის გვირგვინი?“ და გალაკ-  
 ტიონიც მისი შვილი რომ არ იყოს, თუმცა ისინი დროში არ  
 შეხვდნენ ერთმანეთს, ვერ იტყოდა: „გინახავთ თქვენ ფერი  
 დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“.

ჩემთვის ეს სტრიქონები არანაკლებ მაღალზნეობრი-  
 ვია, თავისი ესთეტიკური ზემოქმედებით მკითხველზე,  
 ვიდრე უფრო ხელშესახები და თემასთან ახლოს მდგომი  
 სხვა ლექსი:

და მებრალება მე ჩემი მტრები,  
 არ ვიცი მტრობა.

ან ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სტროფი:

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,  
 გულსა დავინვავ დასანაცრებელს  
 და ჩემსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,  
 შევნირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

შეიძლება ამის დამტერის ზნეობაში ეჭვის შეტანა?  
 სწორედ, ამიტომ წართვეს ცა, მიწა, სიყვარული, გადაა-  
 სახლეს, ჩინოვნიერის ტყავში ჩატენეს.

ეს, ჩემთვის, იმ დროის ყველაზე მტკიცნეული პრობ-  
 ლემაა. კი, ხალხს უჭირდა, ქვეყანასაც, მაგრამ რევოლუ-  
 ცია, ფორმაციის შეცვლა სიტორიული, კანონზომიერი  
 პროცესებია, რომელთა დაჩქარება, პროვოცირება ადა-  
 მიანებს კი შეუძლიათ, მაგრამ გაკონტროლება – არა,  
 ესცე სტიქია, წარლვისა და ზვავის არ იყოს.

ვაჟა-ფშაველას კი, შეიძლება, დახმარებოდნენ, ისე  
 რომ „პირში ბალახი არ ამოსვლოდა“, ბარათაშვილი პო-  
 ეტმა ბიძამ განირა, სიტყვა იდგა მათ შორის, რომელიც  
 ერთის ხელში ცვილი იყო, მეორისაში – ქვა, ქვიდან წვერის  
 გამოწურვა ძნელია, ცვილიდან თაფლი თავისით დის, ამი-  
 ტომ ქვის პატრონი ვერც გაიფიქრებდა:

**რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა  
 სიძნელე გზისა გაუადვილდეს.**

მით უფრო, პოეტს.

ილია ჭავჭავაძე, თავის ბაზალეთის ტბიანად, მოკლეს  
 წინამურთან. იცოდნენ, რომ ის ილია იყო, ხედავდნენ  
 ტბის ლივლივს მისი შუბლის ეკრანზე? ამიტომ უფრო არ  
 დაინდეს. პოეტები, იდუმალი ტბები, შუბლები, რომლე-  
 ბიც შეილებს აჩენენ, ზეგის თავისა არ იყოს, არ ეწყობი-  
 ან ყოფის სასიამოვნო სიმარტივეს.

მერე იყო რევოლუცია, რომელმაც „უხვად მოიტანა  
 სისხლი და ცხედრები“, იყენენ ჯარისკაცები, რომლებიც  
 ცდილობდნენ საქართველოს დაცვას, ილიას შუბლის ქვეშ  
 იდგნენ, როგორც დროშის ქვეშ.

მერე დაინტეს პოეტების ხოცავა, მათი დონიკიხოტური  
 ბუნების გამო. ქარის წისქილებთან ომს ხორციელი ადა-  
 მიანი ვერ მოიგებს. სული ახერხებს ამას, მაგრამ სული  
 დროშა არ არის, თავისი ჩრდილში ხალხს ვერ მოაგროვებს.  
 წიგნად შეიძლება იქცეს, წიგნს კი ცოტა კითხულობს,  
 სულ უფრო და უფრო ცოტა, წიგნი ესთეტია, დახვეწილი  
 და უშელავათო, შეიძლება, სასტიკიც, თუ შიგ სათნოება  
 არ გაერია. ეს ყოველთვის არ ხდება, მაგრამ, იქნებ, წმინ-  
 და სილამაზეც საკმარისია ადამიანის ბუნების დასახვე-  
 ნად. მაგ. პატრიკ ზიუსკინდის „პარფიუმერი“, სადაც სი-  
 ლამაზე სისასტიკის, სისხლის, განურჩევლობის ნაყოფია,  
 ოლონდ, ისეთი სრულყოფილი, რომ მასთან შეხება, მისი  
 თვალებში შემოსვლა გაგანათებს და სიმახინჯისკენ  
 ზურგით მიგაქცევს, იმ სიმახინჯისკენ, საიდანაც ამოვა-  
 და (შდრ. ფრანგი სიმბოლისტების სიმახინჯის კულტი).

შეუძლებელია ყველა ადამიანის ჩამოთვლა, რომელ-  
 საც დაუწერელი ზნეობრივი კოდექსიდან გამომდინარე,  
 რაღაც გაუკეთებია თავისი ქვეყნისთვის, მეორე ადამია-  
 ნისთვის, სილამაზის გადასარჩენად.

ერთი უკეთესი მათგანია ექვთიმე თაყაიშვილი. ზოგ-ჯერ, წყალი და პური, უკეთეს შემთხვევაში, რძეში ჩანობილი პური ჰქონდა, სამაგიეროდ, სამშობლოსათვის შენახულ განძს სულ რაღაცას უმატებდა: ლალს, მარგალიტს, იაგუნდს, ბალაშეს ამ მასალისგან აშენებულ მეტაფორუბზე, როგორც სვეტებზე, იდგა „ვეფხისტყაოსანი“, ახლა, უნდოდა, ეს სვეტები თავისი გაძვალტყავებული სამშობლოსთვის შეეყენებინა.

დღეს, ჩვენს გარდამავალ, ძნელ დროში, ყველა ადამიანი, ლამის გმირს უტოლდება, რომელიც მოისმენს, რომ ავადმყოფს მისი ჯვეუფის სისხლი სჭირდება და არ დაეზარება მისვლა, იგივე ექიმი, რომელიც მეურნალობს ამ ავადმყოფს, სიმბოლური ხელფასის მიუხედავად. ცნება გაფართოვდა. მაგრამ, სულ თავიდან, ვინ იყო გმირი? კაცი, რომელიც იბრძოდა სამშობლოს არსებობისთვის, თავს წირავდა მას.

სამშობლო იწყება სახლიდან, ოთახში, შეიძლება, მაგიდიდან, რომელზეც ცხელი ჩაი დგას და საყვარელი წიგნი დევს; ტახტიდან, რომელზედაც ისე ისვენებ, თითქოს, ხელ-ფეხი მოისხენი, უნივერტინი მიუახლოვდი, ზოგჯერ, მას შენს უჰიმნო და უდროშო სამშობლოსაც კი ეძახი, აქედან იალბუზის წევრომდე რომ ადის. ამხელა ქვეყანას რომ აერთიანებს: ენა, კულტურა, შრომა, შვილები, მშობლები, მეგობრები, მტრები.

თუ ენას დაამახინჯებ („რაც არამარტო გრამატიკას შეურაცხყოფს, არამედ აკნინებს სულსაც“ – პლატონი), წიგნირ კაცს წიგნებს გააყიდინებ ქუჩაში ლუქმა პურისთვის, ტელევიზიდან ქუჩის ენაზე და დიალექტზე ილაპარაკებ, რომელი გმირი გადაგირჩენს სამშობლოს?

დაკუნთული, ფიტნესკლუბებში მოსაირულე, გარუჯული, თავში რომ ფეტვი უყრია? შეიძლება, მშვენიერი საბავშვო ფილმი გაახმოვანო უარგოზე და დიალექტზე? ინგლისელმა არისტოკრატებმა მდაბიურად დაარბილონ ბეგრა „ლ“ და ანეკდოტების ჭიჭიკოებად და ვანუებად იქცნენ?

ქართველი კაცი ქალაქში რომ ჩამოდიოდა, პირველ რიგში, სალიტერატურო ენას სწავლობდა. ბიბისი-ს წამყვანს ერთი სიტყვა რომ შეეშალოს, ინგლისური ენის ნორმებიდან გადაუხვიოს, მაშინვე გაუშევებნ სამსახურიდან.

ჩემს კმაყოფილებას საზღვარი არ აქვს, როცა გამართული და კულტურული ქართული მესმის ტელევიზორის ეკრანიდან, „ლამის საუბრებში“, „ილუზიონში“.

ამას წინათ, მოსკოვის კულტურის არზე ვუყურე ასაკოვანი, არცთუ მშვენიერ შესახედავ კომპოზიტორს სოფიო გუბაიდულანას (ეტყობა ამ გადაცემის წამყვანს ნაკლებად აინტერესებდა მისი მაჟიაში და სექსუალური პაუზები მუსიკასა და მუსიკას შორის). ის ლაპარაკობდა, როგორ ესმის მუსიკა, როცა დადის ქუჩაში, როგორ ხედავს ბეგრას, ეკითხებოდნენ, რომელი როიალი აქვს, დღეში რამდენ ხანს უკრავს.

ამ თითო-ოროლა კონკრეტულ შეკითხვასაც ისე პასუხობდა, როგორც უნდოდა (ტყუილად არ ქვია გადაცემას „ლამის გაფორენა“), რომ თავისი როიალი უყვარს, რომ ის ერთ-ერთი სულიერია სახლში. რომ წოტები დონჯად იწყებენ მოძრაობას: მთელი, ნახევარი, მეოთხედები, მერვედები აჩქარდებიან, მეთექვსმეტედებს ქოშინი არ უნდა

დაეტყოთ, რადგან ცა ეხმარებათ, ალეგრო მოლტე-ს ითხოვს ეს, საიდანდაც მოსული მუსიკა, ოდესლაც მტრული რუსეთიდან, თუ გერმანიის მშვიდი ტყეებიდან.

ეს უკვე ჩემი ვარიაციებია თემაზე, აი, ასეთი გადაცემები მინდა ქართულად. კი არავის არაფერს ვახვევ თავზე, მაგრამ ხომ მაქვს რცხვების უფლება.

გმირი გადაარჩენს ქვეყნის ხორცს, შემოქმედი - მის სულს, სხვაგვარად, ჩონჩხად იქცევა სამშობლო, თვალწინდაემსხვრევა.

მაღლობა ღმერთს, რომ ამ სულის პურზე გამუდმებით ფიქრობს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. სულ უფრო მეტი და მეტი ბავშვი თუ ახალგაზრდა, მისა ხელდასხმით სწავლობს ხატერას, სიმღერას, ხელობას. იხსნება ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, საპატრიარქოს ტელევიზიის არხზე ისმის კლასიური მუსიკა, ის სიმღერები, რომლებიც მთვარის ქვეშ დაინტერა და არა კომპიუტერში დააპროგრამეს. ავტორის უძინარი დამე ჩანს ლექსში, სანთლის ძაფივით ნერვი აქვს გაყრილი.

დღევანდელ ხელოვნებას გადმოქართულებული რეპი მიესაჯა, სლენგზე გაზრდილი ბავშვების მდინარეში შეყვანა და რუსთაველით მონათვლა, ხან გამოსდის, ხან - არა, სულიერი მწერების დახმარება სჭირდება, „მზიანი ღამის“ უფრო შუქისკენ მობრუნება, ვიდრე შევინახებისკენ, რასაც უწმინდესი აადვილებს თავისი უანგარბით და ღმერთის ნებით. და თუ ის უყვარს ღმერთს, იქნებ, ჩევენც ვუყვარვართ, იმ სინათლის წვეთები, რომელიც მისგან მოდის და, მირონივით, შუბლზე გვეცხობა.

ჩვენი დრო ბედეკერების დრო, „მცოდნეობის“ (ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის) მათ მიღმა რჩება შემოქმედება (განსაკუთრებული, ჩვენს ტელევიზიაში) რომელიც, თითქოს, ეუხერსულებათ თავისი ფეთქებადი ბუნების გამო.

რა ჯობია, განათლებულ, ინტელექტუალურ ადამიანებს, რომლებმაც იციან ხელოვნების ისტორია, შეუძლიათ ლაპარაკი ამაზე, ანალიზი, მაგრამ პირველწყარო, სათავე ამ ყველაფრისა ხომ შემოქმედებაა, მისი იგნორირება აფერმკრთალებს ჭკვიანურ ტექსტებს.

აი, ვთქვათ, გყას კარგი გიდი, ხელში ბუკლეტი გიჭირავს, იცი, როდის შეხვდა ვინსენტ ვან გოგი თეოს. რამდენი ფული მისცა ძმამ, რომ შემდეგ ნახატამდე სული მიეტანა, ამ დროს კედელს ცეცხლი უკიდია, თავი შუაზე იპობა, დღისით მზისგან, ღმე - ფარცლებიან ქუდიზე დამაგრებული საწლევებისგან, საგნებს შუქივით უსხათ სისხლი. ეს არის მთავარი, შემოქმედება - ყველა დროის ზნებრივი გმირი.

თვითონ შემოქმედი, დარდიანი, შეწუხებული, განაპირებული „ყოფის აუტანელი სიმსუბუქისგან“, მაგრამ ერთი იმედის შემნახავი გულში, რომ როდესმე, უფრო, სიკვდილის მერე, გაიგებენ მისი კმაყოფილი და ნაკლებად შეწუხებული თანამოკალმეები:

„ვინ ახლო ვედგავართ ღმერთთანა“ (ვაჟა-ფშაველა)

და ესეც მწერლის ნათევამია, ოღონდ, უკვე თანამედროვე მწერლის: „ადამიანს მხოლოდ მაშინ შეგიძლია ზევიდან დახედო, როცა გინდა ნაქცეული ნამოაყენო“ (გ.გ. მარკესი).

დაიბადა 1979 წლის 4 ივნისს ქუთაისში. დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზია, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჟურნალის „სამართლე“, რომლის რედაქტორიც თვითონვე იყო. 2002-2005 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაარსა ჟურნალი „სამართლე“, რომლის რედაქტორიც თვითონვე იყო. 2004-2005 წლებში იყო უნივერსიტეტის უკრაინაში, 2005 წლიდან – თბილისში.

წერდა იუმორისტულ ფელეტონებს, მონანილობდა რუსთავი 2-ის პროექტში „იუმორისტული ფესტივალი“, წერდა სცენა-რებს საზოგადოებრივ არხზე რამდენიმე გუნდისათვის (გადაცემი „მხიარული რინგი“). მისი პირველი იუმორისტული ფელეტონი დაიბეჭდა 1998 წელს უნივერსიტეტის ჟურნალში „ჩვენი გზა“.

## სულხან ნამჩევაძე

# როიალი

ჩემ წინ ჯერ მკრთალად, ნისლივით დაბურულად, მალე კი მკაფიოდ გამოჩნდა სისხლიანი პატარა დანა, მიკვირს, არ ვიცი საიდან გაჩნდა ოთახში ეს უცნაური საგანი, თუმცა გასაკვირი მარტო დაბლაგვულწერიანი დანა როდია, ოთახიც უცნაურია, ხალხიც, რომლებსაც თეთრ ხალათებზე ეტყობათ პროფესია, ჯვროდ შემჩნეულ ადამიანებთან თეთრ-ნითელა ზენარს ვხედავ, რომლის ქვეშ ადამიანის ფორმაა მოტკეცილი, ყვირილი მინდა, არ გამომდის, ხროტინისებრი ბგერებიც არ ირჩევიან პირიდან, მოულოდნელად რკინის გისოსებიანი კაცი იღება და კაცი შემოდის, ვიცნობ, ჩემი მეგობარია, რატომმაც მე ვერ მამჩნევს და ცრემლიან, შეჯვალუებულ ადამიანებთან მიდის, თან შემისგან თუ სიბრაზისგან ტუჩებს იჭამს, ვუახლოვდები, მინდა პასუხი მივთხოვო არსებულ სიტუაციაზე, მაგრამ მას გარეთ გაპეავს ცალთვალპატარა, დიდყურა ექიმი და ჩემს შენას მხოლოდ ერთი კითხვა ეკვრის – რატომ?

მათი საუბრის მოსმენა შეუძლებელია, ექისავით დიდ-ხანს გრძელდება მეორე ოთახის ურდეულის ხმა, თუმცა რა მეჯაშუშება, როცა ვერ გავთვითცნობიერებულვარ, აქ რა მინდა? ვინ მოკლეს? და ეს ხალხი. ვინაა, უახლოესი სულიერისკენ მტკიცე ნაბიჯით მივიწევ და კითხვის დასასმელად ვემზადები, მაგრამ ახლოს მდგომი უცნობი ვერც მამჩნევს, ისე გამირბის, ვატყიბ, რაღაცის გაკეთებას ცდილობს, დიახ იგი მსუქან, ახალგაზრდა ქალს არიგებს, რომ მიცვალებულს სუდარა არ გადახადოს, მეც მიჩნდება რჩევის სურვილი (თუმცა მგონი აქეთ ვარ სარჩევი), მითუმეტეს ქალს ნაზი და საცოდავი თვალები აქეს, ცოდვაა, მაგრამ იგი არ გვისმენს, საერთოდ აქ არავინ არავის არ უსმენს (მგონი გავგიუდი), არც არავინ ჩაგაჯინდება მომისმინეო, ყველანი გაფიქრებულს უმაღ ასრულებენ, ახლაც ნაზაკოდავთვალება ქალი თეთრ-ნითელა ზენარს, რომელსაც სისხლისფერი აშკარად მომატებია, ხელს ჰყიდებს და ცდილობს გვამს მოაშოროს, მიმხმარი სისხლი ხელს უშლის ქალს, მაგრამ მცირე ძალდატანება და იგი მიზანს აღწევს.

გარდაცვლილს სახე სისხლით აქეს მოსვრილი, ზენარგადამხდელი ქალი წყლით და სველი ნაჭრით ინყებს განმენდას, ადამიანის პროფილი ნელ-ნელა იკვეთება, უკვე ჩანს ლიად დარჩენილი ნაბლისფერი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი, კიდევ ცოტაც და...

მკვდარი მე ვარ.

ყველაფერი სიზმარი მგონია და მუხლზე ჩემეტას ვაპირებ, მაგრამ რით? არც ხელი მაქეს და არც ფეხი, შეიძით გათანგული მივრბივარ კედელზე სურათივით გაერული

სარკისკენ და ვიხედები, სარკიდან ისეთივე არა-რაობა მოჩანს, როგორიც ვარ, ე.ი. არაფერი.

ჩემდა გასაკვირად კოშმარს ნელ-ნელა ვეჩვევი, ერთგარი ცნობისმოყვარეობითაც კი ვუყურებ ჩემთვის მკვდარ სამყაროს, ახლა მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებს, გავიგო – პატარა დანა, რომელიც ახლა კარადაზე დაუდივიათ, ვინ გამიყარა?



მივიწევ, როგორ ან რით არ ვიცი, მაგრამ მივიწევ და ყურს ვუგდებ ცოცხალი სამყაროს მოქმედ ირგანიზმებს.

უეცრად ბნელდება (ჩემთვის ალბათ), თუმცა ჩამონილ უკუნეთში მაინც ვარჩევ ოთახში დაბრუნებულ მეგობარს და დიდყურება ექიმს, ხმაც მესმის მათი „დააპატიმრეთ საზოგადოება“, – ასე ამბობდაო – უხსნის ექიმი, მალე ისინიც ქრებიან. ბრძოლატომლაც ირონიულად მიცერის, ერთ თვალად და აპრეხილ ტუჩად გადაქცეული, ბოლოს ყველაფერი ქრება და წინ ვხედავ სიბნელეს, ოღონდ მისი ყურება როგორც სინათლის ისე შეიძლება, ვხარხარებ, ისიც „მგონი ვხარხარებ“, განცდაც ისეთივე უცნობი მაქეს, როგორიც რეალობა.

დრო გაურკვევლად იფერფლება ჯოჯოხეთის ქვიშის საათში, ახალი შიშებით გატენილი მოულოდნელს ველი უდრობანია, ისიც იქმნება, ხილული სიბნელიდან ცისფერ ნისლში ვიჭრები, თოთქოს ქამელეონივით ფერს იცვლის ჯოჯოხეთი, თუმცა ახალი მეტამორფოზაც მაღვევ ქრება და შორს ნავის ფორმის ყავისფერ ყუთს ვლანდავ, მე მასთან არ მივდივარ, შეუცნობელი ენერგია სამფეხა ძუენა ძალლივით მიმართევს მისკენ..

ის კუბოა ჩემი.

გინახავთ ალბათ მომღერალი, რომელიც დაბრუნებულ სცენაზე დგას და მხოლოდ მასთან ანთია შუქი, ასე აღვიძეამ საკუთარ კუბოს გაუგებარ სივრცეში, უცებ თითქოს კონცერტი დამთავრდაო ყველაფერი ნათდება, გალერეასავით ჩანს უცნობი თუ ნაცხობი სახეები, რომლებიც ჩემს გვამს ეკვატორიკივით შემორტყმიან, მკივანა და მტირალა ბგერები კოდონებივით ულოგივოდ დადიან ჰაერში, კიბეებზე ფეხის ხმას ვგრძნობ და მეგობრების პლეადასაც ვამჩნევ, მათი შემოსვლისთანავე მტირალა და მკივანა ბგერები ერთი ოქტავით მაღლა იწევს, საინტერესო არაფერია (უკვე მოქმედებების ალტერნატივები მაქეს) და ოთახიდან გავდივარ, სულელური განზრახვით – მინდა სუფთა ჰაერი გადავყვლაპო.

ეზო სავსეა მეზობლებით, ნაცნობებით, ჩემთვის პირველად დანახული ადამიანებით, ზოგი მოწყვენილია, ზოგი მომღიმარი, ვგრძნობ მომენტალურად როგორ ელავს სისხლიანი პატარა დანა, რითაც ჩემი სულის ნავსაყუდელი უხასსი წერილივით დაფხრინეს, აზრში ჭაობივით ბუყბუყებს აზრი: იქნება აქა ჩემი მკვლელი? ყურადღებით ვაკვირდები ცოცხალ ორგანიზმებს, უშედეგოდ, სახეზე დოლბანდივით აკვრიათ თანაგრძნობა.

ისევ იწყება მოულოდნელობა, ისევ უცნაური განცდა ირევა ერთმანეთში ხარხარისა და შიშის ზღვარზე ამოტივტივებული, თუმცა ხალხს ვამჩნევ მომღმართ თუ მოწყვენილთ, ოლონდ სხვაგვარი ინტერპრეტაციოთ, მასინჯად, ბინძურ ცარცისფრად შეღებილი, დასსხლული ხელებით მოამაყეთ, გამჭირვალე მუცელგატიკნულო, ისინი ხარხარებენ, გამეტებით ურტყამენ ერთმანეთს სისხლიან ხელებს, მუცლებს ცომივით ზელენ ერთმანეთში, კვლავ ირონიობენ ერთ თვალად და აპრეხილ ტუჩად გადაცეცული, მიკვირს შერჩენილ სულსაც როგორ არ ვაზიდებ.

დღო გაურკვევლად იფერფლება ჯოჯოხეთის ქვიშის საათში, ცარიელ სივრცეში ვდგავარ, ოლონდ ნათელია იგი, უცნობი ფერებით შეღებილი, ვფიქრობ, მასსხნდება ყველა სულიერი, ვისაც სიცოცხლეში ვიცნობდი, მაგრამ მათთან დაკავშირებული ცხოვრება მკვდარია ჩემთვის, ეს რატომ? რატომ? ვეკითხები გაუგებრობას და თითქოს პასუხად შორს ფერადი კვამლისგან აწყობილ კუბურ საგანს ვხედავ, ის როიალია, ნისლის ფერადი როიალი, იმდენად ვარ შეშინებული ერთიდაიგივიყობით, რომ როიალი ჩემთვის უდიდესი განძია. ვუახლოვდები და ჩემდა გასაკვირად სულით ვხსნი ნისლის სახურავს. მხოლოდ შვიდი ნოტი ტორტმანობს საკრავზე დოდან დომდე, ვგრძნობ დო ითხოვს მოფერებას, მეც ვწვდები და კდემით, მოწინებით ვეამბორები, კლავიში ქვითინის ხმას გამოსცემს, შორს კი ქალის სხეული მოფრინავს, რომელსაც უამრავი ფერადი ჩიტი ახვევია და ქალღმერთის ფონს უქმინის, ის თანია, ჩემი დედამინის ანგელოზი, ჩამავალმზისფერი კაბა აცვია, მუხლთან ვნებიანად გაჭრილი და მახსენდება.

## დო (სიყვარული)

– თქვენი მოთხრობა წავიკითხე – მიახლოვდება ლამაზი, ცისფერთვალება ქალიშვილი.

– და

– და ისე რა, არა უშავს – მეუბნება ის კეკლუც ტონში და ჩემ წინ ჯდება.

უნივერსიტეტის აუდიტორიაში საშინლად ცხელა, ყვითელი პერანგის ორი ღილი გახსნილი მაქს, უხერხული სიტუაციის გასამუხტად სწორედ ამ ვითარებას ვიყენებ.

– ცხელა – ვამბობ და გახსნილი პერანგით ტანს ვინიავებ.

– თანი – ეცინება ქალიშვილს და ხელს მინვდის.

– სახი – ვეუბნები მეც და მისი ხუთი თითოდან ოთხს ვეხები.

თანს ადრეც ვიცნობდი, ვიცნობდი ლამაზ ქალიშვილად, მომწონდა, მაგრამ მისი გაცნობა ვერ მოვახერხე, ახლა კი ჩემ წინ არაფიზიკური კანონით გამოცხადებული

ანგელოზივით მიდგას და მიღიმის. დახუთულ აუდიტორიაში არაფერი ხდება, უაზროდ ვიყურები აღმოსავლეთით და დასავლეთით, თვალებთან თანის კაბა მეჩეჩება, ვაკვირდები, ჩამავალმზისფერი, ერთიანი კაბა აცვია ქალიშვილს, სადღაც მკერდითან ოდნავ ოფლს ვამჩნევ, თითქოს ნამ ღრუბელივთ მიკვერია ტანზე მოტკეცილ კაბას და სხეულს უგრილებს, თანი უხერხულად იშმუშნება, ჰერნია მის მკერდს მივჩერებივარ, მიწურება, თუმცა ქალური თვისებებიც უმუდრანდება და ტუჩებში ჩახატულ სიმკაცრეში ღიმილიც ერევა.

– თითქოს ვიღაცას ბაძავ წერაში – მომხიბლავი ნიშნისმოგებით მიყურებს ის.

მიყვარს

– რაღაც აბსურდულიცაა – აგრძელებს იგი ჩემს ლიტერატურულ კრიტიკას.

– მოღი კაფეში ვიღაპარაკოთ – უკიდურესად მოკრძალებული ტონით ვთავაზობ ქალიშვილს ადგილმდებარეობის შეცვლას.

თანი ისე ულოგიკოდ აქნევს თავს, რომ აუცილებლად დამთანხმდება.

– იცით...

– ვიცი – ვპასუხობ მე.

თანს ეცინება, მხარზე ხელს მადებს და მომყვება.

4 მაგიდიან კაფეში ორნი სხედან, წინ წითელი საფერფლე დაუდგამთ და სიგარეტს აბოლებენ, ბარმენი უსაქმურობისგან მაგნიტოფონს აწვალებს, მე თანს ოდნავ ყეყუჩური სახით მივჩერებივარ, ქალიშვილს კი შავი პორტფელი მაგიდაზე დაუდვია და თვალებს ისეთ მიმარტულებას აძლევს, რომ ვითომ ვერ მხედავს, არადა ვიცი, რომ მხედავს.

მიყვარს

– რა დალეე? – ვეკითხები თანს.

– მხოლოდ ყავას – მპასუხობს იგი.

– 1 ყავა, 1 კონიაკი, 1 ხაჭაპური და 1 ნამცხვარი – ვიძლევი შეკვეთას მე და ალგებრაგახსენებულს ციფრი 1 ფრჩხილებგარეთ გამაქვეს.

მაგიდაზე გამეფებული დუმილის გამო, სხეულის ნაწილები უხერხულად გვიწრიალებს, თანს კი ძალიან ლამაზი ცისფერი თვალები აქვა, ვნებით ბოლომდე ავსებული.

– იცით, თქვენს მოთხრობაში შეწყვეტილ საუბარს აგრძელებს თანი.

– თან, ასე მგონია, ახლა ჩემს მოთხრობებზე არ უნდა ვიღაპარაკოთ.

– აბა რა ვქნათ? – უკვირს ქალიშვილს.

– სისულელებზე ვიღაპარაკოთ – მივანიშნებ მე.

ხვდება და მპასუხობს:

– სისულელებზე მხოლოდ სიყვარულის დროს ლაპარაკობენ.

ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ, მაგიდაზე დაგდებული სანთებელით ვუკიდებ, თეთრი ბოლი თვალებს მიწვავს, ცრემლი ნაკადულივით მეყიდება მარცხენა ლოკაზე.

– იქნება, ახლა, ეს დროა? – ვამბობ და თვალებს ვისრეს.

თანს ჩემი წინადაღება არ უკვირს, რადგან მისი წინადაღების ლოგიკურ დასასრულად ეჩვენება, ტუჩის ქვედა ნაწილს წინ წევს, ლამაზ თავს ზემოთ და ქვემოთ რამდენერმე ამოძრავებს.

- მგონი, მიყვარდებით თან – ვაძლიერებ მე პოზიციას.
- სახ, გჯერა ერთი ნახვით შეყვარების? – ეღიმება თანს.

შეკითხვა ხასიათს მიუჟებს, რაღაც ძალზე მარტივი ჩანს, სიგარეტს ორ საშუალო ნაფაზს უურტყამ და ირონიულად ვასუხობს:

– არა.

თანს სისხლისფერი ტუჩი მკერდივით ებურცება, აშკარად ნაწყენია, ჩვენ შორის ჩამოწმლილ დუმილს ოფიციანტი არღვევს, რომელსაც ვარდისფერ ლარნაკზე ყავა, კონიაკი და ნამცხვარი უდევს.

– ხაჭაპურიც მალე იქნება – ამბობს იგი და მიდის.

თანი ყავას წრუპავს, მე კონიაკს პატარა ჭიქაში ვისხამ და სადლეგრძელოს გარეშე ვსვამ.

– სულელი გგონივარ არა? – თვალები ეცრემლება თანს.

მე კონიაკს ისევ ვისხამ, ჭიქას ოდნავ დამცინავი მოძრაობით ვწევ და ღიმილით ვამბობს:

– ნუ გეშინია, სულელი ქალი ლოგინშია ჭკვიანი.

ვტიპობ რა.

ჩემს ლოყას ხელისგული და 4 თითის სამი მეოთხედი მთელი ძალით ხვდება, ყვითელ პერანგზე აგურისფერი კონიაკი მესხმება, შერცხვენილი თავს ვხრო და მხოლოდ ყურით ვგრძნობ თანის კარისკენ მიმავალ აჩქარებულ ნაბიჯებს. კაფეში მჯდომი 2 ადამიანი ცნობისმოყვარედ მიყურებს, მე ვითომ ვმშვიდდები და დინჯად ვინმენდ დანირნკლულ კონიაკს.

– ხაჭაპური მოვიტანო? – დაცინვით მეუბნება ოფიციანტი.

ფეხზე ვდგები, დახლთან მივდივარ და ფულს ვიხდი.

– კრეტინი ვარ – ვაკეთებ შემდეგ დასკვნას და ქუჩაში გავდივარ.

დამით თითქმის არ მძინავს, ვფიქრობ, ლოყაზე ახლაც მენვის ის ადგილი, სადაც თანის ლამაზი, თეთრი ხელი მომხვდა, მიყვარს – გამიელვებს ხანდახან თავში და მიხარია, მინდა გავაანალიზო, რატომ მიყვარს? მხოლოდ ორი ფაქტი მახსენდება თანის გაოფლილი კაბა და ლოყაზე არც თუ ნაზად შეხებული თითები, ნუთუ ოფლმა და სილის განვინამ შეიძლება შეგაყვაროს ქალი? ეტყობა, შეიძლება ვამტკიცებ არსებული თეორემებით აქსიომას და ლამაზი სიზმრის იმედით ვიძინებ.

– მაპატიე თან – ვეუბნები მეორე დღეს ქუჩაში ლამაზი რხევით მიმავალ თანს.

ქალიშვილი არ ჩერდება, იგივე აჩქარებით მიდის და პასუხის ღირსადაც არ მხდის, შესანიშნავია ეს ყველაფერი.

– თაან – მივსდევ მე და მხარზე ხელს ვახებ, ჩერდება, ამაყი, გოროზი მზერით მატყვევებს და თქვენობით მომმართავს:

– რა გნებავთ?

თუ რამეა მშვენიერი ამქვეყნად, ალბათ, ეს ლამაზი ქალის ამაყად ნათევამი სისულელეა.

– მე შენ მიყვარხარ თაან – ვამბობ მე და ქალიშვილს იმედიანად ვუცექე.

არაფერს ამბობს, გოროზი გამომატყველებას ინარჩუნებს და ვითომ ზიზღით მომჩერებია, რამეს იტყვი და გაკოცებ – ვემუქრები სიტუაციით მოხიბლული თანს.

თანი არაფერს ამბობს, ჯარისკაცივით სწრაფად ტრიალდება და ლამაზი ნაბიჯებით მიდის.

– მიყვარხარ – ვყვირივარ მე და მის მოპირდაპირედ აქა-იქ ჩატეხილ ასფალტს მივუყვები.

ლამდება, შავი, ბრჭყვიალა ნერტილები აშკარად ჯაბნიან მზისფერს, ლამეს სიჩუმე მოაქვს, სადლაც მკვეთრად ისმის ჭრიჭინების ჭრიჭინი, რომელიც სიჩუმის შემადგენლი ნაწილი გეგონება კაცს.

მე ნაბშროსფერ, პატარა მაგიდასთან ვზივარ, ხელში თეთრი, ულოგიკოდ გახეული ფურცელი მიჭირავს და 6 ციფრს დავსცექერი, მაგიდაზე ლურჯი ტელეფონი დგას, მარცხენა ხელით ყურმილს ვწვდები, ნომერს ვკრებ და რამდენჯერმე ვუშენ ბეგერ „ტუ“-ს.

– გისმენთ – მესმის ყურმილიდან ნაცნობი ხმა.

– თაან, შენ ხარ? – ვეკითხები.

– დიახ, რომელი ხართ?

– სახი ვარ – ვამბობ მე, გულში კი ვფიქრობ, მტყუნის რამდენიც იცი, ვინა ვარ.

– როგორ ხარ სახ? – რატომძაც ტკბილად ნათქვამი წინადადება მესმის ყურმილიდან.

ასეთი ტონით ნათქვამ ფრაზას არ ველი, განწყობა ოდნავ კონფლიქტური სიტუაციისთვის მაქვს მიმართული, ვინენევი, ორ თრთოლვიან ამოსუნთქვას ვაკეთებ და ვგასუხობ:

– კარგად.

– რატომ დარეკე სახ?

– ისე.

– აა, ახლა მე მგონიხარ სულელი – ეცინება თაანს.

– ნუ გეშინია, სულელი მამაკაცი ლოგინშია ჭკვიანი – დაბენულობა მიქრება მე.

ყურში ვნებიანი, გამომწვევი სიცილის ბგერები ჩამესმის.

– მიყვარხარ თაან.

– სახ, გჯერა ერთი ნახვით შეყვარების? – დამცინის თაანი, მაგრამ მაინც არ გავს ეს დაცინვას.

– ხო – ვეუბნები მე და მის სიცილში ჩემს დამილს ვურევ.

– მგონი, ჩემთან შეხვედრას აპირებ? – მესმის ყურმილში ახალი ფრაზა, ვერ ვხვდები ხუმრობაა, დაცინვა თუ სიმართლე.

სტრატეგიისთვის მაინც დაცინვის ხაზს მივყვები.

– დამცინი თაან? – ხმას ვიპრაზებ მე.

– არა, სრულიად სერიოზულად გუუბნები.

– სადაც გინდა თაან.

– მაშინ უნივერსიტეტთან გადავწყვიტოთ.

– ხო კარგი, კარგად – რატომძაც სწრაფად ვემშვიდობები ქალიშვილს.

– კარგად – იძახის თაანიც და მალევე ყურში მესმის აჩქარებული ბეგერა, რომელიც უფრო ასო „ტუ“-ს მაგონებს.

მოვიფიქრეთ, ეკლესიის ეზო, არც კი ვიცი, პაემნის-თვის ეს ადგილი რატომ შევარჩიე, მგონი ტაძრის საიდუმლო სიმშეიდით მინდოდა უფრო მეტი დატვირთვა მიმეცა სიტუაციისთვის, თაანიც უმაღვე დამეთანხმა, მარცხენა მკლავი 45 გრადუსით მოხარა და იგივე გრადუსით მოხრილ ჩემს მელავში გაუყარა. ბედნიერი ვარ და ათას სისულელეს ვყვები, თაანიც ბედნიერია და ათას სისულეზე ეცინება, მალე ეკლესიის ეზოც მოჩანს, მოკრძალება

გვიჩნდება, ერთმანეთის მკლავებისგან ვთავისუფლდებით და პირჯვერას ვიწერთ.

– შემინდე ღმერთო ყველაფერი – ვფიქრობ მე და გუმბათის ზემოთ უზარმაზარ ჯვარს მივჩერებივარ.

ხალხი ცოტაა ეკლესიაში, თანი თავსაფარს იფარებს და სანთელს ანთებს, ულოგიკოდ მეჩენება მოდურ ტან-საცმელზე ზემოდან მაცქერალი თავსაფარი, თანს კი სან-თელი სახეზე ანათებს და მხოლოდ მან და ღმერთმა იციან, რაზე საუბრობენ.

– მიყვარხარ თან – ვამბობ მე, როცა ეკლესიას ორმოციოდე მეტრით ვშორდებით.

– მეც – მესმის პასუხი დახსრილი თავიდან, თანს ვუყურებ, უცნაური სახე აქვს, თითქოს გაფიტორებულია, ქერა თმით შემოსილი თავი ძირს დაუხრია და ზიარეურჭლურად დამდგარ გუბეს უაზროდ უყურებს.

– მეც – იძახის ისევ და გულში მეკვრის.

სხეულში სიამოვნებას ვერჩნობ, თანის მუბლი გულზე მაქვს მიბჯენილი, მარცხენა ხელს ქალიშვილს ნელზე ვხვევ, თანი მკლავებს უფრო ძლიერ მიჭერს, მერდზე რაღაც რბილი მეხება, ეს თანის მკერდია, მარტის ამინდი-ვით სიყვარულიდან ვნებაში გადავდივარ, თანის სახეს ხელებში ვიზწყვდევ და მპრნებიანვი ცრემლებით დატვირთულ ქალიშვილს ტუჩებში ვკოცნი.

სახლში ოდნავ შეშინებული მივდივარ, დიდი ბედნიერების მეშინია, რომელიაც ბნელი ჩიხიდან დაბალი, მელოტი კაცი გამოდის, რომელსაც ხელში წაბლისფერი ხელჯოხი უკავია, რატომლაც მე მიახლოვდება, ფიზიონომია ისეთი მაქვს, ვითომ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ ის სწრაფად ამცირებს ჩვენ შორის მანძილს და ჩემ წინ მეფის დესპანივით ჩერდება.

– შენ, ეი – მიყვირის ის – შენ ხომ ჩემზე კარგად იცი, რომ სიყვარულის ღირსი არ ხარ, მწერლობას ცდილობ და იტანჯე, თუმცა მწერლობასაც ვერ მოერევი, შენ გვამი ხარ.

– რა თქვით – ენა მებმის, მიკვირს და მეშინია, მაგრამ მარტო მიკვირს და მეშინია, რადგან პატარა კაცის ხელჯოხის კაუნი უკვე შორიდან მესმის, გავრცივარ.

– რა გჭირს სახ? – მეუბნება ამ ამბიდან ზუსტად ერთ წელიწადში თანი – დღეს რაღაც უგუნებოდ ხარ?

– ძალიან გიყვარებარ თან? – ვუბრუნებ კითხვას ქალიშვილს.

– ძალიან.

– რატომ?

ვიცი რომ შეკითხვა იდიოტურია, მაგრამ პასუხი მაინც მაინტერესებს, თანი გაოცებულია, ლურჯი თვალები კითხვებით აქვს ამოვსებული.

მელოტი, პატარა კაცის სიტყვები ჩამესმის ყურში და საკუთარი გრძნობის წინააღმდეგ მინდება ქცევა, ხელვანი ბედნიერი არ უნდა იყოს – ჩამძახის რაღაც ძალა და მე ამ ძალის ნაზრევს წინადადებად ვაქცევ:

– მე შენ მიგაორვებ თან და მერე უფრო დიდი სიყვარულით დაგიბრუნდები.

ქალიშვილს თვალებში შეკითხვები ქრება და მის ადგილს ტანჯვა იკავებს, უაზროდ და დამცინავად მივჩერებივარ, მსამოვნებს, რომ უყყვარებარ, თავი ღმერთი მგონია, თანი კი იობი, მან უნდა დაითმინოს, რომ სიყვარულით დასაჩუქრდეს.

– რა გინდა სახ? – ცრემლები მოდის თანს.

რომ არ მრცვენოდეს, ამ ცრემლებს შუშაში შევინახავდი და დავლევდი.

– რა გინდა სახ, რა სისულელებს მეუბნები? – იმეორებს თანი.

– არაფერი თან, არაფერი მინდა – ვფიქრობ ჩემთვის – ხელოვნებისთვის ვაკეთებ ყველაფერს.

თანს ნიკაპთან ხელს ვკიდებ და ჩემი ტუჩებისკენ მივიზიდავ (რომელიღაც უცხოურ ფილმი მაქს ხანახი), ქალიშვილი მიძალიანდება, სახეში ხელს მირტყამს და გარბის.

მე კი ვფიქრობ, რომ ყველა მამაკაცის ინსტინქტი ვარ სპეციალუდ დადგმული, ვფიქრობ, რომ ამით საკუთარ გულჩილობას ვებრძვი, ვფიქრობ, რომ ამით ზიზღად გარდაქმნილ სიყვარულს ვნახავ.

– შენ დიდ სიყვარულს ნახავ – ვიძახი მე და არაყს ვყიდულობ.

ვტიპობ რა.

– ეს ხუმრობა იყო თან – ვეუბნები მეორე დილით ეკლესიიდან მომავალ თანს.

არაფერს მპასუხობს, მიდის და მიდის.

– ეს ხუმრობა იყო გოგო – მეცინება მე ( სიცილის გამოყენებით სიტუაციას ვიმუშტცავ).

არაფერს მპასუხობს, მიდის და მიდის.

– აკი მიყვარხარო – ნამუსაზე ვაგდებ მე (ესეც ძალზე ამაზრზენად გამომდის შექმნილ ვითარებაში).

არაფერს მპასუხობს, მიდის და მიდის.

მის სხეულს წრეს უურტყამ და წინ მეფის მცველივით ვესვეტები.

– გამიშვი – მეუბნება წყნარად.

– მიყვარხარ – ვამბობ მე და მიზეზებს ვხსნი.

– თფუ – იძახის თანი და გვერდს მივლის.

მიყვარს.

ნაფურთხს ვიწმენდ და სახეში ვურტყამ, ვურტყამ გამეტებით, ცხვირიდან სისხლი მოსდის და ხელზე ეწვეთება.

– ბოზო – ვიძახი ბოლოს და ამაყად მივდივარ.

ვტიპობ რა.

ცაზე სამი ვარსკლავია, რომლებიც ერთმანეთს შეერთებიან და ადამიანის არტყერიას გვანან, დიდი დანით დაჭრილ ადამიანის არტყერიას.

– მერე? – მეუბნება მამა პავლე.

– მერე ხელი დავარტყი და ამაყად წამოვედი.

– როდის იყო ეს?

– ერთი თვეს წინათ.

– რატომ ჰქენი?

– არ ვიცი, მე კეთილი ვარ და მინდოდა ჩემი წების საწინააღმდეგო მემოქმედა.

– ნუ მეპრანჭები ლამაზი სიტყვებით – სახე უმკაცრდება მამა პავლეს – შენ მწერალი ხარ, უფრო სწორად გინდა მწერალი იყო, მაგრამ განსაკუთრებულ უურადლებას არავინ გაქცევს, თანი შენ საკუთარი პატივმოყვარეობისათვის გალახე, ახლა, ალბათ, უფრო წაიკითხავენ შენს მოთხოვდებს.

– არ არის სწორი.

– დიახ, ასეა, რაც უფრო უნიჭო ხელოვანი, მით უფრო აქტიურობს იგი ცხოვრებაში ბოროტებით თუ უცნაური სისულელებით.

– არ არის სწორი – ვამბობ მე ხმადაბლა და ვგრძნობ, მტკიცა რაღაც, რომელიც სხეულის ორგანო არაა.

– სახ, ბიბლია წაიკითხე – მეუბნება მამა პავლე და მი-დის.

სახლში მივდივარ, გზაზე ის დაბალი, მელოტი კაცი მხვდება, მისი აღარ მეშინია, მელოტს ეტყობა რომ წაწყე-ნია, რაღაცის თქმასაც აპირებს.

– წადი შენი – ვაგინებ მე და გავრბივარ.

– თააან – ვყვირი მე, ზუსტად ახალი წლის ღამეს თა-ნის სახლთან.

არავინ მპასუხობს.

– თააან – ვუმატებ ღრიალს.

ისევ სიჩუმე.

მთვრალი ვარ, ბიბლია წაიკითხე და აღსარებაც ვთქვი, ზიარებას ველი. – მიდი ახლა გაქვს უფლება – და-მარიგა მამა პავლებ.

– თაააან – არც კი ვიცი, მერამდენეჯერ ვეძახი მე და თანის ორსართულიან ულამაზო სახლს მაქსიმალურად ვუახლოვდები.

კარი იღება და ღამის თეთრ შარვალში და წითელ ხა-ლათში გამომწყვდეული ანგელოზი გამოდის, სახე წამდი-ნარევი აქვს, დიდ, ლურჯ თვალებში გაოცება უკრთის.

– რა გინდა? – ცივად მეკითხება.

ვიპნევი და შიშის ვერტები, სიტყვები მეუარვება, ყელი თითქოს თიხით მაქვს ამოგებული, თანი კი ზედმეტად ირონიული სახით მიახლოვდება და ტუჩებში ვებიანად მკოცნის, ვერ ვინძრევი, ქალიშვილს ხალათი ძრება, თუმცა ყურადღებას არ აქცევს და კოცხას განაგრძობს.

– არა, თან, ნუ იზამ ასე – ლაჩარივით ვეძახი მე.

– ხომ ნახე ის, რაც გინძოდა – ხარხარებს თანი და სახლში შედის. ყურებში კარის მიკეტვის ხმა ჩამესმის და ვხვდები, რომ ვეზიზლები.

– რომელი ხარ? – ავიღე ყურმილი მე.

– მე ვარ ნაკი – მომესმა ყურმილიდან მეგობრის ხმა.

– ხო, რა იყო ნაკ ამ შუალამეს რომ გამალვიძე?

– თანი გათხოვდა სახ.

ახლა ჩემისა და როიალს შორის თანი დგას, ჩამავალ-მზისფერი კაბა აცვია, ვამჩნევ პატარა, ღრუბლის ფორ-მის ოფლა, ქალიშვილი საღალაც შორს იყურება, გარშემო უამრავი ჩიტი ახვევია, რომლებიც 12 გენიოსი კომპოზი-ტორის მუსიკას ერთდროულად ჭიკჭიკებენ, უცებ ერთი ჩიტი მიახლოვდება და სულში მინისკარტებს, უაზროდ ვაფაფხურებ სულს აქეთ-იქით და ჩიტის მოშორებას ვცდილო.

– მაპატიებ თან – ბოროტ ჩიტთან ერთად ვუახლოვ-დები ქალიშვილს, ჩიტი მშორდება და ჭიკჭიკს იწყებს, თანს თავი ზურგთან მიაქვს და თვალებს ხუჭავს, მე მის ფეხებს ვეხები, რომლებიც ფეხები კი არა ფეხებფორმა-მიღებული ჰაერია და სულს ვუბერავ, თან ხელს მადებს, სულიერ ორგაზმს ვგრძნობ, ვტირი, სულს იმქვეყნიური მარტო ცრემლები აქვს, თანიც ტირის, ვგრძნობ როგორ მეწვეთება წითელი ფერის ცრემლები, ჩიტები კი 12 გენი-ოსის სიძლერას ჭიკჭიკებენ.

– მაპატიებ თან – კიდევ ერთხელ ვიძახი მე, თანი კი პა-ტარავდება და ჩემს წინ პატარა ჩიტად იქცევა, ბოლოს ისიც სხვა ჩიტებში ირევა და სადღაც მიფრინავს, მიფრი-

ნავს ბევრი ჩიტი სადღაც, ერთი მათგანი კი თანია, ჩამა-ვალმზისფერი ჩიტი.

უკინდან ხმაური მესმის, როიალი ზემოთ და ქვემოთ დახტის, სწრაფად მივდივარ მასთან და მეორე ნოტს რეს გემბორები, გარემო მოწყენილ ფერს იღებს, სიჩუმე მეს-მის როგორც ხმაური და ჩემ წინ დედაჩემს ვხედავ, ხელები თიხასავით აქვს დედას გამაგრებული, იგი არასდროს ყო-ფილა ბედნიერი – ვფიქრობ მე, დედაჩემი კი სიყვარულით მიყურებს და მძიმედ სუნთქავს, მერე თავზე დაფარებულ შავ შალს თოვლის გუნდის ფორმას აძლევს და მესვრის, თავშალი ჩემს სულს ეხვევა და შიგ რაღაცებს ყრის, მე ვგრძნობ, როგორ ვიღსები წარსულით და მახსენდება.

## რე (დედა)

– უნდა წავიდე სახლიდან, სხვა ქვეყანაში უნდა წავი-დე, მეზიზლება აქაურობა, – რაც შეიძლება მშვიდად ვამ-ბობ მე და გაზთან მდგარ დედას მივჩერებივარ.

დედა სახამებელს ხარმავს, ქვაბიდან ულოგიკო ორ-თქლი პირდაპირ სახეში ხვდება, ტკივა, დალლილია, მაგ-რამ მაინც რეცხვას აპირებს.

– დედა, უნდა წავიდე – ხმას ვუწევ მე.

კელავ დუმილი, დედაჩემი ჯიუტად მისჩერებია ადუ-ლებულ სახამებელს.

სიმშვიდე თუ სხვა რაღაც კონტროლს მაკარგვინებს და ხმამაღლა ვბლავი.

– უნდა წავიდე დედა.

– წადი მერე, ვინ გიშლის – მეუბნება დედა.

ასეთი პასუხი მაიძულებს, დაბალი ხმით ვიღლაპარაკო.

– ფული მინდა.

– იშოვე მერე.

– სად ვიშოვო?

– მე არ მაქვს ფული.

– ისესხე.

– ვისგან, გეკითხები.

– არ მაინტერესებს, ისესხე.

– ვისგან გეკითხები?

– ვინმესაგან.

– მაინც სად აპირებ წასვლას?

– არ ვიცი, სადღაც.

– ვერაფერს ვერ გააკეთებ.

– რატო?

– ჩემი შვილი ხარ და ვიცი, შენ ფულს ვერ იშოვი.

– არა, ვიშოვი და მაღლე დავბრუნდები.

– არსადაც არ წახვალ.

– წავალ.

– არ წახვალ – ამოგუდული ხმით ამბობს დედაჩემი და ცრემლი ერევა – არ წახვალ, მე ავად ვარ, მარტო მტოვებ, არ წახვალ.

წესით უნდა დავამშვიდო დედა, მაგრამ ეს სისაწყლე უფრო მაციოფებს, მისი ქვითინით ჩემს უბადრუკობას ვგრძნობ, არ შემიძლია, მივიდე და დავამშვიდო, პირიქით, ფეხს ბრაზიანად ვიქნევ და კარებს ურტყამ.

– ვიშოვი და წავალ – ვიძახი გაცოფებული, ოთახიდან გავრბივარ და ლოგიზმი დავემხობი. დაკეტილი კარები-

დან დედაჩემის ჩუმი ქვითინი მესმის, ნერვები გულში კოლობივით მესევა და მეტენს, სიმწრისაგან ჭურჩებს ვიჭამ, ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, გულს ვტკენ, უფრო ის მაცოფებს, რომ შემიძლია გული არ ვატკინო და მაინც ვტკენ, ახლაც იმის მაგივრად რომ ლოგინში ვეგდო და მის დაშვიდებას დაველოდო, დედაჩემთან მივდივარ და ვამბობ:

– მეზობელს რომ ვუთხრათ ფული.

მე რომ დედაჩემი ვიყო, ჩემნარ შვილს შევიზიზდები, მაგრამ დედაჩემი ანგელოზია დედამიწაზე, თვალები ჩემი სიყვარულით აქეს საესე და ტირის.

– კარგი რა დე, ფულს ჩამოვიტან და ჩამოვალ, შენთან მეზობელი დარჩებან.

დედაჩემი მოულოდნელად ფეხზე დგება და გულში მიკრავს.

– არ წავიდე შვილო – ჩამჩურჩულებს და კისერთან მის ცრემლებს ვგრძნობ.

– კარგი რა, ნუ ტირიხარ, მალე ჩამოვალ – ვიძახი მე.

დედა ხელს მიშვებს, თეთრი, ოდნავ დაჭმუჭნული ცხვირსახოცით თვალებს იწმენდს და მეუბნება:

– რამდენი გინდა?

ამ სიტყვებში არის რაღაც ამაზრზენი, ვტრიალდები და სხვა ოთახში გავდივარ.

\* \* \*

– ანკეტა შეავსეთ – მეუბნება აეროპორტში ქერა, უცნობი გოგონა და ქალალდს მაწვდის, კარგ გუნებაზე ვარ და ქალისადმი ქათინაურების ფრქვევით ვავსებ ფურცელს.

– კარგად იყავით – მემშვიდობება ქერა და არ მიღიმის.

სიცივეა, თეთრი თოვლი მკვდარ თოლიასავით გდია ქალაქში, წითელზოლიან ტაქსის ვაჩერებ და სასტუმროში მივდივარ.

ოთახში ათას გეგმას ვაწყობ, ოცნებებში უკვე მდიდარი ვარ და სახლში ამაყად ვპრუნდები, გვერდზე თეთრი, არცთუ ლამაზი გოგო მიწევს, რომელიც ოცნებებში ხელს არ მიშლის, ხანდახან სიგარეტს გამომართმევს და მეუბნება: ხომ კარგი ძუძუები მაქვს. მე გულალმიდან გულდალმა გადავპრუნდები და მეერდს ვუკოცნი.

თენდება, ტაქსის ოფისთან ვაჩერებ და დინჯი იერით გადმოვდივარ, ქიმის უახლესა მიღწევებით გალამაზებულ ოთახში ლიპიანი კაცი მსვდება და მესალმება.

– გაგიმარჯოს – ვამბობ მეც.

– ბევრი არ მცალია – დამცინავად მიყურებს ლიპიანი – აი შენი კონტრაქტი.

უცხო ასოებით დანერილ ფურცელს თვალს ვაყოლებ და ხმის კანკალით ვიძახი:

– ჩენ ხომ 300-ზე შევთანხმდით.

– გასაგებია, არ ხართ თანახმა – კიდევ უფრო დამცინავად იძახის ლიპიანი და ხელით მანიშნებს თავისუფალი ხარო.

თვალწინ დედა მიდგას, მისი სიტყვები მახსენდება, დედაჩემი ახლა ალბათ ლოგინზე წევს და ჩემი ლანდით გულს აყოლებს.

– თანახმა ვარ – ჩუმად ვლულლულებ მე და ფურცელზე ხელს ვაწერ.

დიდ, ყინვით გამწარებულ მინდორზე ვდგავარ, მძიმე, უხეში ტანსაცმელი მაცვია.

– აი ეს უნდა გავხეხოთ და შევდებოთ – მეუბნება ჩემი მეწყვილე მუშა და უზარმაზარ ძრავას მაჩვენებს.

თოვს და თოვს, ჯოჯოხეთში აკივლებული ეშმაკივით კივის ქარი.

– ნუ გეშინია, მიერვევი – მამშვიდებს კეთილთვალებიანი მეწყვილე და უშაქრო ჩაის მთავაზობს.

ვხეხავ ძრავას, ამ სამუშაოთი ბინის და საჭმლის ხარჯებს, ალბათ, გავისტუმრებ.

– არაყს სვამ? – მეეკითხება კეთილთვალება და უფერო სათვალიდან ლიმილით მიყურებს.

– ხო – ვასუხობ მე.

– აპა ფული, წადი იყიდე, საღამოს დავლიოთ.

ვგრძნობ, რომ მეწყვილეს ვეცოდები, თითქმის მამად მეკუთხნის, ჩაის ჭიქას თოვლზე ვდგამ და მაღაზიაში მიყდივარ.

ხომ ძნელია მარტოობა, მაგრამ სხვაგან მარტოობა თვითმკვლელობაა.

2 თვე გადის, ყოველდღე ვსვამ, არ დალევ და მოკვდები – მეხუმრება კეთილთვალება, საღამოს სახლში თეთრი, არცთუ ლამაზი გოგო მხვდება და ალბათ უკვე მეათსედ მეკითხება, ხომ კარგი ძუძუები მაქვს? ამ ქალს რაღაც მაინც აქვს საამაყო – ვფიქრობ მე და დედა მახსენდება, სახლში ნახევრად დამტვრეულ საწოლში წევს, ჩემი ლანდით გულს იწყნარებს.

ფულს სახლში ვერ ვაგზავნი, ის კი არა და დედაჩემა ორჯერ აქეთ გამომიგზავნა თანხა, ნამუსი ყოველ ლამე კიბოსავით მღრღნის, საყვედურსაც არ მითვლის, მირჩევნია მლანძლოს და მწყევლოს, მაგრამ დედაჩემი მაქებს.

– გაყოჩალებულია სახი, თავს ზოგავს იქ – მომესმა ერთხელ დედაჩემის ხმა ტელეფონში, მეზობლებში და ნათესავებში ასე ამბობს იგი.

მძლალს და მეზიზლება ჩემი თავი, ხანდახან მოთხრობები მახსენდება, ქვრივი ქალივით მიტოვებული, რამდენჯერმე წერაც ვცადე, არ გამომდის, რაღაც ფილოსოფიურ სისულელეს ვიღებ, ვსვამ, არაყს ვერ ვიტან, მაგრამ მაინც ვსვამ, რადგან სიმთვრალეში ირონიული, ზიზღიანი ფიქრები უფრო თამამი მიხდება და რეალობისაგან მთიავს, ხანდახან ისეთ რამეს ვაგვიფიქრებ, ჩემი სხეულის ფერფლად ქცევა მინდა, სიმთვრალეში კი საკუთარი თავის სიძულვილი მიყუჩდება და მის ადგილს ირონია იკავებს კაცობრიობისადმი, ირონიას კი შვება მოაქვს.

სად არ ვსვამ, სახლში, ქუჩაში, ქვაზე, კეთილთვალებიან მეწყვილესთან, შემდეგ ცხოვრებაზე დაბოლმილ ვბლავი, სიყვარულს ვადიდებ, ადამიანად ყოფნა მინდება.

გათენდება, მყრალი ფიქრები ისევ მასკადება და ისევ არაყი.

არაყი ქუჩაში, სახლში, ქვაზე.

ისევ გათენდება.

და ერთ გათენებაზე სიკვდილი მოგინდება ადამიანს.

ო, დამევ, შიში თორემ არ გაგათენებდი – ვემუქრები ლამეს.

სწორედ უცხო ქვეყანაში მიყალიბდება ცხოვრების ჩემებური და ურყევე კონცეციია.

ფულია ყველაფერი, სიყვარული, მეგობრობა, თავდადება, კაცობა, თვით სიკეთეც ფულია, სრულყოფილი

არაფერია ამქვეყნად, მაგრამ ყველაზე მეტად ფული გან-  
თავისუფლებს შიშისაგან.

შიში ორნაირია:

სიკვდილის და სირცხვილის.

ხიფათი – სიკვდილის შიშს შობს, ფიქრი სირცხვილის,  
გმირები სირცხვილის შიშით არიან ატანილნი, ლაჩრები  
ორივეს შიშით, მნიშვნელობა არა აქვს, ორივე შიში ეგო-  
ისტად აყალიბებს ადამიანს, ყველა ადამიანი ეგოისტია –  
ლაჩრიც და გმირიც.

ყველაზე მეტად თავისუფლალი მაშინ ხარ, ფული თუ  
გაქვს, მაშინ შემში უფრო მეტი „ჩვენაა“ ვიდრე „მე“.

ფული თავისუფლებაა.

თავისუფლება ყველაფერია, გარდა ეგოიზმისა.

ეგოიზმი შურია.

შური ბოროტებაა.

ფული ყველაფერია, მაგრამ ის რომ იშოვო, უნდა მო-  
იტყუო, მოქლა, დაჩაგრო, შეგშურდეს.

ფული რომ იშოვო, უფრო „მე“ უნდა გქონდეს, ვიდრე  
„ჩვენ“.

ფული რომ იშოვო, ეგოისტი უნდა იყო.

ეგოიზმი შურია.

შური ბოროტებაა.

რა გამოდის.

კეთილი რომ იყო, ფული უნდა გქონდეს, ფული რომ  
გქონდეს, ბოროტი უნდა იყო.

ო, ღამევ, შიში თორემ არ გაგათენებდი – ვემუქრები  
ყოველდღე ღამეს.

მაგრამ მანიც ვითენებ და მეწყვილესთან ერთად  
უზარმაზარ ძრავას ვხეხავ.

თბება ქალაქში, ხის ბუმბლი მოსდებია ყველაფერს, მე  
ჭუჭყიან ოთახში ვზივარ და არაყს ვსამ, მოულოდნელად  
კარი იღება და ღიპიანი უფროსი შემოდის.

– მოდი აქ – სიძულვილით მეძახის ის.

მივდივარ.

– პირი გააღე.

ვაღებ.

ლიპიანი პირში მყნოსავს, შემდევ ბრაზიან სახეს  
იღებს და თავში მუჭს მირტყამს.

– საემ არა, შენი დედა – მაგინება.

დედა მახსენდება, იგი ალბათ ახლა ლოგინზე წევს და  
ჩემი ლანდით მშვიდება.

პირველი მუშტი პირდაპირ ცხვირში ხვდება, მერე წიხ-  
ლი ულებას წილად მსუქან სახეს, ბოლოს მოურიდებ-  
ლად მოქნეული ხელი მუცელს უტორტმანებს და ძირს  
ვარდება.

ფანჯარაზე ორი, უემოციო სახის ბეღურა ზის და  
ულოგიკოდ ხტის.

– სახელი? – მეკითხება შავთვალა გამომძიებელი.

– სახი – ვაძასუხობ მე და კანკალს ვერ ვიკავებ.

– რატომ დაარტყი? – მყრალი ოხშივარი ამოსდის პი-  
რიდან გამომძიებელს.

ვუხსნი, არ სჯერათ, ერთი წელიწადი ციხეში მიწევს  
ყოფნა.

და მაშინ პირველად ვერძნობ, რომ ცუდი ადამიანი  
არა ვარ, რადგან მთელი ეს დღეები ჩემზე კი არა დედაზე  
ვფიქრობ.

არა, არი კიდევ რაღაც ფულის გარდა სახ – ვეუბნები  
ჩემს თავს საენის მართვულობები ნარზე შემომჯდარი.

ლამდება, ნესტით გატენილ საკანში ნივთები ერთმა-  
ნეთს ემსგავსება, მესმის 4 პატიმრის განსხვავებული ინ-  
ტერპრეტაციის ხერინვა, რატომდაც, რაღაც გაურკვე-  
ველ საგანს დაჯინებით მივჩერებივარ, უცებ საგანი ირ-  
ყევა და ადამიანის ფორმას იღებს, მოუშორებელი მზე-  
რით ამ ადამიანში მელოტი, ხელჯობიან კაცს შევიცნობ,  
სწრაფი მოძრაობით სხეულით 90 გრადუსიან კუთხეს  
გვმნი და ყვირილს ვაპირებ, მელოტი ჰაერში დაფრინავს  
და ქალივით ბლასტიკურად ცეკვაგას.

– რა გინდა? – ჩურჩულით ვეკითხები მე.

– თაობები იცვლებიან, ღარიბები ტირიან, მდიდრები  
იცინიან – მმერის ის და გრძელ ენას ძალლივით მიყოფს.

– ვინ ხარ?

– ჯამბაზი, ყველასგან მიტოვებული, ნიჭიერი ჯამბა-  
ზი.

– რა გინდა ჩემთან ჯამბაზო?

– მინდა გასანვლო, რომ სიკეთე ბოროტთა თვალში  
სისულელეა, შურიანთა თვალში – მეტიჩრობა, მხოლოდ  
ღირსეულთა ხვედრია, აღიარონ იგი უპირატესობად,  
ღირსეულები კი არ არიან, ჩვენ დავრჩით ჯამბაზები დე-  
დამინაზე.

სიტყვებთან ერთად მელოტი ქრება და ღამბი ადამი-  
ანის ანაბეჭდს ტოვებს, – თვალებს ეხუჭავ და ვიძინებ.

– ადე ზევით ნაბოზარო – ჩამესმის ძილში ხმა და წელ-  
ში წიხლი მხვდება, თვალებს სწრაფად ვახელ, წინ უცნობი  
მამაკაცი დგას და საჩხუბრად გამზადებული ქმინავს.

– დღეიდან საკანში გააკეთებ იმას, რასაც მე გეტყვი –  
მეუბნება უცნობი, რომელსაც დიდი თავი აქვს.

– დღეს შემოიყვანეს – ვხვდები და დანარჩენ პატიმ-  
რებს ვაკვირდები, ყველას შიში აქვს სახეზე აღმეჭდილი.

– მეიდისარ – ვიძახი და ფეხზე ვდგები.

დიდთავა სახეში მუჭს მირტყამს, სისხლი თაფლივით  
ნელა მოწვეთავს ლოყაზე, უცნობს სხვა პატიმრებიც ეხ-  
მარებიან და სასტიკად მცემენ.

– შენი ეროვნების ხალხი ფეხებს უნდა მიკოცნიდნენ –  
ამბობს უცნობი და ტკივილებით მოკანკალე სხეულზე მა-  
ფურთხებს.

სიცოცხლე მინდა, დედის ნახვა მინდა, ჩემს ქვეყანაში  
მინდა და ბედს ვეგუები. სული იმუნიტეტად სილაჩრეს  
ირჩევს, ამიტომ საცოდავი მზერით ნარიდან ჩამოვდივარ  
და უცნობს ვუთმობ.

– მკვლელა – მეუბნება ღამით ერთი პატიმარი.

ჭუჭყიან იატაკზე თავის სამყოფელში ქანგისფერი პა-  
ტარა ტარაკანა მიხოხავს.

ოთახს ვგვი, დანარჩენი პატიმრები კარტს თამაშობენ,  
მხოლოდ დიდთავა არის ნარზე წამონღლილი.

– მოდი აქ – მეძახის ის.

მივდივარ.

– ჩემთან ნარის ქვეშ კარგად არ არის გამოგვილი.

მივდივარ და ხელმეორედ ვგვი.

– მაღადეც – მეუბნება ის და სტვენს.

მხოლოდ ბოროტ ადამიანებს ანიჭებთ მბრძანებლობა  
სიამოენებას – ვასკვნი მე და ეჭვი მიჩნდება, რომ მეც ბო-  
როტი ვარ.

ორ თვეში კიდევ ექვსჯერ მცემა, ხელსაც არ ვუბრუნებ, ვიცი მომკლავს, არადა რამდენჯერ მიფიქრია აქ, უცხო ქვეყანაში თვითმკვლელობაზე, ახლა კი ეს „ლვთისნიერი“ გამათავისუფლებდა უდიდესი ცოდვისგან, მაგრამ მათ, ვინც ბევრს ფიქრობს თვითმკვლელობაზე, ყველაზე მეტად უყვართ სიცოცხლე, მეც იმუნიტეტად სილაჩრეს ვიყენებ და ვცოცხლობ.

ჯამბაზი ვარ.

დედა კი სახლში ზის და ჩემი ლანდით სულდგმულობს.

– მამა პავლე, აქ საიდან მოხვდით – მიხარია მე და მამას ვეხვევი.

– სახ დედაშენ...

მასხენდება უნივერსიტეტი რომ დაგამთავრე, დედა ძალიან გახარებული იყო, პირველად და უკანასკნელად გავიგონე მაშინ მისი სიმღერა.

– ჯადოსნურ, ჯადოსნურ ქალაქში მივქრივარ – მღეროდა ის.

– გარდაიცვალა – დაასრულა მამა პავლემ.

დიდთავაც კი თანაგრძნობით მიყურებს, მე კი მისკენ გავრბივარ და სახეში ფეხს ვურტყამ.

– მოკედება – ყვირის მამაო და დიდთავას სისხლით შეღებილი კარისკენ მივყავარ.

შურისძიებაა ცხოვრების მთავარი არტერია.

– რამ მოკლა? – ვეკითხები მამა პავლეს.

– გულმა.

გული და მე სინონიმები ვართ დედაჩემისთვის.

\* \* \*

– დედა სამოთხე როგორია? – ვეკითხები დედის სულს, ჩემი ცრუ და ფიცებებით დანაოჭებულს.

დედა თავშალს იხვევს და გარბის, იცის, რომ სინაწლი უნდა გავუზიარო, მას არ სჭირდება ჩემი პატივება.

– დედა როგორია სამოთხე? – მივდევ მე.

ის კი ქრება და სუნს ტოვებს, საოცრად ლამაზ სუნს, რომელსაც საგნის ფორმა აქვს მიღებული და სანთელს ჰყავს.

როიალის ხმა მესმის, მალაყებით მივფრინავ მისკენ და „მის“ ვიღებ, როიალის წინ დიდ ჯვარს ვხედავ. რომელიც ადამიანის მთელ სხეულზე არის მიქრული, ჯვრისა და ადამიანის ჰიბრიდი მიახლოვდება და მამა ბავლეს სახეც იყვეთება, იგი ჯვარს იხსნის და მისი დახმარებით ჩემს სულს მაღლა სწევს, მე ვგრძნობ, როგორ ვივსები წარსულით და მახსენდება.

## მი (მამა პავლე)

– ვიცოდი, მონასტერში რომ ვერ გაჩერდებოდი – ელი-მება მამა პავლეს.

– საიდან იცოდი? – მიკვირს მე.

– ადამიანების ორი კატეგორია არსებობს, ერთნი, რომლებიც შეიძლება პოროტებიც იყვნენ, მაგრამ შეუძლიათ მონასტერში ცხოვრება და მეორენი, რომლებიც შეიძლება ძალიან კარგი პიროვნებები იყვნენ, მაგრამ მონასტერში ვერ ჩერდებან, მონასტერში ყოფნას რაღაც თვისება უნდა, რომლის სახელიც მე არ ვიცი, შეიძლება ნებისყოფა ჰქვია, მაგრამ „შეიძლება“.

მამა პავლეს თეთრი შუბლი აქვს, სულ მიკვირს, რაცომ აქვთ სასულიერო პირებს თეთრი შუბლი, – მარხვამ იცის – მიხსნის მამაო, მაგრამ არ მჯერა.

– მაინც რატომ ვერ გაჩერდი? – მეკითხება მამა პავლე.

– არ ვიცი, ვერ გავუძელი – ვპასუხობ მე.

– ახლა რას აპირებ?

– წერას.

– რომ არ გამოგივიდეს?

– მაშინ გავყვები ცხოვრების დინებას იმ სიჩქარით, რა სიჩქარითაც დადის.

– სიტყვებით პრანჭვას მაინც ვერ გადაეჩვიე არა? – იცინის მამაო.

მეც ვიცონი.

– ცოლი მოიყვანე სახ – სერიოზულად მეუბნება მამა პავლე.

– ვეცდები.

მგონი, ერთი მეგობარი მყავს – მამა პავლე – ვასკენი მე.

– თანი ქმარს გაშორდა სახ – მაკვირდება მამაო.

თანის ქმარგაცილება არავითარ რეაქციას არ მაძლევს.

– მერე რა ვქნა, მე მოვიყვანო? – ვიღვარძლები და უხერხულად ვახველებ.

– არა, მიხედე არ გაბოზდეს.

– რატომ უნდა გაბოზდეს?

– მიხედე – მეუბნება მამა პავლე და მიდის.

გზაზე დაბალი, მელოტი ხელჯოზიანი კაცი მელასავით მოცუნცულებს, სწრაფად მიახლოვდება, არ ვიცი როგორ, მაგრამ პირს მაღაბინებს და ქალალდს მტენის. კბილებში გაჩერილ ფურცელს სწრაფად ვიღებ და ნაწერს ვამჩნევ – კერძები იმსხვრევიან – წერია დალორნილ ქალალდზე.

– გაიგე – სიცილში არეული ხეელებით ამბობს ხელჯოზიანი – ისე, მე მოგატყუე, ჯამბაზი არა ვარ, მე ხის ფანჯრებს ვამსხვრევ, ვერ ვიტან დურგლებს.

მელოტი ქრება და ადგილზე დიდ ნახველს ტოვებს.

– საახ – ყვირის ჩემს კარებთან მამა პავლე – სახ კარი გამიღე.

კარს სწრაფად ვაღებ და გაფითორებული მამა პავლესაგან მინდა შევიტყო, რა მოხდა. მამაო ტირის და ტუჩებს იჭამს.

– რა მოხდა მამაო? – კიდევ ვიმეორებ შეკითხვას.

– მე მკვლელი ვარ, სახ.

ტვინი ვერ ხარშავს ამ სიტყვებს, ამიტომ ვიცინი.

– დალიეთ მამაო.

– მე მკვლელი ვარ, სახ.

– რატომ ხართ მკვლელი, ქალს ნდომით შეხედეთ? – კვლავ ვიცინი.

მამა პავლე ოთახში შემოდის და წყალს ითხოვს, შემდეგ ქალალდის ნაგლეჯს მაძლევს და მეუბნება:

– წაიკითხე.

ვკითხულობ.

„შენი ნაყოფი ცოდვითაა სავსე, ამიტომ ის და მე ვმათხოვობობთ განსაზღვრდად.“

– რა არის ეს მამაო? – მიკვირს მე.

– ჩემი ცოლის წერილია, სახ, მომისმინე მე 14 წლის წინა მილიციაში ვმუშაობდი და ხალხს ვხვრეტდი.

მეცინება.

– რა გაცინებსა, მართლა ვხვრეტდი, ერთ ბნელ იზოლატორში, მხოლოდ ორი მოვკალი, მე უპატრონოთა სახლში გავიზარდე და იქიდან პირდაპირ წავედი ჯოჯოხეთში, მერე ცოლი შევირთე სახ, მონასტერში გაზრდილი გოგო, შვილიც მეყოლა, მერე მან ყველაფერი გაიგო და გამშორდა, 10 წელია, არ მინახავს, მე კი თვითმევლელობის-გან მეუფეტ მიხსნა და 3 წელიწადში მღვდლად ვეკურთხე. გაოგნებისაგან პირი მიშრება და წყალს ვსვამ.

– მონასტერში რატომ არ წავედი?

– მეუფე მიხვდა, რომ მონასტერში მოვკვდებოდი და სიკეთის კეთების საშუალება მომცა, მონასტერში მალე წავალ, მე უკვე ვალი წაწლობრივ მოგზადე, მთლიანად კი ვერასდროს მოვიხდი, სახ, მინდა, რომ ჩემი ცოლი და შვილი წახო, მე ვერ ვიპოვი და თუ ვიპოვი, აზრი არა აქვს, მე წავედი სახ.

მამა მეხვევა და მიდის.

– ახლა უკვე მარტო დავრჩები დედამიწაზე – ვფიქრობ მე.

მამა პავლე ჯვარს ხელში ატრიალებს, იცინის და მეუბნება:

– გახსოვს სახ, ერთხელ რა მითხარი – მხოლოდ დიდი ცოდვის მონანიებას აქვსო ხიბლი, არა სახ ასე არაა, მხოლოდ მონანიებული ცოდვების მერე ინტენსიურება, ახლა მე მონასტერში ვარ და არ არსებობს ჩემზე ბედნიერი ადამიანი, დამამასოვრე სახ, მოძღვარი მანამდეა საჭირო, სანამ ადამიანი არ ფიქრობს მოძღვარზე, მოძღვართან მისულ ადამიანს მოძღვარი აღარ სჭირდება.

მამა პავლე სწრაფად მიდის და ჯვარს მიტოვებს, უკნიდან საათის წინები მესმის, როიალს ვუახლოვდები და ფას ვიღებ, შორიდან მელოტი, დაბალი, მსუქანი, კაცუნა მოდის და მახსენდება.

## ვა (ეპვესი საათი სიცოცხლიდან)

– ეძიეთ და ჰპოვებთ, დააკავუნეთ და გაგიღებენ, გაიღეთ მოწყალება კეთილო ადამიანებო, თორემ გამოდის ქრისტე ცდებოდა შეფასებებში – მესმის გარედან მათხოვრის ხმა.

მონითალო, არაბულ ტახტზე ვწევარ და გაშეშებული თვალებით თეთრად შეღებილ ჭერს მივჩერებივარ, ვფიქრობ, თუმცა არაიდენტური შინაარსის აზრები ერთ მთლიან ფიქრად არ მიყალიბდება, სხეულიც თვალებივით მაქვს გაშეშებული, გეგონებათ დიდი, ტალახიანი ქვა დევს ტახტზე, მოულოდნელად ფიქრებში მუქი საღებავივით საათის წინები ირევა, მარცხენა ხელს ვხრი და მაჯაზე ძლიერებით დახვეულ საათს ვუყურებ, ორი ისარი სმენაზე დაყენებული ჯარისკაცივით დგას და 6-ს ურვენებს.

ბნელდება, შავი წერტილები აშკარად ჯაბნიან მზის-ფერს, ოთახში სხვადასხვა დანიშნულების და ფერის საგნები ღამეს ემსგავსება.

8 საათისათვის მამა პავლეს მეუღლე და შვილი უნდა ვნახო, რომელთაც ახლად აშენებულ ეკლესიასთან მივაგენი, იქ მათხოვრობენ.

თეთრი თოვლი დაუნდობლად ცვივა ციდან და ანაფორისფერ ღამეს ოდნავ ათეთრებს, ორი მტკრისტერი ბეღურა რაფაზე შემომჯდარა და სიცივეს ეურჩება.

7 საათზე სხეულს პალტოს ვმატებ და კიბეს თანაბარი ნაბიჯებით მივუყვები. ოზონით გაუღენთილი ჰაერი სასიამოვნოა, 150 ნაბიჯით ვტკეპნი ქუჩაზე დაფენილ თოვლს და კლიენტის საძებრად გამოსულ ტაქსის ხელს ვუქნევ.

– საით? – ხარბი ცნობისმოყვარეობით მკითხა მძღოლმა.

– ახალ ეკლესიასთან – ვუხსნი და უკანა კარს ვაღებ.

მძღოლის ცნობისმოყვარე სახე სინათლის სხივის სისწრაფით იცვლება სიხარულად, რადგან ეკლესიამდე მანძილი სრულ უფლებას აძლევს ბევრი ფული მოითხოვოს.

ქალაქის ხმაურში მანქანას ღრიალი შეუმჩნევლად ემატება.

თეთრ, გამყარებულ წყალზე დადანან ადამიანები, ღირსეულად შეუცვლია თოვლს მიწა და ვაჟკაცურად იტანს მოსიარულეთა ჭუჭყანა ნაფეხურებს. მანქანის სალონში სიგარეტის კვამლი მთვრალი კაცივით დაბანცალებს, მძღოლი გამალებით ისუნთქავს თამბაქოს კვამლს და ცხვირიდან ნისლისფერ ჰაერს უშვებს.

– ბედნიერი თუ ყოფილხარ ოდესმე? – ვეკითხები მძღოლს.

– მე კოჭლი ვარ – მპასუხობს ის.

– მერე კოჭლები არ არიან ბედნიერები?

– კოჭლები ხანდახან არიან ბედნიერები, მათვის სრული ბედნიერება არ არსებობს.

– მაინც რა არის ბედნიერება.

– ფული და სიამოვნება.

– სიამოვნება არაა ბედნიერება.

– აბა რაა? – უკვირს კოჭლს.

– ფული – მეცინება მე.

– თქვენ თუ ყოფილხარ ბედნიერი?

– ხანდახან მგონია რომ ვარ – ვიძლევი არცთუ გასაგებ პასუხს და თვალს ვხუჭავ.

მძღოლი მეტს არაფერს მეკითხება, მექანიკურად ატრიალებს საჭეს და წინ მიმავალ მწვანე მანქანას ჯიუტად მისჩერებია.

– მივედით – ამბობს ბოლოს და ხარბად მიყურებს.

სავარძელზე დაკუჭულ ფულს ვაგდებ და მანქანიდან გადმოვდივარ, მაჯის საათზე ისრებს მახვილი კუთხე შეუქმნიათ და რვის-ნახევარს აჩვენებს.

ტალახითა და თოვლით აზიზნილ ქუჩაში 4 მათხოვარი დგას და სალოცავად მიმავალ მრევლს დახმარებას სთხოვს. ეკლესიას ვუახლოვდები, ჩემ წინ 4 ხელი კითხვის ნიშანივით იხრება და დახმარებას მთხოვს, თოთხები ჯიბისკენ მიმაქვს, მოულოდნელად ფეხებთან ვიღაცის ტანს ვგრძნობ, დავყურებ, პატარა მუხლებზე შემომეხვია და საცოდავად იცქირება.

ეს მამა პავლეს შვილია.

– მშია – ერთი სიტყვით გამოხატავს დაჩოქილი გრძნობას.

ვიმუხლები, ჭუჭყანა ბავშვს სიცივისგან შეკუმშული კანი მოუჩანს, უხეში, დიდი ფეხსაცმელები აცვია. სცივა, თუმცა ჯიუტად ებრძების ყინვას და მოწყალებას ითხოვს.

ჩემს მზერას ბავშვის ყური იპყრობს, საიდანაც წითელი სისხლი შეუმჩნევლად მოჟონავს.

– რა დაგემართა? – ვეკითხები პატარა მათხოვარს და ჭრილობაზე ხელს ვადებ.

ბავშვი არაფერს მპასუხობს, რადგან უშნოდ შეხორცებული იარა ეხსნება, სისხლი ყურს ნახევრად უდებავს, ტკივილი სახეს უცვლის, სადაცაა ატირდება, თუმცა ენინაალმდეგება მონოლილ ცრემლს, მისი ბავშვური ტვინი სადღაც აფიქსირებს, რომ შეიძლება ატირებულს ფული აღარ მისცენ, მხოლოდ სევდიანი, დიდორნი თვალებით მიყურებს და დაკრუნჩებულ თითებს მიშვერს.

შეკავებულ ტანჯვას ბავშვის თვალებში წიგნივით ვეითხეულობ.

— ღმერთო, რა სუფთაა აქ ყველაფერი — ვფიქრობ მე და ბავშვს გულში ვიკრავ.

გაკვირვებული, პატარა მათხოვარი სისხლიან ყურთან გულის სითბოს გრძნობს, მეტს ვეღარ უძლებს მისი ბალლური სული და ცრემლს თვალებისკენ მიმავალ კაპილარს უხსნის.

— დედა სადა? — ვეკითხები ბავშვს და ფულს ვაძლევ.

— მალე მოვა — სიხარულისგან სახე უნათდება პატარას და მირბის.

დათოვლილ ქუჩაზე მათხოვრები კეთილ ადამიანებს ელიან, თეთრი თოვლი კი დაუნდობლად ცვივა ციდან და მოსიარულეთ მინას აშორებს, მე ეკლესიასთან მდგარ ძელსკამზე ვზივარ და ბავშვის დედას ველოდები.

— სად მუშაობთ თქვენ ჭაბუკო? — მომესმა უცებ ხმა, გვერდით ვიხედები, ძელსკამზე დაბალი, მელოტი, ხელჯოხიანი კაცი ზის და დანითრალაც წიგნს ხევს.

— არსად, მე მწერალი ვარ — მელოტის შიში საერთოდ აღარ მაქვს.

— დაიმახსოვრე „მწერალო“ ფული და ძალაუფლება მარადიულია, სიყვარული კი ჯერ ფერმკრთალდება, ბოლოს კი ქრება, ფულს და ძალას საზღვარი არ გააჩნია, სიყვარული კი მიიღწევა, აღსრულდება, ერთფეროვნებაში გადადის, ამიტომაა ფულისთვის და ძალაუფლებისათვის ადამიანები მთელი ცხოვრება იბრძვიან, ხოლო სიყვარულისთვის ცხოვრების ნაწილი ემეტებათ.

გაოცებით ვუყურებ მელოტს, უძრავად ზის იგი, თვალები ეკლესიის გუმბათისათვის აქვს მიშტერებული.

— მაინც ვინ ხარ შენ?

— მე რომ ღმერთი ვიყო, ქვეყანა ბედნიერი იქნებოდა — იდუმალი კილოთი ამბობს კაცუნა და ხელჯოხს მინაზე აკაკუნებს.

— ახლა რას იზამ, გაქრები? — მეცინება მე.

— დროებით გავქრები — ამბობს ის და ქრება.

ჭუჭყიან ასფალტზე ბავშვი და ქალი გამოჩნდა, ბავშვს ქალისთვის ხელი მაგრად აქვს ჩაბლუჯული და გახარებული ტკეპნის მოყინულ თოვლის.

— დე, ეს არის — ხელით ანიშნებს პატარა ჩემზე, — მაკოცა და ფული მომცა.

— გამარჯობათ — რაღაც დამცინავად მომმართავს ქალი — დიდი მადლობა.

ბავშვის დედას ვაკვირდები, დახეული წინდები აცვია, მხრებზე შალის შარფი მოუხურავს, ნაცრისფერი წამნამები ულამაზოდ აქვს შეღებილი.

— არ გეცოდება ბავშვი? — ვეკითხები მე.

— არა — ირონიულად მპასუხობს ის — ასეთმა ნაყოფმა უნდა იტანჯოს.

ქალს ვუახლოვდები, ფრთხილად ვხსნი შარფს და თვალებში ვუყურებ, ორი ნაცრისფერი წერტილიდან სევდა ილანდება.

— განდათ, ჩემთან ერთად იცხოვროთ? — ვეკითხები მე.

ქალი დაკვირვებით მიყურებს, არ ტირის, მაგრამ მე ვგრძნობ თვალს უკან დამალულ უფერო ცრემლს.

— მამა პავლემ მოგაგზავნათ არა?

— არა — ვტყუი მე — მე დედა მომიკვდა და თქვენ დედაჩემი გამახსენეთ, თანაც მარტოობის მეშინია, გევედრებით, იცხოვრეთ ჩემთან.

ბავშვის დედას შუბლი იფლით დაეცვარა, მარცხენა ხელი პატარას თავზე გადაუსა და მკითხა:

— სად ცხოვრობ?

(მამა პავლე არ გამომადგა ლამაზი სიტყვები — გულში მეცინება მე).

მისამართს ვუხსნი.

ქალი მიდის და თან მიძახის:

— მამა პავლეს გადაეცი, რომ მიყვარს, მაგრამ არ გაბედოს და ჩვენთან არ მოვიდეს.

— ვეტყვი — ვპირდები მე და საათს ვუყურუბ, ისრები 10-ის 25 წუთს აჩვენებს.

ერთმანეთის შიშით ადამიანები ფრთხილად დადიან ქუჩაზე, მხოლოდ რამდენიმე მთვრალი გამოხატავს არსებობას უაზრო ყვირილითა თუ სიმღერით, აქა-იქ ძუკნა



მხატვარი მარიამ კიკნაძე

ძალლები დარბიან და გულისამრევ ნაგავში საჭმელს ეძებენ, ღამეში გახეული ქალაქი დასაძინებლად ემზადება.

— ახლა კი დროა, ცოტა გავერთო — ვფიქრობ მე და ბნელ ღამეს სხეულით ვარდვევ.

მოთეთრო ბინას ვუახლოვდები, სირბილით ავდივარ აივნის ჩატეხილ საფეხურებზე და მწვანედ შეღებილ კარზე ვაკაკუნებ.

— ვინაა? — მესმის შიგნიდან ხმა.

— მე ვარ, ნაკ გააღე — ვპასუხობ მეგობარს და ფეხებს ვიწმენდ.

— ვაა, ვინ მოსულა — უხარია ნაკა და ლოყაზე მკოცნის.

მასპინძელს თვალები ბედნიერად უელავს, პირიდან ალკოჰოლის მძაფრი სუნი ამოსდის.

— სტუმრები მყავს — ხალისიანად ამბობს ის და ოთა-სისკენ მიმიძღვება.

სიგარეტის სუნით გაუღენთილ ოთახში სამი გოგო და ერთი მოკლეთითება ბიჭი ზის, მოკლეთითებას ერთ-ერთი ქალიშვილი მუხლებში ჩაუსვამს და კისერს უკოცნის, მოკლეთითებას გვერდით ცისფერ სავარძელში მჯდარ ქალიშვილს დიდხანს ვაკვირდები, მას თმა ხელოვნურად გაუქრავებია, სახეზე იაფფასიანი პარფიუმერია აცხია, ის თანაია, გაფიტრებული ზის სავარძელში და თვალებით მთხოვს, რომ არაფერი ვთქა.

თანის გვერდით ვჯდები.

— ხელოვნება უკურნებელი სენის მხოლოდ მანუგეშებელი ექიმია — ამბობს მოკლეთითება სადღეგრძელოს და ქერათმიან მოკისკისე გოგოს ტუჩებში კოცნის.

დიდი ჭიქით კონიაკს ვსვამ და პურს ვაყოლებ.

— ხელი გადახვიე — მიყვირის ნაკი.

დიდი ჭიქით კიდევ ვსვამ კონიაკს.

— ნახე, რა ძუძუები აქეს ბიჭო, ხელი გადახვიე — მიცინის ნაკი.

სხეულში ალკოჰოლს ვგრძნობ. თანი იღიმის, მე ხელს ვხვევ და ვეუბნები.

— მანიც ლამაზი ხარ, თან.

— ქალი სექსამდეა ქალღმერთი, მერე ჯერ ქალი ხდება, ბოლოს კი ქალი — მიჩურჩულა ქალიშვილმა.

— ნავედით რა, თან, აქედან.

— ჯერ შენ წადი, 11-ზე გნახავ თეატრთან.

ქალიშვილს მხარზე ხელს ვაცილებ და გაკვირვებულ ნაკა ვემშვიდობები.

სუფთა ჰაერი ალკოჰოლს მიძლიერებს, გულის რევა-საც ვგრძნობ, თვალებარეული საათს დავცექრი, ისრები 11-ის 15 წუთს უჩვენებს.

— ნეტა მართლა თუ მოვა — ვფიქრობ მე და ამ კითხვით დატენილი ქუჩაში გვამივით განოლილ ასფალტს მივუყვები.

ცივი ქარისგან დახეული ცელოფენი ხეებზე მიკრულა, პარალელებზე მდგარ ნაგვის ყუთებში ვიღაცებს ცეცხლი დაუნთიათ და უპატრონოდ მიუტოვებიათ.

არაიდენტურ ნაბიჯებით მივდივარ, ნინ მთვრალი ადამიანების ღრიანცელი მესმის, ვხედავ ჩემგან რამდენიმე მეტრში ორ ბიჭს დახეულტანსაცმლიანი მოხუცი ძირს დაუგდიათ და დასცინიან.

— ღმერთი ნახე? — ხარხარებს ერთი.

— როცა ნახავ, უთხარი რომ მაგრად გცემეთ — დასცინის მეორე და გვერდებში ურტყამს.

სხეულში ყინულივით ცივი შიში დამირბის, ფრთხილად ვუახლოვდები მთვრალ ბიჭებს და დასისხლულ მოხუცთან ვჩერდები.

— ეს ვინდაა? — დამცინავად უკვირს ერთ მათგანს და პატარა, წითელი თვალებით მიყურებს.

— ფული გაქვს? — მიყვირის მეორე, რომელსაც ხელში მწვანე ლუდის ბორთლი უკავია.

— არა — წყნარად ვპასუხობ მე (სინყნარე ჩემი შინაგანი მდგომარეობის ადგევატური არაა).

— პალტო გაიხადე — ცივად, სადღაც კბილებიდან აგდებს სიტყვას წითელთვალებიანი.

არ ვინძრევი, სინაულით დავსცერი დასისხლულ მოხუცს და შიშის დამალვას ვცდილობ.

— ჩქარა შენი — მაგრებს იგივე ხმა და სახეში თავი მხვდება.

სიმწრისაგან ვიკეცები, თუმცა მალევე ვდგები და ლუდისბორთლიანს თვალებში ვუყურებ.

— რა გინდათ?

— ახლავე გაიგებ — ბოროტად იღიმის წითელთვალებიანი და ფეხში ფორლადის დანას მიყრის.

ხორცის გაგლეჯას ვგრძნობ, ერთხანს უაზროდ ვუყურებ თოვლზე დანინნკლულ სისხლს, ფეხზე დგომა მიჭირს და ძირს ვჯდები.

— არ მოკვდეს ეს ჩათლახი, წავედით, — იძახის ლუდისბორთლიანი.

ბიჭები სირბილით არღვევენ ცივ ჰაერს და იმალებიან.

თოვლში ჩამხბობილს შავთმიანი, ჭუჭყიანი მოხუცი მიახლოვდება, ჯიბიდან ბინძურ ჩვარს იღებს და ფეხზე მახვევს, მე მოხუცს მუხლებზე ხელს ვადებ და ვეკითხები.

— ნავიდნენ?

— ჰა წავიდნენ.

— რა უნდოდათ?

— ბოროტება.

მოხუცმა ამოიოხრა, მე ფეხიდან ბინძურ ჩვარს ვიშორებ და ლურჯ ცხვირსახოცს ვადებ.

— ძალიან ბევრმა ადამიანმა იყიდა ძალი ქალაქში, იმიტომ რომ ადამიანებმა ერთმანეთის ნდობა დაკარგეს.

ბიჭების ყვირილი მახსენდება, შავთმიან მოხუცს თვალებში ვუყურებ და ვეკითხები:

— „ლმერთი ნახე“ რატომ გიყვიროდნენ ბიჭები?

მოხუცს ეცინება, მარცხენა ხელით ლოყას იქავებს და მეუბნება:

— მე გიურ ვარ, ყოველ შემთხვევაში ყველა ასე მთვლის, არა უშავს, მე მირჩვნია გიუობა.

— თქვენ გიურ არ ხართ — თავს ვაქნევ მე — მითხარით, რა გინდათ ღმერთან?

— 20 საუკუნის შემდეგ უნდა ვკითხო: ღირდნენ ადამიანები ჯვარცმად?

— მთელი სიცოცხლე ღმერთს ეძებთ? — მიკვირს მე.

— არა, ადრე სანთელს ვეძებდი, ალალ სანთელს.

— მერე?

— კარგა ხანს ვეძიე, მაგრამ ყველა სანთელი ფულს ითხოვდა, ბოლოს მანც მივაგენი ბავშვებს ეკავა ხელში და ღმერთს დედის სიცოცხლეს სთხოვდა, აი აგერ მაქეს — თქვა მოხუცმა და სამად გატეხილი სანთელი მაჩვენა.

— მოხუც, ღმერთი მარტო ბავშვებში დარჩა?

— ღმერთი არ მომკვდარა, ღმერთი მოკლეს ადამიანები და ახლა არცთუ სინანულით მის მოსაგონარს სვამენ.

ფეხის ტკივილი მიძლიერდება და სიმწრისაგან იარაზე ხელს ვიჭერ.

— არა, მოხუცო, ადამიანები უღმერთოდ ვერ გაძლებენ.

შავთმიანი მოხუცი მწარედ იცინის. თავი ჩემს ყურთან მოაქვს და ხმადაბლა ამბობს:

— ყური დაუგდე ცოტა ხანს ქუჩას.

ვირინდები, საიდანლაც ქალის აგხორცი ხარხარი მეს-მის (ქალი რომ ხარხარებს ის ბოროტია, კაცი პირიქით კეთილი), რომელიც მთვრალი კაცების უხეშ გინებაში ირევა, დათოვლილ ასფალტზე ძვირადლირებული მანქანიდან მუსიკა ხმაბალლა წივის.

— გესმის – ჩურჩულებს მოხუცი – ეს ფულის ხმაა, ესაა დედამინის ახალი ღმერთი, ადამიანებს ხანდახან სიკეთის კეთებაც უნდათ, მაგრამ ახალ ღმერთს სხვა ათი მცნება აქვს.

თანი მახსენდება, საათს ვუყურებ, ისრები 11-ის ნახევარს აჩვენებს, ფეხზე წვალებით ვდგები და მოხუცს ვემ-შვიდობები.

მანქანები ღრიალით დარბიან ტალახითა და თოვლით აზელილ ასფალტზე, ყინვა მედუზასავით ასლიპინებს დედამინას, გარინდულ ქუჩაში დაყუდებული ფარნები მთვარისფრად ანათებენ გადათეთრებულ მინას. თეატრამდე აღმართი მაქსეს ასავლელი, მტკივან ფეხს გაჭირვებით მივათრევ, ტკივილისგან და ყინვისგან თვალებიდან მლაშე ცრემლი მომდის, რამდენიმე მეტრში აფთიაქს ვხედავ და შევდივარ.

— იქნებ, ფეხი შემიხვიოთ, ფულს ხვალ მოგცემთ – ვეხვენები თეთრხალათიან გამყიდველს.

სხვა ოთახიდან მრგვალსახა, მწითური კაცი გამოდის და ზიზილით მიყურებს.

— გადი აქედან – ყვირის ის – მათხოვრები მაკლია აქ.

— მე დაჭრილი ვარ.

— გადი მეთქი – მიბლავის მწითური და გარეთ მაგ-დებს.

— არაკაცო – ვყვირი მე და შეძლებისდაგვარად გავ-რბივარ.

ფეხის ტკივილი შემანუხებელ ურუალში გადამდის, ვხვდები იარა მსუბუქია, მაგრამ მიხედვა უნდა.

რომელილაც კარზე ვაკაუნებ, ოთახიდან სიმღერის და სიცილის ხმა ისმის, კაკუნზე ხმები ქრება და ფრთხილი ნაბიჯების ხმა ისმის.

— ვინაა? – მეკითხება შიშნარევი ადამიანი.

— იცით, დაჭრილი ვარ, იქნებ ჭრილობა შემიხვიოთ, – ოდნავ დაბნეული ვიძახი მე.

მეორე მხრიდან ვიღაცა პაუზას აკეთებს და ბოდიშის მოხდით კარებს არ მიღებს.

პაუზა ადამიანებში დარჩენილი ღმერთია.

ვხვდები, სახლში არ შემიშვებენ, გაურუებულ ფეხზე ხელს ვიკიდებ და ცივ მოაჯირზე ვჯდება.

თეთრი თოვლი დაუნდობლად ცვივა ციდან, ქუჩაში ადამიანის ფეხის ნაკალევიც აღარ ჩანს, მხოლოდ მტკრისფერი ბელურები ფრთხიალებენ მწვანე ნაძვზე, უცნაურ სახლთან ულამაზოდ რომ ამოსულა.

— აქ რა გინდა? – მესმის უცებ ნაცნობი ხმა, ჩაფიქრებულ თვალებს აზრიანად ვახელ, მოყინულ თოვლში თანი დგას და შეშინებული დამცეკერის.

— მცემეს – სიხარულისგან ვიღიმი.

— დაიცა, ტაქსის დავიჭერ, ნუ გეშინია – იძახის თანი და გარბის.

— საშიში არაფერია, პატარა ნაკანრია – მეცინება მედა მიხარია თანის გამოჩენა, საათს დაცეკერი, ისრები 11 აჩვენებს, ტკივილი საერთოდ აღარ მანუხებს, გზაზე თანი და ვიღაც კაცი მოჩანან, მე მათთან მივდივარ და მანქანაში ვჯდები.

ჰაერი ოზონითაა გაულენთილი და სასიამოვნოდ ისუნ-თქება.

— ახლა გადარჩები – იცინის თანი და შესვეულ ფეხზე სუნამოს მასხამს.

— მოდი ვიცევეოთ თან – ვევედრები ქალიშვილს.

— უმუსიკოდ?

— უმუსიკოდ.

ხორცისფერ იატაკზე ფეხები რიტმულად მოძრაობენ, მკერდთან თანის გულისისითბოს ვგრძნობ, ათ თითში ქა-ლიშვილის თავს ვიმწყვდევ და გაშმაგებული ვკოცნი, თანი იგვე ჟესტით მპასუხობს, ოთახში სინათლეს ვაქრობ და ქალიშვილს მოწითალო არაბულ ტახტზე ვაწვენ.

— მიყვარხარ – მესმის ნახევრად გონდაკარგული ქა-ლის ბოდვა.

ოთახი ვნებიანი ბგერებით ივსება, რომლებიც ნელ-ნელა ძლიერდება, ბოლოს ერთ დიდ შორისდებულად იქ-ცევა და ბნელ ღამეში სამუდამოდ იკარგება.

თანი გულალა წამოწვა, კოსმოსიდან გადალებულ დე-დამინას ჰგავს მისი სხეული, არეული თვალებით მიყურებს, გრძელი თითები მკერდთან მიაქვს და მუზებება:

— სხვებისთვის ეს ძუძუა, მხოლოდ შენთვისაა მკერდი. ვკოცნი, მიხარია, ბედნიერი ვარ.

— თუ დღეს შვილი ამყვა, აუცილებლად გავაჩენ – აგ-რძელებს საუბარს თანი.

— გავაჩენთ – ვამატებ მე.

თანი ფეხზე დგება და ტანსაცმელს იცვამს.

— რას შვები თან? – მიკვირს მე.

— შენ ბოზთან არ იქნები ბედნიერი.

— არა თან, მე მწერალი ვარ, მწერლები კი ნახევრად ღმერთები არიან, ქრისტეს კი უყვარდა ცოდვილები.

— მარტო ამისთვის არა? – მწარედ იცინის თანი – შენ არ შეცვლილხარ სახ – შენ მხოლოდ დიდებაზე ფიქრობ, მეტზე არაფერზე, სხვა დანარჩენიც ამისათვის გჭირდება.

თანი სწრაფად აღებს კარს და მიდის, ჩემი „არ წახვი-დე გემუდარები“ მხოლოდ მე მესმის, ნერვიულობისგან ფეხიდან თანის სახევეს ვიგლევ და რატომლაც კედელზე ჩამოკიდებულ ხატს მივჩერებივარ.

ოთახში 4 ლანდი შემოდის, რომლებსაც ერთმანეთის-თვის ხელები გადაუხევევით და იჭყანებიან.

— ღმერთი შემოაკვდათ ადამიანებს – იძახის ერთი.

— მამა პავლეს უთხარი, რომ მიყვარს – იცინის მეორე.

— მე რომ ღმერთი ვიყო, ქვეყნა ბედნიერი იქნებოდა – დამცინის მესამე.

— მიყვარხარ – ბოდავს მეოთხე.

ჩრდილები ჩემ ირგვლივ დარბიან, მათი ხმები ერთმანეთში ირევა და საზიზღარ წივილად იქცევა.

– შენ მოიყვანე ესენი? – მივმართავ მელოტს და ხმა-მაღლა ვხარხარებ.

– შე გამო... ხარხარს ვერ ვიკავებ, მოულოდნელად ვგრძნობ, რომ ტვინში რაღაც ცეცხლისმაგვარი მენთება, პაერში საკუთარ ენას ვხედავ ჩიტივით მოფრენალს და გონებას ვკარგავ.

იატაკზე ჩემი გატეხილი საათი ვდია, რომელზეც სამი ისარი ერთმანეთს შემცინებულივით მიჰკერია და თორმეტს აჩენებს.

– გაგიჟდა – მომესმის ვილაცის ხმა გონიმოსულს.

\* \* \*

დაბალი, მსუქანი კაცუნა პაერში დაფრინავს და ყვირის.

– სატანა გვინივარ არა, ბოზიშვილი ვიყო თუ ვიყო სატანა.

– აბა ვინ ხარ? – მიკვირს მე.

– შენი ნახევარი სული.

– შენ ეკაიჯე ეშმაკებს ჯოჯოხეთში – ფრენას ვიწყებ მე და სულით ვჩეუბობ.

– მოხელოვნო სუბიექტო, იცოდე, კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე 80 პროცენტს მლიქვნელობდა, 10 პროცენტს მძულვარებდა, 7 პროცენტს სიყვარულობდა და მხოლოდ 3 პროცენტს ფიქრობდა.

კაცუნა ქრება, მე როიალზე ვფრინდება და „სოლს“ ვიღებ, ჩემთან 6 ლანდი მოდის: ნაპოლეონი, ღმერთი, ეშმაკი, დრო, სიყვარული და მუზა და მახსენდება.

## „სოლ“ – საგიზე

– ეს მგონი ნასწავლი უნდა იყოს – ჩამესმის ხმა, ჩამესმის, რადგან დასაწყნარებელი ნემსები მაქვს გაკეთებული და გაბრუებულ ვარ.

– ხოდა ნასწავლთა ოთახში შევაგდოთ – იცინის ისევ ის ხმა.

მესმის ურდეულის ჩხრიალი, კარი იღება და თეთრხალათიანი დაკუნთული ექიმი ლოგინისენ მიმითოთებს.

– დანექი და ნუ იყვირებ – მარიგებს იგი და მიდის.

ოთახში 6 გაოცებული თვალი შემომცექირის, მოულოდნელად ექვსიდან ერთი ჩემ წინ ამაყად ისვეტება, სხეულზე თეთრი მოსასამი აქვს მოცმული და მონალიზასავით ამოუცნობი მზვერავს.

– მე ღმერთი ვარ – იწყებს ბოლოს – თუ გინდა დაიჩოქე, თუ გინდა – არა, მე სხვანაირი ღმერთი ვარ ჩოქისარმომთხოვნი, მაგრამ პატივისცემას მოვითხოვ, ბოლოსდაბოლოს მე შეგქმნით, აი, ნაპოლეონი ვერაფრით დავარწმუნე ამაში.

მე ღმერთის წინ ვიჩოქები, იგი თავზე ხელს მისვამს, თავზე ფურცლებს მაყრის და ბუტბუტებს:

– მომინიჭებია ბედნიერი სიცოცხლე შენთვის.

– ღმერთი თუ ხარ, რატომ ვერ შემაჩერე ვერსად? – იწყებს საუბარს ამ სიტუაციაზე დადარაჯებული ნაპოლეონი, რომელიც ძალიან მაღალია და ცალ ხელზე ხელ-თათმანი უკეთია.

– ეს ჩემი უღირსი ქმნილებაა – მეჩურჩულება ღმერთი – ვერაფრით მოვარჯულე.

– არა, მაინც რატომ არ გამაჩერე? – ირონიულ სახეს იღებს ნაპოლეონი.

– მაში ვატერლოო რა იყო, განა მე არ მოგიწყვე ეს მარცხი.

– ჰა, ჰა, ჰა – იცინის მხედართმთავარი და მის გვერდით მდგომ ბინძურ კაცს ხელს ჰქვევს – ეშმაკო, რამდენი კაცი შეენირა ჩემს შეჩერებას?

ბინძური ეშმაკი თხასავით ხტუნავს და დაბალი, ნაზი ხმით იძახის:

– 100000.

ნაპოლეონს სახე ებადრება და პოეტურად განაგრძობს.

– ნუთუ შენ სიკეთისა და ბედნიერების შემქმნელო, ყოვლისშემძლევ და ყოვლისმცოდნევ, რატომ არ შეაჩერებოროტება სულ მარტივად, ჩემი არშექმნით?

– ეს დროის ბრალია, დროის – ყვირის აშკარად ანერვიულებული ღმერთი – დრომ შეგქმნა შენ და არა მე, მე ჩემი ხატი შევქმენი მარტო, მერე თავისთავად გაგრძელდა უჩიმოდ.

– ტყუი, შენ არ გაჰყვიროდი არაფრიდან შევქმენი ყველაფრი, ბოროტებაც შენ შექმენი და აი ესეც – ხელი გაიშვირა ნაპოლეონმა ეშმაკისაენ – თუმცა შენი უბედურება იმაშია, რომ შექმნილი ვეღარ გააკონტროლე, შეგეშალა ადამიანში ღმერთო.

– დრომ, დრომ შეცვალა ყველაფრი, მე არაფერ შეუში ვარ, თუმცა – სახე უნათდება მოულოდნელად ღმერთს – მე სიყვარული შევქმენი, მოდი აქ სიყვარულო, შენ ჩემი ფარი ხარ, გაუჭრელი ფარი.

სიყვარულად წოდებული კაცი ნელა მიიწევს ღმერთისაკენ, წითელი პერანგი აცვია, გრძელი თმა აქეს, მიღის ნაზად, უხმაუროდ, ეშმაკათან ჩერდება და სიყვარულით უღიმის, მერე სწრაფად ტრიალდება და ღმერთს ფეხებზე ეხვევა.

– ესა სიყვარული, ესა ჩემი სიამაყე – თვალები უცრემლიანდება ღმერთს.

– სიყვარულო, შენ ვერ გადაარჩენ კაცობრიობას – ყვირის ეშმაკი.

სიყვარული ღმერთის ფეხებიდან თავს ყოფს და ტუჩზე ხელის ნაზი გასმით იძახის:

– სიყვარულმა იქნებ ვერ იხსნას კაცობრიობა, მაგრამ არავის მისცემს მისი დალუპვის ნებას.

– ასეა ასე – საბოლოოდ ცოცხლდება ღმერთი – როცა თქვენ გქმნიდით ასეთი ამოცანა დავსახე, გადაშენებისა და ბედნიერების ზღვარზე იქნებით სულ, ვერასდროს გაარღვევთ ამ ჯებირს, ესაა ჩემი საიდუმლო.

– შენ მაინც ვერ ჩაერევი ჩემს აზრში. მე მაინც გავიმარჯვებ აუსტერლიცზე – აშკარად ნაწყენია ნაპოლეონი.

– და დამარცხდები ვატერლოოზე – ირონიულად იღი-მება ღმერთი და რევერანსის აკეთებს.

– მე კი ვერ შემაჩერებთ – ლოგინიდან ხტება ნახევრად შიშველი კაცი – მალე ნაპოლეონსაც მოვკლავ, ეშმაკსაც და დავრჩებით მე და შენ მარტო, ღმერთო და მერე თავიდან დაიწყე, ოღონდ უფრო კარგად ვიდრე ახლაა.

– დიახ „დროვ“ მალე იქნება – ამშვიდებს აღელვებულ „დროს“ ღმერთი.





ზაზა ბიბილაშვილის სახელი უცხო არ არის პოეზიის მოყვარული საზოგადოებისათვის; ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვისაც კარგად ესმის ლექსის ნიუანსები და პოეტის შესახებ საყოველთაოდ მიღებულ აზრს კი არა, თვითონ პოეზიას, განცდის სიმძაფრესა და გრძნობის სიხალასეს აფასებს.

დღევანდელი ბუბლიკაციაც, რომელიც ავტორს ლირიკულ პოემად ჩაუფიქრება, პოეტს უამრავი სასიამოვნო რაკურსით წარმოგვიდგენს. რედაქციას საინტერესოდ ეჩვენა ამ პოემის ფორმაც და შინაარსიც და, რაც მთავარია, ენა, რომელიც სამწუხარო მწირი ფონის მიუხედავად, ზაზა ბიბილაშვილის ლექსებში ქართლური კილოკავის სილრმესა და ელფერს ინარჩუნებს.

## ზაზა ბიბილაშვილი

### ნერილი პოტლიდან

†  
როდის? საიდან?  
რა ქარებმა მომატიალეს?  
ღმერთო! შაითან! –  
რომელია მემატიანე?  
ვიყვირე: მინა! –  
დაილანდა როცა ხმელეთი,  
თუ პირქვე ვიწექ  
და ზღვაოსნის  
სენს ვახველებდი?

ეს მახსოვეს მხოლოდ –  
ფიქრი რამე ამო მიყვარდა:  
ბოლოს და ბოლოს  
ზვირთი სადაც ამომრიყავდა,  
იქ ცის ტალავერს  
სჭირდებოდა მკვიდრი ჭიგონი  
და მეც მალ-მალე  
ვიზომავდი მხრების სიგანეს.

როდის, საიდან,  
რა ქარებმა მომატიალეს...  
ღმერთო, შაითან...  
ღმერთო, შაითან...

†  
ან იქნებ, სულაც  
არსაიდან არ ვარ მოსული  
და მხოლოდ სული,  
შეშლილობის თესლით ორსული,  
ჟამიუამ ბადებს  
შეთრთოლებით და შეკივლებით  
მირაჟულ ლანდებს  
სიცხიანი უცხო ხილვების?

ვინ იცის, სულაც  
არსაიდან არ ვარ მოსული  
და მხოლოდ სული,  
შეშლილობის თესლით ორსული...  
...

ჰო, მაგრამ რა ვენა,  
ყრუ ჭრიჭინით თუ იმოწმება –

ოდესმე მართლა  
ზღვას ეფინა ჩემი ოცნება,  
ფრთადანაფერი  
სირინოზთა ამო ჰანგებით,  
და სანაპირე  
იმედების კოშკის საგებად  
ქვა მიკვეთა –  
ჩამოვთლიდი ზეცის ფირუზებს,  
ზღაპარკეთილი  
ჩამესმოდა ძილისპირულზე  
და ყოველ დილით  
საცისთალე მხრებს ვიზომავდი –

წამოფერდილი  
თუე წიშნავს  
ჩემი ხომალდი?  
...  
გდია უცნობი  
ზღვის ნადირი,  
იღბალმუხთალი,  
წლობის უწყლობით  
უმოწყალოდ სულამომხდარი,  
არც სულ ეული –  
ანძა – ყვავთა დასაკიდებლად –  
წარსულეული  
მთელი ჩემი ავლადიდება.

†  
რა არ გაყენებს?  
რას იჯარავ ჯავრის მარმაშებს?  
როგორც წალენებს  
რა გარეუვს და  
რა გაბარბაცებს?  
თითქოს იძალეს  
ბრგე ტალლებმა  
მშიერ ძალლებად –  
მსუყე ძვალსავით  
მოგინდომეს კბილის წავლება  
და სადაც არის,  
ღრენით უნდა წაგაძუნძულონ.

რა გაბანცალებს,  
მარტოობის ჩემის კუნძულო?  
...  
რომ სავალს ვკეცავ  
ტორტმანით და ხელის ცეცებით,  
რომელი ზეცა! –  
ფეხქვეშიდან აქეთ მეცლები!  
ჩაციტივარ  
შენს ნამცეცა ტერიტორიას  
და ჩემი მძიმე  
ნაფეხური ვერ მიპოვია.

+  
ასდევს ტამტამებს  
დაფდაფნი და დიპლიპიტონი.  
დაატანტალებს  
ტანს ხანდარი – დიდი პითონი.  
დაიკუნტება.  
დაირხევა.  
დაიკლაკნება.  
ბატიბუტებად  
ტკაცუნებენ თვალის კაკლები.  
ყვავილ-ღველფებად,  
ნალვერდლებად ცვივა ცა მთელი  
და იღვენთება  
შეუბმელი ფრთიდან სანთელი.  
მეფის არიას  
მღერის ალი, მეფის ტოლფერი.  
მეფეც ალია,  
უფალიც და  
მეფისტოფელიც.  
ტყეთა ტანზეა  
აჯაგრული ალი ჯინჯილად.  
ალით სავსეა  
ყველა დოქი, ყველა ჭინჭილა,  
ფართე წაფები,  
ბრგე ყანწები,  
წვრილი ჭიქანი –  
დასაწაფები,  
თითო – ყოფის თითო ჯიქანი –  
დამნაფებელი  
რომ ვერ გაძლეს ნოვა-ლოკითა,  
მინა, ბებერი,  
აზანზაროს მთვრალი როკითა!  
...

აი – ვის გნებავთ? –  
სასაკლაოს უკვდავი კალოც!  
როგორ იქნება  
უმარგილოდ,  
უთავისქალლოდ?!  
გასდევს ძელი ძელს  
და ხანდახან – ქარი თუ არწევთ –  
თითქოს ძველისძველს  
მოაგვანან ხომალდის ანძებს.  
ხოლო კოცონი  
ნელში ვნებით აირკალება,

რომ ცხელი კოცნით  
გამოშრიტოს თავის ქალები,  
ჩამომსხდარები  
მარგილებზე ხველებ-ხველებით,  
ნაცვლად თვალების –  
გამოხული თვალის ხვრელები  
რომელთ სანთლებად  
აუპყრიათ მდუმარ ცისაკენ  
და ელანდებათ  
მარადისი ზღვების სისარკე.

...  
დაფდაფ-ტამტამებს  
ასკდებიან დიპლიპიტონი.  
ალის წამწამებს  
ახამხამებს  
ცეცხლის პითონი;  
ამქრის თავეარით  
თაგბრუს იხვევს ამქარულევი,  
როგორც ამქარი –  
მოკიალე სამკაულებით:

კენჭი და მინა –  
ნამსხვრევები რისმე ფერადი –  
მზაკვრულად ბზინავს  
ყველა ტანზე  
ფერით ყველათი.  
ტერფით ყველამდი  
ზინზილებით,  
ველური როკვით,  
დიან: ბელადი,  
შიმუნვარი, მაგი და მოგვი...

და ისე ხარბად  
მოიხვევენ ალთა შალითას,  
მოსულან ალბათ  
არცა – როდის,  
არცა – საიდან,  
ნთქავდნენ ოდითვე  
ამმინიერ ღადარ-სიფიცხეს,  
ანდა მოვიდნენ,  
მაგრამ მერე  
გადაივიწყეს.

+  
თურმე, კუნძულო,  
საყარიბოდ არ იბარგები.  
არც უსულგულო  
გიბრიყვებენ აისბერგები.  
არც რამ ზღვაური  
დაირების ან ბარბითების  
აუზაურით  
ანთებული აბარბაცდები.  
ან შენი სკნელის  
გაფეობენ განა მორგები  
და მკვდრების ძნელი  
სიზმრებით ხარ ანაბორგები!

რაიც სიმშვიდეს  
გიზანზარებს დილა-საღამოს,  
ეს – შენთა შვილთა  
ორგიაა დაუსაბამო...

†  
კვლავ ხილვებს ვუზი  
და გბუტბუტებს: საიდან... როდის...  
დაბმული ღუზით  
თუ კუნიულის ვარვარა ლოდით.  
და იყეცება,  
იზიქება წელში ლერნამი –  
არ ილენება –  
დალენილა დასალენავი  
და ხსოვნის თითო  
ერთი ციცქა მუქი სარკმელი –  
მისერავს თითებს –  
ნამსხვრევები უკანასკნელი –  
უკანასკნელი  
თავგანწირვით გაბასრულები –  
უკანასკნელი  
ამოსუნთქვის საფასურები...

უკანასკნელად  
საწყაოთი მოვლენ დევები.  
უკანასკნელად  
უცხოობას მომიტევებენ.  
უკანასკნელად  
მიითვლიან ხარკს მოზიმზიმეს.  
უკანასკნელად  
ძველ სიშმრებთან გამოვიძინებ...

დილა კი ყურთან  
ბედისწერის ტუჩებს მომიტანს:  
დროაო – უნდა  
აირჩიო ერთი – ორიდან.  
...

ან:  
სისხამ დილით  
შემოვიხევ ტალავარს ტანზე,  
ავი ქადილით  
შევუკურთხებ გემებს და ანძებს,  
ველურ გრიასით  
ავაბულებ ლადარს პეშვებით  
და ორგიაში  
თავდაყირა გადავეშვები,  
გავითანგები,  
გავბრუვდები,  
გავილეშები  
ალის ჭანგებით,  
ალის ელვით,  
ალის ეშვებით –

რომ არ მახსოვდეს,  
სამუდამოდ რაიც წავიდა  
და არასოდეს

შემარყიოს კითხვამ:  
საიდან?

ან:  
სისხამ დილით  
ხელში – ცულით, თავზე – ჯვალოთი,  
ავი წადილით  
ალენილი ჯუჯა ჯალათი  
მოვა, რომ მამცნოს:

„მთელი ლამე იმსჯელა თემმა  
და, უცხო კაცო,  
შენ იყავი შსჯელობის თემა.  
ვინაიდანო –  
ასე ბრძანეს – ადათს უარყოფს,  
ვინ აიტანოს  
თან – უცხო და  
თანაც – უხარკო?!  
ყარიბის გვარ-ტომს,  
ვის სუნთქვა მუდამ ზღვაურობს,  
ეგ სუნთქვა რატომ  
ეპატიოს უსაზღაუროდ?!  
და თემმა გასცა  
სამართალი ისე მართალი:  
მაშ, გემმა ანძა  
განიშოროს,  
კისერმა – თავი!  
მეც ცული ვლესე  
და ჯალათის ვეემსე ხალათი,  
ეგ ანძა დღესვე  
რომ შეიგრძნო თავის ქალათი,  
ხოლო სხეულით  
გაახარო მატლი და ჭია.

პო, უცხოელო,  
ჩვენში ლალატს სასტიკად სჯიან“.

†  
და სადაც არის,  
დაიფშვნები, მიწის მარცვალო.  
მანც ბანცალებ –  
შენ არ ძალგიძს, არ იბანცალო.  
ან განაჯერებს  
ცოდვის ცეცხლით,  
გულგვამგასენილს,  
რა გაგაჩერებს,  
რა დაგაცხრობს,  
რა მოგასვენებს...

†  
გდია უცნობი  
ზღვის ნადირი,  
ილბალმუხთალი,  
ნლობის უწყლობით  
უმოწყალოდ სულამომხდარი,

არც სულ ეული –  
ანძა – ყვავთა დასაკიდებლად –  
წარსულეული  
მთელი ჩემი ავლადიდება.  
...  
სახლი – კეთილი,  
აივნებით, კიბეზეულით,  
სიზმრად კვეთილი –  
ალიონზე ჩამორღვეული.  
ციხე – ასული  
ცად  
მძლევარის ტკბილი ნატვრებით –  
ლახტით ავსულის  
ქონგურების კბილებნამტვრევი.  
სავსე ტაძარი –  
ხატ-ფრესკების ნათელ თვალებით –  
კალთებდამწვარი  
ურჯულოთა ნატერფალებით.  
აწივლებული  
უხსენებლით და ლრიანკალით –  
განბილებული  
ცხრაკლიტული – ცხრა ღია კარით.  
სულის ბეღელი –  
ამოფხეკილ-ამოწრეტილი...

ჩემი უილბლო  
ნაოსნობის  
მრუმე წერტილი.

†  
შენკენ მოვდივარ –  
უამის უინი მოვკლა ბოლომდე.  
მე ბოროტი ვარ!  
უფრო ზუსტად – გამაბოროტეს.  
ან უფრო – მინდა.  
ანდა კიდევ – სხვა გზა არა მაქვს  
(ან წყალი წმინდა  
ვინ მოჰკითხოს თევზის ქარავანს,  
მებადურების  
გამოჩენის გამო ოტებულს?!)  
და უნებურად  
ვემსგავსები გაბოროტებულს.

მოვდივარ, გერჩი! –  
აგიწვდია რაიც ოცნებით –  
ვით მაღალ ყელში –  
მაგ ანძაში ისე მოგწვდები  
და აგიტაცებ,  
შე სიზმრების ნაგავსაყრელო,  
რომ კვლავ მიწაზე  
ისე დაგცე –  
გაგაცამტვერო!  
...  
და ჯერ არ ვიცი,  
ძლეულთაგან მგავის რომელი:  
აბჯარნალენი,

დაქანცული,  
ზავის მდომელი,  
რომ სურს, ლადარში  
შეუკეთოს დროშა დახრილი –  
ვინძლო გადარჩეს,  
სახიფათო მოსრას სამხილი;  
თუ იგი – მტარვალს  
საწამებლად რომ არ ჩაბარდეს,  
კისერზე თავად  
ვინაც დასცემს  
ჯალაბს ჯავარდენს.

†  
ჰოი,  
ხრწნამორეულ  
სააქაოს სუნში ჩამპალო –  
ეულ-  
შორეულ-  
გზააბნეულ-  
სულშესაფარო!  
ჰოი,  
დატეხილო  
ჩემი ხელით  
ნგრევის თავზარო!

ჰოი,  
გატეხილო  
ცხრაკლიტულო,  
ციხევ,  
ტაძარო!  
ჰოი,  
ჭრელა-ჭრულა  
ოცნებებო,  
ლალო და ურჩო!  
ჰოი,  
საჭურჭლეო,  
საგანძურო,  
ლარო და  
უნჯო!  
ჰოი,  
სად ნაგებო  
კოშკო,  
ნატვრის დალალნაქებო!

ჰოი,  
ფარდაგებო,  
ქანდაკებო  
და ლარნაკებო!  
რწმენის სხეულო,  
ჯაჭვ-ბექთარის დარად ქებულო –  
დაცამსხვრეულო –  
ნატებ-ნატეს დარიგებულო!  
სუსტი ტერფების  
მკრთალო კვალო, კვალო ბითურო –  
სულის კერპების  
ნამსხვრევებით  
გამოსყიდულო!

†  
მაგრამ, უფალო...  
თუ ქვესკნელის კარის მსახურო...

მწვანე,  
უბრალო,  
უსახელო  
და უსახურო,  
გროშად და არც რად  
ღირებულო,  
მითხარი,  
ბოთლო,  
ხომალდის ნაცვლად  
ამ ნაპირზე ვით გაიფოთლე?

...

ჩქარა, მითხარი,  
რომ მეზმანა აფრაკვონიანს,  
არავითარი  
რომ ხომალდი არა მქონია  
და რომ შენ იყავ –  
ბედასწერის ლოთური უინი,  
მუცელში ბრიყვი,  
გაუთლელი – კეთილი ჯინით,  
რიფსაც ბარე თრს  
ვინაც არცთუ ამოდ ემთხვიე,  
გულგვამარეულს  
ბოლოს აქ რომ ამოგენთხიე.  
მე კი მეცადა,  
ამეზიდა მხარბეჭი ცამდე –  
ბერწი მიწიდან,  
სადაც ზღაპრებს კოცონზე წვავდნენ,  
და აც ქირქილად  
არ ვყოფნოდი ცეცხლის ფარეშებს  
უშნო ტიკინა –  
მარტოჯინი ზღაპრის გარეშე.

...

თუ – მართლა გემი  
მოჟამულის, ავის და შავის  
ჩამოგალამა  
უმოწყალო დინებამ უამის?  
ან – არ გაცალა  
შთენილ წამთა გულმშვიდად მოთვლა  
და ამ ხანძარმა  
ჩამოგადნო ხომალდი ბოთლად? –  
რომ ჩაგეჭიდო  
ყელში უფრო შმაგი სიავით,  
ლარ-საუნჯეთა  
ჩემთა ბედი გაგიზიარო –  
გამურულ ტინებს  
დაგანარცხო ბოლო ყანწივით  
და მოლოდინი  
ალსასრულის  
გავიხანგრძლივო...

†  
მაგრამ,  
ო, მაგრამ,

ისევ მაგრამ,  
კიდევ მაგრამ,  
ო,  
ამხდარო ნატვრავ,  
თუ წამხდარი ბედის  
ნაგრამო,  
ხანძარკუნძულის –  
წყევლა-კულვის მეხდატეხილის –  
ყველა კუნძულის,  
ყველა წრფის და  
ყველა ტეხილის,  
ყველა ხვეულის  
განძხილავი და ამრეკლავი  
შენი სხეულის  
ჯადოსნური სარკე-ეკრანი  
ყოვლით ნაჯერებს,  
ყოვლით დაღლილს  
რაღად მახელებს –  
რატომ მაჯერებს  
უჯერებელს  
უტყვი ძახილით?

...

„ჰოი, ყარიბო,  
ვით გეგონა, ჩამოიღებდა  
ზეცის კარებსაც  
მეორგიე აბორიგენთა  
მდორე, უნდილი,  
უსახური როკვა-ძუნძული,  
როცა კუნძივით  
უძრავია თავად კუნძული!  
და ვერმომთმენი  
ინერციის მძლევარი უინის  
ეს – შენ ტორტმანებ  
ერთადერთი –  
კაცი თუ ჯინი,  
ვით – მოგზაური,  
შეჩერება უცხოა ვისთვის  
და კვლავ ზღვაური  
შორეთისკენ  
იდუმალ ილტვის!

ჰოდა, მოვსულვარ –  
გამოგტაცოსხას დაბჩენილს:  
ჩამბერე სული,  
უფრო სწორად – სულის ნარჩენი;  
ჩამოდი ჩემში,  
ჩამობობლიდი ზამთრის მწერივით,  
ოცნების ელჩი,  
უცნაური ზღაპარ-წერილი;  
ავი და ხელი  
ვიდრე მოგწვდა ალის ბურბური,  
ყელყელა ყელი  
გამიტენე ბატის ბუმბულით;  
მოგეალერსოს  
დაე ზავთით ზვირთი უშქარი –  
ოკეანეში

განიტყორცნე  
ურჩი უსტარი!“

+  
განა, ჭურჭელო,  
ისმინება ღალადი ყველა?!  
და უეჭველად  
შველად ხმობა იქცევა შველად?!  
ასე – უძლური,  
უბადრუკი,  
სანძარდახლილი

ბოლავს კუნძულიც –  
განწირულის უხმო ძახილი!

მაგრამ მითხარი –  
ნიაღვრებით პირდაპანილი  
სარქველმოხდილი  
პაწანინა კიდობანივით  
უცხო მოტივით  
რად დუდუნებ ცოდვის ხარხარში  
ან ბზის ტოტივით  
ასე მწვანედ რატომ ხასხასებ?

## გამოხაურება

ნინო ვახანია

## ორი იასეს გამოცანა

გაბრიელ გარსია მარკესს ვენესუელის პრეზიდენტთან, უგო ჩავესთან საუბრის შემდეგ შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მან ორი ადამიანი გაიცნო – „ერთს უმოწყალო ბედი აძლევდა შანსს გადაერჩინა თავისი ქვეყანა. მეორე კი, – მეოცნებე, – შესაძლოა შევიდეს ისტორიაში, როგორც კიდევ ერთი დესპოტი“ (გაბრიელ გარსია მარკესი. „ორი ჩავესის გამოცანა“. ესპანურიდან თარგმნა ელეონორა კუჭავამ. „ჩვენი მწერლობა“. 2007, 14).

მე კი ფიქრმა კარაკასიდან საქართველოში წამომიყვანა, 1832 წლის შეთქმულება გამახსენა და შემძრა აზრმა, რომ ამ შეთქმულების ერთ-ერთ აქტიურ წევრს, იასე ფალავანდიშვილს უმოწყალო ბედი აძლევდა შანსს გადაერჩინა თავისი ქვეყანა. ის კი ისტორიაში შევიდა როგორც კიდევ ერთი გამცემი და მოღალატე.

1832 წლის შეთქმულების მასალებიდან კარგად ჩანს, რომ იასეს დიდი წვლილი მიუძღვის „ფარული საზოგადოების“ ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობაში – აჯანყების მომზადებაში. იმდენად დიდი, რომ ზოგი მკვლევარი მას ერთ-ერთ მეთაურადაც მიიჩნევს. თამაზ ჯოლოგუა არ გამორიცხავს, რომ „შეთქმულების ხელმძღვანელთა აქამდე ცნობილ სამეულს, – ელიზბარ ერისთავეს, ალექსანდრე ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს – იასე ფალავანდიშვილიც დაემატოს და, ამგვარად, ეს „სამეული“, „ოთხეულადაც“ კი იქცეს“.

ეს ციტატა ამოღებულია „ჩვენი მწერლობის“ 2007 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნებული თამაზ ჯოლოგუას წერილიდან „სერგეი მაქსიმოვის მოგონება იასე ფალავანდიშვილზე“. წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მთავარი კი ის არის, რომ თვალნათლივ ვხედავთ გადასახლებული გამცემის საოცარ მეტამორფოზას, ვეცნობით მეორე, ჩვენთვის აქამდე უცნობ იასეს.

მუხთალი ბედი მართლაც საუკეთესო შანსს აძლევდა იასე ფალავანდიშვილს.

მან კი თავხედურად, უტიფრად, ურცხვად და უსინდისოდ ზედ აჯანყების ზღურბლზე, რამდენიმე დღით ადრე განირა, უმტრო, უღალატა მეგობრებს, ქვეყანას, საერთო საქმეს, ერსა და ბერს. და ამით, შეიძლება ითქვას, მთლიანად შეცვალა საქართველოს შემდგომი განვითარების პერსპექტივა, სამშობლო ქვეყნის სვე და ბედი.

რატომ გასცა იასემ შეთქმულება?

ამ კითხვაზე პასუხს ეძებს ყველა მკვლევარი, ვინც 1832 წლით დაინტერესებულა. და ეს ბუნებრივია.

აკი ბედი სხვა შანსს აძლევდა?!

რამ აიძულა, მამულის ერთგული შვილისა და მხსნელის სახელი მოღალატისა და გამცემისაზე გაეცვალა?

შეუძლებელია, ერთმნიშვნელოვანი, დამაჯერებელი ახსნა მოეძებნოს იასეს საქციოლს. თავიდანვე იყო შეგზაუნილი შეთქმულებაში ჯაშუძა? თავის გადაერჩინის მიზნით დაწერა დასმენის ტექსტი გენერალ ვოლხოვსკისთან? ვერ გაუძლო მმის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ჩაძიებულ შეკითხვებს და გულწრფელად გაენდო მას?.. ყველა შემთხვევაში გამცემი გამცემია. მოღალატეს თავისი სახელი უნდა ერქვას და ყველა ცდა იასეს გამართლებისა ფუჭი და უშედეგო, მეტიც – უზნეობა მგონია. იასეს მიერ ჩადენილი ცოდვა სწორედ ისეთია, შენდობა რომ არ უხერხდება.

გულანთებულ ქართველ მამულიშვილთა განზრახვა იმდენად წმინდა და დიადი იყო, რომ არც ერთ მათგანს კერძო-პირადული ინტერესებით არ შეუბლალავს და ნაუბილნავს ღვთაებრივი – სამშობლოს თავისუფლება. ამის დასტურად მარტო იმის გახსენებაც კმარა, რომ აჯანყების გამარჯვების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში, არც ერთი თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული შეთქმულების მეთაურთათვის.

ბიოგრაფიულ რომანში „ალექსანდრე ორბელიანი“ რომანში ჩეხიძე მხატვრული დამაჯერებლობით აღწერს, როგორ გაინა დაპატიმრებულმა ალექსანდრე ორბელიანმა მეტების ციხისკენ, როგორ ეამაყებოდა და ენუგეშებოდა სამშობლოსთვის თავგანწირვა, როგორ ესწრაფოდა გმირის ეკლიანი გვირგვინის დადგმას – „რა ბედენა იყო განაჩენის სიმკაცრე, როცა უსასო ყოფაში ის მადლი ჩნდებოდა, ეროვნულ ცნობიერებას რომ აამღელვარებდა და იმ სულიერ კათარზის გამოიწვევდა, რაც ქვეყანას თვითმყოფადობას შეუნარჩუნებდა და ლიბოდ დაედებოდა უფრო დიდ სამზადისას“.

თუნდაც დამარცხებულიყო აჯანყება, ჩაეხშო დიდ იმპერიას ისე, როგორც ჩაუხშვია მანამდე არაერთი სხვა, მკაცრად დაესაჯათ და თუნდაც სასიკვდილოდ გაეწირათ არა მარტო მოთავეები... ცუდად ხომ მაინც არ ჩავლიდა განწირულის სულისკვეთება. მაგრამ სხვაგვარად სჯიდა უმოწყალო ბედი. იასეს დასმენამ მოლიანად შეცვალა ჩვენი საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრება. ბრძოლისა და წინააღმდეგობის სურვილის ნასახიც აღარსად შემორჩა. იმპერიის ერთგულ მსახურებად იქცენ გუშინდელი მეამბოხენი, ისე-თებად, თვით რუსზე მეტადაც რომ სხამდათ რუსი.

ერთ სტატიაში აღექსანდრე ორბელიანი იასეს შესახებ წერს: „იმათი პირველი გვარი გლეხნი იყენენ და გვარათ ყორიაშვილები ერქოთ... ნიკოლოზ (იასეს ძმა) თავის ეშმაკურის და გაიძვერა ხასიათით ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვარათ მიქაიჩი დაირქი, მასუკან თავადად ინოდა და გვარად ფალავანდოვი შეიქმნა“.

წარმოშობით გლეხი იასე ფალავანდიშვილი, როგორც ყველა ცნობილი თაღლითი და ავანტიურისტი, ბუნებით უნიჭიერესი ყოფილა. შეეძლო ზუსტად, უცდომლად მიებაძა სხვისი კალიგრაფიისთვის. ცნობილია, როგორ გამოიყენა იასემ ეს უნარი სამეცნიეროს მთავრის ლევან დადიანისა და თავისი კეთილისმყოფელის, იმერეთის ბატონიშვილი ვასტანგის წინააღმდეგ.

შეთქმულებასაც სთავაზობდა ალექსანდრე ბატონიშვილთან გასაგზავნი წერილების გაყალბებას, მაგრამ საზეო საქმეში თაღლითობა არ უნდა გარეულიყო და არც გარიეს.

იასეს არაჩვეულებრივი, ფენომენალური მეხსიერება ჰქონია. მისი დაუინებული თხოვნით ალექსანდრე ორბელიანმა ჩამონერა მეთქმულების მონანილეთა სია – დაახლოებით ასორმოცდაათი კაცი. იასემ დახედა, ჩაიკითხა და შენახვა რომ მოინდომა, ალექსანდრემ არ დაანება, სია გამოართვა და დაწვა. მეორე დღეს ფალავანდიშვილმა გენერალ ვოლხოვსკის „დამანაშავეთა“ სრული სია დაუდონინ. ერთი წაკითხვით ზუსტად დაიმახსოვრა და ალიდგინა ას ორმოცდაათი ადამიანის სახელი და გვარი.

უმოწყალო ბედი აძლევდა შანსს, ეხსნა თავისი ქვეყანა. საამისოდ ნიჭიც ჰქონდა და შესაძლებლობაც.

ჩავეს ნაპოლეონის გამონათქვამზე დაყრდნობით ბრძოლაში გამარჯვების ასეთი კონცეფცია ჩამოუყალიბებია. „პირველი – ისტორიული დრო, მეორე – სტრატეგიული წუთი და ბოლოს – ტაქტიკური წამი“. ქართველ შეთქმულთათვის სტრატეგიული წუთი არ დადგა.

იასე სხვაზე მეტად იყო მონადინება და მსურველი აჯანყების მაღლე დაწყებისა, სხვაზე მეტად ცდილობდა რუსების გარეკავას საქართველოდან, სხვაზე მეტი თავგამოდებით ემზადებოდა და მოუთმენლად ელოდა „პირველი დამის განკარგულების“ აღსრულებას.

\* \* \*

„იმხანად გულნრფელია და მერე აღარ?

ეს ორი სხვადასხვა კაცია?“ – კითხულობს როსტომ ჩხეიძე („როდესაც ჩავესი თავისი ისტორიას მიამბობდა, მე აღმოვაჩინე პიროვნება, რომელიც არანაირად არ ესადაგება იმ დესპოტის სახეს, რომელიც ჩვენ მედიის წყალობით შეგვევმნა. ეს სულ სხვა ჩავესი იყო. მაგრამ რომელი იყო ნამდვილი?“, – კითხულობს მარკესი).

უფრო საოცარი და აუხსნელია იასეს შემდგომი ფერისცვალება.

თამაზ ჯოლოგუა ზემოხსენებულ წერილში უკვე გადასახლებულ, რადიკალურად შეცვლილ იასეს გვაცნობს. არხანგელსკის გუბერნიაში, პეტორის მხარეში, სოფელ უსტ-ცილმაში გადასახლებული ყოფილი მეამბოხის ყოფა და საქმიანობა თითქმის სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისათვის. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, „ს. მაქსიმოვის მოგონებაში ჩვენ უკვე ვხედავთ უცნაურად (მეტი რომ არა ვთქვათ!) სახეცვლილ იასე ფალავანდიშვილს: ღვთისმოსავს, პეტორის დატაკ მოსახლეობაზე გადაგებულს, კეთილშობილებით, ურყევი ავტორიტეტითა და ყოვლად უმნიკველო რეპუტაციით მთელს არხანგელსკის გუბერნიაში სახელმოხვეჭილს, კაცს, რომელსაც პეტორიაში ადამიანის იდეალად აღიარებდნენ და რომლის სიტყვასაც ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდნენ, ამასთანავე – ცოდვამონანიებულსა და სამშობლოს მონატრულს“ (თ. ჯოლოგუა).

რამ აქცია მომღალატე წმინდანად?

თაღლითი და ავანტიურისტი კეთილშობილ ადამიანად?

გამცემი და ორპირი ზნეობრიობის ნიმუშად?

ჩვენ წინ ორი სხვადასხვა ადამიანია – ერთმანეთის საპირისპირო.

რომელია ნამდვილი?

იქნებ გულნრფელად მოინანია თავისი დანაშაული, მთელი არსებით მიენდო ღმერთს და ცოდვიანის მსუბუქი გზა წმინდანის ეკლიანი და მიმე სავალით შეცვალა? თუ მხოლოდ პატივმოყვარებისა და პირველების სურვილი დაიკმაყოფილა?

სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა – ნაკლებ სავარაუდია, რომ შურისძიების ემინოდა. უფრო, ალბათ, სინდისი ანუხებდა. საცხოვრებლად პეტერბურგში გადასვლაზე უარი უთქვამს – თუ საქართველოში არ ვიქნები, დედაქალაქი და მივარდნილი სოფელი ჩემთვის ერთიაო. თუ ვიმე სიტყვას სამშობლოზე და შეთქმულებაზე ჩამოუგდებდა, ღიზიანდებოდა, თავის თავში იკეტებოდა, ზურგზე ხელებდანყობილი აქეთ-იქით დადიოდა და ხმას არ იღებდა. თავს ისჯიდა?

ადამიანის ასე შეცვლა, სხვად ქვევა იმდენად ძნელი წარმოსადგენია, რომ აშკარა და თვალსაჩინოც ეჭვს ვერ აქარნცყლებს: მართლა გულნრფელად მოინანია? ნეტა რა დაანთლა იმ უამრავ პატარას, ადგილისრიგმა მცხოვრებლებმა რომ მოანათვლინს – ერთგულება? გაიგო კი ღირსეულად სიცოცხლის და ღირსეულად სიკვდილის ფასი?

ჩვენ წინაშე ორი იასეა – რომელია ნამდვილი?

თამაზ ჯოლოგუა ვრცელ და ამომწურავ ინფორმაციას გვანვდის რუსი მწერლისა და მოგზაურის სერგეი მაქსიმოვის, იასე ფალავანდიშვილის შეცვლილის ფასი.

P.S.

წერილი უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც „ჩვენი მწერლობის“ მე-15 წლების დაინტერესული სერგეი მაქსიმოვის „პეტორის თავადის“ თარგმანსაც გვპირდება.

რალფ უოლდო ემერსონი

## რელიგია

ჩვენს დროში ვერცერთ ხალხს ვერ დაახასიათებ თავისი ეროვნული რელიგიით. რელიგიის გამო პასუხისმგებლობას არ გრძნობენ; რელიგია მათგან დიდი მანძილითაა დაშორებული. ისინი ერთგულებენ სიმართლეს, შრომობენ და იხარჯებიან რეალური ყოფისა და არა ეროვნული ეკლესიის იმედით. ინგლისელთა ცხოვრება, აშკარაა, არც ათანასესული მრნამისდან ამოზრდილა, არც დოგმებიდან და არც ევქარისტიდან. ინგლისი თითქოსდა დაქორწინებულია რელიგიისთან. ყმაწილეაცი დაქორწინებას ეშურება, მერე გონიერი რომ გაეხსნება და ცხოვრების არსა თუ დინებას ჩანვდება და შეეკითხებიან – ქორწინებასა და სქესთა თანასწორობაზე რას ფიქრობ? – უპასუხებს: „ბევრსაც ვიტყოდი, კითხვა ჩემთვის ღიად რომ იყოს დარჩენილი, მე ვა ცოლ-შვილი მყვას და კითხვა ჩემთვის დახურულია“. ერის ცხოვრების ბარბაროსულ ხახაში ზოგიერთი კულტი ფუნქციებოდა ან გარედან შემოდიოდა; საკურთხევები შენდებოდა, საეკლესიო მეათედს იხდიდნენ, ბერებად ეკურთხებოდნენ. ქვეყნის განათლება და ხარჯები აქეთ წარიმართა, და როდესაც გაჩნდა სიმდიდრე, დახვენილობა, დიდი ადამიანები და მსოფლიოსთან კავშირებიც წარმოიშვა, კეთილგონიერმა კაცებმა თქვეს: რატომ უნდა ვებრძოლოთ ბედისწერას, ან ეს გაუგებრიბიანი ალგორითმი, მთასავით რომ წამოგვდომიანი თავზე? სჯობს რაიმე ნიში ან ნაპრალი მოვებინოთ ამ ქვების გროვაში, რაც რელიგიურმა ეპოქებმა გამოჰკვეთა და მოაჩუქროთმა, სადაც შევეფარებოლით, ვიდრე სასაცილოდაც გავინადოთ თავი და ხიფათშიც ჩავიგდოთ, თუ ისეთ რამეს შევეჭიდებით, რაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, თუკი, ვთქვათ, მათ თავიდან მოცილებას შევეცდებით.

ძევლ ციხე-სიმაგრეთა და ტაძრების დათვალიერებისას ხანდახან ვამბობ, ისევე, როგორც დღეს, დანდის ეკლესიის კოშეს რომ ვათვალიერებდი, რვაასი წლისა რომ გახლავთ: „ეს სხვა და უკეთესმა რასამ ააშენა, ვიდრე ესაა, ახლა რომ შესცეკრს“. და სწორედაც რომ დიდი ლტოლვა ჰქონდათ შრომისადმი ამ კუნძულზე და ამას ეს შენობებიც ადასტურებს; ისევე, როგორც ვულკანური ბაზალტი გვიჩვენებს ცეცხლის ნამოქმედარს, ცეცხლისა, საუკუნეებს წინათ რომ გამჭრალა. ინგლისმა იგრძნო მცხუნვარება ქრისტიანობისა, რამაც მთელი ევროპის დუღილი გამოინვია და ქიმიური ცეცხლივით მტკიცე ხაზი გაავლო ბარბაროსობასა და კულტურას შორის. რელიგიური განცდის ძალამ ბოლო მოუღო ადამიანთა მსხვერპლად შენირვას, შეაკავა მადა, მთავარონა ჯვაროსნული ღამქობანი, ტირანებისადმი წინაღდგომა, შთავარონა თავისადმი პატივისცემა, საზღვრება დაუდო ბატონებასა და მონბას, შექმნა რელიგიური არქიტექტურა – იორკი, ნიუსტედი, უესტმინსტერი, ფაუნთინის საბატონო, რაიპონი, ბევერლი და დანდი – ქმნილებანი, რომელთა აგების საიდუმლო დაკარგულია, დაკარგულია ის განცდაც, რაც მათ აშენებდა; მთავარნა ინგლისური ბიბლია, ლიტურგია, ბერთა ამბავნი, რიჩარდ დევაიზელის ქრონი-

კა. სასულიერო პირმა თარგმნა ვულგატა და წმინდანთა ცხოვრებანი ძელთაძველი ჰაგიოგრაფიიდან, ინგლისური ღირსებით შეამკო და ინგლისურ მიწაზე გადმოიტანა. ეს გახლდათ ერთგარი გამძლე ან აგრესიული ყოფა კავკასიური რასებისა. კაცი გამოცოცხლებული და ძალამოკრებილი იღვიძებს საუკუნეობრივი ძილის შემდეგ. ჩრდილოელ ველურთა სისასტიკემ მრისხანება



შთავბერა ქრისტიანულ ძალაუფლებას. ქრისტიანობას ხალხის სიყვარული აცოცხლებდა. ეპისკოპოსმა უილფრიდმა ორას ორმოცდათი ყმა გაააზატა, როცა მიწათმოქმედების სურვილი შეატყო. ეკლესიამ დასვენება შემოიღო გლეხეცაცათვის კვირის ბოლოსა და საეკლესიო დღესასაულებზე. „ლორდი, ვინც აიძულებს გლეხს იმუშაოს შაბათს მზის ჩასვლიდან კვირას მზის ჩასვლამდე, დაკარგავს მას“. მღვდელი, სასულიერო პირი ხალხიდან იყო გამოსული და თავის ფენას თანაურძნობდა. ეკლესია იყო მუამავალი, შემაკავებელი, შემზღვდველი და დემოკრატიულ პრინციპთა აღმსრულებელიც ევროპაში. ლატიმერი, უიკლიფი, ერანდელი, კობკემი, ენტრი პარსონის, სერ ჰენრი ვეინი, ჯორჯ ფოქსი, ბენი, ბენიანი დემოკრატებიც არიან და წმინდანებიც თავიანთი დროისა. კათოლიკურმა ეკლესიამ, დაყრდნობილმა ამ თავდაუზოგავად მშრომელ, სერიოზულ ხალხზე, დიდი სისტემა შექმნა თოთხმეტი საუკუნის მანძილზე, ეს სისტემა ძალზე იყო მიახლოებული ქვეყნის ჩვეულებებსა და სულს და ერთდროულად შინაურულიც გახლდათ და სახელმწიფობრივიც. კათოლიკური ეკლესია დიდხანს ყველაფერში იყო ჩაქვილი – მაღლა ზეცასა თუ ძირს დედამიწაზე. ის მოძრაობს ქეიცისა და მარხვის თანავარსკვლავედთა შორის. სახელს არქმევს წელიწადის ყოველ დღეს, თვითეულ ქალაქებსა და ბაზარს, თვითეულ კონცებსა და მონუმენტს და ისე შეერწყა კალენდარს, რომ ვერც სასამართლო შედგებოდა უიმისოდ, ვერც მინდორი მოიხვენებოდა, ვერც ცხენი დაიჭიდებოდა ეკლესიის უნებართვოდ. ყველა მაქსიმა კეთილგონიერებისა ან ვაჭრობისა თუ მეურნეობის საქმეში დამტკიცებული და დათარილებულია ეკლესიის მიერ. აქედანაა მისი სიძლიერე აგრძარულ ღლებში. მიწების განაწილება მრევლი ეკლესიის ნებართვაზე ხდის დამოკიდებულს ყოველგვარ სამოქალაქო უპირატესობას, ხოლო საეკლესიო პირთა დაყოფა მდიდარ პრელატებად და ღარიბობად ქიურატებად, და ისიც, რომ კლასისური განათლებით იყო უზრუნველყოფილი სასულიერო პირი, მათ აქცევდა „კვანძად, რაც აკავშირებდა გრძიყულ გლეხობას საუკუნის ინტელექტუალურ წინსვლასთან!“

ინგლისის ეკლესიას მოეპოვება უამრავი წერილობითი დოკუმენტი იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ უბრალო და შთამშეჭდავა საქმიანობით ანიჭებს ჰუმანურობას

1. უორდსვორთი (ავტორის შენიშვნა)

ხალხს, ახალისებსა და ხევნს ადამიანებს, კვებავს, კურნავს და ანათლებს მათ. ინგლისის ეკლესიას ჰყავს თავდა-დებული მონამენი და აღმსარებელი; აქვს უდახვეწილე-სი წიგნები; თვალისმომჭრელი არქიტექტურა; და იგივე საუკუნო ლირებულებებით აღბეჭდილი რიტუალი, აქ არაფერია იაფი თუ ფულით შესასყიდი.

ამ თანადათან მზარდი ეკლესიდან მნიშვნელოვანი ზე-მოქმედებანი წარმოდინდა: ბევრი რამ კულტურისათვის, ბევრი რამ ერის მიღრებილებათა და სურვილისათვის თა-ნამედროვე მიმართულების მისაცემად. მოხარატებული და მოხატული ტაძრები – ხატებითა და ემბლემებით გა-ცოცხლებული მთელი მისი ზედაპირი – სამრევლო ეკლე-სიას თავისებურ წიგნად და ბიბლიად აქცევდა ხალხის თვალში.

მერე, როცა საქართველომა ინსტინტმა საეკლესიო მსა-ხურება მშობლიურ ენაზე უზრუნველყო, ეკლესია ხალხის მოძღვრად და უნივერსიტეტად გადაიქცა. ოორკის მონას-ტერში, ახალი არქეიპისკოპოსის კურთხევის დღეს, მე მო-ვისმინე საღამოს ლოკვა და გუნდის გაღობა. უცნური იყო, ვისმენდი მშვენიერ პასტორალს ისაკისა და რებეკას ნიშნობის შესახებ, მხებობრად წაკითხულს იორკის მონას-ტერში, 13 იანვარს 1848 წლისა. ინგლისური აუდიტორიის ნინაშე, ახლახან რომ აეღოთ თავი გაზეთ „ტამისიდან“ და ლვინის ჭიქაც ეს-ესაა გაემგათ ხელიდან, და ისმენდნენ ლვთისმოსაობითა და ეროვნული სიამაყით ალვილნი. ეს იყო ძეველისა და ახლის შეკავშირება რაღაც მიზნით. მონი-ნება წმინდა წერილებისადმი ცივილიზაციის ნიშანია, რად-გან მათი დახმარებით გადარჩა და შემოგვენახა მსოფლი-ოს ისტორია. აქ, ინგლიში, ყოველი დღე დაბადების თავი-თა და „ტამისის“ მონინავეთი ინყება და მთავრდება.

ამავე ცერემონიის მეორე ნაწილიც არ ყოფილა უმნიშვნელო. ჰერიდელის საკორონაციო ჰიმნი – „ლმერთო ჰერიდე მეფეს“ – ორლანზე ბრწყინვალედ შეასრულა დოქ-ტორმა ქემიჯმა. საკათედრო ტაძარი და მუსიკა ერთმანე-თისთვის შექმნილიყვნენ. ეს გახსლდათ მინიშნება, თუ რა როლს ასრულებს ეკლესია, როგორც პოლიტიკური მანქანა. ყოველი ინგლისელი ბავშვობიდან ეჩვევა ყოველდღიურ ლოცვებს დედოფლის, სამეფო ოჯახისა და პარლა-მენტისათვის, ჩამოთვლის და ახსენებს თვითეულ სა-ხელს; და ამგვარმა მიღლვნებმა, მთელი სიცოცხლის მან-ძილზე რომ გრძელდება, შეუძლებელია გავლენა არ იქ-ნიოს მის შეხედულებებზე.

უნივერსიტეტებიც ეკლესიური სისტემის ნაწილია, მა-თი უპირველესი ამოცანა სამღვდელოების ჩამოყალიბე-ბაა. ამრიგად, სამღვდელოება იყო ათასი წლის განმავლო-ბაში ერის განსწავლული ნაწილი.

ეროვნული ტემპერამენტი ლრმად ჩაფესვია ეკლესიის ურღვევ წესსა და ტრადიციას; ტემპება ლიტურგიით, ცე-რემონიით, არქიტექტურით; ზომიერი მომზინვლელობით, კარგი საზოგადოებით, ეკლესიის კავშირით ტახტსა და ისტორიასთან, რაც აღაზათაანებს მას. და მანამდე, სანამ ეკლესია საკუთარი თავისადმი სიყვარულს უნერგავს უფ-რო გემოვნებიან, ვიდრე აქტიურ, ენერგიულ ადამიანებს, ინგლისელი ერის გამძლეობას ეკლესიის მგზნებარე მხარდაცერა განსაზღვრავს, მხარდაჭერა იმ როტული და ჩახლართული კავშირიდან, რაც ეკლესიას აქვს საზოგა-დოებრივი წესრიგის საფუძვლებთან, პოლიტიკასა და

ფულად ფონდებთან.

კარგ ეკლესიებს ცუდი კაცები არ აგებენ; სხვა თუ არა-ფერი, ეკლესის ამშენებელ საზოგადოებას პატიოსნება და ენთუზიაზმი უნდა მოეძევებოდეს. ეს ტაძრები ათეის-ტებს არ აუშენებიათ და არც ათეისტებით ივსება. არცერთ ეკლესიას არ ჰყოლია უფრო მეტი განსავლული, შემოქმე-დი და თავდადებული ადამიანი: „სასულიერო პირები, და ეპისკოპოსი, ვინც, მანტიკებს თუ გათხოვდნენ, ზურგს არავის უჩვენებდნენ“. \* მათი არქიტექტურა კვლავაც უკ-ვდავების წრმენით ბრწყინვას. ისტორიაში მეორდება დუ-ლილისა და შემოქმედების დროებანი ან, თუ შეიძლება ით-ქვას, ღვთის წყალობით მოფენილი ნაყოფიერებისა, რისი ძალითაც ამაღლებულობა მოიქცევა ადამიანის სულისა-კენ და ჩნდება დიდი სათორებანი და ნიჭირებანი, ასე მოხ-და მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე და, შემდგომ, მე-თექსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, როცა ერი აღვის-ლი იყო სულიერებითა და სასოპით.

მაგრამ წარვიდა საუკუნე უკალიფებისა, ქიბეებისა, ერანდელებისა, ბეკეტებისა; წარვიდა ლეტიმერების, მო-რების, ქრენმერების, ტეილორების, ლეიტონების, ჰერ-ბერტების, შერლოკებისა და ბატლერების საუკუნე. აზ-როვნებაში მომხდარმა ჩუმმა რევოლუციამ შეუძლებელი გახადა მსგავს კაცთა ხელახლა გაჩენა, შეუძლებელი გა-ხადა ადგილის მოძებნა მათ – ერთ დროს – წმინდა სამყო-ფელში. სული, ამ ტაძარში რომ დავანებულიყო, სხვაგან გაცურდა სხვათა შთასაგონებლად და უძველეს სამარ-ხებში მოსულობა მანჭიები და ძველ სამოსში მოშარიშურე მსახიობები ხვდებიან.

რელიგია ინგლისში კარგი აღზრდის ნაწილია. როცა კონტინენტზე დაინახავთ კარგად ჩაცმულ-დახურულ ინ-გლისელს, თავისი ელჩის სამღლცევლოში რომ შედის, სა-ხე ჩუმი ლოცვისათვის რომ ჩაურგავს კოხტად დაგარ-ცხნილ-გასუფთავებულ ქუდში, აუცილებლად გაიფიქ-რებთ, მასთან ერთად ეროვნული სიამაყე და ჯენტლმენის რელიგია ლოცულობსო. დიდ მთავარს ლორდთა პალატა-ში უთქვემს გამარჯვების ალსარიშნავად: ვფიქრობ, ყოვ-ლისშემძლე ლმერთი ჯეროვნად არ გამოგვიყენებიაო, და ასეთი დადა წარმატებების შემდეგ დიდსულოვნება გა-მოგვეჩინა და მაღლიერების დასტურად სასულიერო წო-დება მიგველოო. ინგლისის ეკლესია ჯენტრალს\* ეკლესი-აა, ღარიბთა ეკლესია არ გახლავთ. ის არ არის ხელოსან-თა საკუთრება, ხოლო ჯენტლმენებმა მოგვიანებით თემ-თა პალატაში დაიფიცეს, სიცოცხლეში არ გვინახავს დაგ-ლევილსამოსანი ღარიბა შესულიყოს.

ენერგიული და მძლავრი ინგლისური გონების მოდუ-ნება, მაშინ, როცა რელიგიის საკითხი დგას, გვიჩვენებს, თუ რამდენ სიბრძნე და სისულელე შეიძლება შეთავსდეს ერთ გონებაში. მათი რელიგია ციტირებაა; მათი ეკლესია კი – თოვინა. ერთი სცადეთ და შემოწმება დაუპირეთ, შემზარევი ყვირილით აგიკრძალავენ. კარგ საზოგადოე-ბაში მოელი, რომ სიცილს დაყრინან უხეშ მდაბიორთა ფა-ნატიზმს; მაგრამ ასე არ იქცევიან; ისინი თვითვე არიან მდაბიორნი.

ინგლისები, ალბათ, მეცხრამეტე საუკუნის მთელ

\* უკლერი

\*\* აზნაურობა სოფლის (მთარგმ.)

საქრისტიანოსთან ერთად, ძალას კი არ მიაგებენ პატივს, არამედ – მარტიოდენ შესრულებას; იდეებს მხოლოდ ეკანომიკური შედეგებით აფასებენ. უელინგტონი წმინდანს მხოლოდ მაშინ სცემს პატივს, თუ იგი არმიის კაპელანია. „მრ. ბრისკოლმა თავისი მომხიბოლელი ქცევითა და საღი გონებით, რაც მეთოდიზმისაგან შეეთვისებინა, პატივის-ცემა მოიხვეჭა ჯარისკაცებიც და ოფიცრებშიც“. ისინი პატივს მიაგებენ ფილოსოფოსს, ისევე, როგორც აფთიაქარს, ვისაც ქინაქინა ან წამალი მოაქვს საქონლისათვის; ხოლო შთავონება სულაც სარჩილავი მიღია ან სხვა უკეთესი მექანიკური ხელსაწყო.

ეჭვი მაქვს, ინგლისელის ტვინში რაღაც საქველი უნდა იყოს, რასაც დაკეტავს, როცა მოეპრიანება, ისევე, როგორც ინუინერი ახშობს ორთქლს. ყველაზე მოაზროვნე და გაცნობიერებული კაცები ფლობენ ძალას, იაზროვნონ ისევე, როგორც ეპისკოპოსი აზროვნებს რელიგიის საკითხებში და ფინანსთა მინისტრი – პოლიტიკაში. ისინი ლაპარაკობენ გაბედულად და ლოგიკურად, და გიჩვენებენ შესანიშნავ, ბრწყინვალე შედეგებს, მაგრამ იგივე კაცები, ვინც თავისუფალი ვაჭრობა ან გეოლოგია დღევანდელ დონემდე მოიტანეს, პირქუში და ამპარტავნები ხედიან და მაშინვე კეტავენ სარქველს, როგორც კი საუბარი ინგლისის ეკლესიას მიუახლოვდება. ამის შემდეგ კუს ბაკანს ესაუბრებით.

უნივერსტეტის საქმიანობა, სწავლის პროცესი იქნება თუ სული აქაურობისა, მიმართულია უფრო ინგლისელი ჯენტლემენის, ვიდრე წმინდანსა თუ ფსიქოლოგის ჩამოსაყალიბებლად. აქ იზრდება ეპისკოპოსი და უარყოფილია ფილოსოფოსი. ვერ ვიტყვი ანგლიკანურ ეკლესიაში უფრო მეტია კაბალიზმი, ვიდრე სხვა ეკლესიებში-მეტები, მაგრამ ეს კი ითქმის, რომ ანგლიკანური სამდვდელოება არისტოკრატიასთანაა გათანასწორებული. ამბობენ, რომ თუ სასულიერო პირს ესაუბრები, დარწმუნებული იყავი, ეს იქნება კარგად აღზრდილი, გათვითცნობიერებული და გულწრფელი კაცი: იგი თქვენს ფიქრებსა და მიზნებს თანაგრძობითა და ქებით აღავსებს, მაგრამ საკმარისია მეორე მღვდელი შემოვიდეს, რომ თანაგრძობას ბოლო მოელოს: ორი სასულიერო პირის ერთად წარმოდგენა შეუძლებელია, და თუ ასე მოხდა, მღვდელი უთუოდ თავისი ეკლესის მხარეს დაიჭირს.

ანგლიკანური ეკლესია აღბეჭდილია თავისი ფორმების მომხიბოლელობითა და გონიერებით, თავისი სამღვდელოების მამაკაცური ლაზათიანობით. მისი ქადაგება „ცხონდებით გემოვნებითა“. ანგლიკანური ეკლესია ცივ ნიავს არ აკარებს ძველ სტრუქტურებს, უამრავ ფულს ხარჯავს მუსიკისა და შენობების, არქიტექტურული ლიტერატურისათვის. მას აქვს მოპოვებული კარგი სახელი თავაზიანობისა და ლომბიერებისათვის. ანგლიკანური ეკლესია ჩვეულებრივ არავის დევნის; ის არც ინკვიზიტორულია და არც ზედმეტად ცნობისმოყვარე; სრულყოფილადაა აღზრდილი და შეუძლია თვალი დახუჭის ყოველ შესაფერის შემთხვევაში. თუ არ შეეხები, არც თვითონ შეგეხება. მაგრამ მტრულად ხვდება ყოველგვარ ცვლილებებს პოლიტიკაში, ლიტერატურასა თუ საზოგადოებრივ ხელოვნებში. ეკლესიას არ დაუარსებია ლონდონის უნივერსიტეტი, მექანიკის ინსტიტუტები, თავისუფალი სკოლა, ან რაც უნდა იყოს, ცოდნის გავრცელებას რომ ისახავს მიზნად. ოქ-

სფორდელი პლატონისტები ტომას ტეილორივით სასტიკინი არიან ერესის მიმართ.

ინგლისის რელიგია ძეველი აღთქმის დოქტრინაა. ის ახალი აღთქმის პირველ გვერდსაც კი არ გადაშლის. მათ წინდახედულად სჯერათ ბედისნერისა, რომელიც თავქარიანდა არ მოექცევა ფუნტ სტერლინგს. ისინი არც ტრანსცენდენტალისტები არიან და არც ქრისტიანები. არც სოკრატულ ლოცვას აღავლენენ და არც რამე წმინდა ლოცვას დედოფლისათვის, არც ნათელს ითხოვენ და არც სამართლიანობას, არამედ გაურკვევლად ჩაიბურტყუნებენ: „მანიქე მას ჯანმრთელობა და სიმდიდრე, რათა დიდხანს იცოცხლოს“ – და ეს ებრაული ლოცვა გასდევს მთელი ინგლისის პირველულ ისტორიას მეფე რიჩარდის ლოცვებიდან მოყოლებული, რიჩარდ დივაიზესის „ქრისიებში“ რომაა მოცემული, სერ სემუელ რაიმელის დღიურებამდე და მხატვარ ჰეიდონამდე. „საზღვარგარეთ, ცოლთან ერთად“, სასოებით წერს პეპისი, „სიცოცხლეში პირველად მივემგზავრებოდი საკუთარი კარეტით; რაც სიხარულით აღავსებდა ჩემს გულს და ვადიდებდი ღმერთს და ვევედრებოდი, დაელოცა ეს მგზავრობა ჩემთვის და გაეგრძელებინა“. კანონს ებრაელთა ნატურალიზაციის შესახებ (1753) სანინაალმდევო ჰეტიციიებით შეხვდენ სამეფოს ყველა ნანილში, ხოლო ქალაქ ლონდონის მიერ ასევე პეტიციით დაიგმო ეს კანონი, როგორც „ქრისტიანული რელიგიის ლირსებათა მეტად შემლახველი და ძალზე სახიფათო სამეფოს კომერციული ინტერესებისათვის საზოგადოდ და ქალაქ ლონდონისა, კერძოდ“.

მაგრამ მათ ვერ შეძლეს შეეჩერებინათ კაცობრიობა საპარლამენტო აქტებით. „ზეცა მარადიულად მოძრაობს და დროებით არ ჩერდება“, და ხელვენება, და ომები, აღმოჩენანი და შეხედულებანი თავისი გზითა და ნაბიჯით მიღიან. ახალ ეპოქას ახალი ვნებები მოაქვს, ახალი მტრები, ახალი სავაჭრო ურთიერთობანი, ახალი ქველმოქმედებანი და წმინდა წერილს ახალი თვალით კითხულობს. ფრანგული პოლიტიკის ჭორებმა, ორთქლის სასტვენმა, ქარხნის დუგ-ლუგმა, გემზე ამსვლელ ემიგრანტთა ხმაურმა თითქმის მთლიანად გააძევა გონებიდან ძველი ლეგენდები; ასე რომ, როცა ლიტურგიის წასაკითხად მივდივარ ახალ თანამედროვე კონგრეგაციაში, მისი შეუძლებელი მოუწყობლობა აბსურდ ემსგავსება და ძველი კოსტუმებით მასკარადს გვთავაზობს.

ვერცერთმა ქიმიკოსმა ვერ გაითქვა სახელი რელიგიის კრისტალიზებით. რელიგია ენდოგენურია კანივითა თუ სხვა სასიცოცხლო ორგანობივით. ყოველ დღეს ახალი მტკიცება მოაქვს. წინასწარმეტყველმა თუ მოციქულმა უწყის ეს, ხოლო ნონკონფორმისტი არღვევს კონფორმისტის შეხედულებებს იმ ტექსტის ციტირებით, რაც მისაღებია კონფორმისტებისათვის. ესაა რელიგიის პირობა, რელიგია მოსთხოვო მის განმმარტებელს. წინასწარმეტყველსა და მოციქულს კარგად შეიძლება გაუგოს წინასწარმეტყველმა და მოციქულმა. სახელმწიფო მოღვაწემი იცის, რომ რელიგიური ელემენტი ისევე არ უღალატებს, როგორც ორგანიზმს ფიბრინისა და ქილუსის მიწოდება არ შეუწყდება ძარღვებში; მაგრამ რელიგია თავისი ბუნებით კონსტრუქციულია და ისეთ ეკლესიას შექმნის, როგორიც თვითონ სურს. ბრძენი კანონმდებელი სახსრებს გაიღებს ტაძრების, სკოლების, ბიბლიოთეკების, კოლეჯე-

დიაკვნებს ძალზე ცოტას უხდიან, ხოლო პრელატებს მეტისმეტად ბევრს. ეს უთანასწორობა იზიდავს ეკლესიისაკენ კეთილშობილთა შვილებს და სხვა შეუფერებელ პირებს, ვისაც მოხვეჭის მადა აქვთ. ამგვარად, ეპისკოპოსის მხოლოდ სტიქაროსანი ვაჭარია. მის მაქანებს მიღმა ვხედავ, თუ როგორ ბზინავს ნოქრის ქურთუკის გაკრიალებული ღილები. დარჟემისოდენი სიმდიდრე თითქმის დანაშაულის წაქეზების ტოლფასია. თემთა პალატაში, ირლანდიის საარჩევნო პრივილეგიებზე საუბრისას ბრაჟემთა თქვა: „როგორ უნდა გამოხატოს მეორე პალატის ღირსეულმა ეპისკოპოსებმა ზიზლი ცრუმონბებისადმი, როცა ისინი საზეიმოდ აცხადებენ ღვთის წინაშე, როცა გვთავაზობენ წელინადში – 4000 შემოსავლიან მრევლს, იმ წუთებში აღძრულნი ვართ მხოლოდ წმინდა სულით, რათა მივიღოთ ეს სამსახური და ჩავიბაროთ მშარებელობა და სხვა არა რა მიზეზით?“ ხელდასხმის წესები უფრო გადაგვარებულია, ვიდრე საბაჟოში წარმოთქმული ფიცი. ეპისკოპოსს ორჩევენ წინამძღვარი და ტაძრის პრიბენდები. დედოფალი ამ ჯენტლემნებს უგზავნის Conde d'elire-ს, ანუ თანხმობას არჩევნებისათვის: მაგრამ იმავდროულად უგზავნის სახელს იმ პიროვნებისა, ვინც უნდა აირჩიონ. ისინი შედიან ტაძარში, გალობენ და ლოცულობენ და ევედრებიან სულინმიდას, დაეხმაროს არჩევანში; და ამ ლოცვა-ვედრების შემდეგ ყოველთვის ისე სდება, რომ სულინმიდას კარნახი ეთანხმება და დოფლის რეკომენდაციას.

შაგრამა კონფირმიბიზმს ხარკი უნდა უხადო. ყველაფერი მანამდე კარგად, სანამ კონფირმისტებს მისდევ კუდში. მაგრამ თუ სხვა მხრივ პატიოსანი ხარ, იცი, რომ სადღაც ცხოვრობს კაცი, ვისი პატიოსნებაც, აგრეთვე, იმ სიმაღლემდე ასულა, რომ მუხლს არ მოუყრის ყალბ ღმერთებს, და იმ დღეს, როცა მას შეხვდები, მოჩვენებითობა-თა მორევში იძირები. გარდა ამისა, ამგვარ მარცხს მძიმე სასჯელებიც ახლავს. თუკი ტყუილს შეეგუები, მაშინ უნდა შეეგუო ყველაფერს, რაც მას თან ახლავს. ინგლისი სელგამლით ხვდება თავის მოჩქურობებულ ნაციონალურ ეკლესიას, და ეკლესიაც თვალებში უჭყიტინებს, ფერ-ხორცს მატებს, ხმაში ხრინნეს გამოურევს, და მსმენელთა ალქამას აბიუნდოვნებს.

ინგლისის ეკლესიას, ძირგამოთხრილს გერმანული კრიტიკის მიერ, ტრადიციის მეტი აღარაფერი დარჩენდა და, ლოგიკურად, უკან, რომანტიზმს შეადარა თავი.

მაგრამ ეს ის სტიქია იყო, რომლითაც მხოლოდ გახურებულ თავებს შეეძლოთ სუნთქვა. განათლებული ფენის შეხედულებით, ეს გარემოება მზეზე კერ გაგვიყვანდა; და ამგვარი ხალხი მთლიანად გაუცხოვდა ეკლესიისაგან.

ბუნებას უფროლად აქვს სამურნალო საშუალება. რელიგიური პიროვნებანი სახელმწიფო ეკლესიიდან სექტებში მიღიან, ეკლესია კი მაშინვე აღსდგება, რათა ნდობა დაიბრუნოს და საფუძვლები გაიმყაროს. ბუნებას უფრო მნარე წამალიც მოეძევება. ცვლილებათა მოძულე ინგლისელებს ყველაზე მეტად რელიგიაში სძაგლი ცვლილებები და ფორმალურ ნაგლევებს და ებლაუჭებიან, და ფარისევლობისაგან საშმად გადახარილი ინგლისელები (და ვისურევებდი ეს მარტო მათ ეხებოდეთ, მაგრამ ეს ორივე ნახევარსფეროში მცხოვრები ანგლოსაქსების ნათესავთა ნაკლია) – ინგლისელები და ამრიკელები პირმოთნეობენ ყველა სხვა ერებზე მეტად. ფრანგებმა მოთლი ეს საქმიანობა მათ დაუთმეს. რა უნდა იყოს იმაზე საზიზარი, ვიდრე თავის დაკერა ღვთისადმი, ჩვენს წიგნებსა და გაზეთებში რომ ვხვდებით? პოპულარული პრესა სწორედ იმდენადგვა საძაგლო, რამდენადაც პირმოთნე, ხოლო დღევანდელი რელიგია თეატრალური სანახაობაა, სადაც ჭექა-ქუხილს ბუტაფორია იწვევს. ფანატიზმი და თვალომაქცობა წარმოშობს სატირას. „პანჩი“ ამოუწურავ მასალას შოულობს. დიკენსი წერს რომანებს ექსტროპოლის ადამიანებზე. თეკერე ნარმოვეიდეგენს უგულო მაღალ წრეს. ბუნება დაუყოვნებლივ იძიებს შერს იმით, რომ წარმართობას გარჩენს დაბალ ფენებში. ლორდ შაფსთერი ღატაკ საბრალო ქურდებს თავს უყრის და უქადაგებს და ისინი ამას „გაზ-ს“ ეძახიან. ჯორჯ ბაროუ ბოშებს აიძულებს მოისმინონ მისი მსჯელობანი ეპრაელთა ყოფის შესახებ ეგვიპტებში და უკითხავს მოციქულთა სწავლებებს ბოძურ ენაზე. „როცა დავასარულე“, ამბობს იგი. „მიმოვიხედე, შეკრებილთ ნაკვთები მოჰქცეოდათ და ჩემსკენ მოცყრობილი თვალები საშიშრად დაეღმებინათ: არ იყო ერთიც კი დაელმებული, რომ არ მომჰტერებიყო; კეთილშობილ ბეპას, გულკეთილ ჩიჩერონას, ქოსდმის, ყველას თვალები დაეღმებინა და ბოშათა წინამძღვრლი ყველაზე უარესად დაელმებულიყო.“.

ასეთ დროს ეკლესია შესაბირალი ინა. მას ა აღარაფერი დარჩენია, საკუთრების გარდა. თუკი ეპისკოპოსი ჭვევიან ჯენტლმენს ვერ შეხვდება და მის თვალებში საბედისნერო შეკითხვას დაინახავს, მას აღარაფერი რჩება, იმის გარდა, რომ ლვინო დალიოს მასთან ერთად. ყალბ პოზიციას მოაქვს პირმოთნეობა; ტყუილზე დაფიცება თაღლითობა და უფრო მდაბალი აზროვნება და ხასიათი სამ-ლვდელობაში, ვიდრე ოდესმე. და როდესაც საეკლესიო ჩინებს ეშინიათ მეცნიერებისა და განათლებისა, ეშინიათ ლვთისმოსაობისა, ეშინიათ ტრადიციისა და თეოლოგიისა, აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ მიატოვონ ეკლესია, რომელიც აღარა ერთიანი.

მაგრამ განა ინგლისის რელიგია დაფუძნებული სახელმწიფო ეკლესია? არა; სექტებია? არა; ისინი მხოლოდ კერძო პირთა შეირის მომხდარი გამუდმებული განხეთქილებანია და ისევე შეედრებიან სახელმწიფო ეკლესიას, როგორც კები შეედრება კარეტას, ისნი უფრო იაფი და მოხერხებული არიან, მაგრამ სინამდვილეში იგივენი არიან. მაშსადღა დაუვანებია რელიგიას? ჯერ ის მითხარით, ელექტრობა სადღა კანკრიბს, ან მოძრაობს, ან ფიქრი, ან მიმი-

კა. ისინი არსადაც არ იმყოფებიან, არსადაც არა ჩნდებიან. ელექტრობას ვერ გაამკვრიებ, ვერ ჩაადუღაბებ და მოა-თავებ, როგორც მონუმენტს ან ტაუერს, ისე ვერ დადგამ, რომ იცოდე, თუ სად მოძებნო, და მუდამ იქ გყავდეს ისე, როგორც ინგლისელები ექცევიან ყოველთვის ნივთებს; ის წარმავალი, გამსხლეტი, თვალისჩამკვრელი მოგზაურია, სიახლე, სიურპრიზი, იდუმალება აბნევს ინგლისელს და ალიზიანებს. და მაინც, თუკი რელიგია სიკეთის ქმნაა და

სიკეთისათვის დათრგუნვა ბოროტისა, souffrir de tout le monde, et ne faire souffrir personne, ლვთაებრივი საიდუმ-ლო არსებობდა ინგლისში ალფრედის დროიდან რომილი-დე, ქლარკსონიდან ფლორენს ნაითიგეოლამდე და ათასო-ბით სხვებისა, ვისაც სახელი არ გაუთქვამს.

### ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

**რალფ უოლდო ემერსონი  
(1803-1882), ფილოსოფოსი,  
ესეისტი და პოეტი, იმ გამორ-**

ჩეულ სახელთაგანისა ამერიკის შეერთებული შტატების ლიტე-რატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, რომელთაც განასაზღვრეს XIX საუკუნის ესორციკა და აზროვნების სტილი და მათი გავლენა საკმაოდ გაძმოწვდა ევროპასაც.

მისი მსოფლმხედველობა ეყრდნობოდა გრემანულ იდეალიზმს, უპირველესად მაინც ემანუილ კანტის ფილოსოფიურ მოძღვრებას, მისგანვე შეითვისა ცნება „ტრანსცენდენტალიზმიც“, მაგრამ როდესაც კონკრეტში, ამერიკის ერთ პატარა ქალაქში – რომელიც ემერსონის წყალობით, ამ ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულად გადაიტაცა – დაარსებს ტრანსცენდენტალისტთა წრეს (უილიამ ელერი ჩანინგი, ნათანიელ პოთონი, ჰენრი დევიდ ტორო, ეიმონ ლოკორი, მარგარეტ უფლერი... მოგვანებით უოლტ უიტმენი), ის უფრო ლიტერატურული მიმდინარეობა აღმოჩნდება, ვიდრე ფილოსოფიური.

ეს აღბათ იმიტომაც, რომ ემერსონს ხიბლავდა არა უშუალოდ გერმანული ტრანსცენდენტალიზმი, არამედ სემუელ ტეილორ კოლრიჯის, ტომას კარლაილის, მადამ დე სტალისა და ვიქტორ კუზენის მიერ გააზრებული, მათ ესთეტიკურ წარმოდგენები გადამტყდარი.

მისოთვის ეს მიმართულება გულისხმობდა სპირიტუალური დოქტრინის შეფიცისებას მოელი სისრულით. სწამდა სასწაული და ახალი შესაძლებლობანი ადამიანური გონებისა სულიერ ნათელსა და ძალაში ჩასანვდომად სწამდა ინსპირაცია და ექსტაზი და უარყოფა ყოველგვარ გარეგნულსა და დოგმატურს.

უიტჩენის სასაცილოდ არა ყოფინიდა გაუბედაობა, თითოს ფრთხილად შეხება, ცალკეულ ადგილთა ზედაპირული ამოჩიჩქვნა ლიტერატურულ სირკეში მოხედვისას, სასაცილოდ არა ყოფინიდა ნაპირთან ტრიალი, როგორსაც კიკანა დიდი სამყაროს ამოსაჩენად გიხმობდა და მოვალე იყავი – თუკი მწერლობაზე დებდი თავს – კოლუმბივით გაპყოლოდ მღლელავრებით აღსავესა და იდუმალებაში განოლილ სანაოსნო გზებს.

მის თვალში ლიტერატურული კოლუმბი სწორედ ემერსონი გახლდათ, თავზეხელალებული მოგზაური საკუთარი სულისა და ამერიკული სულიერება-აზროვნების წააღმა, საკუთესო კრიტიკოსა და თავისი ქვეყნის მაჯისცემის შემტყობარი.

იგი ემერსონიზმის უმთავრეს ლიტერატურულ მიმდინარებდა:

„ვის სურს, რომ მხოლოდ უბრალი მიმდევარი იყოს ვინმესი? – ისმის ყოველ მის სტრიქონში. ჯერ არ ყოფილა მოძღვარი, ვინც ასეთი დამოუკიდებლობის უფლებას იძლეოდეს – არც უფრო ჭეშმარიტი ევოლუციონისტი ყოფილა.“

და უიტჩენი მისგან რომ გადაიღებდა ამ სულისკეთებას, მიზნად დაისახავდა, თვითონაც გაეზარდა ისეთი გოლიათი, მასვე რომ შთანთქავდა, და ეს იქნებოდა უიტმენიზმის ჭეშმარიტი გამარჯვებაც.

ემერსონს პორტება უხანოდ მიაჩნდა, წუთისოფელი კი თვითშემცნების ასპარეზად და შეაგონებდა თანამედროვე-თაც და შთამომავალთაც, რომ ერწმუნათ საკუთარი თავისა

### მთარგმნებისაგან

და მათ არსებაში დავანებული ღმერთის, და ეს ფანატიკური განცდა გადააღავნიერდათ

ყოველგვარ გასაჭიროსა და სასონარკვეთას.

ამასთან, არ შეპუებოდნენ ფატების გროვას, უწინარესად რა სახითაც წარმოგვიდება ისტორია, და აემოქმედებინათ პოეტურ გუმანი მის სიღრმეში შესაღწევად და ფარულ კანონზომიერებათ მისაკვლევად.

მისი ეს შეხედულება ზუსტად ეთანადება გალაკტიონ ტაბიძის წრმენას: წარსული არავის ესმის პოეტის გარდაო, – და საერთოდაც, ემერსონის ნააზრევის გულდასმით შესწავლა დაგვარნებულებას, რაოდენ ახლობელია იგი ჩვენთვისაც და რაოდენ აუცილებელი მისი დასახვაც ჩვენს მეგზურად გლობალისტური ექსანისის გადასაღალად.

ჩვენთვის ამერიკა სწორედ ემერსონია და, მასთან ერთად, ის სულილი პიროვნებანი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია აცილების სისტემის სულაბუნებრივი გზით.

ნუ დარჩები ნურავის მიმდევრად და ეძიე საკუთარი თავი, – ესეც ის გზისგამკვლევი შეგონება, თავისებური მეორეობები მცრავდა.

მარკ ვან დორენისა არ იყოს, ემერსონის თეორია პიროვნების შესახებ მისი აზროვნების საფუძველია და იგი ბრწყინვალე შედეგებს აღნევს, როცა ამა თუ იმ პირის შესახებ წერს. ესეების კრებულში „ინგლისელთა ზნეობანი“ იგი გვიხატავს მშვენიერ პორტრეტს ხალხისა და წინა პლანზე წამონევს ამ ხალხის „პიროვნულ ძალას“.

ტომას კარლაილი ესეების ამ ციკლს უწოდებდა წიგნს და-ნერილს „ნამდვილი კაცის მიერ, ვისაც თვალი ასხია და გულით ატარებს კეთილშობილებას, სიღრმესა და სხვა მრავალ სიქველეს.“

ინგლისელთა ზნეობათა შესახებ დაწერილ ესეებში ემერსონის სრულად გამოვლენს თავის სამწერლო ნიჭიერებას და ალექსის ლეგნდარული ვიქტორიასეული ეპოქის ადამიანებს; ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაგვახედებს მათ არსში და არად არა სცილდება ზომიერი კომედიის ენას, თუნდაც გროტესკულ პორტრეტს ხატავდეს. ამ კრებულს თავის მსგავსთა შორის ტოლი არ მოექცება.

„ინგლისელთა ზნეობანის“ წერისას ემერსონი მიზნად არ ისახავდა მარადიულ ჭეშმარიტებისათვის მიეგნო, მაგრამ შემოქმედებითმა პარადოქსმა მაინც მიახლოვა ჭეშმარიტებას და მარადიულობასაც აზიარა. ემერსონის თაყვანის მცემელმა ისტორიკოსებმა არ იციან, როგორ მოიქცევნენ ამ წიგნის ანალიზიზას, რადგანაც, დროის გასვლის მოუხედავად, აქ გამოთქმულ შეხედულებათა გადაფასება ვერ ხერხდება იმ ერთი უბრალო მიზნის გამო, რომ ეს არს მძლავრი და მომზიბელელი ნაშრომი.

ამ წიგნით ემერსონი კი არ გვმოძლოვრავს, არამედ შეპუელებს მსოფლიოს ერთ ნაწილს და მის შესახებ მოგვითხრობს მონიულო, შთამბეჭდავი და თვალშესაქცევი სტილით.

მისი ლიტერატურულ მეტკვიდრეობის უთარგველობა ხარვეზის ყოველი ქვეყნის მნერლობისათვის.

ესეების ამ წიგნიდან „ინგლისელთა ზნეობანი“ აქამდე ქართველი მკითხველი იცოდებრივი მიმუშავს „ხასიათი“,

რომელიც გამოქვეყნდა ჩვენს მიერ თარგმნილ ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ესეების კრებულში (1989 წელი). აგრეთვე ფრაგმენტები ტრაქტატიდან „პუნქა“ და ესეების ტომას კარლაილსა და რობერტ ბერნსზე. იქვეა დაბეჭდილი უოლტ უიტმენის ესეი „ემერსონის წიგნები“ და მემუარული ჩანაწერები „რჩეული დღენი“, რომლის ცალკეული თავებიც კვლავ ამ ბიროვნებას წარმოაჩენს. პირველად კი ქართულ სინამდვილეში

ემერსონის სახება გამოჩნდა 1972 წელს – ზეიად გამსახურდიას მონოგრაფიის – „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ – ფურცლებზე.

„რელიგია“ ის კიდევ ერთი ნიმუში „ინგლისელთა ზნეობანიდან“, რომელსაც თანდათან დანარჩენი ესეებიც მოჰყვება და ეს ერთი საუკეთესო წიგნთაგანიც სრულად ამერიკულდება ქართულ ენაზეც.

## დეტექტივი

ჰენრი სლეზიარი

## ქურდებაცაცა

ნებისმიერ ტირანიას ერთი საუცხოო თვისება მოეპოვება: იგი აერთიანებს და რაზმავს იმ ადამიანებს, ვინც მისი მსხვერპლი გამხდარა. „შტეკპულ გლოუ კომპანის“ ოფისში შეიმჩნეოდა ამ იშვიათი ფენომენის შინაური სახესხვაობა. თანამშრომლებს ერთსულოვნად სძულდათ რალფ შტეკპული – პრეზიდენტი და მფლობელი ფირმისა. შტეკპული, ალბათ, ყველაფერს სვდებოდა, მაგრამ ეს ამბავი ერთი ბენზიზეც არ აღელვებდა. თავისი ცხოვრების ორმოცდათწლიან გზაზე, საიდანაც ოცდათო წელიწადი უკავშირდებოდა ხელთათმანთა წარმოებას, მან ერთი ოქროს წესი შეითვისა: პირველმა დაარტყი მეტოქეს. დაასარი, სანამ დაგარტყამდეს.

ის დილა, როდესაც შტეკპულმა თავის სანარმოში ქურდი აღმოაჩინა, ურიგოდ როდი დაწყებულა. ფეხით გაიარა ექვსი კვარტალი, რომელიც მის ბინას აშორებდა ოფისიდან და იანვრის სუსხმა ალერსიანად შეუფავლა დანაოჭებული ლოყები. საუზმისას ტკბილად ეტიკტიკებოდა თავის ცოლს, სამსახურში მისული კი ძალზე თავაზიანად გამოელაპარაკა მდიდარქალს, რომელმაც დილანდელი კორესპონდენცია მიართვა. ბლებურნმაც კი, თავისი ნერვიული მანჯვა-გრეხით ყოველთვის დავთორებს რომ უბრნებდა, ამჯერად მხოლოდ მჩატე ლიმილი დაიმსახურა, როდესაც პრეზიდენტის წმინდათამინდა სავანეში გამოჩნდა. მაგრამ ლიმილი ხანმოკლე გამოდგა.

– უბრალოდ ვერ წარმომიდგენია ეს, მისტერ შტეკპულ, – ურვას მოჰყვა ბლებურნი. – ჩვენ გამოვითხოვთ მოდელი წომერი 205 და ფაბრიკამ წიმუშად თორმეტი წყვილი გამოგვიგზავნა, მაგრამ ამჟამად თერთმეტილა დაგვრჩია...

– აბა მე რა უნდა ვიღონო?

– მაგრამ ეს მარტო 205-ე მოდელს როდი ეხება, მისტერ შტეკპულ. სხვა რაღაცებიც იკარგება და ვერაფერი გაგვიგია. გინდა, არ გინდა, იფიქრებ, რომ, – პირისახე წერვიულად აუცახცახდა, – ქურდბაცაცა გამოგვეჩევა.

შტეკპულმა მძიმედ ამოიხსრა.

– თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ აქ, ჩემს საკუთარ სანარმოში მძარცვავენ?

– ცხადია, სანამ ასე მიყრილ-მოყრილი იქნება ხელთათმანები, ყოველთვის შეიძლება ერთი წყვილი ჩაიკუჭო პალტოს ჯიბეში ან პორტფელში და არხეინად გაიტანო.

პრეზიდენტი ზეზე წამოდგა; უზომოდ განრისხებული მაშინვე იუპიტერს მოგაგონებდათ.

– ბლებურნ, ასეთი რამ ვერავინ ვერ უნდა გამიბედოს! გესმით, ვერავინ! მე მოვითხოვ, დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ თალღითი დღესვე იპოვოთ!

– მე უნდა ვიპოვო? – ბლებურნს მთელი სხეული აუკალდა. – მაგრამ რატომ მაინცდამანც მე უნდა ვიპოვო? მე ხომ წარმოდგენაც არა მაქვს, თუ რა ზომებს იღებენ ამგვარ შემთხვევებში!

– არ იცით, რამდენი ხელთათმანი დაიკარგა?

– ექვსი ან შვიდი წყვილი.

– დარწმუნებული კი ბრძანდებით, რომ სხვა ყველაფერი ადგილზე ძევს? სანერი ქალალდი, სამაგრები, ჩემი სიგარები! – შტეკპულმა ბიუროს სახურავი გადასწია. – აქ ხომ ყველას შეუძლია შემოვიდეს და სიგარები ამწაპნოს!

– მოდი, მე ოქმს შევადგენ...

– გაეთრიეთ აქედან, – მრისხანედ დაილრინა შტეკპულმა. – არავითარი ოქმი არა მჭირდება, თავად მოვული ამ საქმეს.

შტეკპულის ჩვეულებას – ხარს უმალვე რომ სწვდებოდა რქებში – არასოდეს უღალატგია მისთვის. სასწრაფოდ გამოიხახა კერძო დეტექტივი და საქმის ვითარება გააცნო. სემპლი, ჯმუხი და ტანძორჩილი კაცი, რომელიც შეჩვეული იყო გაძარცულ სქელჯიბიანთა მშფოთვარე ტირადებს, დიდი გულისყურით უსმენდა კლიენტს.

– მისტერ შტეკპულ, რამდენად სერიოზულია ეს საქმე? – დანოტერესდა იგი. – აქ ყური მოვკარი, რომ დაკარგული წივთების ღირებულება ათ-თხუთმეტ დოლარზე მეტს არ უნდა შეადგენდეს. მართლაც ასეა?

– ჩემთვის, უწინარეს ყოვლისა, ეს არის პრინციპის საქმე, – გულაბდილად განაცხადა შტეკპულმა. – არავის გავაძედინებ გამჭურდოს და ხახვივით შერჩეს. მით უმტეს იმათგან თუ არის, ვისაც ხელფას ვუხდი.

– ეჭვი ხომ არა გაქვთ ვინმეზე?

– მოპარვით ყველამ შეიძლება მოიპაროს, – დაილრიალა შტეკპულმა. – მე რომ მეითხოთ, ყოველი მათგანი გააკეთებდა ამას, ჩემი საკუთარი მდივანქალიც კი. ანდა, ვთქვათ, ყმანვილი შიკრიი. დიახ, დიახ, ვინ იცის, ეგებ, ეს ცულღუჭი სწორედ ფრედ კოტერი იყოს.

– რა ბრძანეთ, ვინაო?

– კოტერი, ჩემი თანაშემწე. ახალგაზრდა კაცია, უცოლო, გოგოები ბუზივით ეხვევიან. რა იცი, იქნებ სწორედ ისინი იპრანჭებიან ჩემგან მოპარული ხელთათმანებით. ეგ ვაჟაბატონი ჭირის დღესავით მეზარება.

– მაშ რატომლა აჩერებათ თქვენთან?

– რას იზამ, თავისი საქმე კარგად გაეგება, – მორჩილად მიუგო შტეკპულმა. – საერთოდ, ერთ-ერთი

საუკეთესო სპეციალისტია, აი, ცოტა მეტს რომ ირჯებოდეს... ნახევარი დღე მუდამ ოფისის გარეთ დაყიალობს. მერე კი ბრძანებს, „გამოცდილების შესაძენად“ ვიყავი ნასულიო. მაგრამ მე რას გამაცურებს! დარწმუნებული ვარ, ქალებში დაეხეტება და ჩვენ კი მთელი დღის ხელფასს ვუხდით. ერთი სიტყვით, სულაც არ გამიკვირდება, ეგ რომ გამოდგეს ქურდი.

— ნინასნარ ნურავის დავაბრალებთ, — კეთილგონივრულად შეებასუხა სემპლი. — ყველაფერს ის აჯობებს, რომ ქურდი მახეში გავაბათ.

— მახეში?

— დიახ, მახეში. ამგვარი მე-თოდი არაერთხელ გამომიყენებია ქვეყნის ზოგიერთი უდიდესი ფირმის ინტერესთა დასაცავად. და მუდამ წარმატებას ვალნევდი. მისი არსი იმამია, რომ დამნამავემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა „დაილაქავოს თავი“, — დეტექტივმა ჩაიხითითა და დაუინებით მიაჩირდა შტეკპულის სიგარას.

— სახელდობრ რა უნდა გავაკეთოთ?

— ოჟ, აქ არაფერია რთული. თქვენს მიერ დაიშნულ დროს მოვიტა განსაკუთრებული თვისების მანათობელ ფხვნილს, რითაც დავამუშავებთ ხელთამანიან კოლოფებს და მთელ ოფისში დავაწყიბთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქურდისთვის ყველაზე მაცდუნებელ ადგილებზე. და როდესაც დავრწმუნდებით, რომ კვლავ მოხდა ქურდობა, სრული თავდაჯერებით შევუდგებით გამოძიებას.

— რა უნდა გამოვიძიოთ?

— აი, შეხედეთ. მოპარვისას ფხვნილი მოხვდება ქურდის თითებზე, მაგრამ მისი დანახვა მხოლოდ სრულ სიბრძეში ხერხდება. გარდა ამისა, ფხვნილს ვერავითარი სარეცხი საშუალებით ვერ ჩამოირცხავ. ქურდბაცაცას გამუდმებით თან დაჰყვება თავისი დანაშაულის მტკიცებულება.

— აჟ, გასაგებია, — ახლა შტეკპულმა ჩაიხითითა. — მაშასადამე, მთელ ამ ბანდას თავი უნდა მოვუყაროთ რომელიმე ბრძლ სადგომში და ვნახოთ, ვის გაუნათდება ხელები. — შტეკპულს თვალები გაუბრნებუნდა და ფრიად კმაყოფილი გადაწვა თავისი ტრიალა სკამის საზურგებელი. — გენიალური იდეაა, სემპლ. როდის შეიძლება, რომ განვახორციელოთ?

— თუკი თქვენი თანხმობა იქნება, ამ სალამოსვე შემიღლია ყველაფერი გავამზადო.

— ერთი წუთი მაცალეთ. — შტეკპულმა ტელეფონის ყურმილი აიღო და თავისი მმართველი გამოიძახა. — ბლეკბურნ, ვინმეს ხომ არ უთხოვია სამუშაოდან განთავისუფლება სახვალიოდ?

— არა, სერ.

— დარწმუნებული ბრძანდებით? ფრედ კოტერი და სხვები, ყველანი ადგილზე არიან?

— დიახ, სერ. რამდენადაც ვიცი, სამუშაოდან არავინ ნასულა.

— აბა, კეთილი, კეთილი, — ჩაიბუზლუნა შტეკპულმა და ყურმილი დადო. მერე კმაყოფილმა თვალი ჩაუკრა დეტექტივის და თავისი ერთ-ერთი სიგარა გაუწოდა მადლობის ნიშანად.

იმავე სალამოს, როდესაც ყველამ დატოვა ოფისი, შტეკპული და დეტექტივი შეუდგნენ თავიანთი ჩანაფიქრის ხორცებსმას. სემპლი ხელ-

თათმანთა კოლოფებს ამუშავებდა თეთრი ფხნილით, ხოლო პრეზიდენტი გაოცებით შეპუზრებდა და მღელვარებას ვერ მალავდა. დაიყინა, რომ მისი სიგარების ზარდაბშაც გადაექციათ მახედ. როდესაც შინ დაბრუნდა, ცოლს დაწვრილებით უამბო, თუ როგორი ხაფუნგი დაუგეს ქურდს. ცოლი გაკირვებით შეპუზრებდა. თავისი ქმარი აქამდე არასოდეს ენახა ასე გახარებული და აღფორვანებული.

მეორე დღეს ყველა თანამშრომელი გამოიძახეს შტეკპულს პირად კაბინეტში. თავად კი დახურულ კარს მიღმა მოთავსდა და სადილობისასლა გამოჩნდა. დროის თანაბარ მონაკვეთებში ბლეკბურნისან მოითხოვდა იმის მტკიცებას, რომ მთელი პერსონალი ნამდვილად იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე. და ბლეკ-

ბურნიც უდასტურებდა, ყველანი აქ არიანო. მთელი კოლექტივი სრული შემადგენლობით გამოცხადდა გარდა მდივანქალისა, რომელიც შენობიდან გასულიყო რაღაც სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად; გარდა მოურავისა, რომელსაც კბილი სტკილდა და გარდა ფრენკ კოტერისა, რომელიც უკვე ორი საათის განმავლობაში „გამოცდილებას იძენდა“.

დღის ოთხ საათამდე შტეკპულს არ შორდებოდა შიში, ვაითუ ქურდმა სწორედ დღეს გადაწყვიტოს პატიოსანი ცხოვრების დაწყება და მთელი გეგმა ჩაგვიოხორისო. სრულიადაც არ იზიდავდა იმის პერსპექტივა, რომ დიდანის მჯდარიყო საფრანში. სწყურიდა, მყისვე ეტაცა ხელი თავისი მსხვერპლისათვის. და თხუთმეტ წუთში ცხადი შეიქნა, რომ ნაყოფი მომწიფებულიყო.

დარეკა ბლეკბურნმა.

— მისტერ შტეკპულ! შევამოწმე კოლოფი იმ ნიმუშებით, ბუღალტერიის ახლოს რომ იდო. ერთი წყვილი ხელთამანი აკლია.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ბრძანდებით? — პკითხა შტეკპულმა და სიგარა გამოიძრო პირიდან. — ყველაფერი გულდასმით გადათვალეთ?



მხატვარი თამარ მინაშვილი

– რამდენჯერმე გადავთვალე, სერ. თავდაპირველად იყო ოცდაოთხი წყვილი, ახლა კი ოცდასამი დარჩენილა.

**შტეკპულმა** მუშტი დაარტყა მაგიდას.

– ყველა თანამშრომელი ადგილზეა?

– დიახ, სერ. მისტერ კოტერი ნახევარი საათის ნინ დაბრუნდა და ამჟამად აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი შეკრებილია.

– ხუთათ წუთში უნდა მობრძანდნენ დიდ კონფერენც-დარბაზში. ყველანი, უკლებლივ... მე მოვითხოვ ას-პროცენტიან დასწრებას!

– არის, სერ!

შტეკპული ძლივდლივობით იკავებდა თავს. არც ერთ წინანდელ გარიგებას, რაგინდ დიდი მოგება ჰქონიდა, ესოდენ არ აუღელვებია. ამ დროისათვის მას სავსებით დაავიწყდა სემპლის როლი ამ გეგმის დამუშავებაში და მოსალოდნელ ზარ-ზეიმს მარტოოდენ თავის დამსახურებად.

ამასობაში პირმოქუშული თანამშრომელი თანდათანობით ქუჩდებოდნენ ვრცელსა და უფანჯრო დარბაზში. მათი უხალისობა რა გასაკვირია. საერთო კრებები, ჩვეულებრივ, ტარდებოდა იმისთვის, რათა ყველანი დაეტუქ-სათ, ან წარმოეთქვათ ლიტონი სადლეგრძელოები წლის დასასრულს ანდა წაეკითხათ მოსაწყენი ანგარიში საქმე-თა მსვლელობაზე. მხოლოდ იმ კუთხიდან, სადაც ისხდნენ მდივანებისას, ისმოდა სიცილი; ხოლო ფრენკ კოტერის პირისახეს, პერანგის ამარა რომ მიიზლაზნებოდა დარბაზში, ბოროტი ლიმილი დასთამაშებდა.

შტეკპული გაემართა თავმჯდომარის ადგილისაკენ პრეზიდენტის მაგიდასთან.

– გთხოვთ ყურადღებას, – მშრალად წარმოთქვა მან. ყველანირი შრიალი და ჩახველება მყისვე შეწყდა. – აქ იმისთვის დაგიახეთ, რათა პატარა ექსპრიმენტი ჩავატარო. თუ შეიძლება, ყველანი დარჩით თქვენ-თქვენს ადგილსა და მხოლოდ ხელები შეატრიალეთ. აი, ასე. – ორივე ხელი, ზემოთ ამართული ხელისგულებით, ნინ გაიშვირია.

გაისმა გაოცეპული წამოძახილები, აშკარად იგრძნობოდა დაბრეულობა.

– აბა, რაღას ელოდებით?

ყველამ შეწყობილად გაიშვირა ხელები.

– მისტერ ბლეკბურნ, გამორთეთ შუქი, – გასცა განკარგულება შტეკპულმა.

ბლეკბურნი მარდად მიიჭრა ჩამრთველთან და შუქი გამორთო. დარბაზი წყვდიადში ჩაეფლო. გამეფდა სიჩქმე, რომელსაც იშვიათად თუ დაარღვევდა ცალკეული ნერვიული ჩახველებანი.

– მისტერ შტეკპულ!

ეს ბლეკბურნის ხმა იყო. შტეკპულმა გაიხედა მისკენ და მკერდზე მოაწვა შეგრძება ტრიუმფისა, რომელმაც ლამის დაუწყვიტა პერანგის ლილები. ხუმრობა საქმეა, იქ, დარბაზის მეორე ბოლოში მოჩანდა ორი აკაშკაშებული ხელი.

– შუქი! შუქი! ჩართეთ! – წამოიძახა ალელყადულმა შტეკპულმა, ჯგროში გაიკალა გზა და დამნაშავეს ხელისგულზე სტაცა ხელი.

ფრედ კოტერი გაოგნებით მიაჩერდა პრეზიდენტს.

– რა მოხდა? რა დავაშავე?

– აპ, ეს მაინც შენა ყოფილხარ! – საზეიმო ხმით წარმოთქვა შტეკპულმა. – ვიცოდი, რომ მართალი ვიქებო-

და. ეჭვიც არ მეპარებოდა! შენ გეგონა, რომ შეგერგებო-და ჩემი ძარცვა...

– ნეტა ვიცოდე, რაზე ლაპარაკობთ?

– რაზე ვლაპარაკობ? მისტერ კოტერ, ხომ არ გამაც-ნობდით თქვენი პორტფელის შიგნეულს?

– რაო?

– არა, სულაც არ ვფიქრობ, რომ ამდენად სულელი ბრძანდებოდეთ. ალბათ რაღაცნაირად უკვე მოიშორეთ მოპარული ხელთამანები, თუ ჯერ არ მოგიშორებიათ? ნუთუ ტყუილად დაბრძანდებოდით „გამოცდილების შესაძენად“? – შტეკპული მიუბრუნდა თავის მმართველს. – ბლეკბურნ, მე გთხოვთ, რომ დღესვე გაუსწოროთ ანგარიში მისტერ კოტერს. ამ წუთიდან ის დათხოვილია.

– პანლურსა მკრავთ? – კოტერმა ვედრებით მიაპყრო თვალი თავის კოლეგებს, მაგრამ მათ ეშინოდათ, რომ ხმა-მაღლა გამოეხატათ თანაგრძნობა.

– კი მაგრამ რატომ, რისთვის?

– თქვენ გამქურდეთ! თქვენ გაქურდეთ ფირმა! ნუთუ ამას უარყოფთ?

კოტერი ხამოწითლდა.

– ჰო, მართალია. რამდენიმე წყვილი ხელთამანი ავი-ლე. მაგრამ არაფრით არ მეგონა, რომ...

– გეყოფა ერთი. არავინ არ უნდა აიღოს რამე უნებარ-თვოდ. მისტერ კოტერ, სისულელეა იმის მტკიცება, თით-ქოს თქვენ ეს არ იცოდით. დღეს საღამოს უნდა გაანთავი-სუფლოთ თქვენი საწერი მაგიდა. ხვალ დილით თქვენი ლანდიც აღარ დავინახო იფისში!

შტეკპული შებრუნდა და მკაცრად შეათვალიერა და-ნარჩენი თანამშრომლები. დაძაბულობა წელ-წელა ცხრე-ბოდა.

შტეკპულმა ღამე მშვიდობისა უსურვა ყველას და დარჩენილი დრო თავის კაბინეტში გაატარა, რათა მოე-თავებინა სამუშაო, დღისით რომ ვერ მოასწრო. შინ ვა-შმობა უკვე გვიანი იყო. გადაწყვიტა წასვლა თავის კლუბში, სადაც მარტოობის განცხრომას იგემუბდა.

როდესაც შინ დაბრუნდა, უკვე გვიანი შუალამე იქნე-ბოდა და მისი ცოლი დასაძინებულად ემზადებოდა.

– ძვირფასო, დღეს ამდენი რომ იმუშავე, ძალიან და-იღლებოდი, – უთხორა ქმარი. თან ღამის პერანგის იცვამდა.

– როგორ ჩაიარა შენა ექსპერიმენტმა?

– მშვენივრად, მშვენივრად, – ჩაიხითხითა შტეკპულ-მა. – გინდა იცოდე, ვინა ყოფილა ქურდი? დიახაც, ეს ცუდლუტი ფრედ კოტერი!

– კოტერი? შენი თანაშემწე?

– სწორედ ეგა, შენ ხომ ამასწინათ გაიცანი საშობაო მიღებაზე! აი, ეგ ვაჟბატონი, სულ რომ ილრიჭება ხოლმე ყველის ვაჭარივით. მაგრამ დღეს ჩამოვურეცხე ღიმილი სიფათიდან. ვაჩვენე, რა ემართება იმას, ვინც ზარალს მა-ყენებს! ეგ ქურდბაცაცა ეგა.

შტეკპულმა კმაყოფილი სახით ზღართანი მოადინა სა-წოლზე და ღამის ლამბა გამორთო. მეორე გვერდზე რომ გადაბრუნდა, თავისი ძვირფასი მეუღლის გაშიშვლებულ მხარზე დაინახა ხელის მანათობელი ანაბეჭდი.

თარგმა  
ზურაბ ცერცვაჩვე

სერგეი მაქსიმოვი

## პერიოდის თავადი

ამ მხრივ, 1829 წლამდე რაიმე პრაქტიკული მოქმედება არ ყოფილა შემჩნეული. 1829 წელს კი ოქროპირ ბატონიშვილმა კავკასიის სამკურნალო წყლებზე წასვლის ნებართვა მოიპოვა. მცურნალობის შემდეგ მან მოულოდნელად პირი საქართველოსაკენ ქნა. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ოქროპირი დაუახლოვდა ორბელიანს<sup>1</sup> – თეკლა ბატონიშვილის<sup>2</sup> ძეს (თეკლა ასული იყო ერეკლე მეფისა), აგრეთვე, არტილერიის ოფიცერს ელიზბარ ერისთოვსა<sup>3</sup> და მასნავლებელ დოდაევს.<sup>4</sup> ამათ შეადგინეს „ფარული საზოგადოების“ განაწესი, რომლის მიხედვითაც, შეთქმულებს ქართველ ახალგაზრდობაში უნდა გაეღვივებონათ სიყვარული სამშობლოსადმი, ბაგრატიონებისადმი (მათი ტახტზე დაბრუნების მიზნით), სამდვდელოებისათვის უნდა ეთხოვათ ღვთისადმი ლოცვა-ვედრების აღვლენა ბაგრატიონთა დიდებისა და ეკოლოდებისათვის, თანამემამულებისათვის უნდა შეეხსენებინათ ძველი დროების გმირული სურათები, ქართველ მეფეთა ლირსები, კერძოდ ის, რომ წებისმიერ ადამიანს შეეძლო მეფესთან უშუალო ურთიერთობა, ხალხისთვის ჩაეგონებინათ ეროვნული ტრადიციებისა და ადამ-წესების დაცვის აუცილებლობა, ქვეყნის ორგულებზე შურისძიების უამის მოახლოება, ამასთანავე, თავიანთ განზრაბულებზე არ ელაპარაკათ სამ და მეტ ადამიანთან, თვით ოჯახის წევრებთანაც კი და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, – იმავე აქტის თანახმად, – გადაწყვეტილი იყო სახალხო მღელვარების გამოწვევა, თბილისის საკანძო პუნქტების ხელში ჩაგდება, დარიალის ხეობის ჩახერგვა, აჯანყებულთაგან რეგულარული ლაშქრის შექმნა, მისთვის მეთაურების დანიშნული და ბრძოლის გაჩადება რუსული ჯარების წინააღმდეგ, წარმატების შანსი იმაზეც იყო გათვლილი, რომ იმ დროს პოლონეთში ძლიერმა აჯანყებამ იფეთქა,<sup>5</sup> რასაც, – შეთქმულთა აზრით, – რუსეთის არმიის დაქსაქსვა უნდა მოჰყოლოდა. როგორც კი პოლონეთის აჯანყებას ამბავი შეიტყვეს, შეთქმულებმა თავი მოყუარეს თავიანთ ძალებს და 1830 წლის ივნისის დასაწყისში ჩამოაყალიბეს კიდევაც ფარული საზოგადოება. სხვებზე უფრო ფიცხმა, მგზნებარე და ენერგიულმა ერისთოვმა, – ასევე ენერგიულ და მიზანდასახულ ორბელიანთან ერთად, – მჭიდრო კავშირი შეკრა მასნავლებელ დოდაევთან და მლვდელ-მონაზონ ფილადელფიოსთან.<sup>6</sup> ორბელიანმა, თავის მხრივ, საიდუმლო გაანდო იასე ფალავანდოვს, რომელიც შეთქმულებაში „არსებით მონაწილეობას არ იღებდა“.<sup>7</sup>

დოდაევმა საქმის წარმატებისათვის გაზირიც დაარა-სა, თუმცა 1831 წელს მხოლოდ 6 ნომრის გამოცემა შეძ-

ლო.<sup>8</sup> დანარჩენებმა კავშირი გააბეს სპარსეთში გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც ორბელიანს ახლო ნათესავად ერგებოდა.<sup>9</sup> ბატონიშვილს მოუწოდებდნენ, ჩამოსულიყო კახეთში, სათავეში ჩასდგომიდა აჯანყებას და გაერევა რუსები საქართველოდან. ალექსანდრემ მოხუცებულობა მოიმიზება და მონოდებას უარით უპასუხა. მისი შემცვლელი თბილისში მოძებნა – თამარ იულინის ასული,<sup>10</sup> ალექსანდრე ბატონიშვილის ძმისნული, დამიტრი ბატონიშვილის უფროსი და ულამაზესი თამარი შეთქმულების ცენტრალურ ფიგურად იქცა და ახალგაზრდებისთვისაც თავდავიწყებამდე მისული ერთგულების საგანი შეიქნა.

თამარ ბატონიშვილთან მოთათბირების შემდეგ გადაწყდა მიზანმიმართული მუშაობა სასწავლო ბატალიონებიდან ხალხის გადმოსაბირებლად. საქართველოში სპარსელების მოსალოდნელი შემოჭრის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა, აგრეთვე, პოლონეთის აჯანყების გაჭიანურებამ, ვითარება თბილისში ისედაც დაძაბა. მას შემდეგ, რაც ვარშავის დაცემის ამბავმა თბილისში ჩამოალნია,<sup>11</sup> შეთქმულება, „მართალია, არ შეწყვეტილა, მაგრამ შესამჩნევად შესუსტდა და შეთქმულთა საქმიანობამ მეტნილად ლიტერატურული სახე და მიმართულება შეიძინა“. ამასობაში ფარულ საზოგადოებას პეტერბურგიდან დაბრუნებული რამდენიმე თანამზრახელი შეემატა და მუშაობა ისევ გაცხოველდა. ამას დაერთო კავკასიის სამხედრო ძალების დაღესტანში გადასროლა ყაზი-მოლა<sup>12</sup> დასამორჩილებლად.

აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრის მომნიშვების მიზნით შეთქმულებმა არეულობის ხელშემწყობი ხმების გავრცელება დაიწყება და ორგანიზებულ შეკრებებსაც მოუწმირეს – ძირითადად იყრიბებოდნენ ორბელიანთან, აგრეთვე ფალავანდოვთან, რომელიც საკუთარი ძმის, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდოვის<sup>13</sup> სახლში ცხოვრობდა (ნიკოლოზის გუბერნიის სარევიზოდ ქალაქიდან გასვლა უხდებოდა ხოლმე).

შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თავდასხმა ხაზინაზე, არსენალზე, მაღაზიებზე, საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელთა (3 ათასამდე კაცის)<sup>14</sup> და დაბალი ჩინის თითქოსდა 8 ათასამდე დასჯილ-დაქვეითებული და, ამდენად, მთავრობაზე განაწყენებული, მოხელის აჯანყებაში ჩართვა. თამარ ბატონიშვილთან თავიდან თითქოს შემინდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა არა მარტო შეიარაღებულ აჯანყებას, არამედ მასში უშუალო მონაწილეობასაც კი. ელოდებოდნენ თავადაზნაურობის ყრილობას და, განსაკუთრებით, გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს, რომელმაც თბილისში ჩამოსვლისთანავე უარყო აჯანყების იდეა და დააჯერა შეთქმულები, რომ მათ ხელი უნდა აელოთ ამაო და უპერსპექტივო განზრახევაზე.<sup>15</sup>

დაიწყო დაპატიმრებები. ბარონმა როზენმა<sup>16</sup> სამხედრო სასამართლო დანიშნა. ნიკოლოზ I დარწმუნდა, რომ შეთქმულთა საქმე გამოიძიების მიერ იყო გაზიადებულ-გაბუქული, თორებმ სინამდვილეში ეს იყო უნაყოფო, ყველად უმნეო და უსუსური ცდა აჯანყების გზით რეზიმის შეცვლისა. ამიტომაც, იმპერატორმა მოვლენები მოწყალე თვალით შეაფასა, სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს (თვითონ როზენის მიერვე ნაკარნახევს) არ დაე-

თანხმა და დამნაშავეებს სასჯელი შეუმსუბუქა. კერძოდ, ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, ფიცხი და მგზებარე სამხრე-თელების აღტყინება ჩრდილოეთის სუსხიანი კლიმატით დაეშოშმინებინა.<sup>17</sup> ასე, მაგალითად, ელიზბარ ერისთოვი გაგზავნეს არხანგელსკის გარნიზონის ერთ-ერთ ბატალიონში;<sup>18</sup> მასნავლებელი დოდაევი – კანცელარიის დაბალი ჩინის მოხელედ ჩრდილოეთის ერთ-ერთ გუბერნიაში, სადაც მას თავისი დანაშაული, სულ ცოტა, 10 წლის მუყაითი შრომით უნდა გამიერსყიდა. დანარჩენებიც მიმოფანტეს: ზოგი პერმში, ზოგიც – ვიატკაში...

სამართალში მიცემულთაგან სასჯელი სულ 59-ს დაადეს, თუმცა, მათ რუსეთის შორეულ გარნიზონებში, ქალაქებსა თუ ციხესიმაგრებში გადასახლება აკმირებს. გადასახლებულებს იქ მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ უნდა ეცხოვრათ. სხვათა შორის, ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს საცხოვრებლად მიუჩინეს: პირველს კოსტრომა, მეორეს – სმოლენსკი, თამარ ბატონიშვილი გადასახლეს სიმბირსკში,<sup>19</sup> თეკლა ერეკლეს ასული – კალუგაში. რაც შეეხება ისე ფალავანდოვს, იგი სამსახურიდან დაითხოვეს (კოლეგის რეგისტრატორის ჩინი ჰქონდა) და ისე, რომ არც სასამართლოსათვის გადაუციათ და არც თავადობა ჩამოურთმევიათ, უნტერ-ოფიცრად გაამნესეს ფიხტში განლაგებულ ერთ-ერთ პოლეგში. გადასახლებულებს საქართველოში დაბრუნება სამუდამოდ ჰქონდათ აღკვეთილი. შეთქმულებასთან ასე თუ ისე დაკავშირებული სხვა პირები, – სულ 78 ადამიანი, – გაათავისუფლეს ყოველგვარი სასჯელისაგან.

1834 წელს თავადი ფალავანდოვი ფინეთში ჩავიდა, ახალ უფროსობას თვითონაც წარუდგა და ბარონ როზენის მიერ გატანებული დახასიათებაც წარუდგინა: „ამ ადამიანს საძრახისი წარსული აქვს. იგი ორჯერ იყო ლტოლვილებაში: ჯერ თურქეთში, შემდეგ – მთებში; ზერბაზიან და ერთობ არაკეთილსამიედოა. საერთოდ, თავისი ჭურუ-გონებით, ვერაგობით, გაიძერობით, მუხანათობითა და ზედაცემულობით იგი უკიდურესად მავნე და საშიშია ამ კუთხისათვის“.<sup>20</sup>

გადასახლებული თავადი სასარგებლო აღმოჩნდა სულ სხვა კუთხისათვის, სადაც მან მოინდომა ღირსებისა და რეპუტაციის აღდგენა, წარსულს ჩაბარა სიქაბუების-დროინდელი ცოდვები და გატაცებები, ხოლო ახალი ცხოვრების აზრი პრაქტიკულ ინტერესებსა და მისწრაფებს დაუმორჩილა.

გათავისუფლდა თუ არა ძალუმადური ჯარისკაცური ცხოვრებისაგან, ფალავანდოვს პრაპორშტიკის ხარისხი ებოდა. ეს კი, რეგლამენტის მიხედვთ, თავადს უფლებას აძლევდა, ცოლიც შეერთო, ბურნუთიც საკუთარი სათუთუნიდან ეხმარა და, წესით, გზაც თოხივ კუთხით უნდა გახსნოდა. თუმცა ფალავანდოვს გზა მხოლოდ არხანგელსკისაკენ გაუსხეს და იქიდანაც – მხოლოდ პეტროპატრი. იქ კი, თავის მხრივ, განსნავლული მეტყევე კი არ სჭირდებოდათ, უბრალოდ, თავისუფალი აღმოჩნდა ვაკანსია, რომელზეც იმ დროს, ჩვეულებრივ, ოფიცრებს ნიშნავდნენ ხოლმე. უფროსობამაც ფალავანდოვი იქ მოისროლა და ისე მიიღინა, როგორც საერთოდ ეს მხარე ჰქონდა მივიწყებული. ასე იქცა თავადის მეთავალყურეობისა და ზრუნვის საგნად ტერიტორია, რომელიც სიგრძე-

სიგანით ევროპის დიდ სახელმწიფოებს არ ჩამოუვარდება. აქედან ჩრდილოეთით გადაჭიმულია უდაბნო – უკაცური, უტყეო, ხავსით მოდებული, ვრცელი და დაუსაბამო...

– ნუ იცინით! – მეუბნება თავადი მისთვის დამახასიათებელი რბილი და კეთილმოსურნე კილოთი. ამასთანავე, მის საუბარში აშკარად იგრძნობა მიკერძოებული დამოკიდებულება იმ მხარისადმი, რომელიც ასე უყვარს და რომელმაც იგი ასე თბილად ჩაიკრა გულში, – უდაბნოც ცოცხალია! აქაური ბუნება ერთი შეხედვით ჩანს მკვდარი, სევდის აღმძვრელი და დამთრგუნველად ერთფეროვანი. ნამდვილად მოჩვენებითია შთაბეჭდილება, თითქოს აქაურობა სიკვდილის ცელით იყოს გადათიბული. ხომ ხახსა და ობს მიაქვს გარმემო ყველაფერი, მაგრამ თუ კაცი მოინდომებს, მანანას იპოვის აქა-იქ, რაღაც-რაღაც მარცვლებს, ხოლო ჭაობიან ადგილებში შეიძლება მინამაყალასაც კი მიაგნოთ. თითქოსდა ხრიოკ, უნაყოფო ქვიშნარზე, გაიხედავ და – სოკოებია ამოსული, იქვე ახლოს კი დედამინის ზურგზე ულამაზეს მცენარეს – ლიქენს\* – ნააწყდები. ახლა უდაბნოს თავი დავანებოთ და აქაურ ტყეებზეც ვილაპარაკოთ: რად ლირს თუნდაც ბუჩქოვანი არყის ხე, რომლისგანაც ასე მონონებულ და მოდურ კაბინეტებს ამზადებენ. უსტ-ცილმის მიდამოებში ლარიქსიც ხომ ხარობს? მართალია, მრუდე და უსწორ-მასწორო, კაცმა რომ თქვას, მაინცდამანც სიმაღლითაც არ გამოირჩევა, მაგრამ გემთმშენებლობაში იყენებენ! ლარიქსი აქ ერთმიეროზე გადაბმულ კორომებად გხევდება. ასეთ სურათს კი თქვენ უკე რუსეთის ვერც ერთ კუთხეში ვერ ნახავთ! სწორედ ამ კორომებით სულ-დგმულობენ ჩვენი მდინარეები და ნაკადულები. ფიქსა და ნაძგზე აღარაფერს ვიტყვი – მათ სილამაზესა და სიკეთეზე ხომ დიდი ხანია, აღარ კამათობენ.

კეთილი მეტყევე, რასაკვირველია, აჭარბებდა. მისგან ნაქები ტირიფნარი, რომლითაც აქაური ლამიანი ნაპირებია დაფარული, სულაც ვერ უშლის ხელს ტუნდრისათვის დამახასიათებელ გაუდაბურებას – პუსტოზერსკში ქვიშამ ლამისა საკვამურები დაფაროს. არც უსტ-ცილმაა უკეთეს დადეში – გაუდაბურების მიზეზით დასახლება დროთა განმავლობაში ნელ-ნელა განზე მიჩრავს.

ნიადაგის ფენა აქ თხელია, ქვიშოვანი და მწირი. ამიტომაც, აქაური ხე-ტყე უხარისხებო. ლარიქსი ფულუროვანია და ძევრი სხვა ზადიც აქვს. ამას გარდა, ტყე გადაბერებულიცა და შიგადაშიგ ხეცევულებითა და ჩინჩევროთა ჩამპალი და ჩაერგოს. ასე და ამგვარად, არათუ ხე-ტყის მოქრა და გამოტანა, უბრალოდ, ტყის სიღრმეში შელწევაც კი უაღრესად განხელებულია. ერთი სიტყვით: შეხეალ და ველარც გამოხვალ და თუ გამოხვედი, ველარშეხვალ. მით უმეტეს, იმ ტყისმცველთა იმედით, ცხებოსან დარაჯებს რომ უწოდებენ და საკუთარი ხეირის იქით საზინაც ფეხზე ჰქიდიათ და სხვა დანარჩენიც.

თითქმის ყოველ ნაპიჯზე ნახანძრალებს წააწყდებით. უღრანებში საცილდავად მოჩანს დამწვარ-დანაბშირებულ ხეთა ცისკენ აშვერილი სილუეტები. კრუზენშტერნის ხე-

\* ლიქენი – განვითარების პრიმიტიულ დონეზე მდგომი მცენარე. სოკოსა და წყალმცენარის სიმბიოზი.

ტყის მწარმოებელ კომპანიას აქ ჩაყრილმა კაპიტალმა სავალალო შედეგი მოუტანა. სულ სათითაოდ დარჩეული, მდინარეზე დასაცურებლად გამზადებული და იქვე დაყრილი, გულისგულამდე ჩამპალ-ჩაოხებული მორების ხილვაზე სწავლული მეტყევე, ბატონი ბოროვსკი, სასონარკეთილებამ შეიძყრო.

პერიოდის ქვიშოვანი ბორცვები ზემოსენებული დაბრეცილ-დაგონჯებული ლარიექსებითა დაფარული. ეს ბორცვები გარს აკრავს პატარ-პატარა ტბებს ან კიდევ უზარმაზარი ღრანტების თავზეა წამომართული და შორიდან კოშკებით გამაგრებულ ციხესიმაგრებად მოგეჩვენებათ.

ის, ასეთი გარემოსა და ტყეების გულის შემატევირად და შეთვალყურედ გადმოაგდო პერიოდი საკუთარმა ბედისნერამ უაღრესად კეთილი და ადვილად მოწყვლადი გულის პატრონი იასე ფალავანდოვი.

და რა უნდა ელონა მას, რა გზას დასდგომოდა, სად მიედრიკა თავი?

ისიც ადგა, ჩაიცვა ქართული ახალუხი და თავი განგების ნებასა და ადამიანთა სამსჯავროს მიანდო...

ერთხელაც, ორი მივდივართ ქუჩაში. შემოგვევდა ყმანვილი, რომელსაც ჩვენს დანახვაზე ერთი ფაციუფუცი შეუდგა – მყისვე თავზე ხელი იკრა, ყურებიანი ქუდი მოიშვლიპა და თაყვანისცემის ნიშნად თავი მდაბლად დაგვიკრა.

თავადმა თითო დაუქნია:

– ერთი ამ მავნებელს დამიხედე?! რა გიყო ახლა? ახი არ იქნება, შენი თავი ერთი ლაზათიანად დავასჯევინო!?

ყმანვილმა თავის დაკვრას მოუხშირა.

– ტყეში ვსეირნობდი, – მეუბნება თავადი, – გავიხედე და, ვილაცას უზარმაზარი ხე მოუჭრია და ტყეშივე მიუტოვებია. პეტერბურგში საზღვაო სამინისტრო ერთ ამისთანა მორში ექვსას მანეთის იძლევა, საზღვარგარეთ ათასსაც არ დაგიჭრენ. გავიკითხე, გამოვიკითხე: ვინ მოჭრა? როდის? პირდაპირ შენ დაგადეს ხელი, მეგობარო! – ყმანვილს მიუბრუნდა, – აბა, მოყვევი ერთი, რა იყო და როგორ იყო?

ყმანვილმა სხაპასხუპით დაიწყო:

– ავიღეთ ბარჯი მე და დედილომ და თევზის დასაჭერად წავიდით. წასახემსებლად გამოვედით თუ არა და ეგრევე ის მორიც დავინახე. ოღონდ ჯერ მორი არ იყო, ხე იყო, დიდი ხე, ბარჯიანი! დედაჩემი მეუბნება: – ბიჭიკო, ეს ხე ჩვენი ახალი ქოხის დედაკოჭად ხომ არ ივარებდა? გავიქეცით, ნავიდან ცული ამოვილეთ და წამოვაქციეთ კიდევაც.

– ჰოდა, ცულს რომ ურტყამდით, არ კვნესოდა? ცრემლები არ ჩამოსდიოდა? არ შეგებრალათ მაინც? მისი საცოდაობით გული არ დაგეწვათ? კარგი, მოჭრით მოჭერით და წამოაქციეთ, რატომ არ გამოიტანეთ? დასალპობად და გასაოხრებლად მაინც რატომ დატოვეთ?

– ვერ გამოვიტანეთ! ძალა არ გვეყო. მაგის გამოტანას სამი ცხენიც მოუნდება! ვათრიეთ, ვათრიეთ, ზურგები გადავიგლიჯეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

– ახლა ეგ ხომ დალპება, ხავსი მოედება... ცხვირ-პირი უნდა ამოგიაყოს კაცმა. მოდი და გააგებინე ამათ რამე? ან როგორ გინდა, ტყე დაცვა ამისთანა თავაშვებულებისაგან? – მითხრა თავადმა და შემდეგ ისევ იმ ყმანვილს მიუბრუნდა:

– ახლა შენ წახვალ მღვდელთან, თავზე წაცარს დაიყრი და გულით მოინანიებ: ჯერ ერთი, იქურდე და თანაც ისე, რომ ავი ძალლივით არც შენ ისარგებლე და არც სხვა ასარგებლე.

– ნათქვამია, ქურდს თუ წაუყრუებ, სოფელი წახდებაო, – შემომჩივლა წასადილებს თავადმა. სადილს რაც შეეხება, ირმის ენა მოქერნდათ, ირმისავე ჩიჩივირი და დედამინის ზურგზე უგემრიელესი თევზი ჰელიადი (სიგის ოჯახისა), ან კიდევ ამას უნაცვლებდნენ იქმელების მიერ კამენსკიდან ჩამოტანილ ობისწყლის ზუთხსა და ადგილობრივ წყლებში დაჭრილ ორაგულს.

თავადმა პირის გემო იცოდა, თუმცა, ჭამით ზომიერად ჭამდა. მასთან ყველაფერი საუკეთესო მოქერნდათ – თუ თავადს მოეწონებოდა, არაფრის დიდებით გასა-

ყიდად არ წაიღებდნენ და საფასურზეც წინასწარვე ჰერნ-დათ მტკიცე უარი გამზადებული: „წყალობა ქენი, ბატონი, ღვთის გულისათვის, ძღვნად და მოსაკითხად ინებე შენი დიდი სიკეთისა და ამაგის სანაცვლოდ“.

– ძნელია აქ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულება, ძალიან ძნელია, – მეუბნება ერთხელაც ეს კეთილი და ყოვლად თვინიერი ადამიანი, – პერიოდის ზემონელში, მდინარის შენაკადების აყოლებაზე, ნაძვნარებს კედარიც შეერევა ხოლმე. თვითონ მდინარის ნაპირზე ხომ ისედაც უხვადა ასეთი შერეული ტყები. მოსავლიან წლებში გირჩებითა იქაურობა საგვე. კედრის გირჩებს თესლს აცლიან, თვითონაც ჭამებ და სხვაგანაც გააქვთ გასაყიდად, „მოსავლის“ ალება ქალების საქმეა. ესენი თავიანთ ლენჩებსა და მუტრუკებსაც თან გაიყოლიებენ ხოლმე. ლენჩები და მუტრუკები კიდევ, – ქალებს საქმე გაგუილოთ და, ცოტა არ იყოს, თავიც მოვაწონოთ, – მიადგებიან ხეებს, მოჭრიან და წამოაქცევენ. ქალებიც მაშინვე

შეესვიან ძირს გაშოტილ ხეებს და გლეჯა-გლეჯით გირჩებისაგან პირზმინდად გაცლიან. მერე მოვუყრი თავს ამ ბეჭელებსა და მავნებლებს: ვლანძლავ, ვთაოთხავ, ვემუქრები. ამ ყოფაში რომ ვარ, ამოიღებს რომელიმე ბრგე და ჯანმრთელი დედაკაცი კედრის თესლს, — ამათ ხმდ წესი-ერი სახელის დარქმევაც კი არ იციან: ტილის კვერცხებს ეძახიან, — პირდაპირ თვალებში მიყურებს არხეინად და ციყვივით კნანაკნუნი გააქვს. მეც რა უნდა ვქნა, ერთს განზე გააფურთხებ და ჩემს საქმეებზე მივდივარ.

— ეს უწყინარი ცულქობა არ არის, — მონდომებით მიხ-  
სნის თავადი, — ეს რაღაც სისხლში გამჯდარი, მოუშორე-  
ბელი და ამოუძირკვავი ჭირია. ვერავითარი მუქარა და  
სასჯელი ამას ვერ უშველის. ჩანს, აქ ადამიანის რაღაც  
სხვა ჯიშია გამოსაყვანი. აქაურებს ვისაც ხედავთ, თით-  
ქოს ყველა ერთ თარგზეა გამოჭრილი და ამათგან უკვე  
აღარაფერი გამოვა. მეოვეზეს უხისთვის წყლის ადუღება  
რომ დასტირდება, მონადირეს გათბობა ან გაშრობა რომ  
დასტირდება, კოცონს კი დაანთებენ, მაგრამ არც ერთ  
მათგანს აზრადაც არ მოუვა, წასვლის წინ ცეცხლი ჩააქ-  
როს. ტყე ინვის გარშემო, ყველგან ტყე ინვის და ზაფხუ-  
ლობით ხომ ამ მხრივ თითქმის დღე არ ჩავარდება. უზარ-  
მაზარი ტერიტორიებია გადამწერა და გადაბუგული და  
ჯერაც არავის სმენია, ამის გამო ვინმე დასჯილიყოს. არც  
შესაფერისი საშუალებები ჩანს სადმე, არც ხალხია საკმა-  
რიისი, რომ ეს უბედურება როგორმე თავიდნ ავიცილოთ.  
ხანძარი რაიმე მიზეზით თვითონვე ქრება ხოლმე. უმეტე-  
სად კი გამძინვარებული ცეცხლის ენები, — გარშემო ყვე-  
ლაფერს რომ მოლოკავს, — მდინარეს მიადგება ან ტბას,  
ან კიდევ ჩამპალ ჭანჭრობს და ამათ რომ ვეღარაფერს  
დააკლებს, ნელ-ნელა ჩაქრება და ჩაიშრიტება კიდევაც.

– მონაცირეთა შორის შევარჩიებ ერთი ცხოვრებისაგან  
დაპრენებული, დაწყი და დარბასისელი ადამიანი, რომელ-  
საც მისი გონიერების, სერიოზულობისა და კეთისინდისი-  
რად გაეთხებული საქმეების გამო დიდ პატივს ვცემდი.  
დიდხანს ველაპარაკე. საფუძვლიანად ავტესენი ვითარება.  
ვეუბნები, მდგომარეობა საგანგამო-მეთქი. ყურადღებით  
მისმენს, კვერსაც მიკრავს. დავწენარდ. მიხარია, რომ  
ძლივს კეთილგონიერი და შორსმჭვრეტელი ადამიანი ვი-  
პოვე. ვფიქრობ: ახლა ჩვენ დავსხდებით, წინადადებებს ჩა-  
მოენერთ, განაცესს დავწერთ და გავუგზავნით პალატას ან  
სულაც – პირდაპირ სამინისტროს-მეთქი. დავიწევთ და,  
რომ მგონია, ბოლომი ვართ გასული, მომიღრუნდა ეს ჩემი  
ყოვლად კეთილგონიერი და შორსმჭვრეტელი და მეუბნება:

— იცი, თავადო, სულ ტყუილად წერ მაგას, სულ ტყუილად წვალობ.

- როგორ თუ ტყუილად?

— ამათ გარევაა ეს ხანძრის ქრონბა და მაინცდამაინც სარგებელიც არაფერი მოაქვს. რაც არ უნდა დიდი და ხშირი ხანძრები იყოს, პერიორის მხარე იმოდენაა, სულ მთლად მაინც არ გადაიწვება.

თქვა ესა, დაპკრა ფეხი და სადლაც გადაიკარგა. მაშა-  
სადამე, ეს დაუდევრობა და გულარხეინობა კი არაა, რა-  
ღაც დაუწერელი და ბეჭედდაუსმელი კანონივითაა, რო-  
გორც გითხარით, მოუშორებელი და ამოუძირკვაგი ჭირია.

კომიტეტი

1. ალექსანდრე ვახტაგის ძე ორბელიანი (1802-1869) – 1832 წლის შეფეხმულების ერთ-ერთი მეთაური (შეფეხმულებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ალექსანდრეს ძმები: ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები). საგამომძიებლო კომისიამ ალექსანდრე მიაკუთვნა „დღინაშავეთა“ შეორენ კავკაციისა და მიუსაჯა გადასახალება ირნებურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წელს „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყავენს, ხოლო სამშობლოს 1840 წელს დააპრუნეს („დარიელის ხიდს ქვემოთ თერგიდის პირზე ჩაველა... იქ დავიჩიქვე, ერთს ქვას მოვეხვივ და იმას კოცნით მოვლოვამდი, რომელსაცა მიხარიდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამდლორის პირით“ – წერდა მოგვანებით ამ ბედნიერი დღის გახსენებაზე ალექსანდრე ორბელიანი).

სამშობლოში დაბრუნებულმა ალ. ორბელიანმა, ყოფილი თანამებრძოლებისა და თანამაზრებების უმრავლესობისაგან განსხვავებით, არ ისურვა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და კარგა სანაც საზოგადოებრივ-კულტურულ სარჩევლასაც იყო გარიდებული. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, სახელმისათადად დაკავშირებულია ივანე ეკვესლოიძის „ცისკართან“ (1857-1875), რომლის დაარსებასა და გამარტივებაში აღვეხსანდრე ორბელიანს არსებითი ხასიათის წვლილი აქვს შეტანილი (ივე აქვთ უნიჭებდა ლეგენდას, დრამატულ ნანარმობებს, საისტორიო თხზულებებს, რეცეპტიზებს, ნამრიმებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის საკითხებზე, მემუარებს...).

რუსეთისა და რუსებისადმი თავისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი მიმართება სიკუდილამდე რამდენიმე თვით აღრე დაწერილ „ალსარებანში“ ალ. ორბელიანს ასე აქვს ჩამოყალიბებული: „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედაგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიცი იმათ ველარ მიედინოს და რუსეთში კი ბეჭდიერად იყვნენ“.

ალ. ობელიანი გარდაიცვალა 1869 წლის 28 დეკემბერს. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. იქვეა დაკრძალული მისი უერთგულესი მეუღლე და თანამოაზრე, 1832 წლის შეთქმულების მონაცილე ეკატერინე (კატინა) დავითისა ას. ბარათაშვილი (1807-1873).

თავის მოგონებებში ალ. ორბელიანი იასე ფალავანდიშვილს „შეჩვენებულ იუდას“ უწოდებს.

2. თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) – ერევლე II-ისა და დარეჯან დემოფლის ასული. 1832 წლის შეოქმულებაში თეკლას მოელი ოჯახი მონაცილეობდა – შვილები: ალექსანდრე, დიმიტრი (1808-1882) და ვახტანგ (1812-1890) ორბელიანები, რძალი (ალექსანდრეს ცოლი) ეკატერინე (კატინა) ბარათშვილი, რომელსაც შეთქმულთაგან აჯანყების ღამისათვის ბიარალის შეკერვა ჰქონდა დავალებული (დაპატიმრებული შვილი – ალექსანდრე – თეკლ ბატონიშვილა ამ სიტყვებით გაისტოზიან: „მაგისთან პატიოსანს განზრახვასთან სანაცურად ნულარ მიგაჩნდებათ თავი. შენი ცოლ-შვილებისთვის შენ ნულარას ინაღვლი, მე იმათ მომვლელი და პატრონი ვიქენები, ლორნდ, რაც უბედურება მოგადგეს, მოთმინებით მიიღეთ... ნადი, ღვთისათვის მიმიპარების ხართ ურთობ თქვანა“).

თეკლა ბატონიშვილს საგამომძიებლო კომისიამ კალუგა-ში სამუდამოდ გადასახლება ("გაძევება") გადაუწყვიტა (თავის შვილთან, ვახტანგთან, ერთად 1834 წლის 21 აგვისტოს გაიყვანეს თბილისიდან. გადასახლებულებმა 9 ოქტომბერს ჩააღნიეს კალუგაში, სადაც მათ დახვდა უფრო ადრე კალუგაში ვე გამწერებული კიდევ ერთი ვაჟი თეკლა პატრინიშვილისა - დიმიტრი. 1834 წლის დეკემბერში ნიკოლოზ I-მა თეკლას სამშობლოში დაბრუნების ნება დართო, მაგრამ, მკაფიო ზამთრის გამო, თეკლა ბატონიშვილმა მხოლოდ 1835 წლის 8 მაისს დატოვა კალუგა, ხოლო თბილისში 6 ივნისს ჩამოვიდა).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თეველა ბატონიშვილი იყო შესანიშნავი ჩუბინი და მოჯიირითე, ყმარცვილქალობაში ხშირად იცვამდა ვაჟურად და რამდენჯერმე მამას ლაშქრობაშიც ახლდა (თევკლას შვილიშვილი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი ივონებს, თუ როგორ მოატანია ახლობელთა დაშინებული თხოვნით მოხუცებულ-მა თევკლა ბატონიშვილმა სოლოლაკის ბაზში თოვე და როგორ ჩამოაგდი ჩიტი ერთი გასლოლით). ამასთანავე, თევკლას პოეტური ნიტიც ჰქონდა და რომანტიკული განწყობილებისა და სულისკეთების ლექსებსაც წერდა („შე, გულო, რად გაქვა ესდენ წყინება, /მარად სისხლისა ცრემლთა დინება, /გუშაგ სიმრავლით თვალთა შინება, /მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება? /რადგან ჩრდილოთ მზებ ესრეთ ინება, /კრძალვით ითმინე სახმილთ გზზებანი...“ და ა.შ. — ლექსაც სწერდა თევკლა თავის დას, ქეოვეან ბატონიშვილს, თვითონაც პოეტსა და საინტერესო ლექსების ავტორს).

თეკლა ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წლის 11 მარტს, თბილისში, მეფისისაცვალ მ. კორონცოვის თაოსნობით შესაფერისი პატივით გაასვენეს სიონის ტაძრიდან და სვეტიცხოველში, პეტერბურგში გარდაცვლილი და იქვე დასაფლავებული დარეჯან დედოფლისათვის განკუთვნილ სამარხში, დაკრძალეს.

3. ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1810-1871) – 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციორთაგანი და ერთ-ერთი მეთაური. 1823-1830 წლებში ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც ჯერ კრძოლ პანსიონში სწავლობდა, შემდევ კი სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი დამთავრა. პეტერბურგშივე დაუახლოვდა დიმიტრი იულიონის ძე ბატონიშვილს, ხოლო საქართველოში დაბრუნებისთანავე (1810 წ.) შეთქმულების სათავეში მოექცა (საქართველოში რუსული მმართველობის დამკიფრიანებაში და, განსაკუთრებით, 1804 წლის მთავრების აჯანყების ჩაბობაში, ლომის ნილი ედოთ ქსნის ერისთავებს და ამ საქმეებში ელიზბარის მამაც იყო გარეული, რის გამოც 1832 წლის შეთქმულების მონანილება ელიზბარ ერისთავს დაგვიანებულ საყვადულს ეუბნებოდნენ: „რუსები ერისთავების მოყვანილები არიანონ“, რაზეც საყვადურის ადრესატი უპასუხებდა: „ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავები გარეკავენ“).

შეთქმულების მასალების მიხედვით, ე. ერისთავი მონანილეობდა აჯანყების გეგმის („პირველი ლამის განკარგულების“) დამტუშავებაში და სპეციალურად შექმნილი სტაბიდან მასვე უნდა გაეწია საერთო ხელმძღვანელობა ამ გეგმის განხორციელებისათვის. ძირითადად ელიზბარ ერისთავმა ჩამოაყალიბა საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის პროექტი. მას ალექსანდრე ორბელიანის მეშვეობით კავშირი ჰქონდა დამყარებული ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან; თავის ძმასთან, - დიმიტრი ერისთავთან, - ერთად საბრძოლო ოპერაციებში ჩასართავად ამზადებდა თბილისში გადმოსახლებულ 1830-1831 ნლების პოლონეთის აჯანყების მონანილებს და ა.შ.

ე. ერისთავმა შესთავაზა სოლომონ დოდაშვილს აჯანყებისათვის საზოგადოებრივა აზრის მოსამაზადებლად პერიოდული ორგანოს დაარსება, მანვე დაავალა გრიგოლ ორბელიანს კ. რილევევის „ნალიკააკოს აღსაჩერების“ თარგმნა-გადმოკეთება... საერთოდ, ელიზბარ ერისთავი ძალზე აქტიურად იყო ჩართული ს. ცალშეპილის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღმოჩენების სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესსა და შეიარაღებული აჯანყებათვის ითვლობოდირ ნათავასის მომზადებში.

შეთქმულების ჩატარდნის შემდეგ ე. ერისთავს, როგორც „ბოროტგანზრაასულობის“ ორგანიზაციორთაგანს, მიუსაჯეს სიკვდილი („ოთხად განკვეთა“), მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს, მიაკუთვნეს „დამნაშვეთა“ მეორე კატეგორიას („ვინა იყვნენ შეთქმულების წმომნებინა და სხვადსაც უპიძინებენ“).

გებდნენ შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ") და ფინეთში განლაგებულ ერთ-ერთ ბატალიონში განაწესეს რიგით ჯარისკაცად (ჰელსინგბორნში, დღევანდლე ჰელსინკში).

სამშობლოში დაბრუნებული ელიზბარ ერისთავი 1842 წელს დიმიტრი ყიფაგიანის ინიციატივითა და საერთო ხელ-მძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთე-კის“ (1842-1846) დამფუძნებელი ნევრია (ალ. ჭავჭავაძესთან, 6. ბარათაშვილთან, ვ. ორბელიანსა და სხვებთან ერთად), 1844 წელს კი იგი უკვე გორშია და უაღრესად საინტერესო პროფი-ლის უურნალის – „სინათლის“ – დაარსების ინიციატივთა შორისა (სამწერაოდ, ეს უკანასკნელი წამოწყება პრაქტი-კულად ვერ განხორციელდა).

1840-იან წლებიდან ელიზბარ ერისთავი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და კარიერა გორის მაზრის უფროსის თანამდებობაზე პოლკოვნიკის ხარისხით დასრულა (სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოდა).

ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა გორში და იქვე, საკრებულო ტაძრის („სობოროს“) გალავანში, დაკრძალეს (საბჭოთა წლებში „სობორო“ დაანგრიეს და ელიზბარის საფლავი დაიკარგა).

4. სოლომონ ივანეს ძე ლოდაშვილი (1805-1836) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი (6. ბარათაშვილის, დ. ყიძიანის, ვ. ორბელიანისა და სხვათა მასწავლებელი), ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზაციონი და მთავარი იდეოლოგი, უთვალასაჩინოების ფიგურა XIX საუკუნის ქართული კულტურისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ს. ღორგაზივილი დაბრუნდა სამშობლოში (1827 წ.) და სათავეში ჩაუდგა პატრიოტული მიზანდასახულობის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, მომავალი შეარალებული აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების ეკროპებიზაცია.

საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილი მიაკუთხნა შეთქმულთა მეორე კატეგორიას („ვინც შეთქმულების ნამომწყები იყო და სხვებსაც უბიძებდა შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ“). მიუსავეს სამუდამო გადასახლება და 1834 წლის 24 ივნისს შორეული ვიატკის გზას გაუყენეს [გამყოლებმა იქ ჩაიყვანეს 31 ივლისს. ვიატკაში ს. დოდაშვილს რამდენიმე თვით აღრე გადასახლებული კიდევ ერთ შეთქმული დახვდა – შეგდომში ცნობილი საზოგადო მოღვაწეობის მამაცაშვილი (1809-1874). გადასახლებაში, სადაც ს. დოდაშვილი საგუბერნიო სამართლებლოს კანცელარიაში მსახურობდა გადამწერად, მას თან გაჟიავა მეუღლე – ელენე კობიაშვილი – ორ მცირენლოვან ვაჟიშვილთან ერთად. ს. დოდაშვილის ორგანიზმა ვერ გაუძლო ჩრდილოეთი მაცურ კლიმატს, მძიმე და რუტინულ შრომას, სამშობლოზე განუწყვეტილ დარღს და ჭლევით დაავადდა, რასაც დაერთო გადასახლებაშივე შეძენილი ქალიშვილის – ანას – გარდაცვალება.

1835 წლის ივლისში ს. დოდაშვილმა ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორს სთხოვა შუამდგომლობა „რომელიმე თბილ გუბერნიაში“ გადასაყვანად. მისი ეს თხოვნა საბოლოოდ მოხვდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან, მაგრამ, – როგორც ეს რუსეთის სამხედრო მინისტრის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ მიმართვებია აღნიშნული, – „დოდავის თხოვნის დაკმაყოფილება მისმა უზენაესობამ არ ინება“. მომდევნო წელს ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს იმპერატორთან საშუალებელობით კილევ ერთხელ მი-

მართა ოფიციალური თხოვნით, მაგრამ ს. დოდაშვილი სწორედ ამ თხოვნის გაგზავნის დღეს, – 1836 წლის 20 აგვისტოს, – გარდაიცვალა და იქვე, ვიატკაშივე, ემართა 1994 წლამდე (ამჟამად მისი ნეშტი მთანმინდის პანთეონშია გადმოსვენებული).

რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილის ოჯახს, სასონარკვეთილი და არას მქონე ელენე კობიაშვილი იმავე გუბერნაციონის (კონსტანტინე ტუფიავევის) მზრუნველობით 1836 წლის შემოდგომაზე სამშობლოსავენ გამოემგზავრა თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად, თუმცა, დოკუმენტების მიხედვით, უმცროსი ვაჟი – კონსტანტინე – იმავე 1836 წელსაა გარდაცვლილი. გამორიცხული არაა, 4 წლის კონსტანტინე ვერ გაუძლო გზის სიმძიმეს და ვიატკიდან საქართველომდე გზშივე გარდაიცვალა. 1838 წელს ელენე კობიაშვილიც აღდესრულა და, ამდენად, სოლომონ დოდაშვილის ოჯახიდან სასტიკ ბედისნერას მხოლოდ უფროსი ვაჟი – ივანე (1829-1864) – გადაურჩა.

5. იგულისხმება რუსეთის ბატონობის ნინააღმდეგ პოლონელთა 1830-1831 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება, რომელიც ლიტვაში, დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინის ნანილზეც გავრცელდა. ნიკოლოზ I-მა აჯანყება სასტიკ დაახშო 1831 წლის ოქტომბერში.

6. ფილადელფილი იორენს ძე კიკნაძე (ერობაში – ნიკიფორე კიკნაძე) – ბერი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური ნევრი. შეთქმულების მზადების წლებში იგი ჯერ თბილისში, დარის ფერის ცვალების მონასტერში, მოღვაწეობდა, შემდეგ – შემთხის მონასტერში, სადაც დააბატიმრეს კიდევაც, ბორკილდადებული ჩამოიყავნეს თბილისში და ავლაპრის ყაზარმებში სხვა შეთქმულებთან გამოამწყვდიდა. საგამომძიებლო კომისიაში იგი მაკაუთვნა „დამნაშავეთა“ მეოთხე კატეგორიას, თუმცა ფილადელფილი გასამართლებამდე, 1833 წლის 5 სექტემბერს, პატიმრობაშივე, გარდაიცვალა.

დაკრძალულია დარის მონასტრის ეზოში.

ფილადელფილი კიკნაძემ შეადგინა 1832 წლის შეთქმულების ნესდება – „აკტი გონიური“, რომელიც ჩამოყალიბებულია „ფარული საზოგადოების“ მიზანდასახულობა, ნევრთა მოპოვებისა და მიღების ნესები, შეთქმულთა ურთიერთობის ნორმები, კონსპირაციის ხერხები, ტექსტი ფიცისა, რომელიც ახალმიღებულ ნევრს უნდა ნარმოეთქვა... „აკტი გონიური“ შუამთიდან თბილისში ჩამოიტანა გიორგი ერისთავემა (დრამატურგმა) და პირველად შეთქმულების აქტიურ ნევრებს – დიმიტრი ყიფიანსა და ზაალ ავთანდილაშვილს – ნაუკითხა.

ფილადელფილის შეთქმულთათვის შექმნა, აგრეთვე, სპეციალური კრიპტოგრაფიული ანბანი. იგი ავტორია საინტერესო ლიტერატურული თხზულებებისა, მათ შორის, ლექსე-ბისა.

7. სინამდვილეში იასე ფალავანდიშვილი არსებით მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში – საგამომძიებლო კომისიის მასალათა ზერელე გადათვალიერებაც კი ცხადყოფს, რომ შეთქმულებასთან დაკავშირებული არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი პრატიკულად იასეს მონაწილეობის გარეშე არ წყდებოდა. ამდენად, სრულებით არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ი. ფალავანდიშვილი საგამომძიებლო კომისიიამ შეთქმულების ხელმძღვანელ სამეულთან, – ელიზბარ ერისთავთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან, – ერთად „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში მოაქცია (გამცემლობის საზღვანოდ იასეს ის „შეღავათი“ გაუნიეს, რომ სამუდამო გადასახლება სასამართლოს გვერდის ავლით მიუსაჯეს – ი. კ. მერგენტ. #57). უფრო მეტიც, ჩვენ, როგორც ეს წინამდებარე პუბლიკაციის წინასიტყვაორბაში გვაქვს აღნიშული, არც მის გამოვიცხავთ, რომ შეთქმულთა ჩვენებების სკრულობზე ანალიზისა და მათი

კრიტიკული შეჯერების შემდეგ ზემოთ დასახელებულ ხელმძღვნელ ჯგუფს ისეც დატებაზოს და, ამდენად, დასახელებული „სამეული“ ოთხეულად „გადაიქცეს“.

რაც შეეხება იმას, რომ საგამომძიებლო კომისიამ ი. ფალავანდიშვილს, როგორც გამცემს, შეღავათი არ მისცა, ამ ერთი შეხედვით უცნაური ვითარების ახსნას იმავე კომისიის საბოლოო დასკვანაში ვოლუმით: „იასე ფალავანდოვის მიერ შეთქმულების გაცემა ნაკარნაზევი იყო საკუთარი თავის გადარჩენის სურვილით. ეს ასე რომ არ იყოს, იგი უფრო ადრე გამამამეულავნებდა იმ ბოროტგანზრაცხულობას, რომლის შესახებაც თითქმის როი წლის წინ იცოდა“.

8. მოგონების ავტორს, ჩანს, აქ მხედველობაში აქვს სოლომონ დოდაშვილის მიერ დაარსებული და მისივე რედაქტორი მათლაც რედაქტორობდა გაზეთს – „ტფილისის უწყებანი“, მაგრამ ეს გაზეთი პ. სანკოვსკის რედაქტორობით რუსულ ენაზე გამომავალი ოფიციოზის „ტფილისისკიუ ვედომოსტის“ ქართული ვარიანტი, – ფაქტობრივად, თარგმანი, – იყო, ამდენად, ვერაუზრით ვერ იქნებოდა შეთქმულთა იდეოლოგიის პოპულარიზაციონი და, რაც მთავარია, 1831 წელს გაზეთის გამოცემისას საქმე საერთოდ ჩაშლილი იყო – ამ წელს მისი არც ერთი ნომრი არ გამოსულა.

რაც შეეხება უურნალის „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებანისი“ იგი ფორმალურად გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ორგვირეულ ლიტერატურულ დამატებად ითვლებოდა, თუმცა ფაქტობრივად დამოუკიდებელი უურნალი იყო და ძირითად მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის მომზადებას მომვალი შეიარაღებული აჯანყებისათვის. უურნალი გამოიღია 1832 წლის იანვარ-მარტში. ზოგი ცნობით, სულ გამოვიდა უურნალის ექვს წომერი, თუმცა მერქვეს წომრის გამოცემა დოკუმენტურად არ დასტურდება (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მხოლოდ პირველი ხუთი წომერია მოღწეული).

9. ალექსანდრე ბატონიშვილი იყო ბიძა (დედის ძმა) ალექსანდრე ორბელიანისა.

10. თამარ ბატონიშვილი (1791-1857) – იულონ ბატონიშვილის ასული. 1805 წელს იულონი ცოლ-შვილით ტულაში დაასახლეს და ასე მოხვდა 14 წლის თამარი რუსეთში. 1806 წელს თამარ ბატონიშვილი უკვე პეტერბურგშია, სადაც მას 1811 წელს რუსთის დედოფლის ფრეილონბობა ებობა და ამიტომაც ხშირად უცდებობა საიმპერიანო კარის ცერემონიები მონაწილეობა. 1829 წლიდან თამარ ბატონიშვილი თბილისშია და აქტიურადა ჩაბმული შეთქმულების საქმეებში (საქამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, ს. დოდაშვილს უთქვამს ალ. ორბელიანისათვის): „თამარ ბატონიშვილი იწვის აჯანყების მოხდენის სურვილით და თვით დედაკაცები დაინცებენ, თუ მამაკაცები არ მოისურებენ“; ხოლო იასე ფალავანდიშვილის გარეშე არ გამოვიცხავთ“; ხოლო იასე ფალავანდიშვილის გარეშე ანბანი და მაგავაცხადება სანისამართლოში: „როცა აღრეულობა დაინცებება, მაგავაცხადება ტანისამოსის გადაცემა და ხალხს ნარველების ბინაზე დაინცებებით“.

თამარ ბატონიშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, გამოიჩინდა სიბრძნით, გაბეჭდულობით, რადიკალიზმით (თუმცა, არ იყო მომხრე აჯანყების ღამეს რუსული ადმინისტრაციის დახმარებისა), შორსმჭვრეტელობითა და დიპლომატიური ნიჭიერებით (მის მიერ უნდა იყოს შემუშავებული აჯანყების საერთო გეგმა, მას კავშირები პეტერბურგში მცხოვრებ ქასთან – დიმიტრი ბატონიშვილთან, მოსკოვში მცხოვრებ ოქროპირ ბატონიშვილთან, დაგეგმილი პეტონდა ნასვლა იერუსალიმში და გზად უნდა შეხვედროდა სპარსეთი გადახვეწინი ალექსანდრე ბატონიშვილს, თუმცა, ბოლო მომენტში კონსპირაციული ციტოვანის გეგმა უარყოფილ იქნა და სხვ.).

აჯანყების გამარჯვების შემდეგ, შეთქმულთა გეგმით, თა-  
მარი უნდა გამხდარიყო საქართველოს ღრმებითი მმართვე-  
ლი იმ დრომდე, სანამ თბილისში რომელიმე ბატონიშვილი არ  
ჩამოვიდოდა: ალექსანდრე ერკვლე II-ის ძე ან ოქროპირ გი-  
ორგი XII-ის ძე, რომელიც დიმიტრი იულიენის ძე, თვითონ თარა-  
კი მხოლოდ ამ პირობითი იყო თანახმა, ხელი აეღო ძალაუფ-  
ლება („ჩვენ გვსურდა, ესრეთ ოდესაცა აქ აღრეულობა მომ-  
ხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგეყვანა, და  
ხალხისათვის გვექადაგნა, რომ აა, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატი-  
ონთ ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებ-  
დეთ და რაც გვიპრძანოს, უნდა ალვასარულოთ. ამასწობაში უნ-  
და ზარების რეკვა მოპყოლოდნენ და სიინის სამრეკლოზე სა-  
მი კაცი უნდა ასულიყვნენ, და იქიდან ეყვირნათ – თავისუფ-  
ლება და სიხარულ ყოველსა ერსა ზედა“ – უჩვენებს ალ. ორბე-  
ლიანი საგამომძიებლო კომისიას).

მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულთა უმრავლესობამ დაკითხვების დროს შეგნებულად სცადა თამარ ბატონიშვილის როლის მიჩქმალვა-დაკინება და საგამომძიებლო კომისიას არც თამარმა მისცა აღიარებითი ჩვენება, იგი მაინც მიაკუთვნეს „დამასჭავეთა“ მესამე კატეგორიას („ვინც შეთქმულებაში ი აქტიურად მონაწილეობდა და აჯანყებას ეთანხმებოდა“), რის საფუძველზეც სამიპიროში გადასახლება მიუსავეს. ამ დროს თამარი ავადმყოფობდა („მისი ჯანმრთელობა საჯროებშიაო“) – სნერდა მთავარმართებული რიზონი რუსეთის სამხედრო მინისტრს), ამიტომაც პეტერბურგში მას სასჯელი შეუცვალეს – ჯერ მუხროვანში, გრენადერთა პოლკის შტაბ-ბინაში, გადაიყვანეს, შემდეგ კი თბილისში დაბრუნებას და პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა დაუნიშნეს, ამასთანავე, ბატონშვილის („ცარება“) ტიტულიც ჩამოართვეს.

თამარ ბატონიშვილი იყო ღრმად მორჩმუნებული და ენეოდა ას-  
კეტურ ცხოვრებას (ახალგაზრდობაშივე აღთქმების და-  
დებული), რომ არ გათხოვდებოდა და ეს აღთქმა შეასრულა კი-  
დევაც, ორჯერ იყო იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსა-  
ლოცავად და სხვ.).

იერუსალიმის მეორედ მოლოცვიდან დაბრუნებული თა-  
მარ ბატონიშვილი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა თბილის-  
ში, 1857 წლის 6 ოქტომბერს, გაასვენეს სიონის ტაძრიდან და  
დაკრძალეს მცხეთაში (სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილ წყა-  
როებში დაკრძალვის კონკრეტული ადგილი არ არის მითითე-  
ბული).

დასასრულ, დაბეჭითებით უნდა ითქვას, რომ თამარ ბატონშვილის მონაცილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, – ისე-ვე, როგორც მთელი მისი ცხოვრება, – საგანგებო და სპეციალურ კლევას იმსახურებს.

11. აკანუყებული ვარშავა ი. პასკევიჩმა შტურმით აიღო 1831 წლის 8 სექტემბერს, ხოლო ეს „ლირსშესანიშნავი“ მოვლენა თბილისში იმავე წლის 24 სექტემბერს საგანგძომი ზემოთა და ზარბაზნების სროლით აღნაშენს (შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, როდესაც თბილისში ზარბაზნებს ისროდნენ, იასე ფალავანდიშვილთან „სადილად მყოფი ოთხი თავადიშვილი ტიროდა“).

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, შეთქმულნი სწავლობდნენ და აანალიზებდნენ ვარშავაზე მიტანილი შტურმისა და ქალაქის აღების გეგმას.

12. ყაზი-მოლა (1795-1832) – დაღესტნელი სასულიერო მოღვაწე. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ბელადი რუსეთის ნინაალმდევ ომში. მიურიდიზმის იდეოლოგი და გამავრცელებელი. იმამი 1829 წლიდან. იმავე წლს გამარაცხადა მუსლიმთა საღვთო ომი (პაზავათი). 1832 წლის 17 ოქტომბერს კავკასიის მთავარმართებელმა, ბარონმა როზენმა, შეურმით აიღო ყაზი-მოლას მშობლიური აული გიმრი და ამ ბრძოლაში იმამი იარალით ხელში დაიღუპა.

13. ნიკოლოზ ოსების ქ ფალავანდიშვილი (გარდ. 1855) – იასე ფალავანდიშვილის უფროსი ძმა; თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ 1832-1838 წლებში (1837 წლის ნოემბერში ნიკოლოზ I-მა კავკასიის მთავარმართებელი გრიგოლ როზენი პეტერბურგში გაიწვიო და, აქედან მოკიდებულ ვიდრე 1838 წლის მარტამდე, – ახალი მთავარმართობის ევგენი გოლოვინის თბილისი ჩამოსვლამდე, – კავკასიის მთავარმართებელის მოვალეობას ასრულებდა 6. ფალავანდიშვილი, რომელმაც გოლოვინის ჩამოსვლისთანავე დატოვა თანამდებობა, საერთოდ გავიდა სახელმწიფო სამსახურიდან და ტაბახმელაში დასახლდა). 1850-ინი წლების დასაწყისში მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის თხოვნით 6. ფალავანდიშვილი კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს: ჯერ მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ (1851 წლიდან), შემდეგ – მეფისნაცვლის საბჭოს ნევრად (1853 წლიდან).

1828-1832 წლებში ნ. ფალავანდიშვილი იყო გაზეთ „ტიფლისკაი ვედომოსტის“ საგამოცემლო კომიტეტის წევრი. შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდა, აჯანყების გამარჯვების შემდეგ ნ. ფალავანდიშვილისათვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შეეთავაზებინათ.

ალექსანდრე ორბელიანი საგამომძიებლო კომისიისათვის  
მიცემულ ერთ-ერთ ჩევნებაში წერს: ისაეგ მითხვა, რომ ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძე ჩემს მმასთან, ნიკოლოზთან, იყო მოსული  
და ისნი ჩაკეტილ ოთახში „ორი საათი მეტი ლაპარაკობდნე-  
ნო“. ასე წარმოიშავ ვერსია, რომლის მიხედვითაც ალ. ჭავჭა-  
ვაძემ აჯანყების განხრასავა გაუმჟღავნა 6. ფალავანდიშვილს,  
რომელმაც, თავის მხრივ, ისაეგ გამოიყენა და ამ გზით შეატყო-  
ბინა ხელისუფლებას შეთქმულების ამპანი („ნიკოლოზ ფალა-  
ვანდოვმა დაგვლუბაზა“ – რამდენჯერმე ამბობს ალ. ორბელია-  
ნი თავის ერთ-ერთ მოგონებაში). შესაძლებელია, ეს მარ-  
თლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ სხვა რამ მასალა, დამადასტუ-  
რებელი ამ ვერსიისა, შეთქმულების მასალებში არ ჩანს და  
არც ისაეგ ფალავანდიშვილის მერ ალ. ორბელიანისათვის  
ნათქვამზე დაყრდნობა შეიძლება უკიტიკოდ.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ იასე ფალავანდიშვილი დაბეჭითებით მოითხოვდა (უფრო მეტიც, ეს მისი წინადაღება იყო) აჯანყების დამეს საკუთარი ძმისა და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის კონსტანტინე მუხრანბატონის დახოცვას (იასეს ერთ-ერთ შეკრებაზე უთქვამს: „ისეთი პირები თავიდან უნდა მოვიშოროთ, როგორიც, მაგალითად, ჩემი ძმაა. აჯანყების დროს ისინი უთუოდ გაკვიცხავენ ხალხს და თავიანთი მხოლოდ სიტყვით შეუძლიანა ჩაქრონ აჯანყება. მის საიწიოს გასტუმრებას მე კვისრულობ“).

14. პოლონების 1830-1831 წლების აჯანყების ჩამოშობის შემდეგ ამბოხებულთა ერთ ნანილი, — დაახლოებით 3 ათასი კაცი, — კავკასიაში (ძირითადად, საქართველოში) გადმოასახლეს. ისინი რიგით ჯარისკაცებად მსახურობდნენ თბილისში, ქუთასში, აგრეთვე, კახეთში, გურიასა და საქართველოს სხვა კუთხებით განლაგებულ რუსულ სამხედრო ნანილებში. 1832 წლის შემცულების ორგანიზაციონური აჯანყებაში მონაწილეობაზე შეთანაბეჭდული იყვნენ თბილისში მყოფ პოლონელებთან (თბილისში ამ დროს 500-მდე პოლონელი იმყოფებოდა) და მათი დახმარების იმედიც ჰქონდათ, განსაკუთრებით კი იმათი იმედი, კისაც ზარბაზნების გამოყენება შეიქმნა.

შეთქმულების მასალებში აქა-იქ გვხვდება პოლონელების კართველ შეთქმულთა უცილობელი კავშირის დამადასტურებელი ცნობები (პოლონელების ასე გვეუბნებოდნენ – „ზა ოტჩიზნუ“, ხოლო ი. ფალაგანძიშვილი თავის დასმენის ქადალდში გარკვევით მიუთითებს: აჯანყების ღამეს თათრის მოედანზე პოლონელებიც უნდა მოსულიყვანონ). მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო კომისიამ, რომელსაც მიზნად შეთქმულების მასტებაბის დაკინება პერნდა დასახული (იხ. კომენტ. #54), ამ გარემობაზე ყურადღება ალარ გაამახვილა,

ხოლო კომისიის საბოლოო დასკვნაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ შეთქმულებაში პლორნელთა მონაწილეობა არ დასტურდება (აქტები, VIII, 407).

15. ცნობა აღექსანდრე ჭავჭავაძის მიერ აჯანყების უარყფის შესახებ ს. მაქსიმოვს აღბული აქვს შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მიერ მთავარმართებელ როზენისადმი ნარდეგნილი მოხსენებიდან, რომელიც „აქტებში“ გამოქვეყნებული და რომელშიც ნათვამია: „თავადი ჭავჭავაძე შეიძლება მხილებულად ჩაითვალოს იმაში, რომ მან იცოდა შეთქმულების შესახებ, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მას არ ეთანხმებოდა და სხვებსაც მარჯვედ ააღებინა მასზე ხელით“. თუ ამ ცნობას კონტექსტიდან ამოვგლევეთ, გაუთვითცნობიერებელ მკითხველს (და ს. მაქსიმოვის რუს მკითხველი სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ) ისეთი შთაგებდილება შეექმნება, თითქოს შეთქმულების ჩავარდნა რაღაც ფორმით ალ. ჭავჭავაძეს უკავშირდებოდეს, მაგრამ ამას, ბუნებრივია, არავითარი საფუძველი არა აქვს. სინამდვილეში ალ. ჭავჭავაძე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო შეთქმულთა წრეში, არსებითი ხასიათის მონაწილეობას იღებდა აჯანყების მომზადებაში, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მას სამხედრო მინისტრის თანამდებობა უნდა დაკავებინა („არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება გენერალ ჭავჭავაძის გრეშეო“ – უჩვეუბს საგამომძიებლო კომისიის ელიზბარ ერისთავი). იმავე კომისიის მასალების მიხედვით, ალ. ჭავჭავაძის იღება და ინიციატივა ყოფილა აღექსანდრე ბატონიშვილის მონვევა საქართველოში და ამის შემდეგ სპარსეთს შეიტანულ ბატონიშვილთან კავშირის დამყარება შეთქმულებს ალ. ორბელიანისათვის დაუვალებათ; ალ. ჭავჭავაძეს ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის საკონსულოს მდგვანთან, ვიქტორ ლეტელიესთან, რომელსაც, თავის მხრივ, უდავოდ ჰქონდა კონფიდენციალური კავშირებს შეთქმულების ორგანიზაციონურობით; ალ. ჭავჭავაძე, სულ ცოტა, იცნობდა „პირველი ღამის განკარგულებას“, რომელშიც აჯანყების პირველი ღამის სამოქმედო გეგმა იყო ჩამოყალიბებული და ა. შ.). რაც შეეხება ს. მაქსიმოვის მიერ ნახენებ „თბილისში ჩამოსვლას“, ავტორს აქ, უკვევლია, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ 1832 წლის ივლისიდან ალ. ჭავჭავაძეს ხელისუფლებისაგან დავალებული ჰქონდა ჰამზათ-ბეგის თარეში-საგან კახეთის დაცვა და, ამიტომაც, იგი უმეტესად კახეთშივე იმყოფებოდა (ამ ცნობების აღება ს. მაქსიმოვს „აქტებიდან“ შეეძლო).

შეთქმულების გაცემის შემდეგ ალ. ჭავჭავაძე, მართალია, დააპატიმრეს, მაგრამ სხვა შეთქმულებთან ერთად არ დაუმწყვდევიათ (თავადი ჭავჭავაძე განცალევებით არის მოთავსებული სახაზინო სახლში, რომელსაც ძეველი ჰასპიტალი ენოდება. მიჩნილი ჰყავს გუშაგებით“ – ატყობინებდა მთავარმართებელი როზენი რუსეთის სამხედრო მინისტრს ჩერნიშვის). ამასთანავე, საგულდაგულოდ გაჩერიკეს ალ. ჭავჭავაძის სახლები თბილისსა და ნინანდალში, მაგრამ ვერც ერთგან ხელმოსაკიდი ვერაფერი იპოვებ.

აღექსანდრე ჭავჭავაძე გადასახლეს ტამბოვში, მაგრამ ცოტა ხანში ნიკოლოზ I-მა იგი პეტერბურგში დაიპარა, პირადად ესაუბრა და, პატიებული და შენდობილი, სამშობლოში გამოისტუმრა.

16. გრიგოლ აღექსანდრეს ძე როზენი (1782-1841) – ინფანტერიის გენერალი, ბარონი, კავკასიის მთავარმართებელი 1831-1837 წლებში.

სწორედ გრ. როზენის მთავარმართებლობის დროს გამომჟღავნდა 1832 წლის შეთქმულება და ამ საქმის გამომძიებაში, რასაკირველია, მთავარმართებელიც ორგანულად იყო ჩართული. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გრ. როზენის მოხსენებით ხასიათის მიმართვებში აშკარად ჩანს „ფარული საზოგადოების“

საქმიანობის მიზანდასახულობისა და ნამდვილი მასშტაბის გაუბრალება-დაკანინების ტენდენცია. საკითხისადმი გრ. როზენის ამგვარი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, უნისონში იყო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სურვილთანაც (იხ. კომენტ. #54) და, ამას გარდა, თვითონ მთავარმართებლის უგერგილობის მიჩქმალვასაც ისახავდა მიზნად (მართალია, აჯანყებისათვის მზადება უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ ზედ როზენის ცხვირინ გრძელდებოდა თითქმის წელიწად-ნახევარს).

17. ნიკოლოზ I-მა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს მართლაც შეუძლებულია სასჯელი, მაგრამ ეს არც იმის გამო მომზდარა, რომ თითქოს „შეთქმულთა საქმე გამომძიებას მიერ იყო გაზვადებულ-გაბუქელი“ და არც იმის გამოც, რომ იმპერატორს გულჩილობა მოეძალა (ასეთ საქმეებში ნიკოლოზ I დაუნიობელი იყო და ამის მაგალითია დეკაპრისტთა 1825 წლის ამბოხი, რომლის მონაწილეები, – მათ შორის, რუსეთის თვალსაჩინო არისტოკრატიული ოჯახების შვილები, – იმპერატორმა განსაკუთრებული ისისასტიკით დასაჯა: ზოგი ჩამოახრჩო, ზოგი კატიონლაში გადაკარგა, ზოგიც რიგით ჯარისკაცად ჩამოაქვეითა და კავკასიაში გაჩაღებულ მექანიკი გაგზავნა და ა. შ.).

სინამდვილეში რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო, მიერჩმალ ქართველთა შეთქმულების ნამდვილი ბუნება და მას-შტაბები. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებისათვეს არ იყო სასურველი, საქვეყნოდ გამჟღაბული ლიკი არსებული სახელმიწიფოებრივი-პლოიტიკური რეჟიმისადმი ასეთი ტოტალური უკამაყოფილება „ნებაყოფლიბით“ შემოერთებულ ქვეყანაში. მეორეც, რუსეთს გაჩაღებული ჰქინდა სისხლისმღვრელი დამპყრიბლური იმი ჩრდილოეთ კავკასიაში და, ბუნებრივია, არ სურდა სერიოზული კონფლიქტი ამ იმის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში. ამას გარდა, ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩაწერარებული პლონების 1830-1831 წლების აჯანყების ჩახშობისა და რუსი ჯარისკაცების მიერ ვარშავის ქუჩებში გამართული ხოცა-ჟლეტის გამო. უსათუოდა გასათვალისწინებული ფსიქოლოგიური ფაქტორიც – რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ, კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენ ქართველი არისტოკრატია გადაეცემა და მისთვის, რასაკირველა, უფრო ადვილი და მოსახერხებული იქნებოდა, ურთიერთობა ჰქონდა არა დასჯილ, არამედ შეწყალებულ ფენსათან. შესაძლებელია, სხორცედ ეს უკანასკნელი ფაქტორიც – რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ, კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენ ქართველი არისტოკრატია გადაეცემა და მისთვის, რასაკირველა, უფრო ადვილი და მოსახერხებული იქნებოდა, ურთიერთობა ჰქონდა არა დასჯილ, არამედ შეწყალებულ ფენსათან. შესაძლებელია, სხორცედ ეს უკანასკნელი ფაქტორიც იყო და მთავარი ნიკოლოზ I-ის ასეთი „გულმოწყვებისას“ (ხელისუფლებამ სამინდე წელიწადში და აინტერ შეთქმულთა თანათანობითი დაბრუნება საქართველოში და მთავარმართებლის გრ. ლიონსა სამშობლოს ხილვა: სოლომონ დოდაშვილი 1836 წელს ვიატკაში ჭლექისაგან გარდაიც გაუსავა და მთავარმართებლის შეთქმულთა იდეალების თავის უმიტესად კახეთშივე იმყოფებოდა (ამ ცნობების აღება ს. მაქსიმოვს „აქტებიდან“ შეეძლო).

18. ელიზბარ ერისთავი „არხანგელსკის გარნიზონის ერთ-ერთ ბატალიონში“ კი არ „გაგზავნეს“, როგორც ამას ს. მაქსიმოვი ნერს, არამედ ჰელსინგფორსში (დღევანდელ ჰელსინკი) განლაგებულ ერთ-ერთ ბატალიონში განაწევეს რიგით ჯარისკაცად გამწერებული და მორჩილი დაინტერ შეთქმულის ბოლომდებრივის ერთობის გრ. ლიონსა სამშობლოს ხილვა: სოლომონ დოდაშვილი 1836 წელს ვიატკაში ჭლექისაგან გარდაიც გაუსავა და მთავარმართებლის შეთქმულთა იდეალების თავის უმიტესად კახეთშივე იმყოფებოდა (ამ ცნობების აღება ს. მაქსიმოვს „აქტებიდან“ შეეძლო).

19. თამარ ბატონიშვილს მართლაც სიმბირსკში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მერე სასჯელი შეუცვალეს (იხ. კომენტ. #47).

20. იასე ფალავანდიშვილის მთავარმართებელ როზენის ესული დახასიათება ს. მაქსიმოვს ამოღებული აქვს იმ მოხ-

სენებითი ბარათიდან, რომელიც 1833 წლის 9 თებერვალს მთავარმართბელს რუსეთის სამხედრო მინისტრსათვის, გრაფ ჩერნიშოვისათვის, გაუგზავნია (გამოქვეყნებულია „აქტებში“ – VIII, 396): „Прежнее его поведение было весьма предосудительное, ибо два раза даже он бежал в Турцию и в горы. Нравственность его очень неблагонадёжная... Вообще по своему уму, хитрости, проницству и безнравию, он человек для здешнего края решительно вредный и опасный, и если-бы

угодно было Г[осударю] И[мператору], по уважению сделанных им открытий, освободить его от суда и наказания, то я полагал-бы необходимым во всяком случае выслать его на жительство в Россию, с воспрещением на всю жизнь въезда в Грузию“.

თარგმნა და კომენტარები დაურთო  
თამაზ ჯოლოგუამ

## დიალოგი

## „30საც ანდერძს ანდოგდების“



თეცა თოვლიშვილს  
ესაუბრება  
მაკა პოცვაძე

დღევანდელმა თაობამ პრაქტიკულად არ იცის ლუარსაბ ბოცვაძეზე, XIX საუკუნის მინურულსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე დი-დი მამულმცილის ცხოვრების და მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც 4 ტომად არსებობს. იგი ილი ჭავჭავაძის, აკავი ნერეთის, იაკობ გოგებაშვილის უმცროსი თანამედროვე და მათი იდეების ერთგული დამცველი იყო. ლუარსაბ ბოცვაძისა და მისი მეულის, ნინო ბოცვაძის ოჯახი და მათი გარემოცა ის ერთ-ერთი თაზისი გახლდათ, რომლის მეშვეობითაც იქმნებოდა საღი ქართული აზრი, ვითარდებოდა კულტურა და განათლება. დღიდ პაპის შესახებ სასაუბროდ მის შვილიშვილს, უზრნალის-ტსა და ლიტერატურათმცოდნეს, მაკა ბოცვაძეს ვესტურეთ, რომელმაც მეტად საინტერესოდ გაიხსენა ლუარსაბ ბოცვაძის ურთიერთობა გალაკტიონ ტაბიძესთან, ვაჟა-ფშაველასთან და სხვა ბევრი, დღემდე უცნობი ფაქტი.

– ქალბატონო მაკა, თუ შეიძლება თქვენი დიდი წინაპრის ნარმომავლობაზე, მის ფესვებზე გვესაუბრეთ?

– ლუარსაბ ბოცვაძის მამა სასულიერო პირი იყო და უნდოდა შვილიც მის კვალს გაცყოლოდა. თორმეტი წლისა სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. მიუხედავად იმისა, თვითონ საოსტატო სემინარიაში შესვლა ერჩია, მშობელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ოთხ წლის შემდეგ მაინც შეძლო მამის დაყოლება და საოსტატო სემინარიაში განაგრძო სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ ოცდაორი წლის ახალგაზრდა წყალტუბოში დაინიშნა მასნავლებლად. მართალია, თვითონ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ თავის მოსწავლეებს და ნიჭიერ ახალგაზრდებს, რითაც შეძლო, ხელს უმართავდა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პაპა 1892 წლიდან 1906 წლამდე კავკავის (ახლანდელი ვლადიკავკაზი) ქარ-

თულ სკოლაში მიავლინა სასწავლებლად. 48-მოსწავლიანი, სავალალო მდგომარეობაში მყოფი ქართული სკოლა მალე იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას ქართველების გარდა რუსი და ოსი ბავშვებიც მიაწყდნენ. ცოტა ხანში მასში 300 მოსწავლე სწავლობდა. კავკავის სკოლა ჩრდილო კავკასიაში ქართულ ეროვნულ ცენტრად იქცა. მალე ლუარსაბ ბოცვაძის თაოსნობით სკოლის ახალი შენობა აშენდა. მრავალ საარქივო მასალასთან ერთად ჩემს არქივში ინახება პაპის პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კავკაველი ქართველების მიწერილი ნერილი. ერთ ამონარიდს გაგაცნობთ:

„ჩვენი ბატონო ლუარსაბ! ქართველმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა თქვენი მამულიშვილური მოღვაწეობა. დიდი დანაშაული იქნებოდა, ჩვენც, კავკაველ ქართველებს არ შეგვერთებინა ხმა ქართველების საერთო ხმასთან და შენი უკვდავი გვირგვინი ჩვენც არ შეგვემკო, თუმცა მერთალი, მაგრამ გულწრფელი სიყვარულით მოძღვნილი კანონი. თქვენი მხნეობითა და მეცადინეობით შეიყვარა კავკაველმა ქართველებმა ქართული შეოლა, დედაენა და ქართული წიგნი“.

ერთი სანტერესო ფაქტიც მინდა მოგახსენოთ. კავკავის ქართულ სკოლაში მეორე მშობლიურ ენად რუსული ისწავლებოდა. ერთხელ, კავკასიის სასწავლო ლექის მზრუნველი ზედამხედველი ზავადსკი კავკავის ქართული სკოლის ერთ-ერთ კლასში ლუარსაბ ბოცვაძის რუსული ენის გაკვეთილს დასწრებია. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მოსწავლეებს რუსული ენა კარგად არ ეცოდინებოდათ და წინასწარ ტებებოდა, თუ როგორ გამოუცხადებდა მასწავლებელს საყვედურს. გაკვეთილი რომ დაიწყო, პაპამ გამოიძახა მოსწავლე გოგონა, რომელმაც კრილოვის არაკი ზეპირად ნაიკითხა. თან ისე კითხულობდა, ეტყობოდა, გაზეპირებული არ ჰქონდა და შინაარსი ესმოდა. ზავადსკის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და მოსწავლეს სთხოვა არაკი დაფაზე დაეწერა. მოსწავლის ნაწერში მხოლოდ ერთი შეცდომა აღმოაჩინა. მთელმა კლასმა რუსული ენა იცოდა. რალას იზამდა განცვიფრებული ზავადსკი. კავკასიის ოლექის ზედამხედველი იძულებული გახდა რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ელიარებინა ქართული სკოლის მასწავლებლის რუსული ენის კარგი ცოდნა. ასე რომ, საყვედურის ნაცვლად პაპამ მადლობა დაიმსახურა. 1897 წელს ლუარსაბ ბოცვაძე თბილისში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიურ კურსებზე სანიმუშო გაკვეთილებს ატარებდა, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პაპა 1892 წლიდან 1906 წლამდე კავკავის (ახლანდელი ვლადიკავკაზი) ქარ-

ლი ამჟამად საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში ინახება და იღლიას ტომეულებშია მესული. იღლია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა თავის უმცროს თანამოაზრეს, რასაც მოწმობს მისი წერილები პაპისადმი: „ბატონო ლუარსაბ! დიდი სიამოგნებით ყველა ვარ თქვენს წერილს შურნალ „ჯეჯილზედა“ (საუბარია უურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილზე)... უმორჩილესად გთხოვთ, ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელ ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხმირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნალვანი. დავშოთ მარად თქვენი პატივის მცემელი იღლია ჭავჭავაძე“.

– ცნობილია, რომ უურნალი „განათლება“ ლუარსაბ ბოცვაძის დაარსებულია...

– 1908 წელს იანვარში დაარსა და 1941 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე პაპა იყო მისი რედაქტორ-გამომცემელი. უურნალის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა პქონდა, რადგან იმ დროს ქართველი ხალხის პროგრესული ნანილი მეფის რუსეთის „საგანმანათლებლო“ ბოლოტიკის წინააღმდეგ იბრძოდა. „განათლების“ რედაქციაში სულ ერთი კაცი – ლუარსაბ ბოცვაძე მუშაობდა. რედაქტორიც, გამომშვებიც, კორექტორიც და ბულალტერიც თვითონ იყო. უურნალში ქართველი ერის სახელოვანი მწერლებისა და გამოჩენილი მოლვანების თხზულებები იბეჭდებოდა – აკაცი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურის, ეკატერინე გაბაშვილის. მათთან ერთად რედაქციის კარი ლია იყო ახალგაზრდებისთვის – გალაკტიონ ტაბიძისთვის, გიორგი ლეონიძისთვის, სანდრო შანშიაშვილისთვის.

– ლიტერატურული წყაროები ლუარსაბ ბოცვაძეს მეცნატად მოიხსენიებენ. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

– დაახ, პაპას დევიზი იყო, ფული ხელის ჭუჭყია და მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ კეთილი საქმეები გააკეთებინოთ. ხელგაშლილად არასოდეს უცხოვრია, თუმცა მუდამ ცდილობდა ნიჭიერი ახალგაზრდები აღმოჩინა და ხელი შეეწყო მათთვის. ასე მოხდა პავლე ინგოროვას შემთხვევაში, რომელიც კავკაცის სკოლაში შეამჩინა და რეკომენდაცია გაუწია სწავლის გასაგრძელებლად. ასევე ნიკო კეცხოველი და ვინ მოთვლის კიდევ ვინ. ცდილობდა თავისი მწირ შემოსავალი ყველასთვის გაენანილებინა. „განათლების“ რედაქციას მატერიალურად უჭირდა და პაპა უეპანასკულ კაპიკებს უურნალს ახმარდა. გარკვეულ ავტორებს და ახალგაზრდა მწერლებს ჰონორარს შეძლებისდაგვარად უხდიდა.

ერთხელ, ეტყობა შეჭირვების გამო, დაუგვიანდა ვაჟა-ფშაველასთვის ჰონორარის მიცემა და რედაქციაში მისულს მაგიდაზე ასეთი ბარათი დახვედრია ვაჟასაგან: „შენ რაც არ გაქცი ელიაო, / მე მას გულით ველიაო, / ვინძლო მალე მოიშოვო, / გამიმართო ხელიაო, / ხომ უწყი, რომ უფულობა, / მეტისმეტად ძნელიაო“. შენუხებულმა პაპამ სასწრაფოდ ისესხა ფული და გაუგზავნა ვაჟა-ფშაველას. საერთოდ, ვაჟა თავმდაბალი ავტორი ყოფილა. რედაქციაში ვაჟასა და პაპას შორის ხმირად იმართებოდა ასეთი სახის დიალოგები: „აი, ლუარსაბ, ცოტა რაღაც მოვიტანე შენი უურნალისთვის. თუ ივარგებს, დაბეჭდე“. ან კიდევ: „უამრავი მასალა მაქეს „განათლებისთვის“, მაგრამ მოგეხსენება ჩემი უსახსრობის ამბავი და თუ მოახერხებ

ცოტა რამ გამომიგზავნო, ხურჯინით ჩამოგიტანდი მასალებს, იქნებრამ აარჩიო“. განა ვაჟამ რა უნდა მოიტანოს ისეთი, რომ არ ივარგოსო, პასუხობდა პაპა. „შენ ასე ამბობ, ჩემო ლუარსაბ, და ახლა ზოგი სხვებსაც ჰქითხე. მეუბნებიან, შენი გმირები დამარცხებულები იხოცებიანო. მე და ჩემმა ღმერთმა, ამის მთქმელთ ვერ გაუგიათ, რომ თვით მათ სიკვდილში არის გამარჯვება: გული ვერ მოკლა მტრის ხელმა, ჰ გული გულადვე რჩებოდა!“

პაპა ხშირად უმართავდა ხელს გალაკტიონ ტაბიძე-საც, რომელიც შემდგომში სიყვარულით იხსენებდა პაპის გულუხვობას. მამაჩემს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამარცხებლი, პროფესორი იოსებ ბოკვაძე) რომ შევდებოდა გალაკტიონი, თურმე თავისებურად ჩაიცინებდა და ეტყოდა: „ძამიკო, შენი ვალი მმართებს, მაგრამ გადახდა გამიჯირდება. ცხონებული მამაშენი ძალიან მანებივრებდა. ხან ათ მანეთს მომცემდა, ხან ოცდახუთ მანეთს და მეუბნებოდა, ჰონორარია. კარგად ვიცოდი, საკუთარი ჯიბიდან რომ იძლეოდა“.

– ლუარსაბ ბოცვაძე წლების მანძილზე სახელმწიფო უნივერსიტეტში მოლუანებოდა და დღეს უნივერსიტეტის შენობის წინ ჩამნკრივებული ულამაზესი ასწლოვანი ჭადრების სილამაზით რომ ტკბებიან ადამიანები, არც იციან, რომ ისინი ლუარსაბ ბოცვაძის დარგულია...

– 1906 წელს პაპა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში გადმოიყვანეს. იმ დროს გიმნაზიაში სახელოვანი მასწავლებლები მუშაობდნენ. ისტორიას და რუსულ ენას ასწავლიდა გრიგოლ ხათაძე, სიმღერას – კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, მუსიკას – კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი, გერმანულ ენას – კონსტანტინე გამსახურდია, ქართულ ენას – აკაცი შანიძე. ამ შესანიშნავი ადამიანების გვერდით სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ასწავლიდა ლუარსაბ ბოცვაძე. პაპამ ერთ მშვენიერ დღეს „ხეთა რგვა“ მოაწყო. შეკრიბა თავისი მოსწავლეები და მათთან ერთად უნივერსიტეტის ბალში და შენობის გასწრივ ჭადრები დარგო. ოჯახში ხშირად იხსენებდნენ, რა სისარულით მუშაობდა პაპა ბავშვებთან ერთად, როგორ უვლიდა ნერგებს. ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტიც მინდა მოგახსენოთ:

პაპა დიდი სიხარულით შეხვდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. იმ პერიოდში ახლანდელი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დიდი მინის ნაევეთი ჰქინდა, რომელიც უსასყიდლოდ გადასცა უნივერსიტეტს და სადაც ახლა უნივერსიტეტის II კორპუსი დგას.

– ლუარსაბ ბოცვაძეს იაკობ გოგებაშვილის საქმის გამგრძელებლად მოიხსენიებენ. მათი ურთიერთობის შესახებ თუ გაქვთ რამე ცნობები?

– იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე პაპამ მისგან ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო: „მამო ლუარსაბ! გეთაყვა, ინახულე დეკანოზი თალაკვაძე და სთხოვე ჩემს მაგიერად – ლოლობერიძის გვერდით, საფლავის ადგილი გზის პირად ჩემთვის დატოვოს იმავე სიდიდის, რაც აქვს ნიკოს საფლავის ადგილისა. ლოლობერიძისა და ჩემს საფლავს შუა უნდა დარჩეს მხოლოდ ვინო გასავალი, რათა ჩემს შორის ვინმე ოხერი არ ჩაეჩინოს. ბოდიშს ვითხოვ, რომ განუხებთ მრავალი შენუხე-

ბით დატვირთულს. თქვენი იაკობ გოგებაშვილი". იაკობ გოგებაშვილმა ეს წერილი 3 იანვარს დაწერა, 1 ივნისს კი გარდაიცვალა. მისი სახელმძღვანელოების გამოცემა-შესწორება და მისი მემკვიდრეობის მოვლა ლუარსაბ ბოცვაძეს დაევალა. ლუარსაბ ბოცვაძე შესამური პრინციპულობით და ერთგულებით იგერიებდა „დედაენის“ მტრებს, რომლებიც მრავლად იყვნენ. მას იაკობ გოგებაშვილის თანავტორობა, სახელმძღვანელოების რედაქტორობა შესთავაზეს, მაგრამ იგი ლირსეულად აცხადებდა, იაკობის სახელმძღვანელოს მხოლოდ ერთი წარწერა – იაკობ გოგებაშვილი უნდა ამშვერებდეს.

**– ცნობილია, რომ ლუარსაბ ბოცვაძე აღრეულ ასაკში, 53 წლისა გარდაიცვალა. მისი დაწყებული საქმე მისმა მეუღლებ და თანამო-აზრებ განაგრძო. ბებიაზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.**

– დიახ, დიდედა ნინო ბაქრაძე-ბოცვაძე პაპას ერთგული თანამოაზრე იყო. მას განათლება ბეტტერბურგში და შვეიცარიაში ჰქონდა მიღებული. თავის დასთან ერთად, ეკატერინე ბაქრაძე-ბურჯანაძესთან ერთად მრავალი წელი იყო „დედაენისა“ და სხვა დაწყებითი სახელმძღვანელოების შემდგენელი-გამომცემელი. ბებია, ცნობილი მთარგმნელის და საზოგადო მოღვანის, სოსიკო ბაქრაძის შეილი იყო, რომლის ორიგინალურ ლექსებს მაშინ მდეროდნენ კიდეც და ძალზე ბოცულარულიც გახლდათ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მისი მთარგმნელობითი მოღვანეობაა. მან თარგმანა შეიღვინებოდა, თანამინანი და სხვა. მრავალი წელი იდგმებოდა თეატრებში მის მიერ ნათარგმანი „ურიელ აკოსტა“, „მარიამ სტიუარტი“. ბევრმა არც იცის, რომ სიმღერა „ტურფავ-ტურფავ“, რომელიც დღესაც პოცულარულია, სწორედ სოსიკო ბაქრაძისეულ ჰაინრიხს ლექსის თარგმანზე შექმნილი. დიდედა მიამბობდა: „მახსოვს ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება განჯიდან. მართალია პატარა ვიყავი და ჯერ მის შემოქმედებას არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ დიდი მწერალი იყო. მამამ ჩამჭიდა ხელი და ნამიყვანა. რეინიგზისა სადგური ხალხით იყო გადაჭედილი. პროცესია დიდუბისკენ გაემართა. ეკლესიის გალავანში რომ შევედი, დაგრინახ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უკვე ვიცნობდი, და ვიღაც მაღალი კაცი. ისინი მამას მიესალმნენ და ხელი ჩამოართვეს. მაღალმა კაცმა ჩემზე ჰქითხა მამას, ეს გოგონა ვინ არისო. ჩემი შვილია, მიუგო მამამ. მადლობა ლმერთს, სოსიკო, ძლიერ დაგრინახ შენი თრიგინალი – თქვა მაღალმა კაცმა და ამაზე სამივერ გულიანად იხარხარეს. მე რასაკვირველია ვერ ვავიგე ამ სიტყვების მნიშვნელობა და რომ წამოვედით, მამას ვკითხე, ის მაღალი კაცი ვინ იყო-მეთქი. მამამ მითხრა, აკაკი წერეთელი-აო. თურმე ის სიტყვები იმიტომ ეთქვა, რომ მამაჩემი მეტ-

წილად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა". დიდედას ეს სურათი ციურიხშია გადაღებული, სადაც 18 წლისაა. გიმ-ნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა შვეიცარიაში, ციურიხში და შემდეგ შეეხები გააგრძელა. სწორედ აქ მიანიჭეს სილამაზის პრიზიც.

**– ქალბატონო მაკა, ორიოდ სიტყვით მამათქვენზეც გვესაუბრეთ, კერძოდ კი მის მოღვაწეობაზე აფხაზეთში და ოსეთში?**

– მამაჩემი მთელი სიცოცხლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკავის ქართულ სკოლას. ის და მის მეგობრები ცდილობდნენ ლუარსაბ ბოცვაძის მიერ დაწყებული საქმის კეთილად გავრძელებას. სკოლის ბიბლიოთეკას სისტემატურად ამარავებდნენ სახელმძღვანელობით და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით. მათი ძალისხმევით სკოლას გამოყოფილი ჰქონდა ლიმიტები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად რაც შეეხება აფხაზეთს, მამა ხუთი წლის მანძილზე სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად, სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი მიავლინეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ, აირჩიეს დეკანად. ამ პერიოდში, 50-იან წლებში, მამას გარდა არაერთი თბილისელი ექიმი, იურისტი, ხელოვნების მუშაკი, არქიტექტორი წავიდა აფხაზეთში სამუშაოდ, სადაც ქართული სული ტრიალებდა. მამას ბევრი მეგობარი ჰყავდა აფხაზეთში და საბედნიეროდ, მათი უმრავლესობა ვერ მოქსნო საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ეს მათვების მძიმე ლახვარი იქნებოდა. შეუძლებელია მდინარეს მიმართულება შეუცვალო და აღმა სვლა უბრძანო. ამიტომ, მეც ლრმად მწამს, რომ ქართველი და აფხაზი ხალხი მოძებნის ძალასა და შესაძლებლობებს, დადგეს ყველაფერზე მაღლა და კვლავ მშვიდობით განაგრძონ ცხოვრება. აფხაზებიც და ქართველებიც ხომ ოდითგან სწორედ სულის სიძლიერით, სიამაყითა და ვაჟკაცობით გამოირჩეონ.

**– დაბოლოს, ქალბატონო მაკა, ვერიკოს ქუჩაზე, ფიქრის გორაზე, იმ სახლს, სადაც ლუარსაბ და ნინო ბოცვაძეები ცხოვრობდნენ და ერთ დროს, უურნალ „განათლების“ რედაქცია იყო, მემორიალური დაფა აღარ ამშვენებს...**

– რამდენიმე წლის წინათ, როცა გაჭირვება და ქაოსი იყო, მთელ თბილისში მემორიალური დაფები მოხსნეს და მათ შორის ჩემი წინაპრებისაც. როდესაც ემოციები დაცხერა, პირველი, რითაც თავი ვინუგეშე, ის იყო, რომ პაპა მთელი ცხოვრება ხელს უმართავდა. და თუ ახლაც, ასეთი ფორმით დაეხმარა ვიღაც გაჭირვებულს, ვფიქრობ, ალბათ, ნაწყენი არ დარჩებოდა. რაც შეეხება ახალ მემორიალურ დაფებს, ვეცდები აღვადგინო.



ლუარსაბ ბოცვაძე და ნინო ბაქრაძე-ბოცვაძე

ეკა ბუჯიაშვილი

## ზუგდიდელი თაღლითის პატიოსნება

იყო დრო, როდესაც სოლომონ აშორდიას სახელი ყველას პირზე ეკერა – სწორედ ამ თაღლითისა და ცნობილი ავანტიურისტის წყალობით, საუკუნის წინათ, იმერეთში, კარგი გასამრჯელოს ფასად ორი ათასამდე კაცი გათავადდა და გააზიარდა და ტერმინიც დამკვიდრდა: „აშორდიას აზნაურები“.

საუკუნისწინანდელი ეს ეპოქა ასახა ბატონში ელგუჯა თავბერიძემ თავის პიკარესკულ რომანში „აირევი ივერია, ანუ ჯერტლმენ აშორდიას ცხოვრება და შესედულებანი“, რომლის წარდგინებაც ალ. ორბელიანის საზოგადოების (შურნალ „ჩენენი მწერლობის“) სალონში გაიმართა და შეკრებილთა წინაშე გაცოცხლდა დრო, რომელიც გალაკტიონმა ერთ პატარა პალინდრომში ასე ასახა:

აი რა მზის სიზმარია  
აირევი ივერია  
აი დროშა აშორდია  
აერების სიბერეა.

\*\*\*

„მისი მღელვარე, ათასგარად ჩახლართული ამბებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება მწერლებსაც დააინტერესებდა, თუმც სხვადასხვა თვალთახედვით გაზომავდნენ და გაიაზრებდნენ სოლომონ აშორდიას პიროვნებასა და ბედისწერას:

მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე – ირნიულად, ცისფერყანწელთა საძმო – რომანტიკულად და აღტაცებით...

მერე თანდათან ბურუსში გაეხვეოდა ეს სახელიც და მისი საქმენიც“, – წერს რომანის წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი, ბატონი როსტომ ჩერიძე და ამ გმირის სახეს მეტად საინტერესო ესეით გამოეხმაურება: „თაღლითის პატიოსნება (სოლომონ აშორდია - დავით კლდიაშვილის სამყაროდან)“.

\*\*\*

– რაღაც საშინელი მისტიკური აზრია ამ სტრიქონშიონ, – ჩაინიშნავს გალაკტიონის ლექსის შექმნიდან რვა წლის შემდეგ უბის წიგნაუში მიხეილ ჯავახიშვილი მისი პალინდრომის დამოწმებისას და როსტომ ჩერიძე ამ ფაქტს თავის ესეიში რომ გაიხსენებს, ამასაც აღნიშნავს:

ეს „საშინელი მისტიკური აზრი“ და პიკარესკული სამყაროს ამ გმირის გაელვება რაღაც საბედისწეროზე თუ მიანიშნებდაო.

საბედისწეროც ყოფილიყო.

არეულიყო ივერია, ათევეფილიყო აშორდიასა და მის თანამზრახელთა მეშვეობით. ბოლშევიზმის ხანაში კი კიდევ უფრო გამკვეთრებულიყო ამოყირავებული სურათი ქვეყნისა.

აშორდიელობა და ბოლშევიზმი ერთმანეთში გაიგივებულიყო.

სოციალურ მოვლენად ქცეულიყო.

თავად სოლომონ აშორდია კი, ურთიერთგამომრიცხავ თვისებათა გამო, ფათერაკიან და კოლორიტულ ფიგურად გამოკვეთილიყო ჩენენი საზოგადოების ისტორიაში.

„თავისი სიტყვის პატრონი თაღლითი“ ... „კეთილშობილი ავანტიურისტი...“ „პატიოსანი ცრუბენტელა“ ...

დაუჯერებელი გეჩვენებათ?

მწერლის ფანტაზიის ნაყოფი გგონიათ?

ვინ იცის, იქნებ განჯის სასტუმროს მეპატრონეს გიორგი ჩერიძესაც არანაკლებ უკვირდა ვალებდაგროვილი სოლომონ აშორდა დროდადრო მადლობებით რომ გამოეცხადებოდა და უკანასკნელ გროშამდე ისტუმრებდა საკუთარ დანახარჯესაც და ნაცნობ-ამფსონებისაც, თავისი სახელით რომ მიაგ ზაგნიდა ხოლმე განჯის სასტუმროში.

პირნათელი ავანტიურისტი – არავისას არაფერს რომ შეირჩენდა.

– ეს იმგვარი ხასიათია, სტივენ კრეინსაც რომ გამოუხატავს ნოველაში „ცისფერი სასტუმრო“ პროფესიონალ შულერის სახით, „მაინც პატიოსან“ კაცად რომ იხსენიებენ თანამოქალაქენიო, – წერს პატონი როსტომი.

სოციალურ მოვლენადაც ქცეულიყო.

კოლორიტულ ფიგურადაც გამოკვეთილიყო.

ქართულ იდიომატიკიც სამუდამოდ დამკვიდრებულიყო.

თეოდორ სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანშიც“ ეპოვნა ადგილი განმარტებით – რატომ დარქმეოდა აშორდა ცრუ, ყალბსა და გაიძვერა ადამიანს.

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ერთეულ პროტოტიპადაც ქცეულიყო.

და ვალერიან გაფრინდაშვილის „სახელების მაგიაშიც“ ჩანერილიყო.

„– პოეტების სახელი ანათებს, მაგრამ არის სხვა სახელებიც, რომელთაც ეზიარა ჩენენი იცნებაო.

მაინც რომელ სახელებს გულისხმობს იცნებასთან შეტოლებულად?

ბირნამის ტყეს, საკაძეს, ერესეფესერს, თამარს, წინამურს, ეიფელს, აშორდიას, მაკადამს...

ხშირად ვერ წანცდებით ერთმანეთში ისე ულვთოდ არეულ სულიერ ლირებულებებს, როგორც ამ ჩამონათვალშია...

კრიტისულ ეპოქასა და დარღვეულ ცნობიერებას სჩვევვია ამისთანა უცანაურობანი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სოლომონ აშორდიაც გათანაბრებულა პოეტის ოცნებასთან – და თამართან და წინამურთანაც“, რომანტიკიისა და აღტაცების საგნად ქცეულა.

ელგუჯა თავბერიძე კი...

„ათასგარი გამონაგონისაგან რომ განმენდდა სოლომონ აშორდიას ფიქტიოლოგიურ პორტრეტს, მის ცხოვრებას მთლიანად დოკუმენტურ ქარგზე გაშლიდა და პირვანდე-

ლი და მიუკერძოებელი სახით აღადგენდა ბიოგრაფიულ რომანში, ათასგვარი ფათერაკის ექსპრესიული გადმოცე- მისას მარტოოდენ სათავგადასავლო თუ კომიკურ ხაზს კი არ გაჰყებოდა, არამედ მწარე ტკივილიც მუაფიოდ დააჩ- ნდებოდა თხრობას უაღრესად ნიჭიერი კაცის უაზროდ გაფლანგული, ამაოებაში ჩახარჯული სიცოცხლის გამო". და სოლიომონ აშორდიაც თავისი ტრაგიკომიკურობით „სისხლი სისხლთაგნი და ხორცი ხორცთაგნი გამხდარი- ყო დავით კლდიაშვილისეული სამყაროს, ლვიძლი ნათესა- ვი მისი პერსონაჟებისა, სულ სხვა გზაზე ნასული, მაგრამ მთელი მისი აფიონრული ეპობეა განა იმ განწყობილებიდან არ არის ამოზრდილი, იმ დაუკეცელი მანიაკალური სწრაფიდან თვავადისა თუ აზნაურის ნიდბის მორგებისა, რაც კლდიაშვილის მხატვრული სამყაროს ქვაკუთხედია?"

და სოლომონ აშორდია-  
საც თითქოს ამ თავბრუდამ-  
ხვევ გალერეაშიც დაემკვიდ-  
რებინა აფეთქი.

აგერ, ჩოხა-ახალუებში გა-  
მოწყობილი სოლომონი თავ-  
მომწონედ მიაბიჯებს განჯის  
სასტუმროში.

ან: ეკროპულ სამოსში გა-  
მოწყობილი, დენდისა თუ  
ლორდისაგან რომ ვერ გაარ-  
ჩევთ, თაღლითობის ფეიერ-  
ვერქს ატრიალებს.

საბედისწეროდ არეული-  
ყო ღირებულებები.

ივერია არეულიყო.

ფარსად ქცეულიყო ჰე-  
როიკული ისტორია.

ლუქსიდან ლუქსში გადაპ-  
ქონდათ სოლომონ აშორდი-  
ას სახება „ცისფერყანნე-  
ლიებს“.

თავის პალანდრომს ჩატეკირკიტებდა გალაკტიონი.

- რაღაც საშინელი მისტიკური აზრია ამ სტრიქონშით,
- უბის წიგნაკავში ინერდა მიხეილ ჯავახიშვილი.

როსტომ ჩხეიძე კი:

- კონიტიულ ეპოქასა და დარღვეულ ცნობიერებას  
სწავლისა და მომსახურებისას...  
სწავლისა და მომსახურებისას...

\* \* \*

მალე ამ საინტერესო ესეების შურწნალ „ჩვენი მნიშვნელობის“ ფურცლებზე იხილავს კითხველი, მნიშვნელები იმის შესახებ, თუ რაზე საუბრობდნენ სალიტმი შეკრებილები.

\* \* \*

მაია ჭალიაშვილი:

ელგუჯა თავისტრიძის სახელი მკითხველს არაერთხელ  
შეხვედრია ჟურნალის ფურცლებზე. შესანიშნავი კრიტი-  
კოსა, ჩინებული ლიტერატურათმცოდნე, ვინც ქუთაისში  
მოღვაწეობს და დასავლეთ საქართველოს ლიტერატუ-  
რული ახოვრების შეგაულში დასა, თავისი საქმიანობით

შეუმჩნეველი არ დარჩენილა – ის არაერთი პრემიის ლაურეატია.

„აირევი ივერია“ კი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის (როგორც ბატონი როსტომ ჩხეიძე უწოდებს) ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ნიგნში ავტორმა ძალზე კარგად ასახა არეული საქართველოს ერთი პერიოდი და ეს სტრიქონი რომანის სათაურადაც აქცია.

ამ წიგნის დასაწერად ძალზე დიდი სამუშაო შეასრულა ავტორმა: მოიძია და შეისწავლა უამრავი საარქივო მასალა. ამიტომაცაა, რომ რომანი ასე ექსპრესიულად იკითხება.

**ლევან ბრეგაძე:** ეს რომანი ბედნიერი იდეა მგონია და ვიდრე მის შესახებ ვისაუბრებდეთ, იქნებ გვითხრათ, როგორ გაჩნდა ამ წიგნის დაწერის იდეა? სად და როგორ მოი-

ძიეთ მასალები? და კიდევ:  
როცა ეს რომანი უკურნალში  
ქვეყნდებოდა, ძვირფასი  
ფოტოებიც ახლდა, წიგნში  
კი რატომლაც არ შეიტა-  
ნეთ...

ელგუჯა თავბერიძე:

გალავტიონის ცნობილი  
პალინდრომის ეს სტრიქო-  
ნი: „აი დროშა აშორდა“ რომ  
წავიკითხე, მაშინვე გაჩნდა  
იდეა და ინტერესი ამ წიგნის  
დაწერისა. მანამდე ვიცოდი,  
რომ კვაჭი კვაჭანტირაძის  
ერთ-ერთ პრიტოლიბად, ვა-  
სო დუმბაძესთან ერთად,  
სოლომონ აშორდიაც მოი-  
აზრებოდა. დამაინტერესა  
ნაწარმოების სქელითში მი-  
ნიშნებულმა ცნობამ, რომ ის  
თავადაზნაურობის ტიტუ-

ლებას არიგებდა, მაგრამ თუ როგორ, ეს ნათქვამი არ იყო. ამიტომ გადავწყიტე გამეგო ვინ იყო სოლომონ აშორდა. ჯერ რამდენიმე მემუარულ ლიტერატურაში მოვიძეი ცნობები, შემდევ კი ქუთაისის არქივში აღმოვაჩინე თორმეტი ტომი, რომელთაგან ცხრა სოლომონ აშორდაზეა, სამი კი ის საბუთებია, მან რომ გააყალბა (მათი დიდი ნაწილის დედნებიც კი გაუყალბებია) და როგორც ისტორიული დოკუმენტი, ისე ინახება არქივში.

რაც შეეხდა სურათებს, აქ არის სოლომონ აშორდიას ძმის შვილიშვილი, პატონი მალხაზი, ვის ოჯახშიც აღმოვაჩინე ეს შთამბეჭდავი ფოტოები, თუმცა წიგნში შეტანა რატომდაც არ ჩავთვალე საჭროდ. ვიფიქრე ფოტოალბომს არ დაემსაგასხვოს-მეთქი.

ლევან ბრეგაძე:

გურამ ფანჯიკიძე მიყვებოდა, რომ ჩეცნს დროშიც იყო ასეთი პიროვნება, გვარად რატიანი, ვისაც დიდხანს ძალზე კარგად გამოსდიოდა არაჩვეულებრივად მოფიქრებული აფიონრები. გურამმა კარგად იცოდა ეს ისტორია. დაწერე-მეოქი, — ვეუბნებოდი და არა: ხალხი მოტყუებას ისნავ-ლისო. მე კი მგონია ხალხი ამით იმას ისწავლიდა, როგორ არ მოტყუებულიყო.

მსგავსი აფიორები ლიტერატურის ისტორიასაც ახ-სოვს. თუ გადაშლით დერუავინის რომანებს, კომენტარები შეხვდებით ვინჩე სულაკავის (იგივე სულაკაძის) გვარს. საინტერესო ის არის, რომ სწორედ მისი გაყალბებული ტექსტები დადაცო საფუძვლად რუსულ რომან-ტიტას.

მსგავს მისტიფიკაციაში იყო გარეული ასეთი პიროვნებაც – გვარად კავასიძე, ვინც გერცენის დროს შექმნა დოკუმენტი, რომელმაც არასასურველი სახით წარმოაჩინა სამეფო კარი და ჩამქრალი რევოლუციური ფონი გამოაცოცხლა. ასე რომ ასეთი პიროვნებები და მათი ავანტიურები ისტორიის ნანილიცა და ხელოვნებისაც.

### **რესულან დაუშვილი:**

არ ვიცი საიდან, მაგრამ ამ ადამიანებს აქვთ რაღაც თავისებური მომხიბვლელობა, შესაძლოა იმიტომ, რომ ყველა ქართველში ცხოვრის ავანტიურისტი. ცნობილია, რომ აშორდისა აფიორები ემიგრაციასაც გადასწვდა და ლამის სახელმწიფო დონეზე განხორციელდა. საქმე ის არის, რომ ჩვენს ლტოლვილ მთავრობას არაერთი დოკუმენტის გაყალბება მოუნია. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის საბუთები, 40-იანი ნლების მერე (საფრანგეთის ოკუპაციის შემდგომ პერიოდში) რომ შეიქმნა. ამ დროს დაინყო მუსლიმანთა და ებრაელთა დეპორტაცია. და მაშინ, მიხეილ ჭედისა აქტიური ჩარევით, არა მხოლოდ ქართველ, არაქართველ ებრაელებსაც უყალბებდნენ საბუთებს და აძლევდნენ დოკუმენტს თითქოს ეთნიკურად ქართველები იყვნენ. 1000-მდე ებრაელი გადაარჩინეს მაშინ ამ გზით. ჩანს ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა კარგად აითვისეს ის, რაც აშორდის წყალობით ცნობილი იყო ჩვენს ქვეყანაში. რამდენიმე ასეთ ფაქტსაც გიამბობთ: უცხოეთში გახიზნულ ჩვენს მთავრობას დასჭირდა აზნაურობის სიგელების გაცემა. საქმე ის არის, რომ უსახსროდ დარჩენილი ქართველები ემიგრაციაში მდიდარ ქალებს მიეძალნენ და ეს ყველაფფერი კარგად გასძიოდთ ამერიკასა და ევროპაში, სადაც „პრინცის“ ტიტულის გა-გონებაზე იოლად ეგებოდნენ ანკესზე. ასეთი „ტიტული“ ჰქონდა პრინც მაჩაბელს... კიდევ სრულიად არათავადური წარმოშობის ჭყონიას, რომელიც თავადი გურიელი გახდა და სუნამოების ბიზნესით გაითქვა სახელი. თვითონ აშორდია ემიგრაციაში არ გვხვდება, მაგრამ ის, რა-საც იგი აკეთებდა, აქტიურად ტრიალებდა საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

### **ნათელა არველაძე:**

როცა წიგნს ვკითხულობდა, თავიდან ვიფიქრე, რომ აღმოგზნდი ქუთაისში, იმ ბულვარზე, სადაც იყრიბებიან ამ ქალაქის მცხოვრები, და თუ ამ ადგილზე არ ყოფილხარ, თქვენ არ იცით ქუთაის რა ქალაქია.

მერე კარგად რომ ჩავუდრმავდი, მთელი საქართველო დამიდგა თვალინ და ვიფიქრე: იმ ერს, იმ ეპოქას რა ვუთხარი, სადაც ერთი-ორი აშორდიაც არ გაიელვებს, სხვაგვარად იუმორის გარეშე შემორჩება ისტორია-მეთქი.

შემდეგ ასოციაციურმა ნაკადმა მსოფლიო დინებების-კენ წამიყვანა და გამახსენდა, რომ ბალზაკი 30 წელი სასამართლოებში დადიოდა ონორე დე ბალზაკი რომ გამხდარიყო, არადა რა იოლი ყოფილა თურმე ამ საქმის მოგვარება აქ, საქართველოში რომ ეცხოვა.

აი, აშორდია კი საქართველოში უნდა დაბადებულიყო, რადგან საერთოდ, როცა ასეთი მოვლენა ჩნდება ჩვენს რეალობაში, ამას განაპირობებს გარემო, ისტორიული ფაქტორები, სამისიონ შემზადებული ნიადაგი. ისევე როგორც, მაგალითად, რასპუტინი გაჩინდა რუსეთის ისტორიაში.

საერთოდ წიგნი ძალზე საინტერესოა, თხრობა დინამიკურია და ბოლომდე მიყევა მთელს ნაშრომს (რომანს, მაპატიეთ, ვერ ვუწოდებდი, ეს უფრო ისტორიკო-მეცნიერის, ამასთანავე, მწერლური წიჭით დაჯილდოვებული ადამიანის თხრობა)...

**როსტომ ჩხეიძე:** – რომანიც ამას ჰქვია, ქალბატონონათელა...

**ნათელა არველაძე:** – შეიძლება, თუმცა მე უფრო მეცნიერული კვლევა მგონია. იცით, ბალზაკი რასტინიას რომ აღნერს, ეს არის დოკუმენტური ასახვა მთელი ეპოქისა. მგონი სწორებ ეს დააკლდა ამ წანარმოებს.

რასპუტინი გავიხსენ. აშორდიაც მასავით ეპოქის შვილი იყო, ისევე როგორც რევოლუცია არის ხოლმე შედეგი ისტორიული მოვლენებისა. სხვათა შორის რევოლუციაც თაღლითობაა, ეს ისტორიამ დაადასტურა...

**რეპლიკა დარბაზიდან:** – რევოლუციას გააჩნია!

**ნათელა არველაძე:** – ნებისმიერი რევოლუცია თაღლითობაა. და ყველა რევოლუციონერში ზის თაღლითოთ. ესეც წიჭია – ხომ ვტყუვდებით? ამ სიმართლეს ხომ ვერ-სად გავეცევით?

### **განანა გაბაშვილი:**

თაღლითობა არ არის ცალმხრივი მოვლენა, რადგან ასეთი საქმეები მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის კი არა, საზოგადოებრივი საქმისთვისაც კეთდებოდა და ხშირად ძალზე დიდ მიზანსაც ემსახურებოდა. იმავე რასპუტინთა მჭიდრო ურთიერთობა ჰქინდათ ქართველებს და გარკვეულ საქმეებსაც აგვარებდნენ მასთან.

სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილმა კვაჭის პროტოტიპად ვასო დუმბაძე რომ აირჩია, ამან რევაზ გაბაშვილის რისხა გამოიწვია, რადგან ეს არ იყო მხოლოდ უარყოფითი მოვლენა, ვასო დუმბაძეს აქვს სერიოზული წიგნი, სადაც დალესდღეობით ასე აქტუალურ ბაქო-ჯეიპანის საკითხებს ჯერ კიდევ მაშინ გაიაზრებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრის ცოლთან არშიყობით კი ისეთი დაკვეთები მიიღო... პირველ მსოფლიო ომში ზარბაზნებისთვის დაამზადეს უშმარები, რომელსაც ცოორილება ჰქინდა. და ეს იმიტომ გაკეთდა, რომ იმ ჰქინილები ქართველები გერმანიაზე ამყარებდნენ იმედებს და სურდათ რუსეთს წაეგო. ასე რომ ავიორები ზოგჯერ დიდ სახელმწიფოებრივ მიზნებს უკავშირდებოდა და მსგავსი ფაქტები პირადული თაღლითობებისგან უნდა გავმიჯნოთ.

### **თემურ ნადარებიშვილი:**

ერთი რამ უდავოა – ასეთი ავანტიურისტები ძალზე წიჭიერები არიან და მათი შესაძლებლობები სწორი გზით რომ წარმართულიყო, არავინ იცის რა დიდ პიროვნებებად მოვლინებოდნენ ისტორიას.

სწორად ალინშნა აქ, რომ ასეთი ავანტიურისტების საქმიანობისთვის ნიადაგი იყო საჭირო, თუმცა რამ მოაზადა ეს ნიადაგი? ან რატომ ვერ ამჩნევდა მთავრობა თავადაზნაურობის ასეთ ხვავრიელ ფონს?

მოვუსმინოთ ელგუჯა თავბერიძეს:

„დამპყრობელი რუსი ასე უფრო იბატონებდა ქვეყნის პატრონ თავადაზნაურობაში. უიდეალო ხალხით გაივსებოდა ეს წოდება და უჯობდა რა თქმა უნდა“.

ხედავთ რა მზაკვრული ჩანაფიქრია?

და თუ ეს ასე იყო, რატომლა გაამჟღავნეს, სააშეარაოზე რატომლა გამოიტანეს აშორდიას საქმე?

ესცე ფანდი გახლდათ:

ამ ამბების მერე ნამდვილი თავადაზნაურობა შეურაცხყოფილი, ჩირქმოცხებული, მის რიგებში ვიგინდარაძერული რჩებოდა, რაც ასევე მიზანი და ოცნება გახლდათ იმ ფორმისათ.

### პატა ქურდოვანიძე:

მე სამეგრელოდან ვარ და გეტყვით: ცნობილი გამოთქმა „აფერისტი აშორდია“ ბავშვობიდან მესმოდა და ახლა რამდენიმე ნიუანსზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება:

თითოეულმა თქვენგანმა გაუსვა ხაზი აშორდიას პიროვნულ ხიბლს, ამ ფაქტს შეხედეს როგორც ლიტერატურულ და ისტორიულ მოვლენას, მაგრამ ზნეობრივი მხარე? ამ საკითხზე რატომ არაფერს ვამბობთ?!

ჩემი აზრით აშორდია უსახელმწიფო ბრიობამ შექმნა. რატომ გაჩნდა ასეთი მოვლენა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში? ეს ის დროა, როცა სახელმწიფო აღარ არსებობს, ყველა სამთავრო გაუქმებულია და საქართველოს ოფიციალურად აღარც ახსენებენ, ორ გუბერნიად მოიხსენიებენ: თბილისის და ქუთაისის.

სწორად აღნიშნა ქალბატონმა მანანა გაბაშვილმა, რომ თავადაზნაურობა მხოლოდ წოდება არ არის. ეს ტიტული ერის მთავრის, წინამდლოლის ფუნქციებსაც უტოლდება. და, უცებ, წარმოიდგინეთ, ამდენი ყალთაბანდი ერთად რომ შეიკრიბება, საზოგადოება კი ამაზე თვალს დახსუფავს. არადა, ეს ყველაფერი ხდება მასინ, როცა მათ გვერდით ცხოვრისენ გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსანდრე იქრიბირიძე, გრიგორილ დადინაით...

მწერლმა ბრწყინვალე სახე შექმნა, მაგრამ თავად მოვლენა უზნეობა იყო და სამინელი როლი ითამაშა სამეგრელოს ისტორიაში, ისევე როგორც მისმა მოგვარემ თადა აშორდიამ, მეგრული ანბანის შექმნა რამომადგენ არის შექმნა რომ წამოიწყო. ამიტომაც არის, რომ ამ გვარს დღესაც კნინობითად მოიხსენიებენ სამეგრელოში.

### სოსო ჭუმბურიძე:

ძალიან მომენთა წიგნი. განსაკუთრებით ის ეპიზოდები, სადაც ავტორის მნერლური ნიჭი ჩანს. მაგალითად ის ფრაგმენტი, ბავშვობაში როგორ ხატავდა სოლომონი ფულებს და მის მოხატული კუპიურები უფრო მეტად რომ ჰყავდა ნამდვილს.

აქ ბევრი საინტერესო რამ ითქვა, მე გავამახვი-

ლებ ყურადღებას სათაურზე: „აირევი ივერია“. თავიდან ვიფიქრე: რატომ არ დაარქევა „აი დროშა აშორდია“ – მეტქი. მერე მივხვდი – „აირევი ივერია“ ისეთი სათაურია, თავის თავში დიდ მიზანს რომ იტევს (ერთგვარად სარისკოსაც კი) და ეს მიზანი წარმატებით განახორციელა ავტორმა წიგნში. საინტერესოა მაინც რომელ აშორდიას გულისხმობდა გალაკტიონი თავის პალინდრომში – სოლომონს თუ თადას? თვითონ ბატონი ელგუჯა გამოთქვამს ვარაუდს: ერთსაც და მეორესაც, თუმცა სოლომონის მსგავსი თალღითები აღმართ ისე საშიშნი არ არიან ქვეყნისთვის, როგორც თადა აშორდია, მეგრული ანბანის შექმნა რომ გადაეწყვიტა. სწორედ ასეთი ქმედებია საშიშნი, ასეთი საქმებით აირევა ივერია.

ძალზე საინტერესო წიგნია და მინდა მივულოცო ავტორს ასეთი კარგი რომანის გამოცემა.

### რუსუდან ნიშნიანიძე:

ძალზე ზუსტად აღნიშნა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ სიტყვების თავისთავადი, სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. მეც გავიხსენებდი ვალერიან გაფრინდაშვილის ცნობილი ნერილების სერიას, გასული საუკუნის 20-იან წლებში რომ ინერებოდა და მათგან გამოვყოფდი იმ ერთს – „სახელების მაგიას“, სადაც პოეტი გამოარჩევს რამდენიმე სიტყვას, როცა ისინი, თავისი მხატვრული და ესთეტიკური ფუნქციის გარდა, ლიტერატურულ ტექსტში სიმბოლური გააზრების უნარს იძენენ და მათი ხსენებით მკითხველისთვის უკვე გასაგებია რაზე საუბრობს ავტორი. 20-იან წლებში ეს სახელები იმდროინდელმა სათქმელმა წამონა წინ.

მინდა გაგახსენოთ ის ეპიზოდი ელგუჯა თავბერიძის წიგნიდან, სადაც პატარა სოლომონი მერხთან ზის და ფულს ხატავს. მასნავლებელი თავზე დაადგება ბიჭუნას, რომელიც თან გამალებით ჭრის კუპიურებს. ის ჯიბიდან ამოილებს თავის დაჭმუჭნულ, კიდევაბშემოხსნილ მანერითანს და გაიფიქრებს: ყალბი უფრო ჰგავს ამ ნამდვილს... ნეტა როდის ისნავლა ამ ბავშვმა ასეთი ხატვაო.

ბავშვი კი ზის და ფიქრობს: – ნეტა როდის წამომადგამასნავლებელი თავზე ისე, რომ ვერ მივხვდიო.

და აქვე ჩნდება მკითხველის, საზოგადოების კითხვაც:

როდის უჩნდებათ ადამიანების ნებს სურვილი გაყალბებისა?

შემაძრნუნებელი თქმა იცოდა კონსტანტინე გამსახურდიამ: ჩეცები ყველა ნაბიჭვარს ანზაურობა სწადია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობაო. როცა ასეთი წადილი არის ერში, მაშინ დიდი ადამიანების გვერდით შესაძლოა გაჩნდნენ კვაჭების, ყვარყვარების, აშორდიების მსგავსი ავანტიურისტებიც. ეს საქართველოს თავგადასავალია, რომელშიც ყველას თავისი როლი აქვს და როცა ადამიანები

### განვართება

„ჩემი მერლობის“ მე-16 წიგნში  
თამაზ ჩენენკელის ესეში „ლვისნებირი კაცი“  
(მე-9 გვერდის მეოთხე აბზაცი)

ასე უნდა იკითხებოდეს:

„მეორე დღეს მედიერ ჯაფარიძემ ლიძაველი ქართველები მიგვიატინებ თევზის სუფრაზე. არაჩემულებრივი დიასახლისობა გამოიჩინა თვითეულის მიმართ: ეს ძვირფასი თევზია, რატომ არ მიირთმევთ, თქვენ არ სვამთ, რაშია საქმე, და მისთანანი, და ერთ მომენტში ყურში ჩამურჩულა: ვჩერა ვა ნაკარის მართლიც იყო.“

ირგვლივ ხედავენ სიყალბეს, როცა დგება საჭიროება, რომ მხატვრულად გაძლიერდეს აშორდიას სახე, ელგუჯა თავ-ბერიძის ეს რომანი ძალზე დროული სათქმელია, რომელიც არაერთ საკითხზე დაგვაფიქრებს.

#### მასაზ აშორდია:

სოლომონ აშორდიას გარდაცვალების შემდეგ პაპაჩე-მის ოჯახში დარჩა დიდი დოკუმენტური მასალა, მათ შო-რის სოლომონის დღიურიც, რომელშიც თვითონ აღწერს თავის დაპატიმრებებსაც და ავანტიურებსაც. ჩანს უნდო-და ეს მასალები წიგნად გამოეცა სათაურით: „**Похождения Соломона Ашордия Зугдидского**“.

ბევრი ცნობა პაპაჩემმა ყოფილი სსრკ-ს არქიეპიში მო-იმია. ის გაზეთებიც კი მოძებნა, რომელშიც თუნდაც ერთი სიტყვა ენერა სოლომონ აშორდიას შესახებ. მერე ეს ყვე-ლაფერი მამას შეუჯერებია და მას უნდოდა წიგნად გამოე-ცა, მაგრამ იმ პერიოდში ვერ მოხერხდა – უარი უთხრეს გასაგები მიზეზების გამო. სხვათა შორის, მანამდე ის შალ-ვა დადიანთანაც მისულა, უნდოდა თეატრის სცენაზე მა-

ინც გაცოცხლებულიყო სოლომონ აშორდიას სახე, მაგრამ შალვა დადიანი მალევე გარდაიცვალა და იდეაც განუხორ-ციელებელი დარჩენილა.

დღეს აյ ბევრი რამ ითქვა ამ პიროვნების შესახებ, მე ერთს ვიტყოდი: სოლომონ აშორდია თავიდან ბოლომდე ქართველი იყო თავისი ლირსებებითაც და ნაკლითაც...

**კითხვა დარბაზიდან:** – სოლომონის ნიჭი თუ აღმოაჩ-ნდა ვინმეს მისი შთამომავლებიდან?

**მასაზ აშორდია:** – იცით, ბავშვობაში კარგად ვხა-ტავდი... მამას ვეხვენებოდი: პიონერთა სასახლეში მიმიყ-ვანე ხატვის წრეში-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ დავითან-ხმე. მაშინ ვერ ვხვდებოდი რატომ, ახლა კი...

– რაიმე ქონება თუ დაუტოვა შთამომავლობას?

– გადმოცემით ვიცი, ასეთი რამ მომხდარა: რაღაც საქმის კეთებისას სოლომონს მთელი თავისი ქონება ვი-ღაცისთვის მიუნდვია და მერე იმას... მოუტყუებია, თურმე.

ბედის ირონია თუ იყო სოლომონ აშორდიასი.

#### ნინო ყულოშვილი

## ლაზური ფესტივალი ანუ „იბირი, მოთ გაშეურინება!“

„ლაზი, ქართველი, მეგრელი – ყველანი ძმები ვართო“ ლაზის მიერ ნათქვამ ამ ლაქებში კარგა-და გამოხატული ქართული ერთიანობის იდეა. დღეს ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ თურქე-თის რესპუბლიკის ზღვისპირა ქალაქებში – რიზე-ში, ათინაში, არქავეში, ხოფაში. ასევე საქართვე-ლოს ერთ პატარა, საზღვრისპირა ლაზურ სოფელ სარფში.

ლაზები ლაზურად საუბრობენ. ქართველური ენები საერთოქართველური ფუძეენის ენობრივი ერთიანობის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა. ვა-რაუდობენ, რომ ფუძეენას გამოყენ სვანური და ქართულ-კოლხური (კოლხური (ზანური) ანუ მეგ-რულ-ლაზური), მოგვიანებით კი, გაიყო ქართული და მეგრულ-ლაზურიც (ჩსირად ლაზურის ნაც-ვლად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებუ-ლია ტერმინი ჭანური, კოლხურის პარალელურად – ზანური). ლაზური და მეგრული ენათმეცნიერთა ერთი ნანილის მიერ მიჩნეულია ქართველური ენის, კოლხურის (ზანურის), ლიალექტებად; მეორე ტრადიციული შეხედულებით, მეგრული და ლაზუ-რი უკვე ქართველური ენებია; სხვა მოსაზრებით, სვანური და მეგრულ-ლაზური ქართულის და-ლექტებია. დღეს ლაზური გავრცელებულია შავ ზღვსა და პონტოს ქედს შორის ვინწრ ზოლში სო-ფელ საფილან (ლაზური სოფელ საქართველოს სამხრეთ საზღვარზე) სოფელ მელიათამდე (რიზეს მხარე). ლაზურში მცველობა განსხვავებულ სამ კილოს გამოყოფენ: ხოფურ-ჩხალურს, ვინურ-არ-ქაბულსა და ათინურ-ართაშენულს.

საზღვარზე ვდგავარ, თუმცა გალმაც  
დამრჩა მრავალი  
სასოს ნარკვეთავს ნალეკილი ნლების  
ქრონიკა

ლაზური ზეპირსიტყვიერება ქართული ფოლკლორუ-ლი საუნჯის ნანილია. პოეტური ტრადიციები ლაზეთში საქმაოდ ძლიერია და თავისი არქაულობით მსგავსია ქარ-თული, სვანური, მეგრული ხალხური შემოქმედებისა. ქართული პოეზიის ნანილია თანამედროვე ლაზი ავტო-რების შემოქმედებაც, რომელიც, ლაზურ ფოლკლორთან ერთად, გამომცემლობა „ინტელექტმა“ გააერთიანა „ლა-ზური პოეზიის 100 ლექსის“ კრებულში.

კრებულის პირველ ნანილში მეითხველი გაეცნობა თანამედროვე ლაზი ავტორების: ჰასან ჰელიმიშის, სელმა კოჩივას, იაშა თანდილავას ნაზი თანდილავას, იაშა ბაქ-რაძის, სინა ბადიშის, დათო ბაქრაძის შემოქმედებას. ლაზური ხალხური პოეზიის ტრადიციულ ნიმუშებთან – შრომის, საქორნილო-სანესჩეველებო, სატრფიალო და საისტორიო ლექს-სიმღერებთან ერთად ხოტბის, ელეგიი-სა და ბალადის ნიმუშებიცაა ნარმოდგენილი. კრებულის შემდგენელი გახლავათ ენათმეცნიერი – თეა კალანდია.

„ინტელექტში“ შეკრებილი საზოგადოება დიდი სიხა-რულით შეხვდა „ქართული პოეზიის“ სერიით დაბეჭდილი წიგნის – „ლაზური პოეზიის 100 ლექსის“ გამოცემას, რადგან ჩვენი თანამემამულებების მტკიცნეული ხვედრი

თითოეული ჩვენგანის ხვედრიცაა. ლაზური ფოლკლორი, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩენიათ ქართველი მკვლევარებს: ნიკო მარს, იოსებ ყიფიძეს, არნოლდ ჩიქობავას, სერგი ულენტს, სერგი ჯიქიას, გურამ კარტოზიას, ირინე ასათიანს, ნათელა ქუთელიას და სხვ.; საქუთარი წვლილი ლაზურის პოპულარიზაციის საქმეში კულტურის სფეროს ნარმომადგენლებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა, კომპოზიტორებმა, მომძერლებმა: ლელა წურწუმიამ, სოფო ხალვაშმა და სხვ. შეიტანეს; „კოლეური კულტურის ცენტრის“ დაარსება გიორგი ანდრიაძის თაოსნობით და ა. შ. თუმცა ამ კრებულის მნიშვნელობაც დიდია ეროვნული ერთიანობის იდეის განხორციელებისაკენ მიმავალ გზაზე.

**კახმეგ კუდავა,** გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი: ეს გამოცემა აკადემიური არ გახლავთ, ვალდებულად ჩავთვალეთ თავი, რომ ეს საუნჯე – ლაზური შემოქმედება მიგვენოდებინა პოეზიის მოყვარული საზოგადოებისათვის. ვიცით, რომ ლაზურის პოპულარიზაციისათვის უამრავი პროექტი მუშავდება, ჩვენ ჩვენი სეგმენტი მოვნახეთ და ეს არის „ლაზური პოეზიის 100 ლექსი“.

ლექსების ნანილი დავბეჭდეთ ლაზურად, ყოველგვარი თარგმანის გარეშე, ნანილი – თარგმანით, ნანილი კი – პწყარედით. ლაზურ პოეზიას სხვადასხვა დროს იყვლევდნენ ტოკო გუნავა, ზურაბ თანდილავა და სხვები... წიგნი არ იქნებოდა საინტერესო ფოლკლორთან ერთად რომ არ გაგვეცნო მკითხველისათვის ლაზი პოეტები... ამ კრებულს შეიძლება უამრავი ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ლაზური პოეზით საზოგადოების დაინტერესებისა.

**გიორგი ანდრიაძე,** ტელევიზია „ივერიის“ გენერალური დირექტორი, „კოლეური კულტურის ცენტრის“ დამაარსებელი: ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა მსოფლიოში საინტერესო, მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, კულტურულ-პოლიტიკური პროცესები. ლაზური პროექტი 2002 წელს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწყო. პირველი, როდესაც გაფლერდა ქართული სივრცეში სიტყვა „ლაზური“ ეს იყო მაშინ, როდესაც ჩვენმა ეკლესიის სინოდმა ალადგინა ისტორიული ეპარქია ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისა. როდესაც მიმონერა მიმდინარეობს სხვა ქვეყნის პატრიარქებთან, ოფიციალურ პირებთან ხელს აწერს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი, ამით კიდევ ერთხელ აღინიშნება, რომ ეს არის ერთიანი ქართული კულტურის აკვანი. სამწუხაროდ, კომუნისტურ პერიოდში, უფრო ადრეც, რუსეთის იმპერიის დროს, არასწორად ხდებოდა ქართუ-

ლი ისტორიოგრაფიის ნარმოჩენა, რომელიც ობიექტურად არსებობს. სამწუხაროდ, ამოღებული იყო ლაზეთი და დღესაც არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი და გაცნობიერებული ვინ არიან ლაზები? სად ცხოვრობენ? რა კულტურა აქვთ? რა როლი ჰქონდათ საქართველოს ისტორიაში? ჩვენ ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ, მოხარული ვარ, რომ კულტურის ნარმომადგენლები – მომღერლები, კომპოზიტორები და სხვ. ჩართულნი არიან, ალბათ, ამ აქტივობის ნანილია „ლაზური პოეზიის 100 ლექსიც“.

**ერევლე სალიანი,** პოეტი: ეს წიგნი არის ის განძი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გადამალული იყო, გამოვსტაცეთ ამ სიბერელეს. ყოველ ლექსს ვადარებ იმ განძს, რომელიც მინის წალში იმალებოდა, საკმარისი იყო გადაგვეხსნა მიწა, მან უკვე მზის სინათლეზე ამოსვლა დაიწყო. თავის-თავად ლაზური პოეზია, ჩემდა სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბებია მყავდა მეგრელი, ქარდავას ქალი, საყველაცურო მეგრული მესმის, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს იმისა, რომ თავს უფლება მივსცე, რომ ვთქვა – ლაზურ პოეზიას სილრმეში ვწვდები. შეიძლება ბევრი რამ ვერ გაიგოს ადამიანმა, მაგრამ შეუძლებელია არ იგრძნო. ჩემი ნარმოდგენით, ლაზურმა პოეზიამ შეინარჩუნა ის უძველესი ფორმა, რომელიც გააჩნდა ქართულ ლექსს, როდესაც ლექსი სიმღერასთან ერთად იბადებოდა. როცა აკაკი შანიძე გახლდათ სვანეთში და სთხოვდა იქაურებს, ლექსი ჩამანერინეთი, სვანები სიცილით კვდებოდნენ, – ბატონო აკაკი, ჩვენ ლექსს ვერ ჩაგანერინებთ, ჩვენ შეგვიძლია ლექსი გიმ-

დეროთო – ეუბნებოდნენ ადგილობრივები მეცნიერს. ის ავტორები, რომელთა შემოქმედებაც ამ კრებულშია დაბეჭდილი, ძირითადად, არ ლალატობენ იმ პოინტის, რაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ე. ი. მათი პოეზია დასაბამს იღებს დიდი ხალხური პოეზიდან. საქმე გვაქვს არა ზედაპირულ, არამედ შორს მიმავალ კავშირებთან ე. ი. უკვე ძირისძირში ჩაბრუნებასთან და ფესვის მოძიებასთან და ფესვის განცდასთან. მიმაჩნია, რომ ქართულმა პოეზიამ რომ იარსება გაპირობებულია იმით, რომ ნასაზრდოები არის იმ ძლიერი ფესვით, რომელსაც საუკუნეებში აქვს ძირი გადგმული.

**ბუბა კუდავა,** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ისტორიკოსი: ცალკეული ადამიანების ლგვნლი აღარ არის საკმარისი, საჭიროა სერიოზული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. ლაზებთან ურთიერთობისას თვალშისაცემია ერთი რამ, მათთან ჩვენ არ გვქონია საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობა, ისტორიამ ასე მოიტანა მოწყვეტილი აღმოჩნდა ერთიანი ქართული სამ-



ბუბა კუდავა

ყაროსგან, ამან გამოიწვია გაუცხოება. რომ მოხდეს დაახლოება, გაშინაურება, ამისათვის ჩვენ საქართველოში ძალიან ბევრი საქმე უნდა გვქონდეს გაკეთებული მათვის, რომ უუთხრათ: აი, ეს არის შენი ორგანული სამყარო. არ ვაკნინებ, მაგრამ „2000 ლაზური სიტყვის“, რომელიც ჩვენ, „არტანუჯმა“, გამოვეცით, გვერდით თურქეთში არის გამოცემული სქელტანიანი თურქულ-ლაზური ლექსიკონი. ქვეცნობიერად, აღბათ, მოქმედებს ადამიანთა განწყობაზე, შინაგან არჩევნიზე. ქართველს რომ ჩამოათვლევინოთ ისტორიული ქართული პროვინციები, შეიძლება, ერწოც კი დაასახელონ, რა თქმა უნდა, ერწოს სანინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ დაასახელებს უფრო დიდ პროვინციას – ლაზეთს. ამ ფონზე ის აქტივობები, რაც აღინიშნა, მნიშვნელოვანია. ამ ადამიანებს უნდა დავანახოთ, რომ ლაზეთი არის ერთიანი კოლხური, საერთო ქართველური სამყარო. ამისათვის სერიოზული ნაბიჯები გვაქვს გადასადგმელი. რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ ლაზეთის პოპულარიზაციისათვის!


**ლელა წურნუმია**, მომღერალი: მიშა ლაბაქემ დაწერა ტექსტები და ჭაბუკა ამირანაშვილის მუსიკაზე შეიქმნა ლაზური სიმღერები. ერთ სიმღერას გამოვარჩევ, დოღან აბაშიშვა ჩამოიტანა „ჭუტა ჭანი“. ძალიან ძნელი იყო მისი შესრულება. აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობისას შევასრულე. აღქმულიც არ მქონდა ასეთი რეზონანსი თუ მოჰყვებოდა. ლაზები მწერდნენ წერილებს, მადლობას მითვლიდნენ. ლაზური პროექტი დალოცა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II.

### ქვეყნად ტკივილია მრავალი, სარფის ტკივილია ერთი

საზოგადოებას ლაზური პოეზიის საღამოზე ლაზი პოეტების სახელით მიესალმა იაშა თანდილავა, სარფელი ლაზი, რომლის შემოქმედება პირიქითა და პირაქეთა ლაზეთში ჩვენებურებისათვის ახლობელი და საინტერესოა. ასეთი ადამიანები რომ არ გვყავდეს, უნდა გამოვიგონოთ... მათ ერთი მუჭა მიწით და გულით დააქვთ ლაზეთი...

**ერთი მუჭა მიწით და გულით დამაქვს ლაზეთი**  
გააკეთოთ რუკაზე მონახაზი ასეთი,  
ეს ხომ უფრო დიდია, ვრცელია და მძიმე,  
ვიდრე დიდი კედელი, რაც გარს არტყამს ჩინეთს.

პოეტი ლექსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახლმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტ-



იაშა თანდილავა

ზე სწავლის დროიდან წერს, ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებშიც იბეჭდება, მაგრამ ხშირად მეგობრების რეკომენდაცია სჭირდება რედაქტორებთან, რადგან მისი პოეზია საკუთარი ფესვების ტკივილიანი განცდაა, წარსულის წარუშლელი მახსოვრობა... ამიტომაც ლექსები გადარჩეულია, გრიფირებული... ჩვენც ეპიგრაფებად იაშა თანდილავას ქართულ ენაზე დაწერილი ლექსებიდან გთავაზობთ.

იაშა თანდილავა ლექსებს ძირითადად ლაზურად წერს და თარგმანის გარეშე ბეჭდავს. მისთვის, ქართულ სიტყვას მეგრულ-ლაზურ-სვანურ ძირს თუ ვერ მოუძებნი ე. ი. ის ქართული არ არის და თუ ვერ მიხვდები სიტყვის წარმომავლობას, მაშინ შენს ქართველობას საფრთხე ემუქრება. ასე დაიწერა „კოლხობა“, „სარფი“, „მზოღაშ ბირფა“ და სხვ.

„ლაზური პოეზიის 100 ლექსის“ და ამჯერად, ჩვენი მკითხველიც გამოცდის წინაშე აღმოჩნდა...

ხოლო გუიქითუ წანა დო  
ხოლო ქომოხთუ ძაზითი,  
ხოლოთი ე ცაშ თუდე ბდგი,  
ხოლო ეშო მჭიფს, ეშო მოუფს.  
დღა ნულუნ, წანა მუს ნოყუფს,  
ჩქი ა ნდღალეუჯე პკოროცხუფთ  
წანს არ დღა რენ, გურის ნა  
მჟურა ეშულუნ, მემოჩეუფს.  
ა ნენა დიდოსვარ უჩქინ,  
ხვალა მან დო სინ, შუმშინე!  
სინ გიყონუტას, ვარ ოჩქვა,  
იბირი, მოთ გაშქურინენ!  
გურის მგარინი მომიხთეფს,  
მუშენი, კაი გაჩქინენ!  
სარფი, სინ შურის გოგიხთა,  
სი კირა-ჩქიმიშ დაჩხერე!

ჩვენ ჩვენი ფესვების, მკვებავი წყაროს სიყვარულს საკართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ჩვენებურებისაგან ვსწავლობთ... ასე, ფესვების მახსოვრობაში ლაზი კაცი თუ გამოვცდიდა... ინგლისელი მკვლევარის რობინ ფედენის სიტყვებით, „აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ლაზები ლირსშესანიშნავ ინდივიდუალობას წარმოადგენენ... ითვლებიან კოლხების მეტყვიდრეებად, რომელთა საზოგადოება ბრინჯაოს ხანში ყვაოდა, იმ კოლხებისა, რომელთაც შეხვდნენ იაზონი და არგონავტები შავი ზღვის ამ შორეულ კუთხეში, მათი ენა დაუწერელი და აუწერელი, ნამდვილად ენათესავება ქართულს.“

საკუთარ ფესვებთან კავშირის დაკარგვა სიკვდილის ტოლფასია!

ნინო ციმაკურიძე

## თიბათვის მზემი, არაგვის ლამაში

იაკობ ბოგოსიძის ხსოვნას

ყველა ფილოლოგს ხანდახან მა-ინც შეუჩინდება ხოლმე ქურნალისტების ჭია და როცა იშვიათად, მაგრამ მაინც, მეც მემართებოდა ასე-თი, მითიც ერთი დიდი ციკლი მომემზადებინა ოჯახზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ გამომერჩეოდა, რომ ლამის სამი ათეული წლის მეგობრობა მაკავშირებს მასთან, არამედ იმიტომ, რომ აქ ყველას, დიდა თუ პატარას, ხელოვნების დიადი სენი შესყირია და მისი ბაცი-ლები უსულო დგამსაც კი მოსდებია, ჰაერშიც მიმიფანტულა და მო-ფარფატე იდეების არ იყოს, ისე შე-იძლება გადმოგედოს ცხრავე მუ-ზასთან მწყრალად მყოფ კაცსაც, რომ აქედან გასულს ერთი უხეირო ლექსი მაინც დაგვიჩერინოს...

ვოცნებობდი და ჩინჩხის სახით მაინც წარმომედგინა ციკლი, რომ-ლის ძარღვი და დვრიტა, რომლის გვირგვინიც ოჯახის მა-მა, ჩემთვის იაშა ძა, საქართველოსათვის კი გენიალური კომპოზიტორი იაკობ ბობოხძე უნდა ყოფილიყო... აი, იმას კი ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ პირველი კარი ამ გეგმისა იაშა ძასთან გამოსათხოვარი წერილით გაიხ-სნებოდა.

ახლა პარასკევია, ჯერ ერთი დღე თუა გასული, რაც უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ. ჯერ ცრემლი აწებება თვალებს და ტკივილი გუგუნებს მთელ სხეულში. ეს ტკი-ვილი სულ იქნება, მაგრამ დრო თავისას არ მომშობის და ყოველდღიურობის ალიაქოთი ხანდახან ამ გრძნობას მი-აყუჩებს. იქნებ მერე ჯობდა, უფრო დანმენდილ-დაფხზ-ლებული გონებით თქვენი საკადრისა წერილის მოფიქრება, მაგრამ გული მთხოვს, როიოდე სიტყვა მაინც, ოლონდ ახლავე, ვუთხრა ჩეგნს მკითხველს. შეეჩივლო, შეეტირო და სამძიმარი მივიღო თუ იქით ვუთხრა... სწორედ ასეთ სამძიმარს ეუპნებოდნენ ამ დღეებში თქვენს ქალიშვი-ლებს, ანუგეშებდნენ და იქთაც ითხოვდნენ ნუგეშს თა-ვიანთოვის და სრულიად საქართველოსათვის.

გენიალური განა იმიტომ გინდეთ, რომ ამ სიტყვას ჩემთვის ზოგიერთების წარა-მარა ძახილით ფასი დაუ-კარგავს, ანდა იმიტომ, რომ გარდაცვლილზე აუცილებ-

ლად ზეტონებით უნდა ისაუბრო. არც ერთია და არც მეო-რე გულწრფელი და სხვა დროს რომ არაფრით დავიუნებ-დი, ობიექტური.

გარდაცვლილზე საქებარ სიტყვებს ცნობილი ლათი-ნური გამოთქმა გვავალდებულებს: დე მორტუს აუტ ბე-ნე, აუტ ნიპილ, ანუ ან კარგი, ან არაფრიო, მაგრამ მო-დით და ის ადამიანი მომაძებნინეთ, რომელსაც იოტისო-დენა აუგი მანც ექნებოდა იაკობ ბობოხიძეზე სათქმელი. ვერ ნახავთო, კინოსტუდიის ეზოში, თქვენთან გამოსამ-შეიდობებლად მოსულებს გვარწმუნებდნენ ბატონები რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ვაჟა აზარაშვილი...

არ ძეეძლოთ, არ ეთქვათ, თორემ დასარწმუნებელი რა გვჭირდა.

ახლა ნინ მიდევს თქვენი წიგნი, რომელსაც „სიმღერა საქართვე-ლოზე“ ჰქვია. დავესესხები ბატონ ვაჟა გავაშელს და ვიტყვი, რომ მთელი თქვენი შემოქმედება, მთე-ლი თქვენი ცხოვრება სიმღერაა სა-ქართველოზე და საქართველო აუ-ცილებლად ინანებს, როგორც არა-ერთხელ უნანია, რომ ისე ვერ და-გაფასათ, ისე ვერ მოგეფერათ, რო-გორც თქვენ ეფერებოდით. რო-გორც თქვენ ულამაზებდით დღე-სასწაულსა თუ სადაგ დღეს. თქვენ ჩივილი არ გიყვარდათ და არც მე მომინონებდით ამ საქციელს. ზეიმი კი...


ზეიმი კი კვლავაც ბევრი ექნება საქართველოს თქვენი ნათელი ნი-ჭის წყალობით, იშრიალებენ და იგუგუნებენ თქვენი პანგები ქარ-თლის მიწაზე თიბათვის მზეშიც,

არაგვის ღამეშიც, თეთრი ქარებიც მიმოაპნევს ვერხვის ფოთლებს და ახალი წელი როგორ შემოდგამს ფეხს ისე, თქვენი ფიფქები რომ არ შემოგვაყაროს...

სიურპრიზი კი რამდენი გველის, რამდენი რამ ჯერ არ მისულა მსმენელის ყურამდე (ყურთან მიტანა გაჭირდა, თორემ გულებისაკენ გზის გასაგებად თქვენს მელოდი-ებს არც სპონსორი დასჭირებია და არც პიარ-მიარი)...

თქვენს შემოქმედებას მუსიკოლოგთა არაერთი თაო-ბა გამოიკვლევს, თქვენს ცხოვრებას ერთი მაღლიანი კა-ლამი მაინც აქცევს ბიოგრაფიულ რომანად, ახლა კი (ახ-ლა მაინც!) ქომაგი და თანამდგომი სჭირდება თქვენს იას, ნანას, მაიას, მზიას, რომ უზარმაზარი და ფასდაუდებელი მუსიკალური მემკენდრეობა სრული სახით აუღორდეს და ანკრიალდეს ჭეშმარიტ ქართულ მუსიკას დანატრებული ქართველისათვის.

ანკრიალებასაც ნუ ჩამითვლით კალამს მოყოლილ სიტყვად. დიდ ესთეტიკას კი არ ვიჩემებ, მაგრამ არ მახ-სენდება სხვა კომპოზიტორი, რომელსაც ასე გამჭვირვა-ლემაქმანიან ეთერში მოეკეცი თავისი ნატიფი და წკრია-ლა ბევრებით. ბევრიც მოვინდომო, მე ისეთს ვერაფრის ვიტყვი თქვენს მუსიკაზე, რაც არაერთხელ უთქვამთ და ანი ხომ იტყვიან და იტყვიან პროფესიონალები. დავით



გამრეკელის სიტყვა უძლვის იმ ნიგნს, წელან რომ ვახსენე, და „დიდი მამაშვილური სიყვარულით“ რომ მაჩქეეთ. ამ ორმხრივმა დიდმა სიყვარულმა დამაწერინა ეს გაუზაფავი სტრიქონები, მაგრამ დავით გამრეკელსაც დავუთმოთ სიტყვა:

„გახდე პოპულარული, ეს იოლი საქმეა, მაგრამ გახდე შენი ხალხისათვის უაღრესად საყვარელი და დასაფასებელი, ძალზედ რთულია. საიდუმლო მხოლოდ იმაშია, რამდენად ძლიერია შენში შენი ხალხის გენეტიკური კოდი. თუ ძლიერია, მხოლოდ მაშინ ხდები ერისთვის საყვარელი კომპოზიტორი.

იაკობ ბობოხიძე შესანიშნავი კომპოზიტორია, ნიჭით გამორჩეული და თავისთავადი, როგორც ადამიანი კი, ძალიან სპეტაკი, აღალი და სუფთაა და ეს ნათლად იგრძნობა მის ყველა ნანარმოებში“.

სპეტაკო და უშურველო, სიყვარულითა და სითბოთი გაჯერებულო, იუმორით აღსავსე (როგორ მინდოდა, თქვენი ღიმილიანი ფრთიანი გამონათქვამები გამეხსენებინა, მაგრამ ვერ შევძელი, ჯერ ვერ შევძელი...), ჩემო დადო მეგობარო, მიიღეთ ეს გამოსათხოვარი ბარათი იმ დაგუბებული ცრემლების სანაცვლოდ, რომელსაც ტკივილის მარნუხებმა ვერ გააგნებინა სადინარი.

## პრიზი

### ქეთევან ელაშვილი

## უჩვეულო თამაში

■

### ემოციური დაფიქრება ზაზა აბზიანიძის ზღაპრებზე

ადამიანურ ცნობიერებაში დალექილი ყოველგვარი საოცარი, უჩვეულო, არასტანდარტული სახელდებულია ზღაპრულად. ზღაპრულობის ელფერს ნებისმიერ ნანარმოებს ანიჭებს არა მხოლოდ თავისებური, „გამჭვირვალე სივრცე“, არამედ სიუჟეტის თავისთავადი – ფრომი შეუზღუდავი განთავსება – პროეცირებული ტრადიციულ – „იყო და არა იყო რაში“...

ასე იწყება თითქმის ყველა ზღაპარი.

ეს არის ის საოცარი ხიბლი, მომაჯადაობებული დინამიკა, რითაც ზღაპარი გვაგრძნობინებს დროის უსასრულობას, იკვეთება „ზედროულობის ხატი“ და გვეძლევა საშუალება, რომ ვიოცნებოთ ანუ იმავდროულად ვიფიქროთ კიდეც...

სრულიად განსხვავებული სააზროვნო სივრცა ზაზა აბზიანიძის ზღაპრებში – „ამბავი დე ლა მელასი“ და „ბაბთა“. არც ერთი მისა ზღაპარი არაა ნარმოდგენილი „იყო და არა იყო რას“, „ზესწრაფული ხაზით“. არადა, მიუხედავად ამისა, ამ ზღაპრებში იგრძნობა მომაჯადობებული ხიბლი, უსასრულო დინამიკა და პერსონაჟთა უკიდეგანო სილალე – მოწოდებული მათი უჩვეულო სახელდებებით, რომელთა მიღმაც ადამიანური მისტერიებია, რადგანაც, მხოლოდ და მხოლოდ, სახელის სპექტრიმა შესაძლებელი პერსონაჟთა საკარალიზება.

სახელი ერთ-ერთი უსათუთესი კატეგორიაა სულიერი სამყაროსი. მამა პაველ ფლორენსიკი გვასწავლის, რომ „სახელით ხდება პირადის გამომწყვდევა სიტყვაში და მეტნაკლებად ადეკვატური გამოსახვა სულიერი არსისა.

ე. ი. სახელი წარმოადგენს საგნის არსის აზრობრივ ენერგიას“. ამიტომაც სახელი უშუალოდ აისახება ცნობიერებაში, ვითარც პროეცირებული კონკრეტული ჩანაფიქრი.

სახელდების ამ კლასიკურ ფუნქციას მიმართავს ზაზა აბზიანიძე თავის უჩვეულო ზღაპრებში. ამ ზღაპრების არა მარტო პერსონაჟთა სახელდებებია არასტანდარტული, არამედ უკვე დასათაურებისთანავე იკვეთება ავტორის განსაკუთრებული ხედვა: კერძოდ, ზღაპარი სახელდებულია, როგორც „ამბავი დე ლა მელასი“ და არა „ტევულებრივი მელასი“ და თან ერთვის ავტორისეული მინიშნება, რომ ეს ზღაპარი თავისი არსით განკუთვნილია არა მარტო პატარებისათვის, არამედ დიდებისთვისაც (იღონდ აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ამ ზღაპრის აღქმა და სწორად გააზრება შეუძლიათ მხოლოდ იმ უფროსებს, რომელთათვისაც ზრდასრულობა არ ნიშნავს ჩაკეტილ სივრცეში არსებობას).

მეორე ზღაპრის (რომელიც 2001 წლის თებერვალში აღინიშნა პირველი პრემიით გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მიერ გამოცხადებული, „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ნანარმოებთა კონკურსზე) დასათაურება კი ყოვლად ჩვეულებრივი აბრევიატურა: „ბაბთა“ ანუ „ბუსუნსულების ასოციაციის ბავშვებთან თანადგომის აქცია“. ავტორმა თვითონვე განსაზღვრა ამ ზღაპრის „სააზროვნო სპექტრი“, როდესაც „ბაბთას“ უზოდა ლიტერატურულ ზღაპარი და ამ სახელდებით იგი განათავსა თავისუფალ სააზროვნო და ხედვით სივრცეში, მაგრამ იმავდროულად ნანარმოების „ქვეცნობიერი არსი“ დაუკავშირა არა ზღაპრულ, არამედ უფრო ზოგად და მასტებაზურ – ლიტერატურულ ცნობიერებას.

ზაზა აბზიანიძის როგორც წინარე, ასევე ახალი ზღაპარი იმდენად ლალად და თავისუფლად იკითხება, რომ, ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ კიდეც, ხელოვნურად ხომ არ ვართულებ და მიღმიურს ხომ არ ვხდი ამ ავტორის ზღაპრებს.

სიმარტივე და თავისუფლება ხატია სისრულის, ხოლო ყოველივე დასრულებული კი, თავის შხრივ, რთულ სახეა შექმნის პროცესის. ამ ზღაპრების „აზრობრივი დეფინიცია“ დაიყვანება მარტივ, უჩვეულო, კონკრეტული პერსონაჟთათვის სწორად მიგნებულ და შეთვისებულ სახელდებაზე.

თუ პირველ ზღაპარში „ამბავი დე ლა მელასი“ პერსო-

ნაუთა სახელდებისას ავტორი ერთგვარ „ასოციაციური თამაშის ხერხს“ მიმართავს, სამაგიეროდ, „ბაბთაში“ პერსონაჟთა სახელდებანი უფრო დახვენილი და სრულყოფილია. სახელი ხომ პიროვნების გამოსახვის ერთ-ერთი უძველესი და უპირველესი ფორმაა, რაც ზედმინევნით კარგადაა ასახული სახელის სულხან-საბასეულ განმარტებაშიც: „სახელი – საწოდებელი“.

ამიტომაც ავტორი, ზოგ შემთხვევაში, აფართოებს სახელის შინაგან სპექტრს, აღრმავებს კონკრეტული მინიშნებებითა და სწორედ „სანოდებლით“ ახდენს პერსონაჟთა „უჩვეულო წარდგინებას“ მკითხველის წინაში.

ერთი შეხედვით, ზაზა აბზიანიძის ზღაპრებში უჩვეულობის შეგრძნებას ბადებენ სრულიად კონკრეტული, ბუნებრივი სახელები, ოღონდ არაბუნებრივ, არასტანდარტულ შესიტყვებაში. „სანოდებელთა“ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან: თაგვი ამბაკო – პატივცემული – იურიდიულ კონსულტაციაში განაცული და მისი მეუღლე ლამზირა (ამბაკო სიმშვიდის ასოციაცია, უწყინარობის გარანტი, ხოლო ლამზირა, თაგვისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარე მზერით ყველა კუთხე-კუნჭულში აღნევს);

კატა აგნესა – ეს სახელი სრულიად ესიტყვება კატის ემიციურ სპექტრს და ტოვებს მუდმივი ფორიაქის შეგრძნებას;

გოჭი სოკრატი – პატარა, ჭკვიანი, ვარდისფერი – ამ შემთხვევაში იმდენად გამჭვირვალე სახელდებაა, რომ ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი;


იხვი ჭიჭიკო – ეს სახელი, ისევე, როგორც თავად „იხვ-პოეტი“, რაღაც ირონიული შეუსაბამობის შეგრძნებას ტოვებს;

ხოლო სამი ყვავი, ეგრეთწოდებული „ტრიო“ – მაკო-თაკო-ლელაკო – პიროვნებათა წაშლის, მრავალთა ერთ სახეობად დაყვანის საშიშროებას გვამცნობს. ყვავი ასოცირებული არაა ტყუილის თქმასთან, თუმცა მაკო-თაკო-ლელაკო ხანდახან ტყუილსაც კადრულობენ...

ზაზა აბზიანიძე კი ამ „ულიმლამო პერსონაჟებსაც“ უტოვებს განსაცდელის უამს უკანდასახევ გზას: „ადრე თუ შეხმატკილებულები იყვნენ, ახლა (კალ-კალკე) ჩხაოდნენ. (კალკე) სიტყვების გარჩევა ასე თუ ისე შეიძლებოდა“. ამ „ინდივიდუალურმა ჩხავილმა“ თავისი შედეგი გამოიიღო: იხვ-პოეტის თვალში მაკო-თაკო-ლელაკო განათლებულ ყვავებად მოინათლენენ და ჭიჭიკოს ექსპრომობაც არ დააყოვნა.

ამ ზღაპრებში ავტორთან ერთად სახელდებაზე ყურადღებას ამახვილებენ თავად პერსონაჟებიც, რომლებიც ხშირად სწორედ საკუთარი სახელის წარმომავლობას იკვლევენ ან ცდილობენ იმის დადგენას, რატომ შეერქვათ ესა თუ ის მეტსახელი.

არაშესატყვისი მეტსახელით დათორგუნულია ირემი ინგიშტერი: „მეტიჩარა მეტყევემ ინგიშტერი რომ დამარქვა, – „ჩემს საყვარელ თანაკურსელს ერქვაო“, რა, ძან პატივი



მცა? მყვირალობისას რომ დავჭრილვარ, ის რახანი შემიხორცდა, აღარც მახსოვს, ეს სახელი კი შემრჩა“.

თავისი მეტსახელის მიუღებლობა აქვს ვირუკელასაც, რომელსაც „ლენჩო“ შეარქება: „კარგი, ვირი ვარ, ლენჩო რატომა ვარ?!“

– დაგარქვეს და...“

ავტორის პოზიცია სავსებით ცხადია, მთავარია არ დაგარქვან შეუსატყვისი სახელი, ერთი თუ გინოდეს, მერე ისე შეგვესისხლხორცება, როგორც ეს საწყალი ირემისა და ვირის შემთხვევებია. ამიტომაც „არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, ვინმე სხვას, გინდაც შენი შვილი იყოს, შეურაცხმყველი სახელი დაარქვას“ (ეს უკვე „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ შესატყვისი მუხლიდანაა).

შეურაცხმყველი (მიუღებელი) სახელების ფონზე იკვეთება იშვიათი იუმორით შექმნილი სახელები, როგორიცა კოშმარინა, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, ტურის ატრიბუტია, ანდა ყანყაზე წინოლა და თუნდაც ინდაური შეურთხია. ეს სახელდებანი ასოციაციურ-ფუნქციურ ჯგუფს განეკუთვნებიან, სადაც პერსონაჟთა გარეგნული იერი ან სასიათია კოდირებული.

ორივე ზღაპარში ფიგურირებენ მგლები, მეტად საგულისხმი სანოდებლებით: მგლი სევასტი („ამბავი დე ლა მელასი“) და ორი აბეზარი მგლის ლეკვი – ჰლანუნა და მუკო („ბაბთა“), რომლებიც, მიუხედავად იმსაა, რომ აკლებული ჰქონდათ იქაურობა – სახელდებებიდან გამომდინარე, უკვე რაღაც სიმპათიას იწვევენ; დაცლილია აგრესიულობისაგან, ოდესლაც მძვინვარე „მგელი სევასტი“ და მკითხველს უკვე რაღაც სიპრალულის მაგვარიც კი უჩინდება ამ „პენსიონერი ექს-მტაცებლისადმი“.

უწყინარი სახელდებანი ამ ზღაპრებში ცხოველთა არატრადიციული ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინა პირობაა.

ზაზა აბზიანიძის ზღაპრებისათვის დამახასიათებელია „უშფოთველი სივრცე“, სადაც თუნდაც თავისი არქეტიპთ აგრესიული პერსონაჟიც კი ჩამცხრალია ზუსტად მისადაგებული სახელდებით და შენც, მკითხველი, შენდა უწებურად, გადაეშვები შენთვის უჩვეულო სამყაროში, იქ, სადაც ბუსუნსულები არიან – „ეს უსაყვარლესი არსებანი, ცოტა ეშმაკები, ცოტა მიამტები, რაც მთავარა, უბოროტონი“, რომლებიც ავტორის კეთილი ნების განსახოვნებას წარმოადგენ და ამიტომაც ავტორთან ერთად ქმნიან „სულიერი სიმშვიდის ზღაპრულ პროცერებას“. ეს განწყობა განპირობებულია არა მხოლოდ ზემოთჩამოთვლილ სახელდებათა ხალისიანი თამაშით, არამედ იმ ავტორის იული ილუსტრაციებითაც, რომლებიც იმავე განწყობითაა გამსჭვალული და ერთდროული სისადავითა და სრულყოფილებით გამოირჩევა.

#### P.S.

ეს ემიციური დაფიქრება 2001 წელს დაიწერა და რატომლაც ველოდი შესატყვის დროს შის გამოსაქვეყნებლად ანუ ლიტერატურულ ზღაპრებთან საზოგადოების

კვლავ მიბრუნების პერიოდს. და აი, სულ ახლახან ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა ზაზა აბზიანიძის ზღაპრების სრული კრებული „ნითელკუდა“ (ავტორის მიერ კვლავ ალიტერაციულ თამაშზე გათვლით დასათაურებული).

ზღაპრის „ხნოვანება“ მას კიდევ უფრო უჩვეულოს და, თქვენ ნარმოიდგინეთ, თანამედროვეს ხდის. ასე მოხდა ზაზა აბზიანიძის ათწლიანი მეზღაპრების შამსაც და ამ კრებულში ავტორი კიდევ ერთი გარდასახვით მოგვევლინა, როგორც მინიატურულ ზღაპართა დიდოსტატიც – „ნითელკუდასა“ და „კოსტა-ბრავოს“ შემთხვევაში. ავტორის ხელნერა მოკლედთქმულ ზღაპრებში კიდევ უფრო მქვეთრად გამოიკვეთა – სახელთა ულერადობის ზედმინევნით შერჩევაში (ქალაქელი თაგვი – თეონა; პროვინციელი თაგვი – ხვიჩა; ხანდაზმული კატა – ეკატერინე; ამ-

პარტავანი, თავის ძალებში დარწმუნებული კალია – კოსტა-ბრავო; აგრესიული მამალი – ედიშერა თუ სენტიმენტალური მუხლუხი – იზოლდა...). იუმორნარევ თხრობას იშვითად ესადაგება ნახატები, რომელთა სითბო გვაფიქრებინებს, რომ ამნაირი ილუსტრაციების შექმნა მხოლოდა ზღაპრის ავტორს თუ შეუძლია...

სასიამოვნოა, რომ ზაზა აბზიანიძის ზღაპრებს უკვე პყავს სხვადასხვა ასაკისა და თაობის ერთგული მყითხველი. იმედია, მათ ყველაზე მიუკერძოებელი შემფასებელი, საყმანვილო აუდიტორიაც გაითავისებს (გასული წლიდან „ნითელკუდა“ მე-7 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოშია შეტანილი), ხოლო უფროსებს კი ეს ფაქტი სამყარო დაეხმარება ჩვენს ამორფულ ცხოვრებაში ბავშვობის დროინდელი სიმყუდროვის განცდა დაბრუნონ.

## საბა სულხანიშვილი

# ექსტაზი და... პერფორმანსი

ფრედერიკ ბეგბედერის „ექსტაზი“ ასეთი ქვესათაური რომ აქვს მინერილი – „კაიფში დანერილი ნოველები“, ნინასნარვე დაბეჯითებით მიხვდები, ფანტასმაგორიული სურათები შეენაცვლება ერთმნენთს, იუმორისა და გროტესკის ფეიერვერკი, და არც სკაბრეზული პასაჟები თუ უხამსი გამოთქმები მოაკლდება მყითხველსო.

80-იან წლებში პარიზის დამეული გართობის მოყვარულთა შორის ახალი ნარკოტიკი გამოჩნდებოდა, მეტსახელად „ექსტაზი“, რომლის უცნაურ ეფექტსაც ბეგბედერი მოკლე წინათქმა-გაფრთხილებაში გააიგივებდა სიმხურვალის მოზღვავებასთან, მთელი ღამის განმავლობაში ტექნო-მუსიკაზე ცეკვისა და ალერსის სურვილთან, კბილების ღრწიალთან, გაძლიერებულ დეპიდრატაციასთან, ეგზისტენციურ კაეშანთან, თვითმკვლელობის მცდელობასთან, დაქორნინების დაუმკებელ სურვილთან.

იქვე „ზოგიერთი ამერიკელი მწერლის ნოველებსაც“ ნაკრავდა კბილს: იმათსავით ახასიათებს ამ მძიმე ნარკოტიკს ალმასვლები და დალმასვლებით.

თუმც იქნებ უფრო ღრმად ჩაკვირვებოდა ამერიკულ ნოველას და გაეთვალისწინებით მათი კომპოზიტორური ხელოვნება, რომელთან შედარებითაც მისი ეს კრებული უმეტესწილად ჩახახატებსა და დაუმთავრებელ სურათებს მოგვაგონებს. ამგვარ სტილისტიკას ერთგვარად ამართლებს ქვესათაური: კაიფში დანერილი, თუმც ის მისწრაფება, რაც ამ ფრანგი მწერლისთვისაა შესამჩნევი, ცოტა მეტ ასტრატობასა და გაქანებას ავალებდა, და ფანტაზიის მეტ სიჭარებესაც.

მისწრაფება კი იმ ნოველის („ექსტაზის პირველი აბი“) იმ პასაჟშია გამჟღავნებული, რომელშიც ბეგბედერი ჩა-

მონათვალს გვთავაზობს იმ ნარკოტიკებისა, რომელთაც თავისი ადგილი დაიმეტებული ლიტერატურაში:

კოტოსა და ტომას დე ქუინის მპიუმიო, ანრი მიშოსა და ოლდოს პაქსლის მესკალინო, ბეროუზისა და ივ სალგის ჰეროინი, კასტანედას ჰეიოტლიო, ტიმოთი ლირისა და ტომ უცლფის შ-ოო, ბოდლერის პაშიშიო, ბრეტ ისტონ ელისისა და ჯეი მაკინერნის კოკაინიო, ჩარლზ ბუკოვსკის ბურბონი.

და ახლა ექსტაზის ჯერიც მოსულა.

„მანაც ხომ უნდა შეაბიჯოს ლიტერატურის ისტორიაში!“ – ვითომდა მორიდებით კითხულობს ავტორი, მაგრამ ექვეტექსტი დაუფარავად მიგვანიშნებს: შეაბიჯა, უკვე შეაბიჯა.

ბეგბედერის ჩამონათვალში მნერალთა უმეტესობა ის სახელებია, რომელთა გვერდით მოხსენიებაც კლასიკოსის პატივს ნიშნავს და ფრანგი ნოველისტი გამჭვირვალე ქარაგმით მიგვანიშნებს გაბედულ ზრახვებს, ნარკოტიკის სიმბოლიკით გაღწევის უინს ამ თანავარსკვლავედში.

სურვილი ჯერჯერობით სურვილად რჩება და, თუკი რაღაც საზღვარს ვერ გადალახავს, იქნებ ალარც ლირდეს მისი ნაწერების ამეტყველება ქართულად და თამარ ხოსრუაშვილმაც უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურულ თხზულებებს მოპკიდოს ხელი...

თუმც საჭამინეოდ ამ ერთი კრებულის გადმოქართულება ამაო გარჯა არ გახლავთ და იმ თვალსაზრისითაც გასათვალისწინებელი ჩვენი ახალგაზრდებად ჩარჩენილი მნერლებისათვის, თუ როგორ უნდა შეიქმნას ისეთი სტილისტური ფონი, ისეთი კონტექსტი, რომ არც სკაბრეზმა, არც უცენზურო გამოთქმება ყური არ მოგჭრას.

ეს მთარგმნელის ოსტატობის წყალობითაც არის, ლალი ენობრივი გარსისა და მარჯვედ ნაპოვნი შინაგანი რიტმის დამსახურებით; და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ფრანგულ „კაიფში დანერილ ნოველებთან“ შედარებით ჩვენს პოსტმოდერნისტებად თვითგამოცსადებულ ლიტერატორთა მიერ შეთხული მსგავსი პასაჟები თუ სურათები ტუალეტების ნარწერათა „მზატვრულ შთამბეჭდაობას“ არა სცილდება.

ერთ-ერთ ნოველაში „ექსტაზი სტრიპტიზით“ ჩვენს მკითხველს ძალაუნებურად მოხვდება თვალში ეს სატირული სურათი და მისი ღრმა განზოგადება:

„ერთი გოგონა საშოში ირჭობს ფლომასტერს და თავისი სარცხვინელით ფურცელზე წერას იწყებს. რამდენიმე წუთში ამ რთულ ვარჯიშს ამთავრებს, დგება და ფურცელს ყველას დასანახად აფრიალებს. ზედ წერია: „ჭელცომე“. ბედნიერი ფრედერიკი ალიარებს, რომ მნერლობას ჯერ კიდევ აქვს მომავალი. ასეთ პერფორმანსს უდიდესი წარმატება ექნებოდა წიგნის სალონზე!“

ეს ერთი სურათიც კმარა, რათა ხელშესახებად გამოგეცხადოს საზოგადოების დაცემული ყოფა, სრული დაკინება და გადაგვარება.

ეს თურმე პერფორმანსი ყოფილა, მისი მიგნება – უდიდესი წარმატების საწინდარი და, თანაც, ნუგებისმომგვრელი - მნერლობას ჯერ კიდევ აქვს მომავალი.


მნერლის ფანტაზიამ სცადა შეელნია ნარკოტიკებით დაბანგულ გონებაში და მიეგნო მისი რღვევისათვის. ფურცელზე გადმოტანისას კი ამ სატირულ სურათად გარდასახა.

მაგრამ ალიქამს კი ამ სურათს სატირისა და ზნეობრივი დაცემის ნიმუშად ქართველ მკითხველთა ის წრე, აღტაცებული რომ დარჩა ხუთი ურთიერთმოფურთხავე მხატვარ-დიპლომანტის ეკრანული გამოჩენი? „ცნობად სახეებს“ ისინიც მიემატებს თავიანთი გალოპრილი წარბ-წამწამ-შუბლ-დაწვ-ბაგე-კბილოთა და ბედნიერი იერით, რომ ამიერიდან გზა ოთხივმხრივ ხსნილი აქვთ.

დიპლომის დაცვად ფურთხების ეს სეანსი ჩაუთვალეს, უურნალისტებიც უხვად მიაწყდნენ და არც ქება დაკლებიათ, სამხატვრო აკადემიის რექტორის აღტაცებული საჯარო გამოსვლით დაგვირგვინებული.

პერფორმანსის ხსენება სწორედ ამ აღტაცებულ ფრაზებში გამოეროდა.

ეს ამაზრზენი სურათი... პერფორმანსი ყოფილა თურმე!..



ის, რაც ფრანგი მნერლისათვის სატირაა, ქართველი რექტორისათვის რეალიზმია და ალბათ რომანტიკაც; და როდესაც მუსიკ ბეგბედერი თავზარდამცემ სინამდვილეს ჭვრეტს დარღვეული ფსიქიკის ამ ხილვაში, და მისი ფრაზა – „მნერლობას ჯერ კიდევ აქვს მომავალი“ – მძაფრი სარკაზმით გამსჭვალულა, ბნი ბულაძის სატელევიზიო გამოსვლის რეზიუმე სულიერი მხნეობითა და ქართველ მხატვართა ახალთაობის რწმენით გაელენთილიყო!.. და თუმც უშუალოდ არ უთქვამს, ტელემაყურებელი თუთონვე დააბოლოვებდა გუნებაში მის პუბლიცისტურანალტიკურ შეფასებას:

– მხატვრობას ჯერ კიდევ აქვს მომავალი.

– იმედად – პერფორმანსის ის სეანსი!..

არ გაგიკვირდეთ, ფრედერიკ ბეგბედერის იმ ნოველის ის პასაჟი ცოცხალ სურათად თუ გამოგეცხადოთ წიგნის ფესტივალზე, როგორც პერფორმანსი და უდიდესი წარმატების მაცნე და მახარობელი... თუმც სხვისი მისაბაძი რა სჭირო ჩვენს „მომავლის ხელოვანთ“, როდესაც რეალობა – თავისი უკადეგანო ფანტაზიით – გაცილებით გამაოგნებელ იდეებსა და სცენებს გაყრის სახეში, ვიდრე ლიტერატურა ახერხებს მათ შეთხვას.

...თვითგანქიქებას პატივიმყვარეობის დასაოცებლად ვიყენებო, – ირწმუნება ბეგბედერი, როდესაც თავის მართლებას ცდილობს, ნარკოტიკის ექსტაზში ჩათრეული ახალგაზრდა პარიზელი ინტელექტუალის უთავბოლო სულიერ მოგზაურობას ასეთი დაურიდებლობით რომ წარმოსახას, თუმც აგერ, მის მიგნებას შესაძლოა ორივე ხელითაც ჩაეჭიდონ და შოუს მთავარ დერძადაც აქციონ.

თანაც როგორი სიამაყით, როგორი თავმომწოდებითა და დაუინებით გაიმეორებენ ყველა ტელეკომპანიის ეკრანზე: პირველად საქართველოში!

ფრანგი მნერლი უნდა შეგვუოს, რომ მისი სახელი უნდებურადაც არავის დაცდება.

## გერმანიამ რადიკალურად გააგარტივა გერმანული ენა

გერმანიაში ძალაში შევიდა მართლწერის რეფორმის შესახებ კანონის საბოლოო ვარიანტი. პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის ახალი წესების დაცვა სავალდებულოა განურჩევლად ყველასათვის, იქნება ეს სახელმწიფო დაწესებულება თუ საგანმანათლებო სისტემა.

სიახლეთა მიზანი ენის გამარტივებაა. რეფორმა ორთოგრაფიის 212 წესიდან 87-ს აუქმებს. ცალკეული სიტყვები, რომლებიც მთავრულით ინერბოდა, ახლა ნუსხურით დაინერბა და პირიქით. პუნქტუაციის 52 წესიდან კი მხოლოდ 12 დარჩა. მძიმების დასმა უფრო ინტუიციაზე დაყრდნობით შეიძლება და არა წესის დაცვით. უცხო სიტყვების წერა ნებადართულია როგორც გერმანული, ისე უცხონოვანი ტრანსკრიპციით.

გადაწყვეტილება გერმანული ენის რეფორმის შესახებ 1996 წლის 1 ივლისს მიიღეს ვენაში გერმანულებინანი ქვეყნების კულტურის მინისტრთა შეხვედრისას. ეს ქვეყნებია: ავსტრია, გერმანია, აგრეთვე ბელგია, უნგრეთი, იტალია, ლიხტენშტეინი, რუმინეთი და შვეიცარია, რომლებშიც ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები გერმანულს მშობლიურ ენად მიიჩნევენ.

## გუსტავო ადოლფო ბეკერი

# სულიერის მთა

არ ვიცი, რა დრო იქნებოდა, ზარების რეკეამ რომ გამომაღვიძია. ამ გაუთავებელმა და მონოტონურმა ხმამ უეცრად სორიაში გაგრილი ლეგენდა გამახსენა.

შევეცადე ისევ დამეძინა, მაგრამ ვეღარ შევძელი. მოძალებული ფანტაზია ვერა და ვერ დავიმორჩილებ, როგორც ვერ დამორჩილებ აღვირასხნილ, აღელვებულ ცხენს. დრო უნდა გამეყვანა და ამ უძველესი ლეგენდის ქალალზე გადატანა გადავწყვიტე. წერა დავიწყე, თან ყურადღება აივნისკენ მქონდა მიპყრობილი, საიდანაც ღამეული სუსხიანი ქარის ზუზუნი და მინების ზრიალი ისმოდა.

მაშ ასე, ახლა ჩემი ფანტაზია ველურ ცხენს ჰგავდა. ღუზა ჩამებული იყო, ასე რომ, დაე, მომხდარიყო, რაც მოსახდენი იყო.

### 1

– ძალები დააბით, მონადირეებს საყირით ნიშანი მიეცით, ქალაქში დაბრუნების დროა. წმინდანთა დღესას-ნაული იწყება და არ დაგვავიწყდეს, სულების მთაზე რომ ვიმყოფებით. ღამით აქ დარჩენა სახიფათოა – ჯერ ხომ ძალიან ადრეა!

– მონკაროში დიდთოვლობაა და ბუნაგებიდან მგლები დაძრულან. ეჭ, სხვა დროს მათ აუცილებლად გავუსწორებდი ანგარიშს, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია. ცოტა ხანში ეკლესიებში წირვა დაიწყება და მიცვალებულთა სულები ზარებს ჩამოკრავენ.

– იმ დანგრეულ სამრეკლოში? რას ამბობ, ალბათ ჩემი შეშინება თუ გინდა!

– არა, მშვენიერობისაშვილო, ამ თქმულებისა იმიტომ არ გჯერა, რომ არაჯერი იცი ჩვენს მხარეზე. მხოლოდ ერთი წელი გავიდა, რაც შორეული ქვეყნიდან დაბრუნდი. ცხენები წელი ნაბიჯით ვატაროთ და გზად ამ ლეგენდას მოგიყვები.

პატები უკვე ადგილზე იყვნენ და მხიარულად საუბრობდნენ. გრაფი ალექსანდრი და გრაფი ბორხესი კონტა ბედაურებს მოასხდნენ და უკან მიჰყენენ თავიანთ შვილებს, ბეკრისისა და ალონსოს, რომლებიც ამალას კარგა მანძილზე დაშორებოდნენ. გზად ალონსომ ბეკრისს და-ნაპირები ლეგენდა მოუთხრო.

– მთა, რომელსაც ამჟამად სულების მთას ეძახიან, ადრე თვით ტამპლიერებს უკუთვნოდათ. აი, მდინარის ნაპირზე მათი მონასტერი მოჩანს. ტამპლიერები ლეგიტიმოსავი რაინდები იყვნენ. მათ სორია არაბებისაგან გაათავისუფლეს. მერე კი მეფემ ისინი შორეული ქვეყნიდან კვლავ აქ დააბრუნა, რათა შემდგომშიც დაეცვათ ქალაქი. ამან კასტილის დიდგვაროვანთა უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც ფიერობდნენ, რომ სხვების დაუხმარებლადაც შეძლებდნენ საუთარი ქალაქის დაცვას. მტრობა რაინდების ახალ ორდენსა და კასტილის იდალგობრებს შორის წლობით გრძელდებოდა და საბოლოოდ ორივე მათგანი-სათვის ტრაგიკულად დამთავრდა. ბერმა რაინდებმა ეს

მთა თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს და ამ მიდამოებში დიდებულ ნადირობებსაც მართავდნენ. კასტილიელი დიდებულებიც ამავე მთაზე ლამობდნენ ნადირობას, თუმცა ღვთისმოსავი რაინდები მკაცრად კრძალავდნენ ამას. მათ მტრობაზე მითქმა-მოთქმა არა წყდებოდა, მაგრამ ვერაფერმა დააცხრო ვერც ღვთისმოსავი რაინდების ნადირობის უინი და ვერც დიდგვაროვანთა სიჯიუტე ბოლოს და ბოლოს კი მათი ერთ-ერთი ნადირობა ისე დამთავრდა, რომ ეს ნადირობა კი არა, შემზარავი ბრძოლის დასასრული აღმოჩნდა. მთა გვამებით იყო მოფენილი. სორიელი ქალები ძაქებით შეიმოსნენ. მგლებმა კი სისხლიანი ნადიმი გამართეს. მერე ის იყო და საქმეში მეფე ჩარერია და ეს დაწყევლილი მთა, რომელიც ამდენი უბედურების მიზეზი გამხდარიყო, ხელშეუხებლად გამოაცხადა. მთაზე ნამომდგარი ეკლესის სამრეკლომ, რომლის ეზოშიც ამდენი მტერ-მოყვარე გამოესალმა სიკოცხლეს, ნელ-ნელა ნგრევა დაიწყო.

ამ დროიდან მოყოლებული არსებობს თქმულება, რომ მიცვალებულთა ღამის დადგომისთანავე სამრეკლოში ზარების რეკვა იწყება, შემძარცულ სუდარებში გახვეული მიცვალებულები ჯაგანარებისაკენ მიემართებიან და იწყება გასაოცარი ნადირობა. ირმები შემზარავად ყვირიან, მგლები ყმუიან, გველები სისინებენ და მეორე დილით თოვლა მიცვალებულთა წონჩხების ნაფეხურები ატყვია. აი, ამიტომ ვეძახით სორიაში ამ მთას მიცვალებულთა მთას და სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც იქიდან დაღამებადე უნდა გამომესწრო.

ქალ-ვაჟი ქალაქის ხიდს რომ მიუახლოვდა, ალონსომ თხრობა დაამთავრა. აქ ორივენი ამალას დაელოდნენ და მალე უკვე მისი თანხლებით გაუჩინარდნენ სორიას ბნელქუჩებში.

### 2

მსახურებმა ეს-ესაა სუფრა აალაგეს. ალკულიელთა საგრაფოს მაღალ გოტიკურ ბუხარში ცეცხლი მინავლოლიყო და ძლიერდა ბუტავდა. ქალბატონები და ბატონები ბუხარს მისხდომოდნენ და თავს საუბრით იქცევდნენ. ქარი აზანზარებდა ტყვიის გისოსებიან ისრულ ფანჯრებს. საუბარში მხოლოდ ორი ადამიანი არ ერეოდა. ბე-ატრისი და ალონსო. ჩაფიქრებული ბეატრისი ბუხარს მიშტერებოდა. ალონსო კი თვალს არ აშორებდა ქალის ლურჯ თვალებში მოკიაფე ცეცხლს. ბანოვნები შემზარავ ამბებს ყვებოდნენ მოჩვენებებსა და მიცვალებულებზე. სორიას ეკლესის ზარები კი ისევ და ისევ მონოტონურად და სანწყალობლად რეკავდნენ. სიჩუმე კვლავ ალონსომ დაარღვია:

– ან იქნებ ეგ შენი უგუნებობა იმის ბრალია, – გააგრძელა ალონსომ, – რომ საფრანგეთის სამეფო კარზე გატრაებული უდარდელი ცხოვრება გენატრება. გენატრება



ის ფუფუნება, რასაც ასე მიჩვეული იყავი. ასეა თუ ისე, ვგრძნობ, მალე უნდა დაგაკარგო, ამიტომ მინდა განშორების უამსრამე გაჩუქო. გახსოვდეს ის დღე, შენი გამოჯანმრთელების მერე სალოცავად ეკლესიაში რომ წავედით. მაშინ შენი ყურადღება ჩემი ქუდის მორთულობამ მიიპყრო. გამეხარდებოდა ქუდის ფრთაზე მიმაგრებული ეს სამკაული, რომელიც მამაჩემმა დედაჩემს ჯვრისნერაზე აჩუქა, შენს მანდილსაც თუ დაამშვენებდა. ჰო, მოხარული ვიქები, თუ ამ სამკაულს საჩუქრად მიიღებ ჩემგან.

— არ ვიცი, აქ თქვენ რა წესი გაქვთ, — მიუგო მშვენიერ-მა ბეატრისმა, — მაგრამ ჩვენს მხარეში იმ აზრისა არიან, რომ საჩუქარი გარ-

კვეული ვალდებულების წინაშე აყენებს ადამიანს, რა თქმა უნდა, თუ დიდ დღე-სასწაულებზე მორთმეულ ძლვენს არ ჩავთვლით, ამიტომ წესად არა გვაქვს ახლობლებისაგან საჩუქრების მიღება, თუნდაც ისინი რომიდან იყოს ჩამოტანილი.

ქალის ასეთმა ცივმა პასუხმა ალონ-სო გააოგნა. მერე კი, ცოტა რომ დამშვედდა, სევდიანი ხმით უთხრა: — ბიძაშვილო, ეს მე ვიცი, მაგრამ დღეს ხმ დღესასწაულია, ყველა წმინდანის დღე.

ბეატრისმა ტუჩი მოიკვიტა და უსიტ-ყვოდ გაუწოდა ხელი სამკაულის გამოსართმევად. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ალონსომ და ბეატრისმა ახლა უკვე შეკრებილი ბანოვნების საუბარს მიაპყრეს ყური. ქარი ისევ უსტვენდა და ისრული ფანჯრების მინებს აზანზარებდა. ზარები კი მონოტონური და საწყალობელი ხმით რეკვდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ალონსომ ისევ განაახლა შეწყვეტილი საუბარი;

— იქნებ ყველა წმინდანის დღესასწაულის დამთავრებამდე შენც მოიფიქრო და რამე დამიტოვო სამახსოვროდ.

— რატომაც არა. — წამოიძახა ქალმა და ხელი მარჯვენა მხარზე დაიდო. მერე თითები ისე აამოძრავა, თითქოს ოქრომკედით ნაქარგ ხავერდის სახელოს ნაოჭებში რაღაცის პოვნა უნდაო. და ბავშვურად გულუბრყვილო ხმით დასძინა:

— გახსოვს ის ცისფერი ბაფთა, ნადირობისას რომ მე-კეთა. მაშინ მითხარი, ეს ფერი ჩემი ემბლემის ფერია და ჩემს სულს ემინანებაო.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს.

— ჰოდა, ის ბაფთა დავკარგე, დიახ, დავკარგე: მე კი სამახსოვროდ სწორედ მისი ჩუქება მინდოდა შენთვის.

— როგორ თუ დაკარგე? სად? — წამოიძახა შეშინებულმა ალონსომ და მოწყვეტით დაეშვა ადგილზე. — სულების მთაზე.

შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ყრულ გააგრძელა.

— ალბათ გსმენია და იცი, რომ მთელ კასტილიაში საუკეთესო მონადირედ მიცნობენ. აქ, ჩვენს ქალაქში ნადი-

რობის მეფესაც მეძანიან. მართალია, ჩემი

წინაპრებივით ნამ-დვილ ბრძოლაში არ

გამომიჩენია თავი, მაგრამ რაც შეხება ნადირობას, ამ საქმეს

მთელი ჩემი ახალგაზ-რდული ძალითა და ენერგიით მოვაიდე ხელი. ეს ხალიჩაც, ახ-ლა რომ დგახარ, ჩემი ხელით დახოცილი მხეცების ტყავებითა შეკერილი. ამ საქმეში

უკვე დიდად გამოც-დილი ვარ. კარგად ვიცნობ მხეცების ჩვეულებებსა და სამალავ ადგილებს. ბევრჯერ შეგბრძოლებივარ მათ დღისითა თუ ღამით, ქვეითად თუ ცხენით, ქვეშვრდომებისა თუ ამალის თანხლებით ან

სრულიად მარტოც. ვერავინ გაძედავს იმის თქმას, საფრთხეს ოდესმე გავქცეოდე

და შემშინებოდა. ჩვეულებრივი დღე რომ ყოფილიყო, სიამაყითა და სახარულით გავიქცეოდი იმ ხელმძღვანელის მოსატანად, მაგრამ არ დაგიმალავ, ახლა ძალიან მეშინია, გესმის? ზარები რეგავენ და სან ხუნ დელ დუეროში წირვა დაიწყო. მთის სულები ახლა ჯაგნარმოდებული საფლავებიდან გაყვითლებულ თავის ქალებს წამოსწევენ. ეს შემზარავი სანახაობაა. მათი დანახვაც კი კმარა, რომ თვით ყველაზე მამაც რაინდაც სისხლი გაეყინოს ძარღვებში და თმა გაუთეთოდეს. მიცვალებულთა სულები ქარნალებული ფოთოლიგით აიტაცებენ ადამიანს და შორს, გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანენ.

ბეატრისი ალონსოს დამცნიავი ღიმილით უსმენდა, თან ბუხარში ნაკვერჩხალს ჩხრეკდა. შეშას ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. ნაპერნებულები ათასფრად კიაფობდენენ.

— ოჳ, არა! არავითარ შემთხვევაში. ასეთ ბენელ ღამეში

მთაზე ასვლა სიგიჟა. თანაც მიცვალებულთა ღამეს, რო-



მხატვარი ნანა მელქაძე

ქალმა ბოლო სიტყვები განსაკუთრებული და მაცინა-ობით წარმოსთქვა და ამას აუცილებლად შეამჩნევდა კაცი. ზამპარასავით შემართული ალონსო უცრად ფეხზე წამოიჭრა და შუბლზე ხელი გადაისვა. ამით თითქოს შეეცადა აზრებიდან გამოედევნა შიში, რო-მელსაც ვერაფრით ვერ გამოდევნიდა გულიდან. ბანოვ-ნები ისევ და ისევ ლეგენდებს ყვებოდნენ. კვლავინდე-ბურად ბობიქრობდა ქარი. შორიდან კი ზარების რეკვა ისმოდა. ალონსო ბეატრისს მტკიცე ნაბიჯით მიუახ-ლოვდა. ქალი გულგრილად აგრძელებდა ბუხარში ცეც-ხლის გაღვივებას.

— მშენდობით პეატრის, მშვიდობით! მალე ისევ შევ-ხდებით.

— ალონსო! ალონსო! — ქალი სწრაფად შეტრიალდა, თითქოს მის შისაწირებლად, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რამდენიმე წუთი ქუჩიდან ცხენის ფეხის ხმა გაისმა. ბეატრისმა ყური მიუგდო. სიამაყისა და კმაყოფილებისა-გან ღაწვები შეფაკლოდა. ყურადღებით უსმენდა ალონ-სოს ცხენის ფლობვების ხმას, რომელიც თანდათან სუს-ტდებოდა, ბოლოს კი სრულიად მიჩუმდა.

3

რამდენიმე საათით გავიდა. შუალამე ახლოვდებოდა. ბე-  
ატრისტმა თავის პატარა სამლოცველოს მიაშურა. ალონ-  
სოს დაბრუნებას პირი არ უჩანდა, წესით კი ერთ საათში  
უნდა მოემთავრებინა საქმე.

— შიშმათ თუ შეიცყრო! — ნამოიძახა ქალმა. ხელში ლოცვანი ეჭირა და მიცვალებულთა სულების მოსახსენიერელ ლოცვებს კითხულობდა. მერე წიგნი დახურა და საძინებელში შევიდა. ლამპა ჩააქრო, საწოლს აბრეშუმის ორმაგი ფარდა ჩამოაფარა და დაიძინა. ნერვიული, მშვიობვარე და ფრთხილი ძილით ეძინა. მალე ბეატრისს ძილში კოშკიდან საათის რეკვის ხმა ჩაესმა. უკვე თორმეტი იყო. შორიდან სამრეკლოს ზარი დროგამოშვებით ისევ მოზყენით რეკვდა. ქალს მოეჩვენა, თითქოს ვიღაც ნალვლიანი ხმით ეძახდა და თვალები გაახილა. ქარი ისევ ზუზუნებდა და თანჯრებს იხილებოდა.

- ალბათ ქარის ხმაა! - თავი დაიმშვიდა ბეატრისმა და ათროლებულ გულზე ხელი დაიდო. უცრად სამ-ლოცველოს ფიჭვის კარმა მთელი ძალით დაიჭრიალა. სულ მალე კი ყველა კარმა ერთდროულად დაიწყო ჭრა-ჭრნი. თითქოს ვიღაცის ტირილის ხმაც ისმოდა. მაგრამ მალე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ბეატრისი გრძნობდა, რომ ეს საეჭვო სიჩუმეც რაღაცის მომასწავებელი იყო. წყლის ჩერიალს ძალლების ყეფა ერთვოდა. ვიღაცა თითქოს ხელი ნაბიჯით უახლოვდებოდა ქალს, მერე კი ისევ შორდებოდა. საიდანლაც გაურკვეველი ჩურჩული, ლაპარაკის ხმა, ტანსაცმლის შარიშური და მძიმე სუნ-თქვა ისმოდა. ორგვლივ უკუნეთი სიბნელე გამეფებულიყო, მაგრამ ეს ხმები ბეატრისს თავიანთ არსებობას ამცნობდნენ და უყელაფერს ცხადად ატყობინებდნენ. ქალი მთელი სხეულით კანკალებდა. მერე ფარდიდან ჩუმად გაიხედა და მიაყურადა. ისევ განმეორდა ათასობით გაურკვეველი ხმა. ბეატრისმა შუბლზე ხელი გადაისვა და ყურადღება დაძაბა: - ახლა სიჩუმეა. - ჩაილაპარაკა თავისთვის. თვალებალვარებული და აღლვებული ქალი ჟაჟუნეთს მისტიკერებოდა. იქ, სადაცაც თითქოს

აჩრდილები დაფარულატებდნენ, ხან შორდებოდნენ ბე-  
ატრისს, ხანაც უზარმაზარი ხდებოდნენ, მერე კი ერთ  
წერტილში ირინდებოდნენ და ყველაფერი ისევ წყვდი-  
ადში იძირებოდა. ირგვლივ მხოლოდ სიჩქარე იყო, სიბენე-  
ლე და სხვა არაფერი.

— ოჰ, — შესძახა ქალმა და ლამაზი თავი ცისფერი ატ-ლასის ბალიშს მიაყრდნო. — ნუთუ მეც იმათ ვგავარ, მიც-ვალებულებზე ზღაპრებს შიშით რომ უსმერნებ.

შესასტრისმა თვალები დახუჭა და დაძინება სცადა. მაგრამ თავს ამაოდ ატანდა ძალას. უუცრად ქალი აფორი-აქებული და შეშინებული წამოხტა. სახეზე მიტკლის ფერი ედო. კარებებზე ჩამოყიდებული ფარჩის ფარდები აშრი-ალდა და ხალიჩაზე ნელი ნაბიჯების ხმა გაისმა. თავდა-პირველად ეს ხმა ყრუ და შეუმჩნეველი იყო, მაგრამ სულ მალე უცხაურ ხმაურში გადაიზარდა. თითქოს ხე ან ძვალი ჭრიალებსო. თითქოს ვიღაც იქვე სკამს დაეჯახა. ქალმა შემზარავი ხმით დაიკიდლა, თავზე საბანი წაიფარა და სუნთქვა შეიკრა.

ქართველი მნიშვნელობის აზანზურებდა. შორიდან ისევ და ისევ ისმიდა შატრევენის დეკუტუნი. სულ უფრო და უფრო ხმამალლა ყელების ძალისგაბრძოვა.

თენდებორდა. ამ უსასრულო ღამის შემდეგ ბეჭტრისს მოეჩვენა, რომ საუკუნე გავიდა. ბოლოს და ბოლოს ირიჟ-რაჟა. ქალმა შვებით შეხედა სინათლის პირველ სხივებს. ამ საშინელი და უძილო ღამის შემდეგ მართლაც რომ მშვენიერი იყო დღის შუქი. ბეჭტრისმა ფარდები გადაწია, ის იყო გულიანად უნდა გადაეხსარხარა წუხანდელ სულე-ლურ შიშზე, რომ უეცრად შეკრთა და ცივმა ოფლმა დაას-ხა. სკამზე დახეული და მთლიანად სისხლში ამოსვროლი ის ცისფერი ბაფთა დაინახა, რომლის მოსატანადაც გუ-შინ ღამით სულების მთაზე ალონსო გაუშვა.

შეშინებული მსახურები ბევრობისთან შეცვივდნენ, რა-  
თა სასწრაფოდ ეცნობებინათ მისითვის ალკუდიელთა საგ-  
რაფოს შთამომავლის სიკვდილის ამბავი. გამთენის უამს  
ალონსო სულების მთაზე მკვდარი, მგლებისაგან დაფლე-  
თილი უჰილათ.

მსახურები ითახში რომ შევიდნენ, ბეჭატრისი უძრავად იწვა. ორივე ხელით აბანოზის ხს საწოლის სვეტებს ჩაბ-ლაუჭებოდა, თვალები გადმოეკარკლა და ნახევრად ღია ბაგები გაფითრებოდა. ასე გართხმული იდონ სარეცელზე მისი უსულო სხეული.

4

მოგვიანებით ვიღაც მონადირის მონათხრობს ჰყევებოდნენ, რომელსაც სულების მთაზე დაღამებოდა, მერე კი ნახევრად შეშლილსა და სიკვდილის პირას მყიფის საკუთარი თვალით ნანახი უამბინა, სამრეკლოს მახლობლად თუ როგორ გახსნილა მინა, საფლავებიდან როგორ ამოსულან მიცვალებულები და როგორ ამხედრებულან ჩინჩჩებად ქცეულ ცხენებზე. ისინი ახალგაზრდა ქალს მისდევდნენ. ქალი კი თურმე ველური ხმით ღრიალებდა და გარბოდა თმაგანენწილი და სსხვლიანი. ის თურმე მხოლოდ ურთ ადგიოსა დასატრიალობდა თავს.

ეს ალონისოს საფლავი იყო.

## გერმანულიდან თარგმნა მაკა გოგოლიაშვილება

გერმანელებმა 1939 წელს  
პოლონეთი რომ დაიპყრეს,  
ყველა უმაღლესი და საშუალო  
სკოლა დახურეს, მხოლოდ  
დაწყებით სკოლებს დართეს ხება არსებობისა – ძალზე შეკ-  
ვეცილი პროგრამით. მაშინ პოლონელებმა არალეგალური  
სწავლა-განათლების ქსელი შექმნეს და იატაკებები ენაფე-  
ბოდნენ ცოდნას.

ოკუპანტთა ცინიკურ დამოკიდებულებას სლავური მოდ-  
გმის პოლონელთა მმართ საუცხოოდ გამოხატავს გერმანულ  
პუბლიცისტიკაში დამკვიდრებული გამოთვემა: „პოლნიშე ვირ-  
ტშაფტ – ცუდად მუშაობის, ფინანური შრომის სინონიმი.“

რომან ბრატინის სახელგანთქმულ რომანში „პოლუმბები“,  
დაბადების წელი – 1920-ის, სადაც ასახულია პოლონელთა წინა-  
აღმდეგობის მოძრაობა, გერ-  
მანელი გენერალი კატინის  
ტრაგედიასან დაკავშრებით  
წარმოთქვამს: „პოლონელებს  
თვალი უნდა აეხილოთ და მიხ-  
ვდნენ, რომ ისტორიის ულმო-  
ბელი კანონები მოუწოდებს  
მათ – ფეხი აუწყნონ სრულია-  
დევროპული ფრონტის ნაბა-  
ჯებს“. რომანის რიგითი პერ-  
სონაჟი, ნეიტრალურ პოზიცი-  
აზე მდგომი პოლონელი მწე-  
რალი მიუგებს: ჩვენს შორის  
ცრემლის იმხელა ზღვა დამ-  
დგარა, რომ საბჭოეთის მიერ  
დახოცილ პოლონელთა გვამჟ-  
ბი მას ვერ ამოავსებს.

მიუხედავად ზემოთქმული-  
სა, დღეს პოლონელები საყვე-  
დურობები რუსებს, ნეტავი ვინ  
გეხვეწებოდთ, რატომ გაგვა-  
თავსუფლეთ, თქვენს ძმობას  
გერმანელთა მობობა გვერჩივან. ერჩივნათ და რა ვინდა, მიდი  
და შეეცილეთ! ვინ იცის, ეგებ, მართლებიც არინ. ჯერ კიდევ ადრმ  
მიცვევით თავის დრამატულ პოემაში „ძიადი“ წერდა: რუსი ხელ-  
ფეხს განგიბორკავს და, სამაგიროდ, სულ შეგბორკავს.

...ფილმი „სიყვარული გერმანიაში“ წარმოადგენს საფრან-  
გეთისა და გერმანის ერთობლივ ნაწარმოებს, რალფ ხონჟუ-  
ტის რომანის მიხედვით რომ შეუქმნიათ. ფილმის მთავარი  
გმირი პოლონელია და მისი გადაღება მიანდეს დიდებულ პო-  
ლონელ კინორეჟისორს ანჯელი ვაიდას.

მოქმედება მიმდინარეობს 1941 წელს გერმანიის პოვინ-  
ციულ ქალაქ ბრომბაზში, სადაც ცხოვრობენ სასურსათო მა-  
ლაზიის მფლობელი პაულინა კროპი და მისი შვილი, შვიდი  
წლის ბიჭუნა. პაულინას ქმარი ჯარშია განვეული. პაულინას  
და მის მეზობლებს მოჯამაგირედ ჰყავთ პოლონელი სამხედ-  
რო ტყვე სტანისლავ ზასადა.

პაულინასა და სტანისლავის საიდუმლო რომანი ვითარდება  
სულისშემუველ ატმოსფეროში: ვეება კარადებითა და ფუმ-  
ფუშა დივანებით გადაჭედილი ბინის სივიწროვე; ვინრო ქუჩებ-  
ში აუტანელი მიჯრილობა სახლებისა, საიდანაც შეიძლება უთ-  
ვალთვალონ შეყვარებულებს; მაღაზიის საკუჭნაოში აკოკოლა-  
ვებული ყუთები და ნახმირის ბრიკეტთა გროვა, სადაც უფ-  
რთხიან დაუპატიუბებელ სტუმრებს, ისევე, როგორც მინდოში,  
სადაც სტანისლავი ცხენებს აძმვებს. ცნობილი მსახიობი ჰანა

## პოლონელი რჩება პოლონელად

შიგულა, პაულინას როლში, და-  
მაჯერებლად გვიჩვენებს მისი  
გრძნობების ძალას: ეს არის  
ყოვლისშთანმთქმელი ვნება,  
მერე – უგონო თავდავიწყება და ბოლოს – გაცნობიერებული  
სიმარტე. ქალი არ უარყოფს თავის სიყვარულს, სტანისლავს  
სახრჩობელით რომ ემუქრება და მას – კონცლაგრით.

ახლობელ მეგობარს პაულინა გულაბდილად უამბობს  
ყველაფერს, ის კი გაოგნებულია: როგორ შეიძლება პოლონე-  
ლი შეგივარდეს? პოლონელი ხომ „უნტერმენშტი“ (ადამია-  
ნის ქემდგომი) არის! პაულინა გადაწყვეტს, დაივიწყოს  
სტანისლავი. აპირებს გამგზავრებას ქმართა, რომელიც ბა-  
ვარიაში მსახურობს. და როგორც კი ჩაჯდება ორვალია,  
შეიტყობს, რომ ღამით, ჭექა-ქუხილით დამფრთხებალ ცხენებს  
საჯინიბოში ფლობებით გა-  
დაუქელავთ პოლონელი და  
სიკვდილის პირას მისული ახ-  
ლა ჰისტიტალში იმყოფება.  
პაულინა გადაითიქირებს  
მგზავრობას და მიეშურება  
სტანისლავთან.

სტანისლავის პალატის მე-  
ზობელი, გერმანელი პაციენ-  
ტი თვალებს არ უჯერებს: პა-  
ლატაში შემოდის უცნობი  
ქალბატონი (გერმანელი!) და  
ჩამოჯდება პოლონელის სა-  
ნოლზე. უფრო მეტიც – „უნ-  
ტერმენშტი“ ლოყებზე უთაუ-  
ნებს ხელს. მეზობელი სასო-  
ნარკვეთილი ხმით იხმობს  
მედდას, რომელიც მთელ მედ-  
პერსონალს მოუყრის თავს პა-  
ლატაში. პაულინას აძვევებენ  
პალატიდან. სულით ავადმყო-  
ფი ჰერინათ!

პაულინა თავს ამოჰყოფს ციხეში, სტანისლავი – გესტა-  
პოში. ბრომბაზში ჩამოდის ქმარი, სამაგალითო ჯარისკაცი  
ფიურერისა. იგი ქვითინებს და ივედრება, რომ მიაფუჩებო  
ინციდენტი. გესტაპოელები თანხმდებიან, შეუმსუბუქონ პა-  
სუხისმგებლობის ტვირთი პაულინას, მაგრამ სამისიონ სტა-  
ნისლავი უნდა შეირაცხოს არიელად, სხვაგვარად პაულინას  
ვერაფრით აპატიებენ დანაშაულს.

გესტაპოში სტანისლავს უტარებენ ანთროპოლოგიურ შე-  
მოწმებას (თვალებისა და თმის ფერი, თავის ქალის ზომა და  
სხვ.), რის შედეგადაც ასკენიან, რომ მიღებული მონაცემები  
ახლოა წმინდასისხლიან არიელთაოვის დადგენილ სტანდარ-  
ტებთან და ამცნობენ სტანისლავს: როგორც ჩანს, შენ პოლო-  
ნელი არა ხარი... გადარჩა! გადარჩენ!

მაგრამ სტანისლავ ზასადა კატეგორიულ უარს აცხადებს  
შემოთავაზებულ პატივზე – იყოს არიელი. იგი უყვირის გეს-  
ტაპოელებს: მე პოლონელი ვარ და პოლონელად დავრჩებით  
(როგორ არ გაგასენდეს ჯიგრიანი ქართული სამღერა: „რაც  
უნდა მტანჯოთ, მანამოთ, მანიც დავრჩები ქართველი!“ ტყუ-  
ილად როდი უმღერდა ბორის პასტერნაკი პოლონელთასა და  
საქართველოს სულიერ ნათესაობას).

ურჩ პოლონელს საჯაროდ ჩამოახრჩობენ.

მერე გამოწმება ხალხით სავსე ქალაქის მოედანი. რაცუ-  
შის საფეხურებზე ჩამოდის პაულინა, კისერზე ჰყიდია დაფა



ასეთი წარწერით: „პოლონელის საყვარელი“. დასცინიან, ხელს ჰქონდება, აფურთხებენ, წაქევენ, მიფორთხავს ოთხებე, თავს ასწევს და თვალს მოჰქონდავს თავისი შვილის სახეს, მკვდრისფერი რომ დასდებია...“

ვენეციის კინოფესტივალზე უურნალისტებს გასაცნობად მიაწოდეს ამ ფილმის მასალები, სადაც იყო დოკუმენტური

ფოტოსურათი: საშუალო ტანის შავთმიანი ქალი დგას თავჩაღუნული და კისერზე ჰქიდია დაფა წარწერით „პოლონელის საყვარელი“.

დიახ, სინამდვილეში მომხდარი ამბავი დაედო საფუძვლად გრძმანელი მწერლის რომანს და შესაბამისად – პოლონელი რეჟისორის ფილმსაც.

1961 წლის დამლევს და-

სავლეთში გაიქცა საბჭოთა

დაზევრების მაღალჩინოსანი

ოფიციერი ანატოლი გოლიცინი. სპეცსამსახურთა ისტორიაში იგი არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი.

როგორც კი ჩაითვის ლინდონი, გოლიცინმა ამცნო, ვისაც ჯერ არს, რომ ათი წლის წინათ საბჭოთაში გადახვენილი დონალდ მაკლინი და გაი პიორჯესი იყვნენ წევრები ხუთკაციანი ჯაშუშური ჯგუფისა (იგულისხმება ე.წ. „უქმბრიჯის ხუთეული“, რომელსაც რუსებმა გახმაურებული ამერიკული ფილმის „ბრწყინვალე შვიდეულის“ ანალოგით „ბრწყინვალე ხუთეული“ უწოდეს).

გოლიცინის წყალობით გაირკვა „მესამე კაცის“ ვინაობაც. ეს იყო კიმ ფილმი. მან დროულად იყნოს მოხსენებული საფრთხე, არც აცივა, არც აცხელა და უკანმოუხედავად გაპყვა თავისი კოლეგების კვალს. ისიც მოსკოვში დაბინავდა.

მერე „მეოთხე კაცის“ ჯერიც დადგა, მაგრამ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ენტონი ბლანტი არსადაც არ გაქცეულა და არც დაუპატიმრებიათ. მეორე მსოფლიო ომის წლებში განეული სამსახურის საზღაურად მოსკოვმა ხანგრძლივი „შვებულება“ უბინძა და ხელოვნებათმცოდნე პატიოსნად დაუპრუნდა თავის ძირითად ხელისას. მშვიდად რომ ეცხოვრა, ნარსული ცოდვებიც მალე აღიარა. სამშობლოს დაღატეს ვერ დასწამებდნენ, ვინაიდან საბჭოთა დაზევერვას ემსახურებოდა მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთი და საბჭოთი მოკავშირენი იყვნენ ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლაში.

ახლა „მეხუთე კაციც“ მოვიკითხო. ბრიტანეთის კონტრდაზევრების თანამშრომელმა პიტერ რაიტმა, რომელიც იკვლევდა „კემბრიჯის ხუთეულის“ ასავალ-დასავალს, სხვადასხვა ირის სამშილთა საფუძველზე დაასკენა, რომ „მეხუთე კაცი“ იყო თვით სერ როჯერ პოლისი – ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის დირექტორი (1956-1965 წლებში).

როჯერ პოლისი დაბადებულა 1905 წელს, ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსის ოჯახში. სწავლობდა ოქსფორდში. ერთხანს მსახურობდა შანკაიში, „ანგლო-ამერიკულ თამბაქოს კომპანიაში“. 1938 წლიდან – კონტრდაზევრვაშია. 1953 წელს პოლისი დანიშნეს ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1956 წელს – გენერალურ დირექტორად.

## გენური კაცი

პოლისის ირგვლივ აურგაზური ატყდა. ერთინი თავგამო-

დებით იცავდნენ და ამტკიცებდნენ, უქმაყოფილო ხელევეითთა მიერ გაჩაღებული ინტრიგების მსხვერპლი გახდაო, სხვები კი არანაკლები ენერგია-ით ცდილობდნენ შეეთიხხნათ „პოლისის საქმე“ შპიონაჟის ბრალებით და ეს გრძელდებოდა ეჭვმიტანილის გარდაცვალების (1973 წ.) შემდეგაც.

უქმბრიუბის შეფი საბჭოთა დაზევრების აგენტად რომ შერაცხეს, ამაში არაფერ გახდავთ მოულოდნელი და გასაკვირი. როგორც ცნობილია, „კემბრიჯის ხუთეულის“ ყველაზე გამოჩენილ წევრს – კიმ ფილბის სულ ცოტალა დააკლდდა და ბრიტანეთის დაზევრების ანუ ლეგენდარული „ინტელიჯენს სერვისის“ თავკაცი შეიძლება გამზდარიყო.

ზემოხსენებული რაიტი და მისი მხარდამჭერი ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ პოლისის ყოფნისას შეიპაში, იქ მოქმედებდა საბჭოთა მზვერავთა ჯგუფი რისარდ ბორგეს ხელმძღვანელობით.

რაიტის თაოსნობით ჩატარდა გიგანტური სამუშაო არქივში, რათა მიეცნოთ რაიმე სამხილისათვის ზორგესა და პოლის შორის შესაძლებელ კონტაქტზე, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. გადამოწმდა ყველა ნარუმატებელი ოპერაცია, რომელშიც კი გარეულა პოლისი, მაგრამ ვერც იქ მიაკვლიერ საკბილოს. ხოლო პოლისის წისველიზე წყალს ასხამდა ის ფაქტი, რომ კონტრდაზევრვამ სწორედ მისი ხელმძღვანელობით გამოამჟღავნა ორი თვალსაჩინო საბჭოთა მზვერავი – ჯორჯ ბლეიკი და გორდონ ლონენსეილი.

1981 წელს ბრიტანეთის პარლამენტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტერერმა განაცხადა: „ადამიანის უდანაშაულობის დამტკიცება, ძალზე ხშირად, შეუძლებელია. მაგრამ დამატებითი გამოძიების შედეგად პოლისის წინააღმდეგ ერთი სამხილიც კი არა მაგიგებული. საბოლოოდ გამოტანილ იქნა დასკენა, რომ პოლისი არა ყოფილა საბჭოთა დაზევერვის აგენტი“. მეხუთე კაცის ძიებამ და უჩვეულო აყალიბაყალმა კიდევ ერთხელ შეუძლება რეპუტაცია ბრიტანეთის უშიშროების სამსახურს, რომელსაც თვითონ ინგლისელებმა „კაგუბეს საზღვარგარეთული ფილიალი“ შეარქევეს.

## ეროვნის

„კავესიურ სახლში“ გაიმართა განხილვა ზურა მესხის გაბამურებული, თავისებურად სკანდალური რომანისა „... ჩვენი უცოდევლობა, მამავა...“

ესაა პოსტმოდერნიზმის თვალსაჩინო ნიმუში და ხელშესახებად აირეკლავს ამ მიმდინარეობის უმთავრეს ტენდენციებს და დაურიდებლად აშიშვლებს ჩვენს ყოფას. მეოთხელის დიდ ინტერესს ინვესტ ავტორის საიდუმლოებით მოცული პიროვნებაც, რადგანაც ნაკლებ სჯერათ ისლანდიას თავშეფარებული ახალგაზრდა რეკონსტრუქციონის ლეგენდისა.

მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა გია ბენიძემ (მარსიანმა), რომელმაც ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზთან ერთად წარმოადგინა ამ რომანის თავისებური გაგრძელებაც.

სიტყვით გამოვიდნენ პოეტი გიორგი ლობჭანიძე, ფილოსოფი ბადრი შარვაძე და პროზაიკოსი ნაირა გელაშვილი.

მათმა გამოსალებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ზურა მესხის ამ რომანის სახით ქართულ მწერლობას შეემატა მრავალმხრივ საგულისხმო და დამაფიქტებელი ქმნილება, როგორც მხატვრული, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკული თვალსაზრისით.